

ՀԵՐԱԿ
ՀԱՅԿԱԿՅԱՆ



ՈՅԵՈՒՆ 1963

6

ՅՈՒՆԿՆԻ



ი რ მ ბ

617
1963/4



სიკსაქი

შინაარსი

საგვრთა ლიტერატურა კომუნისტური იდეოლოგიის საბრძოლო იარაღია	3
ლადო სულაბერიძე — კოსმონავტიკის მამის საფლავთან. ლექსი	6
მისხვილ კაპაბაძე — ნისლით წაშლილი ბილიკი. მოთხრობა	8
დავით ჯავახიშვილი — გივი. მოთხრობა	20
მარიელ მანჭურიძე — ფიდელ კასტროს დაბრუნება მექსიკიდან. ლექსი	23
გიორგი შეთეკაური — იორს. ლექსი	35
შურაბ კუხნიანიძე — მითხარ, დედოღო!.. ლექსი	36
ოთარ კუპრაძე — მავ გაუმარჯოს!.. ლექსი	38
სულხან აბულაძე — ლექსები	39
ნაირა ნიშარაძე — *** ცა იყურება ლურჯი თვალებით. ლექსი	40
სილოვან ნარიშანიძე — ვინ ჰგალობს ღამით?.. ლექსი	41
შალვა ამისულაშვილი — ჩამავალ მზეზე. ესეიზი	42
გიორგი მავთარაძე — ჯარისკაცის ჩანაწერები. ვაგჰქლება	44
შაჰრო სამაღაშვილი — ორი დანა. მოთხრობა	64


6

ივნიკი
1963

გამომცემლობა
„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს ალკვ ც. კ-სა და
მშობალთა კავშირის ორგანო





საქართველო
საქართველო
საქართველო

ელენე და გიორგი პაპავაშვილები —
 სადაც ყველაფერი შეიძლება მოხ-
 დეს. რომანი. გაგრძელება 67

**ორღე დგეგუბაძე — ჩაძირული „თო-
 ლია“. სათავგადასავლო რომანი 80**

●

ქრიჭია და პუბლიცისტიკა
 რეზა თვარაძე — პოეტური კულტუ-
 რის ზოგიერთი საკითხი 96

**გოგი ჩარაქვიანი — ხიშტი და კა-
 ლამი 112**

**გიორგი მერაპვილაძე — ფიქრები თა-
 ნამედროვე რომანზე. წერილი პირ-
 ველი 118**

**ფაუზ ციციუაშვილი — დაოსტატების
 ძნელ გზაზე 130**

* * *

**ფარნაოზ ლაპიაშვილი — ნათელა
 იანქოშვილი 134**

●

მეცნიერება და გაქნიკა
 შოთა ხანთაძე — მეცნიერული ქარ-
 თველოლოგიის აღმოცენების ისტო-
 რიიდან დასავლეთ ევროპაში 136

**იაროსლავ პუტინი — სინდისი. გაგრძე-
 ლება 147**

●

სპორტი
 გივი გამრეპელი — საქადრაკო ოლიმ-
 პზე 151

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე
 სარედაქციო კოლეგია:
 გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯი-
 კიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციუაშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ჭელი-
 ძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

საბჭოთა ლიტერატურა კომუნისტური იდეოლოგიის საბრძოლო იარაღია

საბჭოთა ლიტერატურას დღეს ახალი, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. ჩვენი საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საბჭოთა ხალხი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი ფრონტით მშენებლობას, ლიტერატურის უმთავრეს ამოცანას ამ დიდი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლა წარმოადგენს. საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია არა მარტო ასახოს სინამდვილე, არამედ მხატვრული სიტყვის ზეგავლენის ძალით აქტიურად შეუწყოს ხელი ცხოვრების გარდაქმნასა და განვითარებას. კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდისა და ფორმირების საქმეში მწერლობამ თავისი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანოს.

მ მარტს ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ თავის ცნობილ სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა: „კომუნისტებისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორც არის ლიტერატურა და ხელოვნება“.

სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას, „იდეური იარაღის საბრძოლო წესრიგში მოყვანას“ ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, უპირველეს ყოვლისა კი იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მწერლები, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიისათვის მეტბრძოლთა ავანგარდში არიან, დიდი ინტერესით ელიან ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის ცნობილ სიტყვებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სხვადასხვა იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობა შეუძლებელია.

ბურჟუაზიული იდეოლოგიები ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი ანტიხალხური იდეების გავლენის სფეროს გაფართოებას. ისინი ათასგვარ ხერხსა და ხრაკს მიმართავენ, რომ როგორმე გავლენა მოახდინონ საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენციის თუნდაც ზოგიერთ წარმომადგენელზე. სწორედ ამიტომ, ისინი თავგამოდებით გაჰყვირიან საკმაოდ ვაცვეთილ ლოზუნგებს ლიტერატურის „შეპარტიულობისა“ და „შეკლასიურობის“ შესახებ, რომელთა აზრი

და მიზანი მთელა სიცხადით ამხილა დიდმა ლენინმა ჯერ კიდევ ორმოცდაათი წლის წინ.

საბჭოთა ლიტერატურაში მკვეთრად არის გამოხატული მისი პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან სწორედ ეს პრინციპები წარმოადგენს იმ ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც ჰკვებავს ჩვენს მრავალეროვან და მრავალფეროვან საბჭოთა ლიტერატურას. ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი, ესაა ხალხურობისა და იდეურობის უმაღლესი გამოხატულება. მასში მთელი სიმკვეთრითა და სისრულით გამოვლინდა სოციალისტური ლიტერატურის მეზრძოლი ხასიათი, მისი რთული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და პროგრესის დიდ საქმეში. ამ პრინციპში თეორიულ გამოხატულებასა და დასაბუთებას პოულობს შეგნებული და აქტუური მოღვაწეობა საბჭოთა მწერლებისა, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით თავდადებით ემსახურებიან კომუნისტური პარტიის საყოველთაო-სახალხო საქმეს, კომუნისმის მშენებლობის საქმეს.

ზოგიერთი მწერალი, რომელმაც სწორად ვერ გაიგო პიროვნების კულტის პარტიული კრიტიკის არსი, თავის ნაწარმოებებში ცალმხრივად და არასწორად ასახავდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ისინი განზრახ ამუქებდნენ საღებავებს და ისე გვიხატავდნენ ცხოვრებას, თითქოს მასში სინატერესო, ამაღელვებელი, აღმაფრთოვანებელი არაფერი იყოს. ასეთი მწერლები კარგს ვეღარაფერს ამჩნევდნენ ჩვენს სინამდვილეში და ნებით თუ უნებლიეთ ცილსა სწამებდნენ საბჭოთა ხალხის ნათელ ცხოვრებასა და მიზნებს.

ისევე, როგორც ყალბია ის ნაწარმოებები, რომლებშიც გაიოლებულია ცხოვრება, საბჭოთა სინამდვილის არსს არ გამოხატავს არც ის ნაწარმოებები, რომლებშიც ჩვენი ყოფა ასე ფერმკრთალად, უინტერესოდ არის წარმოსახული. განსაკუთრებით გავრცელდა ე. წ. ყოფითი ლიტერატურა. თავისთავად, საბჭოთა ლიტერატურას სხვა არაფერი მოეთხოვება, თუ არა სწორედ ჩვენი ხალხის ყოფის ასახვა, რადგან აქ ვლინდება საბჭოთა ადამიანის გმირული სულიცა და მაღალი შეგნებაც. მაგრამ მწერალთა ნაწილი ყოფითში გულისხმობდა რაღაც წვრილმანი, უმნიშვნელო, ცხოვრების დიდ სიმართლეს მოკლებული ამბების ინდიფერენტულ წარმოსახვას.

საბჭოთა ლიტერატურის მრავალფეროვნება უსაზღვროა, მაგრამ იგი არ გულისხმობს ფორმალისტურ-აბსტრაქციონისტული ტენდენციების ოდნავ მაინც შეწყნარებას. ამიტომაც იყო, რომ პარტიასთან ერთად მთელმა საბჭოთა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ ერთხმად დაგმო ამ ტენდენციების გამოხატულების ყოველგვარი ცდა. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრებს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გამოჩნდა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთსულოვნება, მაღალიდეურობა, პარტიისა და ხალხის სამსახურისათვის მისი მზადყოფნა.

ფორმალისმის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა სრულებითაც არ ნიშნავს რაიმე შეღავათების გაწევას თემატურად აქტუალური, მაგრამ მხატვრულად სუსტი ნაწარმოებების მიმართ.

სოციალისტური რეალიზმი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არა მარტო დიდ იდეებსა და ნათელ გრძნობებს, არამედ ყოველივე ამის განსახიერებას მაღალმხატვრულ ფორმებში. სინამდვილის მხატვრული ასახვის ახალი ფორმების ძიებას არამცთუ არ ეწინააღმდეგება სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, არამედ თვით გულისხმობს ამას.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ერთდერთი გზა, როგორც ეს შე-
სანიშნავად დაამტკიცა მისი არსებობის თითქმის ორმოცდაათი წლის პრაქტი-
კამ, ეს არის სოციალისტური რეალიზმის გზა. სწორედ ამ მეთოდის მომარჯ-
ვებით შესძლეს ქართველმა მწერლებმა, თავის მრავალრიცხოვან საბჭოთა
კოლექტივთან ერთად, შეექმნათ მაღალმხატვრული, ხალხისათვის საყვარელი
ნაწარმოებები.

დღეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლებისა და ვეტერანების
გვერდით ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევიან უკანასკნელი ათი-თორმე-
ტი წლის მანძილზე მოსული ახალგაზრდა მწერლები. თანამედროვე ქართულ
მწერლობაში ერთ-ერთ ნიშანდობლივ და სასიხარულო მოვლენად უნდა ნიცი-
ნით შემოქმედებითად საინტერესო, ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის მოსვლა.
ჩვენი ახალგაზრდა მწერლები აგრძელებენ საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკე-
თესო ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი უფროსი თაობის გამოჩენილმა
მწერლებმა ჩაუყარეს. საბჭოთა მწერლობის როგორც უფროს, ასევე უმცროს
თაობასაც ერთი შემოქმედებითი მეთოდი აქვთ მომარჯვებული, ისინი ერთ დიდ
საქმეს ემსახურებიან და ვერაფერს შესძლებს მათ დაპირისპირებას.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მწერლებს შემოქმედებითი სიამ-
ლის ძიებისას, რაც თავს იჩენს მასალის შერჩევასა და მასთან დამოკიდებულე-
ბაში, ზოგჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა, ზოგიერთი ნაწარმოები არ
არის დატვირთული დიდი მოქალაქეობრივი აზრებითა და გრძნობებით, რაც
ზოგჯერ იდეურად მცდარ პოზიციებზე აყენებს მათ ავტორებს. ახალგაზრდა მწე-
რალთა შემოქმედებითი დაოსტატების საქმეში სალიტერატურო კრიტიკამ თა-
ვისი წვლილი უნდა შეიტანოს.

საბჭოთა მწერლობა მოწოდებულია მთელი თავისი შესაძლებლობითა და
მხატვრული წარმოსახვის ძალით ემსახუროს ხალხის, პარტიის დიადი საქმისა
და მიზნის განხორციელებას. პარტიის ისტორიული ოცდამეორე ყრილობის ტრი-
ბუნიდან დაბეჯითებით გაისმოდა მოწოდება ჩვენი მწერლებისადმი, კიდევ
უფრო მეტი ენერგიით ემსახურონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის
დიად საქმეს, პარტიული პოზიციებიდან, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე
ასახონ ჩვენი თანამედროვეობის მღელვარე სული, დაინახონ ცხოვრებაში მისი
განმსაზღვრელი დადებითი მოვლენები და სწორედ ეს უკანასკნელი გაიხადონ
თავიანთი შემოქმედების ძირითად შთამავგონებელ წყაროდ.

დღეს მკითხველი, ეპოქა, პარტია მთელი სიცხადით მოითხოვს ლიტერატუ-
რისაგან ხალხის ცხოვრებასთან კიდევ უფრო მჭიდრო ორგანულ კავშირს. ესაა
უპირველესი პირობა იმისა, რომ ლიტერატურაში მართლად აისახოს ჩვენი
ცხოვრება მთელი მრავალფეროვნებით, რათა შეიქმნას ჭეშმარიტად მხატვრული
სახეები თანამედროვეებისა, რომლებშიც განსახიერდება ჩვენი ადამიანების,
კომუნისზმის მშენებლების საუკეთესო თვისებები. მხოლოდ იქ, ცხოვრების
დულილში იპოვის მწერალი იმ ნამდვილ გმირებსა და ნამდვილ მასალას თავისი
ნაწარმოებებისათვის, რომლებიც არა ხელოვნურობითა და შტამპებით, არამედ
ცხოვრების დიდი სამართლით იქნებიან აღბეჭდილნი.

უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ლიტერატურა კომუნისტური იდეოლო-
გიის საბრძოლო იარაღია და ყველა ჩვენგანმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ
იგი მუდამ წმინდა და ბასრი იყოს.





სურათზე — ნ. ს. ხრუშჩოვი და მფრინავი-კოსმონავტები: ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი,
ა. გ. ნიკოლაევი, პ. რ. პოპოვიჩი, ვ. ფ. ბიკოვსკი, ვ. ვ. ტერეშკოვა
ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ღარო სუდაბერიძე

კოსმონავტის მამის საფლავთან

ვალენტინა ტერეშკოვას

ცის ლაქვარდებში გაიფრთამალე,
და წყნარ ვარსკვლავებს გაუკრთათ ძილი.
ომში დაღუპულ მამის სამარეს
შეეხო შენი ხომალდის ჩრდილი.

წამოდგა მისი ვეება ლანდი
და გაიშვირა შენსკენ ხელები.
იმ ხელებივით მიწიდან ცამდი
ზე ატყორცნილან ცისარტყელები.

შენშია მისი სული და სისხლი,
ცად აიტანე, ზე აიტაცე.
ასე გრძელდება სიცოცხლე მისი,
ფრთები შეესხათ ძველ ჯარისკაცებს.

ის მოჰკლეს, ტყვია მან შეაჩერა, —
არ მოედწია შენამდე ტყვიას.
თბილია მისი საფლავი ჯერაც
და დარჩენია თვალები ღია.

იმ საფლავიდან თეთრი რაკეტა
ოზელისკივით აიჭრა მაღლა.
და გითვალთვალეხს ახლა აქედან,
თოლია, არსად შეგეტყოს დაღლა.

ცად მიჰქრი მისი მგზნებარე სული,
ცად მიჰქრი მისი მიჩქეფარე სისხლი.
თვალს აბრიალებს ვიღაცა შურით, —
მოჰკლა და მოკვლა ვერ შესძლო მისი.

მაგ შენი ფრთების შხუილი ზაფრავს
და ეფარება ძველ სანგარს მკვლელი.
მძლავრია შენი ზეტისკენ სწრაფვა,
უწყინარ ვარსკვლავს შეახე ხელი.

ცად აიტაცე შენ მშობლის სული...
მშვიდად, დაღლილო ჯარისკაცებო!
შენ დედამიწას გარშემო უკლი
და მამის საფლავს უკლი გარშემო.

★ ლადო სულაბერიძე ★ კოსმონავტიკის მამის საფლავთან ★



სურათზე — მფრინავი-კოსმონავტები: ი. ა. გაგარინი, გ. ს. ტიტოვი, ა. გ. ნიკოლაევი,
პ. რ. პოპოვიჩი, ვ. ფ. ბიკოვსკი, ვ. ვ. ტერეშკოვა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ნახალი ნაშრომი ბიულეთი

მოთხრობა

სირველი, რაც ლეიტენანტ გიორგი გიგაურის ცნობიერებაში აღიბეჭდა, დიდი წითელი ჯვარი იყო. საკაცე ალბათ უხერხულად დადეს მიწაზე: მწვავე ტკივილმა ღრმა ბურანიდან გამოიყვანა და ამ პატარა სატვირთო მანქანის ძარაზე დახატულმა წითელმა ჯვარმა მეხსიერებაში აღუდგინა იმდღევანდელი ამბავი. გაახსენდა, რომ დაჭრილი იყო.

— რა საჭიროა, ამ ჯვრებს რომ ახატავთ მანქანებს? — ჰკითხა იქვე მდგარ ქორფლიან სანიტარს. — თქვენ ხომ იცით, გერმანელები...

— ჩვენ არ ვახატავთ, — სიტყვა გააწყვეტინა სანიტარმა და განზე გაიხედა. გიორგის მზე პირდაპირ თვალებში უყურებდა. მზეს სახე მოარიდა და მხო-

ლოდ ახლა დაინახა ირველიც დალაგებული უამრავი საკაცე. „ნეტავ ჩვენებიდან თუ არის ვინმე?“ — გაიფიქრა და წამოდგომა სცადა, მაგრამ საშინელმა ტკივილმა კვლავ წაართვა გონება. მერე ისევ გამოერკვა — მანქანა რახრახით მიდიოდა ოღროწოდრო გზაზე. თვალი გაახილა და ისევ უზარმაზარი წითელი ჯვარი დაინახა. მზის შუქი მკრთალად ატანდა ძარაზე გადახურულ გაცრეცილ ბრეზენტში და მასზე გამოხატული ჯვარი სისხლისფრად ილანდებოდა. „მშვენიერი ორიენტირია გერმანელი მფრინავებისათვის“, — გაუელვა თავში. მანქანამ შუა გზაზე გადაბრუნებულ წითელი ჯვრის ფორანს აუარა გვერდი და სისწრაფეს უმატა. ვილაცამ დაიკვნესა.

— ეი, სანიტარო, უთხარი, ცოტა ნელა იაროს. შეშა ხომ არ მიაქვს მაგ ოჯახ-დაქცეულს, — თქვა ვილაყამ.

— სასიეროდ არ გეცალია, — უბა-სუხა ჭორფლიანმა სანიტარმა.

— შეშას ახლა ჩვენზე მეტი ფასი აქვს...

— ასე თუ ვიარეთ, სული არ მიგვეყე-ბა ადგილზე...

— ნუ გეშინიათ. გაუძლებთ, — მოკ-ლედ მოჭრა სანიტარმა.

— შენ, ჩემო ძმაო, ვეტფერშლობა უფრო მოგიხდებოდა, — უთხრა გიორ-გიმ. ჭორფლიანმა უკმაყოფილო მხერა ესროლა გიგაურს, მაგრამ არაფერი თქვა.

— ვინ ხართ მანქანაში? — იკითხა გიორგომ.

ერთ ხანს არავინ გამოეხმაურა, მერე ვილაყამ თქვა:

— სტრემოუხოვი...

მანქანა მირახრახებდა და მტვრის კო-რიანტელს აყენებდა ოღროზოღრო გზა-ზე...

— შენ თვითონ რა გვარისა ხარ?

— გიგაური.

— მე ჩემი გვარი აღარ მახსოვს...

— მორჩით გაძახებას, — ბრძანა ჭორ-ფლიანმა სანიტარმა. — შენც გამოიგონე რაღა ეს სისულელე, — უთხრა გიგაურს.

— ე, სანიტარო, როგორ ელაპარაკები ლეიტენანტს? — შეუტია ჭორფლიანს ვილაყამ.

— აქ ყველა ერთი ხარტ, — მკვახედ უბასუხა სანიტარმა.

მანქანა მირახრახებდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა ოღროზოღრო გზაზე. გიორგის თავზე დაჭრილი ფრინ-ველივით ფართხალვდა უზარმაზარი წითელი ვეარი. „ნუთუ ჩვენებიდან არა-ვინ არის? სად არიან ნიკო, მანოშინი, სა-ჩანელი? თუმცა იქნებ არც ერთი არ დაჭ-რილა? იქნებ უფნებლად არიან? არა, შეუძლებელია. ან იქნებ... ასეთი მანქანე-ბით ხომ მხოლოდ დაჭრილები გადაპ-ყავთ. რამოდენა ტკივილი მიაქვს ამ პა-ტარა მანქანას... და რამდენია ასეთი მან-ქანა!“

— წყალი, — თქვა მან.

სანიტარმა მათარა მიუტანა პირთან.

გიორგომ რამდენიმე ყლუპი მოსვა და სა-ნიტარს ახედა. მისი სახე ეცნაურა. და-სუსტებულ გონებას ძალა დაატანა, მაგ-რამ ვერასვლით ვერ გაიხსენა, თუ სად შეიძლებოდა ენახა ეს უკმეხი და ბრახი-ანი ჯარისკაცი.

— შენ სადღაც მინახავხარ.

— შესაძლებელია, — მხრები აიჩჩია ჭორფლიანმა, — ომია...

გიორგის კიდევ რაღაცის თქმა უნდო-და, მაგრამ მანქანა ორმომ შეანჯღრია და გიგაურს კენესალა აღმოხდა. ბურანში წასულს თვითმფრინავის შორეული გუ-გუნი ჩაესმა. ერთბაშად გამოერკვა. თვითმფრინავის ნაცნობი მონოტონური გუგუნი ახლა უფრო მკაფიოდ გაარჩია. „ფოკე ვულფია“, — გაუელვა. მანქანამ მოწყვეტილი დაამუხრუჭა, გზიდან გადა-უხვდა და ტყეში შერგო თავი. ერთ ხანს ნელა მიდიოდა, მერე გაჩერდა. მანქანა-ში მყოფნი დუმდნენ. ყველა დაძაბულად უსმენდა მოახლოებულ გუგუნს.

— მამაძაღლები, ნადირობენ, — წა-მოიძახა ვილაყამ.

— დროზე მოვასწარი. ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ, — თქვა სანიტარმა.

— მე ერთი ფეხი უკვე მომჭამეს...

— შენ თითქოს ვიხარია ეს ამბავი, რაღაც ძალიან ხშირად ლაპარაკობ ამა-ზე, — უთხრა სანიტარმა.

„ნეტავ ვინ არის ეს უფეხო?“ — გაი-ფიქრა გიორგომ და კუზმა გაახსენდა, სულთმობრძავი რომ იწვა მფრინავის მი-წურში. რა კარგად ანსოვს ის ბედნიერი დღეები: მაშინ ხომ ელისოსაც უყვარდა გიორგი. თუ უკვე ის მფრინავი უყვარდა? დამშვიდობებისას კუზმამ აკი უთხრა — თავს გაუფრთხილდით... მაგრამ თავი და ფეხები რა ჭირად უნდა, როცა სიყვარუ-ლი დაკარგა. რა დიდი დრო გავიდა! და ახლა მაინც ისევ ელისოზე ფიქრობს, მასთან შეხვედრის იმედს მაინც არ ჰკარ-გავს. ეს მანქანა ხომ სწორედ იმ საეგელე პოსპიტალში მიდის. „დეკრეტულ შეგბუ-ლებაში იქნება წასული... ან იქნებ მუ-ცელი მოეშალა?“

მიხეილ კაკაბაძე

ნისლით წაშლილი ბილიკი

— საველე ჰოსპიტალი ხომ არ დაუ-
ბომბავთ? — ჰკითხა სანიტარს.

ჭორფლიანმა თავი გააქნია.

„მუცელი რომ მოშლოდა, ჰოსპიტალში
დარჩებოდა. უმჯობესია, ვერ მივუსწრო...
იქნებ უკვე მამა ვარ, მამა! როგორ წა-
მართვა ელისოს სიყვარული იმ მფრინავ-
მა, წამართვა და საფლავში ჩაიტანა“...
ელისოს სიტყვები გაახსენდა: „რა საო-
ცარია ცხოვრება, მე ის მიყვარს, ბავშვი
კი შენგან მეყოლება“. პირი გაუშრა, მაგ-
რამ მათარა არ მოუთხოვია — ფიქრის
გაწყვეტისა ეშინოდა.

ზევიდან ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი
დაცალეს. თვითმფრინავის ხმა ხან სულ
ახლოს ისმოდა, ხანაც შორიდან ქუხილი-
ვით გადაუვლიდა ტყეში დამალულ მან-
ქანას. „წითელი ჯვარი თუ შეამჩნია, არ
მოგვეშვება“.

— საიმედოდ თუ ვართ შენიღბუ-
ლი? — იკითხა გიორგიმ.

კარგა ხანს პასუხი არავის გაუცია. მე-
რე სანიტარმა თქვა:

— საიმედოდ შენიღბულები საფლავ-
ში არიან.

გიორგიმ სანიტარს შეხედა და რატომ-
ღაც პატარა ბიჭუნა მოაგონდა, რამდენ-
იმე თვის წინათ რომ დაასაფლავეს ერთ
სოფელში. სოფელს უცნაური სახელი
ერქვა — რეჟეტი. „აქ განისვენებს საბ-
ჭოთა მეომრის ვაჟი ვოვა, რომელმაც
სულ სამი წელი იცოცხლა“, — დააწერეს
მაშინ ფიცარს. „ვოვა, ვოვა... შენიღბუ-
ლი ვოვა, საიმედოდ შენიღბული ვოვა,
სად მინახავს ეს სანიტარი, სად? ელისო,
ელისო, სად ხარ ახლა, ელისო?...“ თვით-
მფრინავმა ღმუილით გადაუარა ტყეს და
ტყვიებმა ტოტებში გაიტყაცუნა. „სია-
რული მაინც შეგვეჭლოს, გავიფანტებო-
დით ტყეში, თორემ ცხვრებივით ვართ
ერთად შეყრილი. ერთი პატარა ბომბი
ბოლოს მოგვიღებს“.

— შენ რაღას უზიხარ აქ? — ჰკითხა
სანიტარს.

— აბა რა გქნა?

— ჩადი და წესიერად შეაფარე თავი.

— თქვენი დატოვება არ შეიძლება.

— შენ ვითომ რას გვიკეთებ?

— მორალურად გამხნევებთ, თანაც

იქნებ დაგჭირდეთ. ისე კი, ღმერთმა ნუ
დაგაჭირვოთ ჩემი თავი.

— რატომ ხარ, შვილო, ასე გამწყრა-
ლი ღმერთზეც, ქვეყანაზეც, ჩვენზეც? —
ჰკითხა ჭორფლიანს ვილცამ.

— თქვენ რა დამიშავეთ, თქვენი გა-
ჭირვება გეყოფათ. ორ კვირაზე მეტია,
რაც ამ დასაქცევ საველე ჰოსპიტალში
ვარ. იქიდან სულ რაღაც ოცდაათ კილო-
მეტრზე ჩემი სოფელია. რამდენი ხანია
უფროსს ვეხვეწები, ერთი-ორი დღით შინ
გამიშვი-მეთქი. თუთიყუშოვით სულ ერთ-
სა და იმავეს მეუბნება: ცოტა მოიცადე,
ჯერ სასიერნოდ არა გვცალიაო. ვარ ასე
მოლოდინში. გასაგებია?

„ფოკე ვულფი“ ლამის ხეთა კენწე-
როებს ედებოდა და დროდადრო ტყვია-
მფრქვევის უმისამართო ჯერი ცხრილავ-
და ტყეს. გუჯუნი რომ მიწყნარდა, ვი-
ლცამ ამოიოხრა და თქვა:

— ყველაფერი გასაგებია.

— ვინა გყავს, შვილო, შინ?

— მოხუცები და ბიჭუნა, ბიძაჩემო.

გიორგის თითქოს სახეზე დაეცა ძარა-
ზე გადახურული ბრეზენტი, — სუნთქვა
შეეკრა. „ნუთუ ის არის? ტანი რომ დამ-
ბანეს, იმ მოხუცების შვილი?“. მის თავ-
ში ათასი „ფოკე ვულფი“ აგუჯუნდა ერთ-
ბაშად, ტყვიამფრქვევები განუწყვეტლად
კაკანებდნენ... მერე დაბლიდან ვილცამ
ძალიან ხმამაღლა დაიძახა:

— ტოლია, აბა ერთი აქ მოდი.

— მოვდივარ, — ასევე ხმამაღლა უბა-
სუნა სანიტარმა, მოჩვენებასავით ადგა,
ბორტს გადააღაჯა და გაუჩინარდა.

გიორგი ჭრილობას ვეღარ გრძნობდა.
ახლა მას ყველაფერი ტკიოდა... „ის
არის, ნამდვილად ის არის, ვოვას მა-
მა...“ ბოლმა ყელში მოეზუნა და თვა-
ლები დახუჭა, რადგან ყველაფერი, რა-
საც კი ხედავდა და წარმოდგენილი
ჰქონდა — ბრეზენტი, წითელი ჯვარი,
ელისოს სახე — ჯარასავით დატრიალდა,
ჯერ ნელა, მერე სულ უფრო და უფრო
სწრაფად... თვალები უმალ გაახილა,
რადგან თვალდახუჭულს ის მოხუცი
ცოლ-ქმარი გამოეცხადა, ტანი რომ და-
ბანეს რეჟეტში. „მე, შვილო, ვაჟი მყავს
ფრონტზე, ჩემი ტოლინკა“, — მაშინღე-

ლივით უთხრა დედაბერმა და სურათზე მიუთითა. „სად არის ახლა, ნეტავი, იმას ენაცვალოს დედა“. „აქ არის. აქ არის და თქვენთან უნდა მოსვლა, თქვენი ნახვა წყურია, თავისი ვოვა ენატრება, პატარა, სამი წლის ვოვა...“ თვალები დახუჭა. თვითმფრინავის გუგუნე აღარ ისმოდა. მანქანა ნელა გამოძვრა ტყიდან, გზაზე გავიდა და არახრახნდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? წყალი დალიე.

თვალები გაახილა. სანიტარი ადგა თავზე. მათარას საცობს აძრობდა.

— მე რეჟექტი ვყოფილვარ, — უთხრა გიგაურმა.

ჭორფლიანს გაკვირვება გამოეხატა სახეზე, მერე მხრები აიჩჩია და თქვა:

— შესაძლებელია... ომია...

მანქანა სწრაფად მირახრახებდა და მტვრის კორიანტელს აყენებდა ოღრო-წიღრო გზაზე.

— მოვედით, — თქვა ჭორფლიანმა, ბორტს გადააღაჯა და ძირს ჩახტა. მსუბუქად დაჭრილები წამოიშალნენ.

— ნუ აიშლებით, — დაბლიდან დაიძახა სანიტარმა და სადღაც წავიდა.

— რას იზღვირება ეს შობელძაღლი, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ნუ აიშლებით, — ისტერიულად დაიყვირა მანქანაში ერთმა დაჭრილმა.

უკანა ბორტთან შეჯგუფდნენ მორჩილად დასხდნენ. „მძიმედაა ალბათ დაჭრილი“, — გაიფიქრა გიორგიმ.

როდესაც საკაცე მიწაზე დადეს და გაურმა მიმოიხედა, სიხარულმა და რაღაც გაურკვეველმა შემოფოთებამ აიტანა. მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი იყო: ტყით დაფარული მთებიცა და საველე პოსპიტლის ჩამწკრივებული მიწურებიც, თეთრი კარვებიც, დიდრონი წაბლის ხეებიცა და კვამლივით დაკლაკნილი ბილიკიც... ბილიკის დანახვაზე გული შეეკუმშა — ამ ბილიკით მოდიოდა იგი ბოლო დროს თავისი ნაწილიდან პოსპიტალში, ამ გზით ბრუნდებოდა უკან, ამ ბილიკს დაადგა საბოლოოდ, ელისოს რომ გამოეთხოვა... ეს იყო საყვარელ ქალთან გან-

შორების ბილიკი. ამ ბილიკით გამოგზავნა გიორგიმ ელისო საველე პოსპიტალში დაჭრილი მფრინავის მოსაველელად და სამკურნალოდ და აი, ისევე აქ მოვიდა, ამ ბილიკთან, ამ საველე პოსპიტალში, მძიმედ დაჭრილი და აფორიაქებული.

— ფერშალი ელისო თუ არის აქ? — ჰკითხა მან შორიხლო მდგომ უცნობ სანიტარს.

— თქვენ საიდან იცნობთ ელისოს? — ჰკითხა სანიტარმა.

— ერთად ვმსახურობდით.

— ჰოოო... ერთი თვის წინათ წავიდა ზურგში.

ბინდდებოდა. მთის წვერზე შეფენილი ტყე ვეებერთელა სავარცხელს დაემსგავსა. მალე ტყით დაფარული მთებიცა და ბილიკიც წყვედადმა შთანთქა...

ოპერაციამ, რომელიც ნაცნობმა მედიცინის მაიორმა გაუკეთა გიორგის, კარვად ჩაიარა. ზურგიდან და ბარძაყიდან ყუმბარის ნამსხვრევები ამოუდეს. ოპერაციის დროს ტკივილს ვერ გრძნობდა, ახლა კი, პირქვე დამხობილს, საშინლად ტკიოდა ნაჭრილობები. მიწურში კიდევ ოთხი კაცი იწვა, ოთხივე მძიმედ დაჭრილი. არც ერთს არ ჰქონდა ლაპარაკის თავი. დღისით ხუთივენი მხოლოდ კბილებს აკრატუნებდნენ, ღამით კი მათს მომვლელ ახალგაზრდა ფერშალ ქალს ტანში ჟრუანტელი უვლიდა — ხუთივე მწარედ ოხრავდა და კვნესოდა ძილში.

მიწურში ბნელოდა. გიორგი თვალდახუჭული იწვა და ელისოზე ფიქრობდა. ერთი კვირა შესრულდა, რაც ექიმმა ზურგზე წოლის ნება მისცა და კარვ ხასიათზე იყო. „მალე ალბათ ავადგები კიდევ, მერე სულაც მოგჩრები. ელისო, რომ იცოდე, როგორ მენატრები, როგორ მინდა შენი ნახვა. ჩემო ელისო...“ ძალიან უნდოდა ფერშალი ქალისთვის ელისოზე ეკითხა რაიმე, მაგრამ განუ-

მიხეილ კაკაბაძე
ნისლით წაშლილი ბილიკი

წყვეტილი ტკივილი ტანჯავდა, თანაც ეუხერხულბოდა. თვალდახუჭული იწვა და სიბნელეში ციმციმებდნენ წარსული დღეები: ელისოს ოქროსფერი თმები და დაჭრილი მფრინავის ღიმილი; თბილისის ამწვანებული ქუჩები და რეჟეტელი დედაბერი, ხელები რომ დაუკოცნა გიორგიმ; გაახსენდა ტანკისკენ გაჭრილი ზოვრეთელი ჯარისკაცი ბოგვერაძე...

— თქვენ ელისოს იცნობთ? — ჰკითხა ფერშალ ქალს.

ქალმა გაიღიმა.

— თქვენ იცნობთ ელისოს? — ჰკითხა ქალმა გიორგის.

გიორგიმ თავი დაუქნია.

მიწურში ვიღაც შემოვიდა.

— რა სიბნელეში ხართ!

— ოი, მართლა, — წამოხტა ქალი და ფარანი აანთო.

მიწურის შემოსასვლელთან ჭორფლიანი სანიტარი ატუხულიყო. იგი ერთ ხანს თვალებს ახამხამებდა — სინათლეს ეჩვეოდა, მერე ყველანი შეათვალა, საერთო საღამო თქვა და გიორგისკენ გაემართა.

— გამარჯობათ, ამხანაგო ლეიტენანტო, — უთხრა და ჭურვების ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა. გიორგიმ უხმოდ დაუკრა თავი. სანიტარი საოცრად შეცვლილი მოეჩვენა.

— მე რეჟეტში ვიყავი, — ჩუმად თქვა სანიტარმა და გიორგიმ დაინახა მისი აკანკალებული ნიკაბი.

— ტოლია, ტოლია... — მეტი ვერაფერი უთხრა.

სანიტარი ადგა, სახეზე ხელები აიფარა და მხრები შეუტოკდა. შემდეგ უეცრად მუხლებზე დაეცა, საწოლზე დაემხო და აქვითინდა. დიდხანს ტიროდა იგი, მერე თანდათან დამშვიდდა და ასე მუხლმოყრილი იყო, თან გიორგის საბანს ეფერებოდა ხელით.

— მოხუცებმა მოგკითხეს სიყვარულით, — ისევ ხმადაბლა თქვა, ადგა, მაგრად აკოცა გიგაურს გაუპარსავ ლოყაზე და სწრაფად გავიდა გარეთ. მერე გარედან დაიძახა:

— ტანია!

ფერშალი ქალი დაბნეული იდგა კუ-

თხეში. მეორედ დაძახებზე ქალი გამოერკვა და მიწურიდან გავიდა. ერთ ხანს ხმას არავინ იღებდა. შემდეგ ვიღაცამ თქვა:

— ხედავთ, ტირილიც შესძლებია.

— მაგას სამი წლის ბიჭი მოუკვდა...

ახლა გაიგო, — თქვა გიორგიმ.

მიწურში სიჩუმემ დაისადგურა.

— როგორ იყო ელისო?

— კარგად.

— მაინც როგორ?

ქალს გაეცინა.

— კარგად.

— როგორ გამოიყურებოდა?

— კარგად.

— ფეხშიმედ იყო?

— იყო. უხდებოდა ფეხშიმობა.

გიორგის გაეღიმა.

— არავის არ იგონებდა?

— კი, როგორ არა.

— ვიზე გელაპარაკებოდა?

— არ მახსოვს.

— მაინც?

— ერთ მფრინავზე.

— დალუპულზე?

— ჰო, ამ ჰოსპიტალში მომკვდარა.

— მეტს არავის იგონებდა?

— ერთ ლეიტენანტს.

— რომელს?

— არ მახსოვს.

ისინი მუხის კუნძზე ისხდნენ. დილა იყო. მზის სხივები ფერდობზე შეფენილ ნისლს ანათებდა. ნედლ ბალახზე ცვარი შუშის ნამსხვრევებივით ბრწყვიალებდა. მიწურების საკვამურიდან აქა-იქ ამოდიოდა კვამლი და ხეთა კენწეროებისაკენ მიიზღაწნებოდა. გიორგი ქალს უყურებდა და ელისოზე ფიქრობდა. ტანიას თავი დაეხარა, პატარა ჯოხით ბალახს ჩიჩქნიდა.

— როგორ მოგწონთ მოხუცების გამოგზავნილი ვაშლის მწნილი? — ქალმა სიჩუმე დაარღვია.

— ძალიან გემარეულია, მაგრამ როგორც კი პირში ჩავიდებ, რეჟეტი და პატარა ვოვა მახსენდება.

— მოხუცებსაც სწორედ ეს უთქვამთ

ტოლიასთვის: წაუღე, გაგვისხენებსო.

— ტოლია სადაა? რაღაც არ ჩანს.

— ორი დღეა, წინა ხაზზე წავიდა. თავისი გაიტანა: აქ აღარ შემიძლია ყოფნაო, თქვენთან ჩამოვიდა მიწურში და სამშვიდობებლად, მაგრამ გეძინათ და აღარ გაგაღვიძათ. მითხრა, მომიკითხე და გადაეცი, ომის შემდეგ უეჭველად მოგნახავთო. გიყურებდათ და ცრემლი ერეოდა. როცა მიდიოდა, დოროშინმა დაუძახა, მაგრად გადაჰკოცნა, გზა დაულოცა და უთხრა: „ყოჩაღ, სწორად იქცევი. აი, მეც მალე დავდგები ფეხზე და შენი ბიჭის შური თუ არ ვიძიე, კაცი არ ვიყოო“.

დოროშინს გიორგი ახლოს არ იცნობდა. ისინი ერთ დღეს დააწვინეს საველე პოსპიტალში ერთმანეთის მეზობლად. დღე ისე გავიდოდა, დოროშინი კრინტსაც არ დასძრავდა, თვალღია იწვა და წარბმოქმუხენილი მიშტიერებოდა მიწურის ქერს. მეზობლის პირქუშობასა და უთქმელობას გიორგი პირველ ხანებში მისი მდგომარეობით ხსნიდა — დოროშინს კონტუზია მოუვიდა, თან მძიმედ იყო დაჭრილი. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, დოროშინი საგრძნობლად მომჯობინდა და მაინც საათობით ჩუმად იწვა, ხმას არ იღებდა. სხვებიც არ ელაპარაკებოდნენ. გიორგი ამჩნევდა, რომ ფერშალ ქალს თითქოს ეშინოდა კიდევ ამ სიტყვაუთქმელი ავადმყოფისა; საკმარისი იყო დოროშინს ხელი აეწია, ტანია მის საწოლთან გაჩნდებოდა. მხოლოდ ორჯერ ამოიღო ხმა ამ უცნაურმა კაცმა. ერთხელ თავის თავს ხმამაღლა უთხრა: „ვერ მივართვი, გავაცურე ბებრუხანა სიკვდილი“ და ასევე ხმამაღლა გაიცინა. მეორედ მხოლოდ ერთი სიტყვა წამოიძახა ალტაცებით: „ვაშა!“ — ეს მაშინ, როდესაც ვოლგის ნაპირას პაულიუსის არმიის განადგურების ამბავს ჰყვებოდა პოსპიტლის პოლიტხელი.

გიორგის რამდენჯერმე სურდა მეზობელთან საუბრის გაბმა, მაგრამ რატომღაც არც ერთხელ არ გამოლაპარაკებია.

ტანიას ფარნისთვის გაზეთი შემოეხვია და მიწურში ყვითელი ფერი იღვრებოდა.

გიორგის ძილი გაუკრთა. იგი ფარანს შესცქეროდა. ტანიას მაგიდაზე ედო თავი და ეძინა. გიორგი დოროშინისკენ მიბრუნდა და დაინახა, რომ ჯარისკაცი მას უყურებდა.

— მოგონებებმა გავგიტაცეს, ამხანაგო ლეიტენანტო? — ხმადაბლა ჰკითხა დოროშინმა და ღამეში თეთრად გაიღვია მისმა კბილებმა.

გიგაური მეზობელს დააკვირდა და შეამჩნია, რომ დოროშინი იღიმებოდა.

— გიკვირთ, ენა რომ ამოვიდგი? კარგადაა ჩემი საქმე. დღეს ექიმებმა დამამიღეს — მალე ისევ ავიღებ იარაღს ხელში.

— ძალიან სასიამოვნოა. როგორც ჩანს, ფრონტზე ერთად წავალთ.

— თუ თანახმა იქნებით, გარეთ გავიდეთ. აქ ძალიან მძიმე ჰაერია.

მიწურიდან ჩუმად გავიდნენ. ქარი უბერავდა, ვეება კრიალა მთვარე დამფრთხალივით გარბოდა და დაფლეთილ შავ ღრუბლებს უკან იტოვებდა. დოროშინი და გიორგი კუნძუზე ჩამოსხდნენ, გააბოლეს. ერთ ხანს ორივე დუმდა. საკმაოდ გრილოდა, მაგრამ ორივეს ესიამოვნა სიგრილე. სიჩუმე დოროშინმა დააარღვია:

— ვიცი, ჩემი ვინაობა გაინტერესებთ. შეიძლება არც დაიჯეროთ, რომ თქვენს წინაშე ყოფილი ქურდია.

გიგაურმა გაკვირვებით შეხედა მოსაუბრეს.

დოროშინი ჩაფიქრდა. სიბნელეში დროდადრო კრთოდა გაზეთის ქალაღში გახვეული წეკოს ცეცხლი. ქარი ტოტებს აშრიალებდა.

... მედევეჟაია გარა ამხანაგ ლეიტენანტს არ ექნება გაგონილი. რა თქმა უნდა, არ ექნება. პირველად ესმის.

— თუმცა თქვენ საიდან უნდა იცოდეთ მედევეჟაია გარა? — ჩაიცინა დოროშინმა. — არის ასეთი სამოთხე ქვეყანაზე, მე რომ ვიყავი, იმისთანა ხალხისთვის. მშვენიერი ადგილია. მწვანე მთები, ხშირი, ქოჩორა ტყეები, მდინარეები, ტბები. იქაც აი, ასეთი ღამაზი მთვარეა, თუმცა

მიხილ კაკაბაძე

ნისლით წაშლილი ბილიკი

იქ მყოფთ უმთვარო ღამეები ერჩინათ. მღვდელქაია გარა. რამდენჯერ მოუხდა პატიმრობა იქ.

1941 წლის 16 ივნისს ვინ იცის მერამდენედ მოიხდა ვადა და დასტოვა ის შორეული ბანაკი. რატომ მოხვდა იქ? ეს რა საკითხავაა, ამხანაგო ლეიტენანტო. მისთანა რეციდივისტისთვის უცხო ხილი არ იყო უამრავი გასამართლება და სხვადასხვა ციხეში თრევა. მაგრამ ერთმა უცნაურმა და მოულოდნელმა შემთხვევამ ადამიანი გააღვიძა მასში.

... პატიმრობიდან გათავისუფლებულმა დოროშინმა ომის დაწყების დღეს ყუბანის ერთ პატარა ქალაქში ამოჰყო თავი. საშინლად შიოდა, მაგრამ მწვანეში ჩაფლული ქალაქი მაინც ძალიან ლამაზი ერჩენა. ხეხილის ბაღებში საქორწილო დედოფლებივით მოჩანდნენ ერთსართულიანი გაქათმებული სახლები. ქალაქის განაპირას სწორედ ერთ ასეთ სახლს დაადგა თვალი და შუალამით შიგ შევიდა. წინკარში სიბნელე იყო. ფრთხილად შეალო ოთახის კარი. იქაც ბნელდა. მიხვდა, რომ ოთახში არავინ იყო. ჯიბის ნათურის ყვითელი შუქი კანკალით ინაცვლებდა ერთი საგნიდან მეორეზე; შუქზე ბოლოს კარი გამოჩნდა. კარის დანახვაზე შეცბა, ნათურა ჩააქრო და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კარის ჭუჭრუტანიდან სუსტი სინათლე გამოკრთოდა. რევოლვერი მოიმარჯვა, კართან მივიდა და მიაყურა. სრული სიჩუმე იდგა.

ნელა შეალო კარი და მკრთალად განათებულ ოთახში შევიდა. მოულოდნელობისგან შეტოკდა და რევოლვერი ინსტინქტურად მიუშვია მაღალ ლოგინზე წამომჯდარ მოხუცს. მოხუცზე ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— ტროფიმე, სად ხარ, ბიჭო, აქამდე?

გაშეშებული დოროშინი დუმდა.

— ხმა ამოიღე, შე კაცო, რამ დაგამუნჯა? — უთხრა მოხუცმა.

დოროშინი მოხუცს დააკვირდა. ბერიკაცი მიშტერებოდა და თვალებს კი არ ახამხამებდა. დოროშინი მიხვდა, რომ მოხუცი ბრმა იყო. რევოლვერი სწრაფად ჩაიღო ჯიბეში.

— ტროფიმე არა ვარ. მე ტროფიმემ მომიყვანა, — უთხრა დოროშინმა.

— თვითონ სადღაა?

— მალე მოვა.

— კარგი საქმეა, ღმერთმანი. მთელი დღე არ გამკარებია.

— დღეს ომი დაიწყო.

— ვიცი, დილით შემატყობინა და მერე სადღაც გაქრა. ახლა რა დროა?

— უკვე გვიანაა. შუალამე გადასულია.

— მთელი დღე უსმელ-უშემელი ვადივარ. თუმცა ჩემთვის ახლა ვისა სცაღლია...

დოროშინი ადგილიდან არ იძროდა. რალაც გაურკვეველ გრძნობას შეეპყრო; გაოგნებული უყურებდა ბრმას.

— მე ტროფიმემ მომიყვანა, — თქვა და გუნებაში ტროფიმეს შეუკურთხა.

— ძალიან კარგი უქნია. ერთი, შენს გახარებას, მაჭამე რამე, თორემ გული მიმდის. სამზარეულოში გადი, ჩაი აადუღე.

მოხუცის საწოლთან ივანშემს. ორივენი მადიანად შეექცეოდნენ კარაქთან პურსა და ძებვს, მდულარე ჩაის აყოლებდნენ. ორივე დუმდა, მხოლოდ მოხუცი კრუსუნებდა დროდადრო. ჭამას რომ მორჩნენ, ერთ ხანს კიდევ ჩუმად ისხდნენ. მერე მოხუცმა ჰკითხა:

— შენ მაინც ვინა ხარ? აქაური ხარ? რალაც ვერ გცნობ.

— ამას მერე ავიხსნი. ახლა ძალიან მეძინება.

— აქაური არ უნდა იყო.

— არა.

— მე კი, ჩემო კეთილო, გუშინდელს აქეთ უკვე დაღუპული ადამიანი ვარ. ჩემი ძვირფასი მეუღლე კლავდია ნიკოლაევნა გუშინ, ესე იგი, შაბათს მიგაბარე მიწას და დავრჩი ასე. ეჰ, ღმერთს რა ვუთხარი, სადა აქვს სამართალი, თორემ სასიკვდილო მე ვიყავი. ვის რად ვუნდოვარ ერთ ბრუტიანი ბებერი... ომი რომ არ დაწყებულიყო, კიდევ მექნებოდა მეზობლების იმედი. ახლა ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ჩემთვის ვიღა მოიცლის...

— ომი მალე გათავდება. ჰიტლერს ორ კვირაში მოვუგრებთ კისერს.

— შენს პირს შეპარი, მაგრამ ორი კვირა თუ არავინ მოხვდა, მეც გავთავდები.

— ნუ გეშინია, ასე უპატრონოდ ხომ არ დაგაგდებენ.

— ჩემი პატრონი გუშინ მიიბარა მიწამ.

— შეილება თუ გყავს?

— ერთადერთი ვაჟი მყავდა. ფინეთის ომში დაიღუპა... ბარათი მომივიდა — გმირულად დაეცა ბრძოლის ველზეო, — ჩაილაპარაკა მოხუცმა.

ღია ფანჯრიდან გრალი ნიავი შემოდოდა. ქლიავის ხე დროგამოშვებით ტოტებით ეხებოდა ფანჯრის მინებს და ბურანში წასულ დოროშინს აფხიზლებდა. ერთხელ ცივმა ოფლმაც კი დაასხა, ისე ძლიერად გაიჭახუნა ტოტმა მინაზე. წამოიჭრა და რევოლვერზე წაივლო ხელი. ფანჯარასთან მივიდა. მთვარის შუქით განათებულ ხეხილის ბაღში ჩრდილები ირწოდნენ. ირგვლივ სიჩუმე იდგა, ცაზე მძივის მარცვლებივით გაფანტულიყო ვარსკვლავები, ფოთლების ჩუმი შრიალი იღუმალეებით ავსებდა ზაფხულის ღამეს.

ღილით დოროშინს ჩვეულებისამებრ ადრე გაეღვიძა. ძილში ამჯერადაც ისეთი ხმა ჩაესმა, თითქოს დაკიდებულ ლიანდაგის ნაჭერს რკინა შემოჰკრეს ადგომის ნიშნადო. უცებ ვერ გამოერკვა — რკინას ყურში უსიამოვნო ზუზუნნი გაჰქონდა. ლოგინში მოხუცი დაინახა და ერთბაშად მიხვდა, სადაც იმყოფებოდა. ზანტად გააზმორა. მოხუცს ეძინა და ძილში რაღაცას ბუტბუტებდა — ალბათ გარდაცვლილ მეუღლეს თუ ელაპარაკებოდა.

სწრაფად ჩაიკვა და მოხუცს დააცქერდა. მსგავს ვითარებაში არასოდეს არ მოხვედრილა. ჩაის სასმელად და უსინათლო მოხუცთან სამასლათოდ ხომ არ მოსულა აქ? ძველებურ კომოდს მიადგა. „სანამ სძინავს“ — გაიფიქრა და ისევ მოხუცს შეხედა. თავის თავზე გაეცინა: „ვითომ რა შეიცვლება, თუნდაც გაიღვიძოს მოხუცმა? შეიცვლება. მის გამოღვიძებამდე უნდა წავიდე აქედან...“ კომოდის ზედა უჯრა უხმაუროდ გამოაღო. უჯრაში

იღო კანაფით შეკრული საბუთების დასატა, რამდენიმე პირსახოცი და ოქროს ბეჭედი. „ალბათ კლავდია ნიკოლაევნასია“. პირსახოცების ქვეშ წითელი სამთუმნიანიები ეწყო. დაითვაღა. ცხრა ცალი იყო. ფული და ბეჭედი ჯიბეში ჩაიღო. სხვა უჯრებში საინტერესო ვერაფერი ნახა. კომოდის თავზე მოხუცის მეუღლისა და ვაჟის პორტრეტებს დააცქერდა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ვაჟის სურათი აიღო რატომღაც. ნიკარბეშემოყოლებულ ჩარჩოში ჩასმულ პორტრეტს მტვერი ედო. ხელით გაწმინდა, მერე კლავდია ნიკოლაევნას სურათსაც ჩამოაცილა მტვერი. ორივე პორტრეტი თავის ადგილზე დადო და ფეხაკრეფით გავიდა მეორე ოთახში. განჯინაში ჭურჭლის მეტი არაფერი იყო. აკვარიუმთან მივიდა და ერთ ხანს დიდა ინტერესით უყურა თევზებს.

წინკარში გასაღებმა გაიჩხაკუნა, დაუკეტელ კარს აღებდა ვიღაც. მერე კარი გაიღო და ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. დოროშინის დანახვაზე გაკვირვებით შედგა.

— სად ხარ, შე კაცო, აქამდე? — ჰკითხა დოროშინმა.

მოსული კიდევ უფრო გაოცდა.

— შენ ტროფიმე არა ხარ?

მოსულმა თავი დაუქნია, მერე თქვა:

— მე კი ვარ ტროფიმე, მაგრამ შენ ვინა ხარ?

— მერე არ გრცხვენია, მთელი დღე მშვიერ-მწყურვალნი რომ დატოვე მოხუცი? — ბანზე აუვლო დოროშინმა სიტყვა მოსულს.

— აბა რა მექნა? სამხედრო კომისარიატში ვიყავი მთელი დღე. ომია ახლა... — თავი გაიმართლა ტროფიმემ.

— ომი კია, მაგრამ...

— ორი საათის შემდეგ ჯარში მივიღვარ მოხალისედ, — თქვა ტროფიმემ და გაჩერებულ კედლის საათს შეხედა.

— შენ ორი საათის მერე მიდიხარ, მე კი ახლავე უნდა წავიდე. მოხუცს რაღა ეშველება?

მიხილ კაკაბაძე
ნისლით წაშლილი ბილიკი

— ეშველება. აბა ასე ხომ არ დატოვებენ.

— გუშინ რომ ასე დატოვეს?

ტროფიმემ მხრები აიჩეჩა.

— ომია, — თქვა მან.

— ომი ორ-სამ დღეში ხომ არ გათავდება?

— რას ჩამაცოდვი, თუ მიდიხარ — წადი. პეტროვიჩს პატრონი გამოუჩინდება.

— ვითომ გერმანიას უშენოდ ვერ მოვერევით?

— შენ კი არ აპირებ თუ?

— რას?

— ჯარში წასვლას.

დოროშინი არ მოელოდა ასეთ კითხვას. დაიბნა. ჯარში მოხალისედ გამგზავნება კარნაველზე წასვლა ხომ არ იყო?

ტროფიმე დაკვირვებით აცქერდებოდა და დოროშინმა ინანა, მის მოსვლამდე რომ არ გაეცალა აქაურობას.

— შენ დეზერტირი ხომ არა ხარ? — ჰკითხა ტროფიმემ.

— დეზერტირი შენ თვითონ ხარ, მთელი დღით მიგიტოვებია საცოდავი მოხსუცი.

ტროფიმე ბრახისგან წამოწოთლდა კიდეც. მაგრამ დოროშინმა ისე გულთანად გადინარა, რომ ტროფიმესაც გაეცინა.

— რა განხუბებთ? — თქვა მოხსუცმა, რომელიც კარის ზღურბლზე იდგა.

ტროფიმე მასთან მიიჭრა. თეთრ ნიფხავ-პერანგიანი, მილეული თეთრწვერა მოხსუცი მოჩვენებას ჰგავდა. ხელები წინ ჰქონდა გაშვებული, თითქოს ლოცულობდა. დოროშინს ბავშვობა მოაგონდა — თავისი სოფლის ეკლესიის კედელზე დახატულ წმიდანს მიამსგავსა მოხსუცი. პეტროვიჩიც ფეხშიშველია, წმიდანის ფეხშიშველი იყო. ესაა, პეტროვიჩი ხის იატაკზე დგას, წმიდანი კი თეთრ ღრუბლის ქულაზე იდგა. მხოლოდ მარცხენა ფეხით იდგა ღრუბელზე, რადგან მარჯვენა ფეხის ქვემოთ ფრესკა დაზიანებული იყო და წითელი აგურები ჩანდა. გაახსენდა დოროშინს: დედა-მისი მუდამ ჯავრობდა, რატომ არავინ

ფიქრობს ამ დაზიანებული ადგილის შეკეთებასო...

— პეტროვიჩ, ასე რატომ ადექი? — უსაყვედურა ტროფიმემ და ხელი მოხვია. — წავიდეთ, დავწვეთ, პეტროვიჩ.

— ვერვები, ტროფიმე, ვერვები უპატრონოდ სიარულს. აბა, გამცილებელი სადღა მყვოლება? — გაიღიმა მოხსუცმა, „ვინ ამ დიმილს“, — იფიქრა დოროშინმა და ისევ ის, წეროსავით ცალ ფეხზე შემდგარი წმიდანი გაახსენდა.

— დავწვეთ, პეტროვიჩ, — კვლავ უთხრა ტროფიმემ.

— მოიცა, გუშინ სად იყავი, ბიჭო, მთელ დღეს?

— სამხედრო კომისარიატში, პეტროვიჩ. ჯარში მიგდივარ ერთ საათში.

— მერე რა დამნაშავესავით ლაპარაკობ, შვილო. სწორად გადაგიწყვეტია. მადლობის მეტი აბა რა მეთქმის? კარგად მოისაზრე. ღამით შინაც რომ არ დამტოვე უპატრონოდ.

დოროშინმა დაინახა, როგორ დაიბნა ტროფიმე. — თვალები საცოდავად აახამხამა და ლოყებზე აღმურმა გადაჰკრა. თითი მიიღო ტუჩებზე — ტროფიმეს ანიშნა, არაფერი ჰკითხო, ჩუმად იყავი.

— მე წავალ, პეტროვიჩ, — შეევედრა ტროფიმე. — უნდა მაპატიო.

— პატიება რას ჰქვია. პირიქით... ყოჩალი ყმაწვილი ხარ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ქვეყანა გასაჭირშია, სამშობლოს დასაცავად მიდიხარ!

— ბოდიში, პეტროვიჩ, უკვე რვა საათია. კომისარიატამდე აღმასკომში შევირბენ, შენზე გავახსენებ.

— ჰო, უთხარი, შვილო. აბა, წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი, — უთხრა და პირჯვარი გადასწერა. მერე გადაეხვია, ორჯერ აკოცა და მსუბუქად უბიძგა ხელი.

— ნახვამდის, გენადი, — თქვა ტროფიმემ და დოროშინს ხელი გაუწოდა.

დოროშინი მეტსახელებს დიდი ხანია დაჩვეული იყო, მაგრამ ახლა სიცილისაგან ძლივს შეიკავა თავი. გაღიმებულმა, ღონივრად ჩამოართვა ხელი ტროფიმეს, თან თვალი ჩაუკრა...

მერე მოხსუცი გაიყვანა ეზოში.





მეცხვენი გომონა





ოთახში რომ დაბრუნდნენ, მოხუცმა დაწოლა არ ისურვა და დოროშინმა ღია ფანჯარასთან დასვა, თვითონ სამზარეულოში გავიდა. როცა საუზმობდნენ, პეტროვიჩმა ჰკითხა:

- გენადი, ტროფიმე რაა შენი?
- ნათლია.
- როგორ ნათლია?
- ხდება ხოლმე ასე, პეტროვიჩ. ცხოვრებაში არაფერია საკვირველი.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა. ამაზე მეტი აღარ უღაპარაკიათ. პეტროვიჩი ყოველნაირად ცდილობდა მღვღვარება დაეფარა, მაგრამ ეტყობოდა, მომავალი აფიქრებდა. დოროშინი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო; წასულიყო თუ დარჩენილიყო?

ომმა და ამ მოხუცმა ერთბაშად აურიეს დოროშინს დალაგებული გეგმები. ომმა მოხუცი მთლად გააუბედურა. დოროშინი უყურებდა მას და რაღაც უჩვეულო გრძნობა ეუფლებოდა. თავდაპირველად ვერც კი მიხვდა, რა იყო ეს გრძნობა.

7556

— გენადი, ბაზარში ხომ არ წახვიდოდი? არაფერი გვაქვს საჭმელი, — უთხრა მოხუცმა.

- წავალ, რატომაც არა.
- ფული კომოდის ზედა უჯრაში იქნება. სანოვაგე ბლომად იყიდე. რამდენიმე დღეს რომ გვეყოს.

„გვეყოს“ თქვა პეტროვიჩმა. ესე იგი მოხუცი ჯერჯერობით არ ფიქრობდა მის გაშვებას. დოროშინი ადგა, კომოდის უჯრა გამოაღო, ერთი სამთუმნიანი დაიტოვა, ოქროს ბეჭედი და დანარჩენი ფული თავის ადგილზე დადო და ბაზარში წავიდა.

დოროშინმა ექვსი დღე დაჰყო მოხუცთან: აუმეგდა, ასმეგდა, ეზოში ასეირნებდა, გაზეთს უკითხავდა, ომის ამბებს უყვებოდა.

— ნამდვილი დიასახლისივით ვალაგებდი ოთახებს, გვეიდი, ჭურჭელს ვრეცხავდი, თევზებს ვაპურებდი, ბაზარში დავდიოდი. უცნობი, უჩვეულო გრძნობა თანდათან გამოიკვეთა. ჩემს სიცოცხლეში პირველად გვირძენ, რომ ვიღაცას გამოვადგებოდი. თუ აქამდე ძალადაც არ

მაგდებდა არავინ, ახლა პეტროვიჩისთვის აუცილებელი გავხდი საჭირო...

სწორედ ამ გრძნობამ ერთი კვირის შემდეგ დოროშინი სამხედრო კომისარი-ატში მიიყვანა. იქ არავინ დაინტერესებულა მისი ვინაობით — დაუყოვნებლივ გაგზავნეს ფრონტზე. თავიდანვე ცხარე, სისხლისმღვრელ შეტაკებებში მოხვდა, სამი თვე ბრძოლით იხვედნენ უკან, მერე დაიჭრა და პოსპიტალში აღმოჩნდა კრასნოდარში. წერილი მისწერა პეტროვიჩს, პასუხიც მიიღო. შემდეგ პატარა ამანათი მოუვიდა მოხუცისაკენ.

— ხილი ჩაეწყო პეტროვიჩს, ერთი ბოთლი არაყი და სამი პირსახოცი, კომოდის ზედა უჯრაში რომ იდო. ამ დღეებში ღრმა ზურგში მაგზავნიან, ევაკუაციაში, მწერდა პეტროვიჩი.

დოროშინმა თხრობა შეწყვიტა. ერთ ხანს დუმდა და ცისკრით შეფერადებულ შორეულ მწვერვალებს უყურებდა.

- ახლა სადაა?
- არ ვიცი. დავკარგე მისი ასავალ-დასავალი.

მიწურში რომ ჩაღიოდნენ, დოროშინმა თქვა:

— ბედნიერი კაცია პეტროვიჩი, ამდენ დაჭრილსა და დასახიჩრებულს რომ ვერ ხედავს.

დიდი სურვილი ღიდ ტანჯვას ჰკავს. მით უფრო, თუ მისი ასრულება ადამიანს ერთხელ განცდილს ხელმეორედ განაცდევინებს. გიორგის მანამდეც ბევრჯერ უნდოდა ჩასულიყო იმ მიწურში, სადაც დაჭრილმა მურინავმა სამუდამოდ დახუტა თვალეზი. იმ მიწურში, ახლა ასე კარგად რომ ჩანს აქედან, ოდენიც ხომ ელისო აღამებდა და ათენებდა, სასიკვდილოდ დაჭრილ მურინავს უვლიდა... იმ მიწურთან, ნისლით წაშლილ ბილიკზე დაშორდნენ ერთმანეთს ელისო და გიორგი.

მაშინ ყველაფერი ნისლში იყო ჩაფლული. მხოლოდ ის დაინახა გიორგიმ მიხეილ კაკაბაძე

ნისლით წაშლილი ბილიკი



გარკვევით, ქალმა მასთან დაბრუნებაზე უარის ნიშნად თავი რომ გააქნია. მერე ორიოდ ნაბიჯი გადადგა და სიზმარით გაჰქრა, რძისფერ ბურუსში შთაინთქა...

გიორგიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ დადგომოდა ნაცნობ ბილიკს და იმ მიწურთან მისულიყო.

ამწვანებული მთის ფერდობი მზეზე ელავდა. ხანგამოშვებით იადონის გალობა ისმოდა. საარტილერიო ჭურვების ცარიელი ყუთების ჭურჭრუტანებში ხახხასა ბალახი ამოწვერილიყო და ნიავე ირხეოდა. მიწას გამჭვივრვალე ოხშივარი ასდიოდა.

— ... მთელი ასეული გაწყდა. მთელი ასეული. მარტო მე გადავრჩი. სასწაულივით მოხდა...

— მართლა სასწაულია.

— მსუბუქად მიანიც დაგჭირლიყავი, რაღაც დამმართნოდა. მთელი ასეულიდან კაცი არ გადარჩენილა ჩემს მეტიც...

გიორგი უეცრად გამოერკვა. იმ ორი მებრძოლიდან, მიწაზე გაფენილ ფარაჯაზე რომ წამოწოლილიყვნენ და საუბრობდნენ, ერთი — საჩანელი იყო. გიგაური ერთ ხანს ღიმილით უყურებდა მზეზე ნეზივრად გაშხლართულ მებრძოლებს და ადგილიდან არ იძვროდა. მერე შეუმჩნევლად წაადგა თავს.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან.

საჩანელი თოფნაკრავივით წამოვარდა ზეზე.

— ამას ვის ხედავს ჩემი თვალები! ჩემო გიორგი, ჩემო ძვირფასო, — გაიძახოდა, ჯანსაღ მარცხენა ხელს ხვევდა და ლაპაღუპით სდიოდა ცრემლი.

გიორგი ხმას ვერ იღებდა, საჩანელს ეხვეოდა და იცინოდა. უმცროსი ლეიტენანტი გაღამებული შესცქეროდა მათ.

— ხმაზე გიცანი, — თქვა გიორგიმ.

— ამის ხმა არაა ძნელი გამოსაცნობი, — უთხრა გიორგის უმცროსმა ლეიტენანტმა.

— საქმეა ახლა ეს? — სიცილით თქვა საჩანელმა. — ერთმანეთის მეზობლად, ერთ პოსპიტალში ვყოფილვართ და მხოლოდ დღეს შევხვდით ერთმანეთს.

— კიდევ კარგი, ბოლოს მაინც შეხვ-

დით, — თქვა უმცროსმა ლეიტენანტმა. — ხომ შეიძლებოდა, სულაც არ შეხვედროდით. აი მე, მაგალითად, პირდაპირ საოცარი ამბავი შემემთხვა. ფრონტზე გასვლის დღესვე მთელი ჩვენი ასეული გაწყდა, მთელი ასეული... მე კი უვნებლად გადავრჩი.

უმცროსმა ლეიტენანტმა ხელი ჩაიქნია, გიორგის გაწვდილ სიგარეტზე უარი თქვა და კოჭლობით წავიდა.

— ოქრო ბიჭია, მაგრამ ჯერ სულ ბავშვია, — თქვა საჩანელმა.

დიდხანს ისაუბრეს. უკანასკნელი ბრძოლა გაიხსენეს, ამხანაგები მოიგონეს. საჩანელმაც არაფერი იცოდა ნიკოსი. მანოშინი ერთი კვირის წინ გაწერილიყო ამ საველე პოსპიტლიდან. კაბანოვი, ციმლიანსკი და წულეისკირი მოეკლათ. გიორგიმ ტოლიასთან შეხვედრა უამბო, მერე დოროშინის ამბავი მოუყვა. საჩანელი უსმენდა, თან დროდადრო მარცხენა ხელს უხერხულად შეახებდა ხოლმე გიორგის, „სიზმარში მგონია ჩემი თავი“, გაიძახოდა. გიგაურს თავისი მებრძოლების ნახვა ნატვრად ჰქონდა გადაქცეული. საჩანელთან შეხვედრამ კვლავ ელისო გაახსენა, ჭმუნვა გამოეხატა სახეზე.

— წამოდი, წამოდი, რა გაჩვენო! — უთხრა საჩანელმა და მიწურისკენ გაუძღვა.

— აქ ჩვენი მფრინავი იწვა, — თქვა გიორგიმ.

მიწურში ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც მაშინ. ერთ კუთხეში იდო სანიტარული ჩანთა, ნემსის კოლოფი, წამლები, სარკე და კონსერვის ცარიელი ქილა. მაშინ ამ ქილაში მინდვრის ყვავილების პატარა თაიგული იდო და ამ მიწურში ელისო ტრიალებდა...

ახლა სამი კაცი იწვა.

— აწანაგებო, ეს ჩემი მეთაურია, — გამოაცხადა საჩანელმა.

— გამარჯობათ, — თქვა გიორგიმ.

— გაგიმარჯოთ, — უპასუხა ერთმა. — თქვენზე ბევრი გვსმენია.

გიორგის ბუნდოვნად ესმოდა ლაპარაკი. ამ მიწურში პირველად იგი ნიკოს მონანახულებლად მოვიდა. აქ ნახა ჭაბუკი

მფრინავი. მან, გიორგიმ, გამოგზავნა იმ საცოდავი ჭაბუკის მოსაგლეღლად ელისო. ეკონა, ელისოს მადლიანი ხელი და აღერსიანი მზერა გამოაბრუნებდა ჭაბუკს, სიცოცხლეს შთაჰპერავდა სულთმობრძავ სხეულს. სიცოცხლე მართლაც შთაჰპერა ელისომ, შთაჰპერა სიცოცხლესე მეტი — სიყვარული, მაგრამ სიკვდილთან უძლეური აღმოჩნდა ერთიცა და მეორეც. აქ, ამ მიწურში დიმიარხა გიორგის სიყვარული. „მე დავმარხე ჩემი სიყვარული...“ — გაიფიქრა და კონსერვის ცარიელ ქილას შეხედა... ელისოს სიტყვები გაახსენდა: „...რა საოცარია ცხოვრება, მე ის მიყვარს, ბავშვი კი შენვან მიყოლება“.

— ელისო იყო აქ. — თქვა გიორგიმ.
— ჩვენ ვერ მოვუსწარიტ, — თქვა საჩანელმა. მერე კარის ძელთან მიიყვანა გიორგი. „მე ვიწექი აქ. მოვრჩი და ისევ ომში მივდივარ. გაუმარჯოს ელისოს! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! ნოდარია ბოგვერაძე“, ნახშირით ეწერა ძელზე. გიორგის გაეცინა. „რა ბედნიერი ყოფილა ბოგვერაძე, ელისოს ხედავდა ყოველდღე“, — გაუელვა თავში. იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ ამ ზოვრეთელი ჯარისკაცისათვის ელისოს ნახვა არაფერი განსაკუთრებული ბედნიერება არ იყო.

ხუთი დღის შემდეგ გიორგი, საჩანელი და დოროშინი საველე ჰოსპიტლიდან გამოწერეს. წვიმდა. მანქანის მოლოდინში კარავს შეაფარეს თავი. სხვებიც იყვნენ მათსავით სამარქათო ლეგიონში გასამგზავრებელნი. გიორგი უგუნებოდ იყო, რადვან ელისოსთან დაკავშირებულ უკანასკნელ ადგილს შორდებოდა... ალბათ, სამუდამოდ ტოვებდა.

— ჰოსპიტალს ძალიან შეეყვარებივართ, ტირილიტ გვემშვიდობებ, — თქვა ვილაცამ.

— მე მგონია, ის არწივიც ეს-ესაა

ატირდება, — თქვა საჩანელმა. — შეხედეთ, შეხედეთ.

კარვიდან ჩანდა, როგორ ეფერებოდა ხის ძირში მდგომი ჯარისკაცი ფერშალ ქალს. წვიმდა, მაგრამ ისინი წვიმას ყურადღებას არ აქცევდნენ. ქალს ჯარისკაცის მკერდზე მიეყრდნო თავი. ჯარისკაცი რაღაცას უმტკიცებდა, თან თავზე უსვამდა ხელს.

— ფარაჯა წაიფარეთ, თორემ გაცივდებით, — დაუძახა საჩანელმა.

— მოსაწვეი თუ გაქვთ? — იკითხა ჯარისკაცმა.

— თქვენთვის რას არ გავაჩენთ! — გასძახა დოროშინმა.

კარვისკენ ქალი წამოვიდა. ხის ძირში დარჩენილმა ჯარისკაცმა მოსიყვარულე მზერა გამოაყოლა. ქალი თითქოს გრძნობდა ამ მზერას, მძიმე და უხეში ჩექმები ეცვა, მაგრამ შეეღივიტ მოდიოდა. დოროშინმა სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი გაუწოდა:

— წალდე, მე კიდევ მაქვს.

საჩანელმა ფარაჯა შეაჩეჩა ქალს:

— თავზე წაიფარეთ, თორემ მანქანის მოსვლამდე შენი მეგობარი წყლიტ გაიქვინებება და ჩვენი მოსავლელი გახდება.

— ფილტვების ანთება დაემართება, — არობროხდა ვილაც.

— ჩვენს დასაც სწორედ ეგ უნდა, — წამოიძახა მეორემ.

ქალმა უმწეოდ გაიღიმა. სიგარეტის კოლოფი და ფარაჯა აიღო, მადლობა თქვა და ხისკენ წავიდა.

— ძნელია სიყვარული, — ხმამაღლა თქვა საჩანელმა და გიორგის შეხედა.

მაღე მანქანის ხმაური მოისმა. კარავში აწერიალდნენ. საველე ჰოსპიტლის უფროსმა ერთხელ კიდევ ამოიკითხა წამსვლელთა სია, ყველას გზა მშვიდობისა უსურვა და კაბიუშონი წამოიცივა თავზე.

მიხეილ კაკაბაძე
ნისლიტ წაშლილი ბილიკი



დავით ჯაფარიძე



მთხრობა

I

დუშეთიდან ბაზალეთისაკენ მიმავალ მტკრიან აღმართს ორი ყმაწვილი შესდგომოდა. აგვისტოს მზიანი დილა იყო. უკვე ცხელოდა.

ორივეს გრძელტარიანი ჩაქუჩები ეჭირათ ხელში; ერთ-ერთს მსუბუქი ზურგჩანთა ეკიდა ცალ მხარზე.

აღმართი უხმოდ აიარეს. წინ, შორს, უზარმაზარი ხშირი ტყე გამოჩნდა.

— აღმართებს მოვრჩით, ახლა სულ ვაკე იქნება, — თქვა ზურგჩანთიანმა.

მეორემ არაფერი უპასუხა. ჯერ კიდევ დაღლილი სუნთქავდა.

ნაბიჯს მოუმატეს. გზა ახლა სიმინდის ყანაში მიიკლავებოდა. ნიაგი სიმინდის გამხმარ ფოთლებს აშრიალებდა. დროდადრო ამ ხმას ტრაქტორების შორეული გუგუნე უერთდებოდა. ალაგ-ალაგ მოტიტვლებული მიწდვრები უკვე გადაეხნათ.

კარგა დიდი გზა რომ გაიარეს, ხალხით გაჭედილი სატვირთო მანქანა წამოეწიათ. გზიდან გადავიდნენ და ხელი აუწიეს. შოფერმა არ გააჩერა. ორივე მტკრის კორიანტელში გაეხვია. ნიაგმა მალე გაფანტა მტვერი, მაგრამ ახლა მე-

ორე მანქანა წამოეწიათ ისევე, „კოლმეურნე“.

— ეს ალბათ თავმჯდომარეა, — თქვა გიგმი.

ხელი აღარ აუწევიათ, მანქანა თვითონ შეჩერდა, კარი გაიღო.

— დასხედით, ბიჭებო, წაგიყვანთ, — ღიმილით შესთავაზა შოფერმა, — ტბაზე მოდიხართ, არა?

— არა, — უპასუხა ნოდარმა, — სხვაგან. გმადლობთ.

— მეთევზეები მეგონეთ. — შოფერმა ჩაქუჩებს შეავლო თვალი. — ე რამოდენა ჩაქუჩებია! სად მიხვალთ?

— აგერ, ახლოს, — უპასუხა გიგმი, — ყარსიმიანთ კარში.

— დასხედით, წაგიყვანთ.

— გმადლობთ.

ბიჭები ჩასხდნენ. მანქანამ გზა განაგრძო.

— აღრეც მომიკრავს თვალი თქვენთვის ამ გზაზე, — მოხედა ბიჭებს შოფერმა, — იმ გახრეკილ სოფელში რა დაგვრჩენიათ?

— გათხრები გვაქვს. — უხალისოდ უპასუხა ნოდარმა. წინასწარ იცოდა,

ახალი, გაუთავებელი შეკითხვები რომ მოჰყვებოდა მის პასუხს, მაგრამ რა ექნა? უპასუხოდ ხომ არ დატოვებდა?!

„ფეხით რომ გვევლო, მგონია, აჯობებდა“, — გაიფიქრა და უგემურად გაიღიმა.

— გათხრებიო? ოქროებს ეძებთ? — უნდობლად გაიციხა შოფერიმა.

ნოდარს კრიჭა შეეკრა და პასუხი დაუგვიანა. გიგიმ უპასუხა:

— არა! ძვლებს.

— რასაო? ძვლებს? — შოფერი აღარ იცინოდა. — ვის ძვლებსა, კაცო? — ხმაში გაფრთხილებაც ისმოდა: „აბა, აბა, ღლაპებო! ჩემი მასხრად ამგლები ჯერ არ დაბადებულა!“

— ცხოველების ძვლებს, — განაგრძო გიგიმ, — ძველი ცხოველებისა, ადამიანის გაჩენამდე რომ ცხოვრობდნენ. ძვლები უკვე გაქვავებულა...

— მერე და რად ვინდათ?

— შევისწავლით, აქ იმ დროს როგორი ცხოველები ცხოვრობდნენ, როგორი იყო ბუნება...

მანქანამ ტყე უკან მოიტოვა. გზა პატარა ხევის ნაპირს მისდევდა.

— ნახეთ რამე?

— როგორ არა.

— რა იცოდით, რომ აქ იქნებოდა? სადა ნახეთ?

— აი ამ ხევში, სოფლის ბოლოს. წყალს გამოერეცხნა კლდიდან, გეოლოგები წააწყდნენ შემთხვევით და შეგატყობინეს.

ნოდარი კმაყოფილი იყო, რომ ეს საუბარი გიგიმ იკისრა, გზას გაჰყურებდა და ფიქრებში იყო წასული.

შოფერი არ ცხრებოდა:

— მერე და მაგ ჩაქუჩებითა თხრით?

— არა, მუშები გვყავს, წერაქვებითა მუშაობენ.

— რისი ძვლები იპოვეთ?

— რისი არ ვინდათ: ცხენების, უირაფის, ვეფხვისა... სპილოს კბილიც კი ვნახეთ.

— არა მართლა?! სპილოს აქ რა უნდაო?! — შოფერი ძალიან დაინტე-

რესდა. — ერთი უნდა წამოგყვეთ, მეცა ვნახო.

— წამობრძანდით, ოღონდ რაც კარგი იყო, უკვე თბილისში გავაგზავნეთ.

მანქანამ გზიდან გადაუხვია, ქათმები და ინდოურები დააფრთხო და პატარა სოფლის ვიწრო შარას მიჰყვა. ძაღლები ყუფით აედევნენ. მოხუცები და ბავშვები სახლების წინ გამოეფინენ. ეტყობოდა, მანქანა არც ისე ხშირად დადიოდა ამ მივარდნილ სოფელში.

— მოვედით? — იკითხა შოფერიმა.

— ცოტა იქით, სოფლის ბოლოში.

ძაღლებმა სოფლის ბოლომდე სდიეს მანქანას და მერე ჩამოშორდნენ.

— მოვედით, — თქვა ნოდარმა.

სამივენი მანქანიდან გადმოვიდნენ და ხევში ჩამავალ საურმე გზას ფეხით ჩაუყენენ. ქვევიდან წერაქვის კაკუნი ისმოდა.

გზა ხევში ჩავიდა.

— ესეც ჩვენი გათხრები, — თქვა გიგიმ და ზურგჩანთა ძირს დასდო.

ხევში ძალიან ცოტა წყალი იყო და ნელა მოწანწკარებდა. ერთ ადგილას ამონათხარ მიწასა და ლოდებს წყლისთვის გზა გადაეღობნა და მოზრდილი გუბე დამდგარიყო. ბიჭებმა ჩაქუჩები ჩააწყვეს წყალში.

ქალბარა გლეხი წერაქვით კლდეს ანგრევდა.

— გამარჯობა, პავლე! — მიესალმა გიგი.

პავლემ მუშაობა შეწყვიტა.

— გაგიმარჯოთ! ღღეს ძაან დაგავიანდათ.

— მაშ, მაშ! ეს პატიოსანი კაცი რომ არ შეგვხვედროდა, — გიგიმ შოფერზე მიუთითა, — კიდევ უფრო დავიგვიანებდით.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! — მიესალმნენ პავლე და შოფერი ერთმანეთს.

— კაკო სად არის? — იკითხა ნოდარმა.

დავით ჯავახიშვილი
გიგი

— წყაროზე წავიდა, მალე მოვა. —
პავლემ ოფლიანი შუბლი მოიწმინდა.
სახე ჭარხალივით გაწითლებოდა, —
დღეს მაგარადა ცხელა.

— კაცო, ეს ბიჭები ხომ არ მატყუ-
ებენ, — მიმართა პავლეს შოფერმა, —
ძვლებს ვეძებთო, ვნახეთ კიდეცო. აბა
სად არის?

— ვნახეთ, მაშა! — თავმომწონედ
გაიცინა პავლემ. — იმისთანა კანჭი რა-
მეგებია, ვაგიკვირდება. აგერა იქ არის,
ნახე! — მიუთითა გამოქვაბულისაკენ.
ხორბლისფერი ქვიშაქვიდან ქათქათა
თეთრი ძვლები იყო გამოჩრილი.

შოფერი მივიდა და ჩაცუცქდა. ყბის
ძვალს ხელი მოუსვა.

— შეხედე ერთი, როგორ ჩალაგებუ-
ლანს! მე კი არა მჯეროდა. ე რისი კბი-
ლებია?

— ესა ძველებური ცხენი ყოფი-
ლა, — აუხსნა პავლემ; უხაროდა, რომ
ეს მაინც სხვაზე მეტად იცოდა და ხა-
ლისით განავრძო: — თურმე მაგ დალოც-
ვილსა ერთის მავივრად სამი ტოტი
ჰქონია თითო ფეხზე.

— სამი არა, ოცდაექვსი, — უნდობ-
ლად შეხედა შოფერმა პავლეს.

პავლემ იწყინა:

— აგე, ბიჭებსა ჰკითხე, თუ ჩემი არა
გჯერა.

— მართალია, — დაუმოწმა გიგიმ.

— როგორ, კაცო, მაშ გამოდის,
თორმეტი ფეხი ჰქონია?

— ფეხი კი არა, თითი. აი, ახლან-
დელ ცხენს რომ ჩლიქი აქვს, ის თი-
თია. წინათ ეგეთი სამი თითი ჰქონდა
თითო ფეხზე. უფრო ადრე ხუთიცა
ჰქონია, როგორც სხვა ცხოველებს. რა
არის დაუჯერებელი? — დაუზარებლად
აუხსნა გიგიმ.

— ჰო, ეგ სხვა საქმეა, — მიუგო შო-
ფერმა.

— აფსუს, სად იყო მაშინ ჩვენი ნალ-
დია, აშენდებოდა კაცი, არა? — თქვა
პავლემ.

შოფერმა გაიცინა.

— ნაღდია ვინ არის? — იკითხა ნო-
დარმა.

— ნაღდია მჭედელია დუშეთში, —

აუხსნა შოფერმა, — ცხენებსაც ჰქვდავს,
ჰოდა, თითო ცხენზე თორმეტი ნაღ-
დასკირდებოდა...

ბიჭებმაც გაიცინეს.

— გამარჯობათ თქვენი!

ყველამ მიიხედა. წყაროდან კაკო
დაბრუნებულყო, ჩასკვნილი, დიდცხვი-
რა ბიჭი; ხელში დიდი, გარედან და-
ორთქლილი მწვანე ჩაიდანს ეჭირა.

— ვაგიმარჯოს! — უპასუხეს კაკოს.

— დღეს ძაან დაგავგიანდათ აი! —
აღნიშნა იმანაც.

— რას იზამ?! — ხელები გაშალა ნო-
დარმა.

— დუშეთში დგახართ? — იკითხა
შოფერმა.

— ჰო.

— და ყოველდღე ფეხით მიდი-მო-
დინხართ?

— ჰო.

— მერე და რათა, კაცო, აქ რა, ვერ
დაგაბინავეს? — შოფერმა თითქოს სა-
ყვედურით გადახედა კაკოსა და პავლეს.

— ჩვენცა ვთავაზობდით, მაგრამა არ
ქნეს, — ჩაბურტყუნა კაკომ.

— რათა? — იკითხა ისევ შოფერმა.

„რა ცნობისმოყვარეა!“ — გაბრაზდა
ნოდარი.

— ასე გვიჩვენია, — თქვა გიგიმ, —
ჩვენი ჩვენი ანგარიში გვაქვს, — და ეშმა-
კურად ჩაიცინა.

— ჰოო, ეს სხვა საქმეა. აბა, წავედი,
ბიჭებო, კარგად იყავით, — დაემშვიდო-
ბა ყველას შოფერი.

— გმადლობთ, გმადლობთ!

— კარგად იყავით!

მანქანის ხმა ზემოდან უფრო და უფ-
რო სუსტდებოდა და ბოლოს სულ მი-
წყდა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა.

— წავიდა, — თქვა კაკომ, — წყალი
არ გინდათ?

ბიჭებმა დალიეს. წყალი ყინულებით
ცივი იყო და გემრიელი.

— მარტო ამ წყლისათვის დასახლდე-
ბოდა აქ კაცი, — თქვა გიგიმ, — რა
წყალია!

— მერე და ვინ გიშლის, — იხუმრა
კაკომ, — დასახლდი!

ყველამ გაიცინა.

— მარტო წყლისათვის არა და კარგი გოგოც რომ მაპოენინა აქა, მართლა დაესახლებოდი. — თქვა გიგიმ.

— ეეჰ, — ამოიოხრა კაკომ, — კარგი გოგოები ჩვენც გვიყვარს, შენ ვინ გაგატანს?!

ისევ გაიცინეს.

— ვეყოფა დასვენება, მერე უფრო ჩამოცხება, — თქვა პავლემ და წერაქვი მოიქნია.

კაკომ ნიჩაბი აიღო, გადმონგრეული მიწისა და ღორღის გადაყრას შეუდგა. მუშაობა გაჩაღდა. გიგიმ წელზევით გაიხადა, ხელებზე დაიფურთხა და მეორე წერაქვს მოავლო ხელი, პავლეს წაეხმარა. ნოდარმა ძვლებთან ჩაიმუხლა, ზურგჩანთიდან ათასნაირი ხელსაწყო ამოალაგა, ბამბა და წებოც ამოაყოლა და მასალის დროებით პრეპარირებას მიჰყო ხელი.

ჩუმად მუშაობდნენ. ცხელი დღე იყო, მაგრამ მზეს ხევში ჯერ არ ჩამოეხედნა და შედარებით გრილოდა.

შუადღისას აქაც დაცხა. პავლეს უფრო გაუწივთლდა სახე.

— დაეისვენოთ! — გიგიმ წერაქვი გადაავდო.

ოთხივემ გუბის პირას მოიკალათა. ზემოდან დიდი რცხილა გადმოხრალიყო და ქოლგასავით ჩრდილავდა გუბეს. ადამიანის მოახლოებისას წყალში ვარინდული ბაყაყები დაფეთდნენ და შლამიან ფსკერს შეაფარეს თავი. აიძვრა დაწმენილი წყალი.

— ბარემ ვისაუზნოთ, — თქვა ნოდარმა.

მიწაზე გაფენილ ქალალზე ყველი, პური და ხილი გაჩნდა.

— პავლე! სულ მინდა ხოლმე გკითხო და მაეიწყდება, — დაიწყო გიგიმ, — ეგ თითი სად დაკარგე?

პავლეს საჩვენებელი თითი აკლდა მარცხენა ხელზე.

— ომში დაკარგე, შვილო. ყუმბარის ნატეხმა წამაგლიჯა.

— გეტკინებოდა, არა?

— არც ისე... ისეთი რამეები ვნახე იქა, თითი ვიღას ახსოვდა... ქერჩთან ვიყავი... — პავლეს შუბლი

ხშირმა და ღრმა ნაოქებმა დაუღარა. ლუკმა ძნელად გადაყლაპა და ახალი დიდხანს აღარ ჩაუღია პირში.

— ის უამზე, პავლე, თვალები რომ გადმოუღლო აფეთქებამა ერთსა, — თხოვა კაკომ.

პავლე მოულოდნელად გაბრაზდა:

— შენ დაეტეე მანდა! მე ვიცი, რაც უნდა ვუამბო!.. — მეტი აღარაფერი უთქვამს. წამოდგა, ისევ წერაქვს მოავლო ხელი და მუშაობა განაგრძო.

— პავლე! მოდი, კაცო, საუზმე დაამთავრე, — შესძახა გიგიმ.

— აღარ მინდა, აღარა, თქვენა ჭამეთ, — ჩაილაპარაკა პავლემ ჩუმი ხმით.

კაკო ვერაფერს მიხვდა და გაკვირვებული იყო. ბიჭებიც დუმდნენ. საუზმე მალე მოათავეს და თავ-თავის საქმეს დაუბრუნდნენ.

ბაყაყებმა ისევ ამოყვეს თავი წყლიდან, მაგრამ მალევე მოუხდათ დამღვა: სოფლის წვრილფეხობა ჩვეულებისამებრ უხმაუროდ ჩამოკრებილიყო ხევში და უფროსების უცნაურ საქმიანობას უთვალთვალვებდა.

— გამარჯობათ, ბავშვებო! — შესძახა გიგიმ, — აქამდე სად იყავით?

ბავშვებმა ღიმილითა და დუმილით უპასუხეს.

— სალამი არ იცით, თქვე მაიმუნებო?! — გაწყრა პავლე.

ბავშვებმა თავი დახარეს.

— დღეს მაგათაც დაიგვიანეს, — სიცილით უთხრა გიგიმ პავლეს. მერე ისევ ბავშვებს მიუბრუნდა:

— თქვენი მეთაური სად არის?

— ტბაზე წავიდა...

— საბანაოთა...

— ძმამ წაიყვანა... — აყაყანდნენ ბავშვები.

— ჰოო... — სინანულით თქვა გიგიმ, — დღეს კარგია ბანაობა, ცხელა, არა?

ბავშვებმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნიეს. მერე ქვებითა და ჯოხებით შეიარაღდნენ, გუბეს შემოუსხდნენ და

დავით ჯავახიშვილი

გიგი

ბაყაყებზე მიიტანეს იერიში. წყალი ისევ აიძვრა.

პავლე შემობრუნდა და დასწყვილა:

— აბა, თქვე მამაძაღლებო! ნუ აწვალებთ ბაყაყებსა, თორემ მე ვიცი თქვენი!

ბავშვებმა ჯოხები დაყარეს.

მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო. ხევში ისევ აგრილებას იწყებდა. ნოდარმა ზურგჩანთაში ხელსაწყოების ჩალაგება დაიწყო:

— ჩვენ წავალთ, პავლე, თქვენ ცოტა კიდევ იმუშავეთ და აი ამ ძვლიან შრემდე რომ ჩახვალთ, მერე აღარა თხაროთ.

— ეგრე იყოს, — უპასუხა პავლემ.

— ხვალ დროზე მოვალთ. იქამდე ხელი არაფერს ახლოთ.

— აბა, ხვალამდე, — გიგიმ ზურგჩანთა აიკიდა.

ხვეიდან ამოსულებს უკან ბავშვების ლაშქარი აედევნათ.

— ახლა შენ თხარე წერაქვითა, — უთხრა კაკოს პავლემ.

კაკომ ხელებზე დაიფურთხა.

II

ორსართულიანი, გრძელი შენობის შესასვლელთან მოხუცი კაცი იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. ჩამავალი მზის სხივებზე სარკმლები ცეცხლისფრად ელავდნენ. „ვაჟა ფშაველას სახელობის დუშეთის საშუალო სკოლა“ — ეწერა აბრაზე.

კიბეზე ნოდარი და გიგი ამოდრიოდნენ. გიგის დიდი საზამთრო ეჭირა ხელში.

— გამარჯობათ, ძია ვასო!

— გაგიმარჯოთ, შვილებო! დაილაღენით?

— არც ისე.

— საზამთროზე დაგვეწვიეთ, ძია ვასო, — შესთავაზა გიგიმ.

— გმადლობთ, შვილებო, გაიხარეთ. მოხუცი ხენეშით წამოდგა და ბიჭებს შენობაში შეჰყვა. გრძელი დერეფანი სუფთა იყო და სრულიად ცარიელი. ერთგან კედელზე ვაჟის დიდი სურათი ეკიდა.

ნოდარმა ჯიბიდან გასალები ამოიღო და საკლასო ოთახის კარი გააღო.

— მობრძანდით, ძია ვასო.

— აქა მშვიდობა, — გაიცინა მოხუცმა.

გიგიმ სარკმელი გააღო.

ოთახი დიდი და ნათელი იყო. ერთ კედელთან მერხები ერთიმეორეზე შეედგათ. ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ცარცით დაბლაჯნილი დაფის ქვეშ, იატაკზე, ორი საძილე ტომარი იყო გაშლილი გვერდიგვერდ. მერხებზე ტანსაცმელი ეკიდა. სარკმლის რაფაზე რამდენიმე წიგნი იდო.

— დაბრძანდით, ძია ვასო, — ერთადერთი სკამი მიართვა გიგიმ და ჯიბის დანა ამოიღო, საზამთრო გაჭრა.

საზამთრო მკვახე გამოდგა.

— ეს არის — არჩევა ვიცო? — დასცინა ნოდარმა.

გიგი შერცხვენილი იღიმებოდა:

— წავალ, მეორეს ვიყიდი...

— რას ამბობ, შვილო, ბაზარი შორსაა! რაც არი, ეგა ვჭამოთ, ამ სიცხეში ეგეც კარგია, — გამოეჭიმავა გიგის მოხუცი და მკვახე საზამთრო მადიანად ჩაკბინა.

გიგი მადლიერი თვალით უყურებდა მოხუცს, თან განაგრძობდა საზამთროს დაჭრას.

— ძალიან მასიამოვნეთ, შვილებო, გაიხარეთ, — თქვა მოხუცმა ცოტა ხნის მერე და წამოდგა.

— რა გასიამოვნეთ, მკვახე საზამთრო...

— რა ვუყოთ მერე! ახლა მე წავალ, საქმეს მივხედავ. გმადლობთ, შვილებო. მოხუცი ოთახიდან გავიდა.

ბიჭებმა ტანთ გაიხადეს და საძილე ტომრებზე წამოგორდნენ. ნოდარმა წიგნი აიღო და კითხვა დაიწყო. გიგი ჭერს შეჰყურებდა.

— რომ დაუფიქრდე, რამდენ კარგად ადამიანს ხვდება კაცი ამ ხეტიალში, არა? — თქვა გიგიმ.

ნოდარმა არ უპასუხა. გიგიმ შინც განაგრძო:

— აი, თუნდაც ეს ძია ვასო! როგორი...

— დამაცადე, ბიჭო! ხომ ხედავ, ვკითხულობ? — უკმაყოფილო სახით გააწყვეტინა ნოდარმა.

გიგი გაჩუმდა. დიდხანს მინც ვერ მოითმინა დუმილი:

— როდის აპირებ თბილისში წასვლას?

— რა?! გინდა მალე წავიდე? — დამცინავად გელღიმა ნოდარს.

„რა უცნაური ღიმილი აქვს, — გაიფიქრა გიგომ, — თითქოს რაღაც ეზიზღებო.“

— არა, არა, — უპასუხა სწრაფად, — მაგეტომ არ მიკითხავს. უბრალოდ, — ჭარბა ხანია აღარ გინახავს შენი ლევა-ნიყო. არ მოგენატრა?

ნოდარს სახეზე კეთილმა ღიმილმა გადაურბინა:

— როგორ არ მომენატრა! ზეგ ოთხი თვისა სრულდება, ჰოდა წავალ, მოვი-ნახულებ. შენ ისევ არ წამოხვალ?

— არა, — უპასუხა გიგომ, — დავრჩები. როცა მარტო ვარ, აქეთ-იქით დავეხეტები და ათას საინტერესო რამეს წავაწყდები ხოლმე. აი, ვახსოვს, იმ მოხუცის ამბავი რომ გაიგებე...

— მახსოვს, — ისევ ცივად გააწყვეტინა ნოდარმა, — მე საინტერესოს ვერაფერს ვხედავ ამაში და, საერთოდ, არ ვიცი: როგორ შეიძლება იყოს საინტერესო ამ ქვეყანა ქალაქში მარტო ხეტიალი.

მერე ისევ კითხვა განაგრძო, რითაც აგრძნობინა გიგის, საუბარი დამთავრდაო. გიგი ვითომ ვერაფერს მიხვდა:

— ზეგ შაბათია, არა?

— არა, კვირა, — ჩაიბურტყუნა ნოდარმა.

— დილასვე წახვალ თბილისში, თუ ცოტას წავიმუშავებთ?

— ენახოთ. ალბათ დილასვე. თუმცა, არა: მივიდეთ. ისინი ალბათ მუშაობას მოინდომებენ, ეჩქარებათ დამთავრება. ჰოდა, იქიდან პირდაპირ წავალ.

— მაშინ მე ტბაზე წავალ, თორემ სირცხვილია, აქ იყო კაცი და არც ერთხელ ტბაზე არ წახვიდე, არა?

— სრულებითაც არ არის სირცხვილი. ფრთხილად იყავი, არაფერი მოგი-

ვიდეს, თორემ ხომ იცი, მე ვარ პასუხისმგებელი.

— ვიცი, ნუ გეშინია, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიგომ და გაიფიქრა: „არა მარტო კარგ ადამიანებს ხვდება ამდენ ხეტიალში!“

ოთახში ბინდი გამეფებულყო. ნოდარმა წიგნი დაკეცა და იატაკზე დადო.

— მე ვიძინებ. შენ?

— რა დროს ძილია?! — აღშფოთდა გიგი. — კინოში მინც წავიდე.

— მეზარება. შენ წადი.

— წავალ. — გიგომ ჩაცმა დაიწყო. — რომელი საათია?

— ცხრის ოცი წუთია. რა სურათია?

— სულ ერთია. ძილს ახლა ყველაფერი მიჩვენებია! მგონი, „სამი ტანკისტი“.

— მეც წამოვალ, დამიცადე, — თქვა ნოდარმა და ჩაცმა დაიწყო.

III

ისევ მზიანი დილა გათენდა; ეს უახლოესი თავიდანვე გვალვიანი იყო.

ბიჭები ჩვეულებისამებრ ადრე ადგნენ, ერთმანეთს ხელ-პირი დააბანინეს, მოხუც დარაჯს დაემშვიდობნენ და სკოლის შენობიდან გამოვიდნენ. ჩქარი ნაბიჯით გადასჭრეს პატარა ქალაქის ახლად დასუფთავებული დიდი მოედანი და პატარა მყუდრო კაფეში შეუხვიეს. ნაჩქარევად წაისაუზმეს. მერე ბაზარშიც შეიარეს, ყველი და ხილი იყიდეს და ჩვეულ გზას დაადგნენ.

ვიდრე მტვრიანი აღმართი არ აიარეს, არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. როცა წინ, შორს, ნაცნობი ტყე გამოჩნდა. გიგომ თქვა:

— აღმართებს მოვრჩით, ახლა სულ ვაკე იქნება.

ნოდარი აიმრიზა და ქლოშინით უპასუხა:

— პირდაპირ გაკვირვებული ვარ! ნუთუ არ მოგებზრდა ყოველდღე ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იგივე უაზრობის ლაპარაკი!..

დავით ჯავახიშვილი

გიგი

— მომბეზრდა! სხვაც ბევრი რამე მომბეზრდა, მაგრამ...

— მაგალითად?..

გიგიმ აღარ უპასუხა და ბოლომდე ჩუმად იარეს.

სოფელში ძაღლები ყვფით აედევნენ, ძლივს მოიშორეს ჩაქუჩების ქნევითა და ქვების სროლით.

ხევში პავლე და კაკო მათ მოსვლას ელოდებოდნენ, ჩრდილში ისხდნენ და საუბრობდნენ.

— გამარჯობათ! — მიესალმა ნოდარი და პასუხი აღარ აცალა: — დახვედით ძელიან ფენამდე?

— გავიმარჯოთ! მაშა, კაცო! — უპასუხა პავლემ.

— თქვენ მუშები კი არა, ოქროები ხართ! — აღტაცებით თქვა გიგიმ.

კაკომ გაიღიმა. პავლეს არ გაღიმებია, მაგრამ მაინც დაეტყო, რომ ეს იამოვნა ეს დამსახურებული შექება. მხოლოდ ნოდარს შერჩა ასეთი ვითარებისათვის შეუფერებელი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება.

— რამე ხომ არ გავიფუჭებიათ წე-რაქებით?

— არა, არაფერი, — თქვა კაკომ, — მხოლოდ ერთხელ, კინალამ...

— „კინალამ“ არ ითვლება! — ცივად გააწყვეტინა ნოდარმა, — აბა, დავიწყით ძვლების ამოღება!

ჯერ ზედა, თხელი ფენა გადაწმინდეს. ძვლები გამოაჩინეს; მერე მთელი შრე კვადრატულ ბლოკებად დაანაწილეს და მათს თანმიმდევრულ ამობრუნებას შეუდგნენ.

— აქ ძალიან საინტერესო მასალაა, — თქვა ნოდარმა, — აი ეს რაღაც მსხვილი მტაცებლის ეშვებია. ეს თავის-ქალა ხომ, ცხადია, ჰიპარიონისაა, აი იმ სამთითა ცხენისა, — აუხსნა პავლეს, — ეს უკანა კიდურის ძვალია, არ ვიცო რისი...

— ე რამოტოლა კანჭია, — გაუკვირდა პავლეს.

გიგი ოცნებებში იყო წასული და ყურს არ უგდებდა. ის ახლა უკვე ნავში იჯდა და ტბის ლერწმინან ნაპირთან თევზაობდა. მერე გამოფხიზლდა და

ბრაზი მოუვიდა, რომ ამდენი ხანია აქ არიან და ნოდარს ერთხელაც არ მოსდომებია ტბაზე წასვლა. მერე ისევ ჩაფიქრდა.

— გიგი! — მოესმა ნოდარის ხმა, — ნახე რა დიდი დიასტემა აქეს, ხედავ? — ნოდარს ხელში „სამთითა ცხენის“ სრულიად გაწმენდილი თავისქალა ეჭირა და მას უწვდიდა. გიგიმ გამოართვა.

— ეგ რაღა არის? — იკითხა დაინტერესებულმა კაკომ.

— დიასტემა! აი, ამ ცარიელ ადგილსა ჰქვია, წინა და უკანა კბილებს შორის, ხედავ? უკბილო ნაწილი რაც არის, გაიგე?

— კი, — თავი დაუქნია კაკომ.

ნოდარს კმაყოფილი ღიმილი გაუჩნდა და სახზე.

„ერთი შენს წინა კბილებში გამაყვებინა დიასტემა და ისე მომკლა“, — გაბრაზებით გაიფიქრა გიგიმ.

ძვლები უკვე ვეღარ ეტეოდა გამოქვაბულში. ნოდარმა ახლის გამოთხრა დაავალა კაკოს.

— ზვალ თბილისში მივდივარ და ზეგ მანქანას ამოვიყვან, — თქვა მერე, — ბლომად დაგვიგროვდა მასალა.

პავლე გამოცოცხლდა:

— როცა წახვალთ, ჩემს ძმას გაგაცოლებთ, ორი ტომარა შარშანდელი სიმინდი გვაქვს ქალაქში წასაღები და... ხომ შეიძლება?

— რატომაც არა, — უპასუხა ნოდარმა, — თუ კი ადგილი იქნება.

ჩამოცხა. ჩრდილები დაიკარგა. ხევში ბავშვები ჩამოლაგდნენ და გუბებს შემოუსხდნენ.

— ჰაიტ! თქვე მამაძაღლებო!.. — დასწყვილა პავლემ და უტბად გაჩუმდა. ბავშვები მარტონი არ იყვნენ: მათ ქალაქურად ჩაცმული ოცი-ოცდაერთი წლის გოგონა ჩამოჰყოლოდა. პირველად ვერავენ შეამჩნია გოგონა და ისიც ჩუმად იდგა შორიასლოს.

— რა ვქნა, ე საიდან გაჩნდა? — გაკვირვებით ჩაილაპარაკა პავლემ და პირი დაალო.

— გამარჯობათ, — წყნარი ხმით თქვა გოგონამ. — შეიძლება?

— მობრძანდით! — თქვა გიგიმ და მზისგან გახუნებული პერანგი სწრაფად გადაიცვა.

— ბავშვებმა წამომიყვანეს, — თქვა გოგონამ, — ნახე, რა გაჩვენოთო და...

— ვისი ხარ, გოგო? — ჰკითხა პავლემ.

— ივანე ყარსიმაშვილის სტუმარი ვარ, ბიძია.

— ჰოო. ნათესავი ხარ?

— ბიძაშვილის შვილი ვარ.

— დაიცა, რომელი ბიძაშვილისა, კოლასი ხომ არა, აი, ექიმი რო არის?

— დიახ, დიახ.

— დაიცა, დაიცა, ერთი შენი სახელი გავისხენო!

— ნანა. გახსოვართ?

— როგორ არა, შვილო, ოღონდ ვედარ გიცნობდი, რამოდენა გამხდარხარ, დამშვენებულხარ.

„ო, ეს მართალია!“ — გაიფიქრა გიგიმ.

ნანამ ოდნავ დაიმორცხვა, მერე ისევ დაუბრუნდა გამბედაობა:

— რას აკეთებთ?

„შენლა გვაკლდი!“ — გაიფიქრა ნოდარმა და ოფიციალურად განაცხადა:

— პალეონთოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებთ!

— განაგრძეთ, განაგრძეთ, — სწრაფად თქვა ნანამ. — მე ხელს ვიშლით, არა?

— არა, სრულებითაც არა! — გიგიმ მიწაზე გაზეთი გააფინა და შესთავაზა:

— დაბრძანდით და თუ გაინტერესებთ, გვიყურეთ.

— ძალიან მაინტერესებს.

გიგიმ მოკლედ აუხსნა გათხრების მიზნები და მასალაც გააცნო. ნანა კმაყოფილი იყო, ნოდარი — არა.

— დიდი ხნით ჩამოხვედით? — ჰკითხა გიგიმ.

— ორიოდე კვირით.

— ჩვენ სექტემბრამდე ვიმუშავებთ, — შეატყობინა გიგიმ.

— გიგო! წებო მომაწოდე! — მოესმა ნოდარის ბრძანება და გაბრაზებულმა

უხმოდ მიაწოდა, მერე ისევ ნანას დაუბრუნდა.

— მოგწონთ აქაურობა?

— კი, კარგია.

კაკო მალულად ადევნებდა მათ თვალს და თან მუშაობდა.

— როგორ ცხელა, — თქვა გიგიმ და ხმას დაუწია, — თქვენ არ აპირებთ ტბაზე სიარულს?

— განა შორს არ არის?

— ნახევარი საათის სავალია, სულ არ არის შორს.

— ჰო, მართალია, მაგრამ მარტო სიარული არც ისე სასიამოვნოა, — გულახდილად თქვა ნანამ.

გიგის გულისცემა აუჩქარდა.

— სიამოვნებით წამოვალ. მარტო სიარული არც მე მიყვარს.

— რატომ? — გაუკვირდა ნანას, — თქვენ ხომ ორნი ხართ?

— მე მარტო ვარ! — ბრაზიანად ჩაიბურტყუნა გიგიმ და ნოდარს ალმაცერად გადახედა.

ნანამ თვალი შესწრო, მისვდა და საყვიდურის ნიშნად თავი გააქნია.

— რომ არ გცალიათ? — ჰკითხა გიგის.

— ხვალ მეცლება, ასე პირველი საათისთვის. წავიდეთ?

— ვნახოთ...

„ესე იგი მივდივართ!“ — გაიფიქრა გიგიმ და ნანას გაუღიმა.

— გიგო! — დაუძახა ნოდარმა. — ქალღმერთები დაქერი.

ნანა ადგა.

— მე ნამდვილად ხელს ვიშლით, — მერე ღიმილით დაუმატა: — ნახვამდის.

— ნახვამდის, — დაფიქრებით უთხრა გიგიმ და ქალღმერთების ჭრას შეუღდა.

ნანამ ბავშვები წაიყვანა და წავიდა.

— რა კარგი გოგო დამდგარა, — თქვა პავლემ.

კაკო ისევ გაწითლდა.

დავით ჯავახიშვილი

გიგო

— მე მანცდამინც არ მომეწონა, —
მკეხედ თქვა ნოდარმა.

„რომ იცოდე, როგორ გამახარე“, —
გაიფიქრა გიგიმ და ლილინი დაიწყო...

IV

კვირა დღე იყო. ტბას დიდძალი ხალხი მოწყდომოდა. თბილისიდანაც კი ამოსულიყვნენ მანქანებით, ზოგი ღუშეთის ბაზრობაზე მიმავალი, ზოგი იქიდან დაბრუნებული, ზოგიც საგანგებოდ წამოსული. ტბის ნაპირი მანქანებითა და ხალხით იყო ვაჭედილი.

ნანას და გიგის დიდხანს მოუხდათ ლოდინი, ვიდრე თავისუფალ ნავს იშოვნინდნენ, მაგრამ მხიარულ საუბარში დრომ შეუმჩნევლად გაიზრინა.

— მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვეთ ნავი ჩვენი! — სიცილით თქვა გიგიმ, ნანას ნავში ჩაჯდომისას მიეხმარა, მერე ნიჩბებს მიუჯდა და ყოჩაღად მოუსვა.

მზიანი, უქარო ამინდი იდგა. ტბა წყნარი იყო და მისი ზედაპირი სარკესავით კრიალებდა. სწრაფად შორდებოდნენ ნაპირს.

— მე ცურვა არ ვიცი! — სერიოზულად გააფრთხილა ნანამ.

— მე ვიცი! — უთხრა გიგიმ, მერე ხუმრობით გაიბღინმა და თავმომწონე სახე მიიღო.

ნანამ გაიცინა:

— თქვენ ძალიან მხიარული ხართ, ეგ კარგია.

— გმადლობთ, — ღიმილით უპასუხა გიგიმ.

— ეს იმიტომ ვთქვი, რომ თქვენნი ამხანაგი მომაგონდა რატომღაც. ზედმეტად სერიოზულია.

— ჯერ ერთი, ის ჩემი ამხანაგი არ არის! ის მეცნიერმუშაკია, ჩემი უფროსი, მე კი საწყალი სტუდენტი ვარ, მისი ხელმძღვანელობით გავდივარ პრაქტიკას, რასაც ის არასოდეს იფიწყებს და როცა კი შესაფერ დროს იშოვის, სულ ხაზს უსვამს ამ ამბავს. ეს ერთი! — ნანა ღიმილით უსმენდა. — მეორეც: ასეთ შესანიშნავ ადგილას, ასეთ შესანიშნავ ამინდში და ასეთ შესანიშნავ კომპანიავში, ძალიან გთხოვთ, ნუ მიფუჭებთ გუნე-

ბას! — გიგიმ მკავე გამომეტყველება მიიღო.

ნანას გულიანად გაეცინა:

— თქვენ კარგი მსახიობი იქნებოდით.

— მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ არავისა სჯერა. თქვენს გარდა. დიდად გმადლობთ!

გიგი წამოდგა, თავი მდაბლად დაუქრა და კინაღამ წყალში გადავარდა. ნანას ჯერ შეეშინდა, შეჰკვივლა, მერე სიცილი აუტყდა:

— რომ იცოდეთ, რა სასაცილო იყავით იმ დროს, როცა ნავი აქანავდა!

გიგიც იცინოდა და მისი გულგახსნილი სიცილი ხიბლავდა ნანას.

— ახლა ხუმრობა იქით იყოს და ნახეთ, რა ლამაზია აქაურობა. ჯერ ნაპირებს შეხედეთ: ლერწამი პირდაპირ წყლიდან იზრდება; შიგ გარეული იხვი იმალება...

— რატომ? — იკითხა ნანამ.

— გარეულ იხვს არ უყვარს კვირა.

ნანამ გაიცინა. გიგიმ განაგრძო:

— ლერწმებს იქით ყანებია, ხედავთ?

ახლა ნიავი არ არის, თორემ... თუმცა თქვენც ხომ გინახავთ, რა ლამაზად აბიბინებს ნიავი ყანას?! მერე, ყანების განაპირას, პატარ-პატარა, მძივებოვით გაბნეული სოფლებია. ზემოთ ტყე იწყება, უფრო ზემოთ — ცა, ცაზე მზეა და არც ერთი ღრუბელი.

— არაფერიც. — თქვა ნანამ, — მე ერთ ღრუბელს ვხედავ.

— სად? — გაუკვირდა გიგის.

ნანამ მიუთითა.

— ო! — თქვა გიგიმ და ადგა, — მე ბოდის ვუხდი, რომ ამდენ ხანს ზურგით ვიჯექი მასთან, — და ნანასკენ გადაჯდა.

ნავი უკვე ტბის შუაგულში გასულიყო.

— რა ლამაზი ყვავილებია! — აღტაცებით თქვა ნანამ.

წყალზე მოზრდილი, მრგვალი ფოთლები ტივტივებდნენ. ზოგან ეს ფოთლები პატარ-პატარა კუნძულებოვით ერთად შეგროვილიყვნენ. ზედ ბაყაყები ისხდნენ და ხმამალა ყიყინებდნენ. ნა-

ვის მიახლოებისას ტყაპატყუბით გადა-
ცივიდნენ წყალში. ფოთლებზე აქა-იქ
თეთრი, მაგნოლიის მსგავსი ყვავილები
გადაშლილიყო.

— ეს დუშფარებია, — თქვა გიგიმ, —
ახლავე მოგიწყვეტო...

— არა, არა, — შეაჩერა ნანამ. —
მე არ მიყვარს მოწყვეტილი ყვავილი.

— ო! თქვენ ბევრად ამაღლდით ჩემს
თვალში! — თქვა გიგიმ.

— რატომ? — გაიღიმა ნანამ.

— მე მიყვარს საინტერესო ქალიშვი-
ლები...

— ... და ბევრს იცნობთ ასეთს?

— დღეს, ამ წუთას, გავიცანი ერ-
თადერთი ასეთი გოგონა, — თქვა გიგიმ.

— გმადლობთ, მაგრამ ცოტა არ
იყოს დონ-ქუანის შთაბეჭდილებას ტო-
ვებთ. თქვენ ამას არ გრძნობთ? — ნანა
თითქოს სინანულით იღიმებოდა.

— ვგრძნობ... — გამოტყდა გიგი,
ცოტა ხანს მოიწყინა და ისევ გამზი-
არულდა: — მეტს აღარ ვიტყვი!

ნახას გულიანად გაეცინა.

გიგი ისევ ნიჩბებს მიუჯდა.
— დაებრუნდეთ, თორემ ჩვენი დრო
გადის, — საათს დახედა ნანამ.

გიგიმ ნაპირისკენ მიაბრუნა ნავი. უსი-
ტყვოდ უსვამდა ნიჩბებს, უყურებდა
ნანას და ოცნებობდა.

ნანაც ფიქრებში წავიდა, ოდნავ უკან
გადაწვა და ხელი წყალში ჩაჰყო.

ნავი სწრაფად მისრიალებდა და ნანას
ხელი მზუღილით სჭრიდა წყალს.

ისინი ფეხით ბრუნდებოდნენ უკან.
გზის აქეთ-იქით პურის ყანები უკვე მო-
მკილი იყო. გზაზე სქელ ფენად ეყარა
ბზე და ფეხი რბილად ეფლოობოდა შიგ-
ბზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა
მზეზე.

ნანა და გიგი აუჩქარებლად მიაბი-
ჯებდნენ და საუბრობდნენ. გიგი ხში-
რად იხრებოდა, ბზის ახალ-ახალ ღერებს
იღებდა და წინა კბილებით ღეჭავდა.

სოფლის თავთან გზა ორად იყო-
ფლოდა.

— ხვალამდე, — უთხრა გიგიმ.

ნანამ მხოლოდ გაუღიმა, ორლობე გა-

ირბინა და ვიდრე თვალს მიეფარებოდა,
უკან მოიხედა.

ძაღვები აყეფდნენ.

გზის პირას მჯდომმა დედაცაცებმა
ჯერ ნანას გააყოლეს თვალი, მერე გი-
გის გამოხედეს და ცხვირაბზეკილებ-
მა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს
ერთმანეთს.

V

ნოდარი კმაყოფილი იყო: გათხრების
საქმე კარგად მიდიოდა, უფრო და უფ-
რო ხშირად აწყდებოდნენ კარგად შენა-
ხულსა და საინტერესო ძეგლებს, უფრო
და უფრო ხშირად ისმოდა პავლეს გა-
კვირვებულნი შეძახილები:

— ე რამოტოლა კანჭია, კაცოო!

პავლე ყველაფერს „რამოტოლა
კანჭს“ ეძახდა, თავისქალებს გარდა; ნო-
დარი დამცინავ ღიმილს ვერ იკავებდა
ხოლმე; გიგი აღარ აქცევდა ამას ყუ-
რადლებას, აღარ ეცალა გასაბრაზებ-
ლად: აქ ნანა იყო.

ნანა თითქმის არც ერთ დღეს არ აც-
დენდა, რომ გათხრები არ მოენახულებ-
ბინა. ხანდახან ძეგლების დასუფთავება-
შიც კი ხალისიანად ეხმარებოდა. ნო-
დარი ამითაც კმაყოფილი იყო.

— უშტატო ერთეული მოგვემატა! —
იტყოდა და თვითონვე ხმამაღლა იცი-
ნოდა.

სხვებიც იცინოდნენ. მხოლოდ კაკო
იბღვირებოდა და გაბრაზებით იქნევდა
წერაქვს.

— მე ეს ბევრად უფრო მომწონს,
ვიდრე უცხო ზმნებისა და ნაცვალ-
სახელების ზუთხვა, — თითქოს თავს
იმართლებდა ნანა.

გიგი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს,
როცა ნოდარი თბილისში წავიდოდა. ეს
დღე ახლოვდებოდა: გარშემო განაჯი-
რი მასალის ტევა აღარ იყო; გადადება
აღარ შეიძლებოდა, მანქანა უნდა მოე-
ყვანათ.

ნოდარი რატომღაც არ ჩქარობდა. პი-
რიქით, თითქმის მზის ჩასვლამდე აგრ-
ძელებდნენ მუშაობას და დუშმეთში დაბ-

დავით ჯავახიშვილი
გიგი

რუნებისას ხშირად გზაში უღამდებო-
ლათ.

და ერთ დღეს სრულიად მოულოდნე-
ლად ნოდარმა ხმამაღლა განაცხადა:

— ხვალ ვისვენებთ! ზეგ დილას, აღ-
რე, მანქანით ამოვალ; ყველანი აქ დამ-
ხედით! — მერე დაუმატა, — გიგი აღ-
ბათ არ წამოვა თბილისში.

— ჰო... არა! — რატომღაც დაიბნა
გიგი — მე დავრჩები, — და მალულად
ხანას გადახედა.

ნანას თითქოს არაფერი გაუგია, რო-
მელიღაც პატარა ძვალს დაეინებით და-
უწყყო თვალღერება, მხოლოდ უნებურად
ოდნავ გაწითლდა და ღიმილიც თავის-
თავად აუთამაშდა სახეზე.

ამ დღესაც მზის ჩასვლამდე იმუშა-
ვეს. წასვლისას გიგიმ მოახერხა და ნა-
ნას უჩურჩულა:

— ხვალ დილას სოფლის გარეთ და-
გელოდები.

ნანამ არაფერი უპასუხა.

VI

გზაზე გაბნეული ბზე ისევ ოქროს-
ფრად ბრწყინავდა მზეზე. ისევ უღრუბ-
ლო და წყნარი ამინდი იდგა. მოხნულ
მინდვრებს ინდოურები შესეოდნენ და
მიწაში იქექებოდნენ.

ნანამ და გიგიმ პატარა ბექობი აია-
რეს. შორს ტბის ლაპლაპა ზედაპირი
გამოჩნდა.

— აღარც კი მახსოვს, რას ვაკეთებდი
ხოლმე თავისუფალ დროს, ვიდრე შენ
არ შეგხვდი, — თქვა გიგიმ და ნანას
მხარზე დაადო ხელი.

ცოტა ხანს ასე იარეს. მერე ნანამ
ფრთხილად მოიშორა გიგის ხელი.

— მაინც რას აკეთებდი ხოლმე? —
ჰკითხა ნანამ.

— რა ვიცი! დავეხეტებოდი და ბუ-
ზებს ვყლაპავდი. მარტოობით სული,
მხდებოდა.

— მე კი მგონია, დუშეთში ბევრ
ნაენობს გაიჩენდი და რა თქმა უნდა,
უმეტესად ქალიშვილებს, არა?

— არა, გეფიცები! არავის არ ვიც-
ნობ!

ნანამ გაიცინა.

— არა მჯერა!

— ნუ გჯერა!

ისინი უკვე ტბის ნაპირს მიჰყვებო-
დნენ. ნაპირი უკაცური იყო. მისადგომ-
თან ექვსიოდე ცარიელი ნავი ირწეოდა
წყალზე. ერთში მენავე იწვა და მზეს
ეფიცებოდა. შორს ერთადერთი ნავი
მოჩანდა: ვიღაც თევზაობდა.

— რა კარგია, როცა ხალხი არ
არის, — თქვა გიგიმ.

— ჰო, როგორი სიჩუმეა!

— იბანავებ? — ჰკითხა გიგიმ.

— ცურვა რომ არ ვიცი!

— მერე რა, იქყუშმალავე, — თქვა
გიგიმ და გახდა დაიწყო.

ნანამაც გაიხადა.

გიგი წყალში შევიდა და გასცურა.

— შორს ნუ წახვალ, — დაუყვირა
ნანამ.

— ...თორემ დამეკარგები, — სიმ-
ღერით გააგრძელა გიგიმ და ჩაჰყვინთა,
მერე ამოჰყო თავი და ნაპირისკენ გა-
მოსცურა.

ნანამ ალერსიანად გაუღიმა.

დიდხანს იწვნენ მზეზე და საუბრობ-
დნენ. მერე ადგნენ, ჩაიცვეს და ნავები-
საკენ წავიდნენ.

VII

შუადღისას ქარი ამოვარდა, ტბაზე
ტალღები გაჩნდნენ და შხუილით დაიძ-
რნენ ნაპირისაკენ.

— დავბრუნდეთ, — შეშინდა ნანა.

დუმფარები აქანავდნენ და ერთმა-
ნეთში აიწეწნენ. ბაყაყებმა ლერწმიან
ნაპირს მიამურეს. ლერწამი ათას ხმაზე
შრიალებდა.

— დავბრუნდეთ, — გაიმეორა ნანამ.

გიგიმ ნავი შემოაბრუნა და ნიჩბები
ღონივრად მოუსვა. ნავი უსიამოვნოდ
ირწეოდა ტალღებზე.

— მე მომშივდა, შენ? — ჰკითხა გიგიმ.

ნანამ უარის ნიშნად თავი გააქნია და
სახეზე ზიზღი გამოეხატა. გიგი მიხვდა:

— ცუდად ხომ არ ხარ?

— ცოტათი...

გიგი უფრო აჩქარდა.

მათ ნავს უკან მეორე მოსდევდა: მე-
თევზეც ბრუნდებოდა. ქარი თანდათან

ძლიერდებოდა. ლერწმების უკან, ნაპირზე, მტვერი ავარდა.

— უკეთ ვარ, გადამიარა, — თქვა ნანამ. როცა ნაპირს მიაღწენ.

გიგიმ მსუბუქად ასწია ნანა და ნაპირზე გადასვა.

— წამოდი, ცოტა შევწყარდეთ და კარგად გახლები.

ნანა უხმოდ დაეთანხმა.

— იცი, — თქვა გიგიმ, — რაც შენ გავიცანი, რალაც უცნაურად ვარ. როგორი გრძნობა მაქვს, იცი? ხომ გამოგიცდია მღელვარება გამოცდის წინ?

— როგორ არა.

— აი, ისე ვლელავ, ნეტავი რატომ?

— რა ვიცი, — მხრები აჩჩეჩა ნანამ და გაეღიმა.

— კიდევ იცი, როგორი გრძნობა მაქვს? თითქოს ძალიან კარგი რამ უნდა მოხდეს, აი ახლა, ამ წუთას...

ნანა აღარ იღიმიებოდა.

ტიტეცია რესტორნის ვერანდა თითქმის ცარიელი იყო. ერთადერთი ოფიციანტი სკამზე იჯდა და თვლემდა. ერთ მაგიდასთან მოხუცი გლეხი იჯდა და პატარა ბიჭუნას ლიმონათით უმასპინძლდებოდა.

— აი აქ დაესხდეთ, — თქვა გიგიმ და მოაჯირთან მიმდგარ მაგიდაზე მიუთითა.

ორივენი ისე დასხდნენ, რომ მათ წინ მხოლოდ ტბა მოჩანდა, ქარი სახეში სცემდათ. იატაკქვეშ წყალი ტყლაშუნობდა.

გიგიმ ცივი საუბრე და ერთი ბოთლი „თეთრა“ მოითხოვა. გამოფხიზლებული ოფიციანტი ხალისიანად დატრიალდა.

ქარი ძლიერდებოდა. ნანას თმა გაეწეწა და სახეზე ჩამოეშალა. გიგიმ ხელით გაუსწორა. მერე თავზე გადაუსვა ხელი.

— შენ ძალიან ლამაზი თმა გაქვს.

ნანა ტბას გასცქეროდა: ტალღები მათკენ მოდიოდნენ.

— ასე მგონია, თითქოს ისევ ნავში ვზივარ და მივდივარ წინ, წინ, ვალმა ნაპირისაკენ. შენ?

— შეე? — შეცვლილი ხმით იკითხა გიგიმ, — მე კი მგონია, თითქოს გეშხანზე

ვზივარ, გვერდით კი ლამაზი გოგო მიზის, რომელსაც ძალიან, ძალიან დიდი ხანია ვიცნობ და... რომელიც დიდი ხანია... ძალიან მიყვარს.

გიგი გაჩუმდა. მერე ტბის შორეულ ნაპირს გახედა. ნანამ თავი დახარა და ჩანგალს დაუწყო წვალება.

უხერხული სიჩუმე ოფიციანტმა დაარღვია:

— მეტს არაფერს ინებებთ?

გიგიმ ნანას შეხედა.

— არა, — ჩუმი ხმით თქვა ნანამ.

ოფიციანტი წავიდა. გიგიმ ღვინო დასხა და უსიტყვოდ დალია.

— ჭამე მინც რამე!

— არ მინდა... — თქვა ნანამ.

— ხომ არ... გეწყინა? — ჰკითხა გიგიმ.

— არა, არა... — ჩაიჩურჩულა ნანამ. — მაგრამ...

— რა?! — შეშფოთდა გიგი.

ნანა დუმდა. გიგიმ მეორე ჭიქა დასცალა.

ქარმა უეცრად ისეთი ძალით დაუბერა, ნახევრად დაცლილი ბოთლი წააქცია. ბოთლი ჭიქას დაეცა და გატეხა, თვითონ ბოთლსაც ყელი წაატყდა და ღვინო სუფრაზე დაიღვარა.

— წავიდეთ! — თქვა გიგიმ.

ნანამ თავი დაუქნია და ნაღვლიანად გაუღიმა.

გიგი დაფიქრდა: ნანა რალაც ერთბაშად გამოიცვალა.

აუჩქარებლად გადაიარეს რესტორნიდან ნაპირამდე გადებული ხიდი.

ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

— ნანა, შენ რალაცამ დაგალონა, — ველარ აიტანა დუმილი გიგიმ.

— მართალი ხარ... — თქვა ნანამ.

— რა მოგივიდა?

— მეც არ ვიცი, რა მომივიდა... — მღელვარება უშლიდა ლაპარაკს. — რატომ აგყევი საერთოდ... ან აქ რატომ მოგყევი ხოლმე! არ ვიცი... არაფერი არ ვიცი! ეს ჩემდაუნებურად მოხდა...

დავით ჯავახიშვილი
გიგი

— რატომ არ უნდა წამომყვე? ავი
შენ თვითონ მითხარი, არც ისე ცუდი
ბიჭი ხარო, გახსოვს? — სცადა ხუმრობა
გიგიმ.

— ცუდი კი არა, შენ ძალიან კარგი
ბიჭი ხარ... მართლა!.. მაგრამ...

— რა?!

— შე სხვა მიყვარს!.. უკვე დიდი ხა-
ნია...

გიგის არც გაკვირვებია ეს, მხოლოდ
ღრმად, ძალიან ღრმად, გულში რაღაც
ჩაწყდა; მერე მღელვარება ყელში მოა-
წვა...

— რას იზამ, — მშვიდად თქვა მან. —
ხდება ხოლმე.

— ის ახლა მთაშია... პამირზე, — გა-
ნაგრძო ნანამ, — მე ძალიან ვღელავ,
როცა მასზე ვფიქრობ! იქ საშიშია!

— ნუ ფიქრობ, — წყნარად თქვა გი-
გიმ. — დაბრუნდება!.. — მერე სწრაფად
დაუმატა: — აუცილებლად დაბრუნდე-
ბა! არ შეიძლება, არ დაბრუნდეს!

ნანამ ნაღვლიანად გაიღიმა:

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ, გიგი,
და...

— არ არის საქირო! — გააწყვეტინა
გიგიმ და ნაძალადევად გაიღიმა, —
კარგ ღროს შემაჩერე, ისე რომ...

ისინი შუაგზაში იდგნენ და ერთმა-
ნეთს არ უყურებდნენ. გიგი სადღაც
შორს იყურებოდა; ნანას თავი დაეხარა.

ცოტახნის მერე გიგიმ თვალი შეავ-
ლო ნანას და გაბზარული ხმითა თქვა:

— წავიდეთ, ქარი ძლიერდება.

ერთხანს კიდევ იდგნენ, მერე ერთად
დაიძრნენ და უხმოდ გაჰყვნენ გზას ნა-
პირის გასწვრივ. ქარი ხვეტდა მტვერს
და მათ სახეში აყრიდა.

VIII

მეორე დღეს ნოდარი უმანქანოდ ამო-
ბრუნდა თბილისიდან:

— მანქანას ხვალ გამოგვიგზავნიან,
დღეს ვიმუშაოთ.

შუაღღამდე ახალი უბანი გათხარეს
პავლემ და კაკომ, აქაც საკმაოდ აღმო-

ჩნდა ძვლები და ყველას ბევრი სამუ-
შაო გამოუჩნდა.

ნოდარი კარგ გუნებაზე იყო, მთელი
დღე აღარ მოასვენა გიგი, ხან ერთ
ძვალს სჩრიდა ხელში, ხან მეორეს და
გაუთავებლად ლაპარაკობდა.

გიგის რაღაც გაურკვეველი გრძნობა
არ აძლევდა მოსვენებას და შუადღისას
მიხვდა მხოლოდ, რომ შეუგნებლად ნა-
ნას ელოდა.

ნანა არ მოვიდა.

დღეს ყველაფერი უჩვეულო იყო:
პავლე და კაკოც კი რატომღაც ჩუმად
მუშაობდნენ, ნოდარი გაუთავებლად
ლაპარაკობდა, ბაყაყებსაც აურზაური
აეტეხნათ მღვრიე გუბეში...

— ე რამოტოლა კანჭი ამოვიდა, და-
ხე ერთი! — თქვა პავლემ და მოზრდი-
ლი ძვალი ხელში კომბალივით შეათა-
მაშა.

— ნელა! არ გატეხო! — შეჰყვირა
ნოდარმა და ძვალი სათუთად გამოარ-
თვა. — ნახე, გიგი, რა მშვენიერად შე-
ნახულა წვივის ძვალი! — აღტაცებით
მიმართა გიგის, — ეს მგონი სწორედ იმ
მარტორქისაა, რომელიც მე ჯერ არ
შემხვედრია.

გიგი ფიქრებიდან გამოერკვა, უაზ-
როდ შეავლო თვალი ძვალს და არაფე-
რი უპასუხა.

— აბა, — განაგრძო ნოდარმა, —
ზურგჩანთა მომაწოდე! ეს თან უნდა წა-
ვიღო, აქ არ დაგვეკარგოს!

გიგიმ ზურგჩანთა აიღო, მიაწოდა
და... უეცრად ბრაზი მოერიო, ძლივს
შეიკავა თავი, რომ არ ეყვირა, ან არ
გაქცეულიყო და უკან არასდროს აღარ
დაბრუნებულყო. მერე ცოტა დამშვიდ-
და და ამღვრეული თვალები მოავლო
იქაურობას: პავლე ძველებური ხალი-
სით იქნევდა წერაქვს, კაკო ამობრუნე-
ბულ ლოდებს განზე ჰყრიდა, ნოდარი
ახალ ძვალს ჩაჰკირკიტებდა... გათხრე-
ბი გრძელდებოდა.

გიგი სულ დამშვიდდა, ხელებზე დაი-
ფურთხა და წერაქვს დასწვდა.



გაჩივრებული ჟანრები

ფიქციური კასტროს დაბრუნება მეხსიერებაში

ისმობდა ჩემი — „იჩქარე, ბიჭო“...
ბაძავდა ტალღა გულეების ფეთქებას.
კლდეს მიენარცხა ბარკასის კიჩო,
კლდეს მიენარცხა და წამით შედგა.

შრებოდა ბრძენი ერნესტოს ბაღე
მთვარის მკრთალ შუქზე, შრებოდა ნელა.
მიპქონდა ზღვაურს ჩურჩული მათი.
გაღმა, გამოღმა ეძინა ყველას.

ეძინა ქოხში მეთევზის გოგოს,
გრილ სოხანეზე ეფინა პალმა,
ძილში ნებივრად წუწნიდა ქოქოსს
და ღამაზ კაბებს ირჩევდა ალბათ.

და ისევ ჩემი — „იჩქარე, ბიჭო“...
ცა ყურს უგდებდა ტალღების ფანცქალს.
კლდეს ეხლებოდა ბარკასის კიჩო,
ბნელში კვლავ თვლემდა მეთევზის ფაცხა.

ყველა ტკივილი უეცრად მორჩა:
იდგა ფიქციური დაქანცულ „გრამზე“...
და მეზადურის უმოგარ ქოხში
უცებ ბრიალით აენთო ცხრა მზე!

ის ჩაისახა მათ სადიდებლად
და აღმოცენდა ნედლი ლერწმიდან,
კაგს მიჩვეული გრძელი თითებით
მშობლისთვის ცრემლი რომ მოეწმინდა...

ქარი კოცნიდა,
არხევდა,
ხრიდა
წვეროსან ბიჭებს დაღალულ „გრამზე“¹.
და მანსანილოს კლდეების მხრიდან
ამოდიოდა კუბაში ცხრა მზე...



¹ გრამი — ნაეი, რომლითაც კასტრო და მისი მეგობრები მექსიკიდან სამშობლოში დაბრუნდნენ.

გიორგი შუთაია

ი ო რ ს

ქარს მგლის მუხლებით დაედევნები,
სიზმრად კი არა, მზეში და ცხადად,
შენი ზვირთები, როგორც მტევნები
დაიწურება სიონში ზღვადა...

გადაგშორდება ჭიუხის ნისლი
და გაიშლება მწვანე მოლივით,
მერე მდინარედ იქცევი ისევ
და ზღვას მიუხვალ ზღვაგამოვლილი...

ორავლივით არხებს გაპყვები
და ყინულივით გული გალღვება, —
რომ ეგ ჯიუტი ლურჯი ტალღები
გეძებენ ჯეჯილის მწვანე ტალღებად.

რომ ყველგან ბელტი სიმივით შესძრა
და მორწყო მიწა ხახვამშრალი,
და როგორც შრომის, დიდების ძეგლი
გაგინათდება მკერდზე კაშხალი.

და მალე სხივად დაფქული წყალი,
შუქის მდინარე შინა და გარეთ,
იელვებ, როგორც ხევსურის ხმალი,
რომელმაც მოჰკლა სიონის ღამე.

და მთის მდინარე, ტალღა უღვევი,
გააჩენ ახალ სიცოცხლის კერას,
და ჩვენი გამრჯე ხელის გულები
ძირს გაგეშლება ვეება ფსკერად...



ზუკაბ კახიანიძე

მითხარ, დედილო!..

როდესაც კლასში
სულ პირველად კრძალვით შეხვედი —
იყავ ტანწვრილი
ქალიშვილი გიშრისთმიანი...
დღეს უკანასკნელ
გაკვეთილზე მიდიხარ, დედი,
და თეთრ კულულებს
სააღერსოდ გირხევს ნიაგი.

უკანასკნელად
დამცხრალ კლასის წინაშე დგები,
ცარცს აღარ იღებ,
აღარ სინჯავ ცისფერ რვეულებს...
დაუქეციათ
ხუთიანებს ყირმიზი ფრთები —
წიწილებივით
რვეულებში მიმოზნეულებს.

მითხარ, დედილო,
გული ხომ არ გეთანაღრება,
ეჰ, ცხოვრებაში
გაგივლია ბევრი გზაწვრილი...
სკოლის მერხიდან
სადაც წავლენ, გზად თან წაჰყვებათ
მათზე აღერსით
დაფერფლილი გულის ნაწილი.

დღეს დაგიშვია,
დაგიკეცავს წყნარად აფრები,
ნიაფი გტაცებს
მოკრძალებულ სიცალს წლებზეთ...
და რვეულებში
გაფანტულან ხუთიანებში
კრუხდაკარგული
ვარდისფერი წიწილებივით.



მოთარ კუკიაძე

მამ გუმარჯოს!..

გულს არ ეღებო სიბერის ნისლი,
გულს არ ეღებო ჭაბუკის სისხლი,
განუწყვეტელი გუგუნი მისი
არის გუგუნი მაისის ზეცის,
არის ჭიკჭიკი პირველი მერცხლის,
არის ბრწყინვა და წკრიალი ვერცხლის,
არის ბუბუნი პირველი ცეცხლის,
რომელიც ცათა სინათლეს ერწყმის.

აღარ ივიწყებს გული ძველ მაცრულს,
სიბერის ნისლში აღარ ეფლობა...
მამ გუმარჯოს მუდმივ გაზაფხულს
და კაცის გულის უბერებლობას!



სუნახან აბუღაძე

სამი ლექსი



ზამთრის დღეებმა სად არ მათრია,
ჩიტი ვიყავი ბუდეყრილი.
ახლა მტირალა მზე და მარტია,
ბუხარს დაანთებს მალე აპრილი.

მზე ძირს ჩამოდის, ეს მზე ცხრათვალა,
ქარიც აღარ ქრის ცივი, ვერაგი...
ღობეს შემორჩა თოვლი პატარა —
ერთი პატარა ბიჭის პერანგი.



ცის თავანზე ავიდა ფიქრი ჩემი უბელო,
წყალი ჩემი რიონის საით მიგაქვს, ღრუბელო.

არსად არ დამეკარგო ქართა აურ-ზაურში,
შენი ოქროს წვიმები ჩემს ყანაში დაუშვი.

მთებზე ნისლის მთა რომ დგას, ქარმა გადაუბეროს,
შენ ნუ მეტყვი საყვედურს, საყვარელო ღრუბელო.



ასე როგორ შეიცვალე, ჩემი სიყრმის ტკბილო დეღევე,
შენ იყავი ლერწმის ყელი, პირველად რომ ამამღერე.

მითხარ, შენი ვარსკვლავები ასე როგორ ჩაქრა ყველა,
შენს უბეს რომ გადასცილდა, მაშინ გატყდა
ცისარტყელა.



ნაიკა ნიჟარაძე



ცა იყურება ღურჯი თვალებით,
მზე იხედება ცისფერ ბურანში...
დღეს უსათუოდ გავიპარები,
ისევ ჩავიბრუნე ხევისუბანში...

ამ ბალახების ცვარი მწყურია,
მე მუდამ მათთან ვიქნები ახლო,
ნაძვის ხეებში მიმალულია,
ნატა გაჩნადის მაღალი სახლი.

მაღალი მთების სიმღერა ისმის,
ამ სილამაზით ვიწვი და ვთვრები,
ალაზანს ფარავს რძისფერი ნისლი,
გაშლილ ფერდობებს სერავენ ზვრები.

დღეს უსათუოდ გავიპარები
და ჩამოვიბრუნე ხევისუბანში...
ცა იყურება ღურჯი თვალებით,
მზე იხედება ცისფერ ბურანში.





სიღოვან ნაკიბანიძე

ვინ ჰგალობს ღამით?..

ვინ ჰგალობს ღამით,
 სივრცეებიდან ვინ მიგზავნის უსაზღვრო ნუბეშს,
 ჩემი სიზმრების ვრცელ უდაბნოში
 ვინ იწყებს სტვენას განთიადისას?..

ვინ აღებს სარკმელს სიბნელეში,
 ჩემს სასთუმალთან ვინ ჯდება კრძალვით?

ვინ მიხმობს გარეთ
 ჩემი ბავშვობის ბილიკებით,
 იქით,
 საითაც,
 მთვარის ნათელი დაჰფენია ჩაძინებულ ხევს?

ვინ არის იგი,
 ვინც ანთებს კოცონს შორს მწვერვალებზე,
 როცა ბილიკებს ამირევს წუთი?..

შურისძიებას ვინ მავიწყებს,
 ან ვინ აქარწყლებს ჩემი ცხოვრების
 უღიმღამო და უფერულ დღეებს...

ვინ არის იგი,
 ასე უსაზღვროდ
 ვინ ჰგალობს ჩემში?..



ხაშურის მზე

მსპიზი

1944 წლის ივლისია. კარპატების რომელიღაც შტოსთან გადის ჩვენი თავდაცვის ხაზი. გახურებული მკის დროა, ჩვენი სანგრებსა და ძელმინწურებში ვსხედვართ იარაღასხმულნი. მკის დრო კია, მაგრამ ჩვენზე ადრე თვითონ სიკვდილს აუღია ცელი და ნამგალი, კომბაინებად კი თვითმავალი ზარბაზნები და კოშკურა ტანკები გამოუყვანია.

ტელეფონზე მორიგეობას მოვრჩი. მეგონა, ძილს ვედირსებოდი და სიზმარში მაინც ვიხილავდი თავთუხის თაველებით გადაყვითლებულ ალაზნის ველს ან იმ რუმინულ სოფელს, სამოციოდე კილომეტრით რომ არის ჩვენგან დაშორებული და სახელად იცკანს უხმობენ. რა მშობლიურად ჟღერს ეს უბრალო სიტყვა. განა კახეთში კი ცოტა სოფლებია, რომელთაც მსგავსი სახელები ჰქვიათ: მელაანი, ტიბაანი, გურჯაანი, ჯუგაანი! აბა, რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

ჰო, მეგონა წავიდოდი და თვალის მოსატყუებლად სადმე თავს მივდებდი, მაგრამ წამოდგომაც ვერ მოვასწარი, რომ ათმეთაურმა მისკინმა მიზრძანა: ორმოციოდე მეტრი კახელია საჭირო, უნდა სასწრაფოდ იშოვნო როგორმეო. ბრძანება ბრძანება! — გზას გავუდექი.

ვიდრე თემშარაზე გავიდოდი, ერთ ფარდალალა სახლთან შეჩერდი. ჩალეწილ ფანჯრიდან შავი კატა გადმოხტა და ლასლასით ანწლებს შეერია. ცოდევა გამქლავებული სჯობია, ცოტა ფერი მეცვალა...

სამსაფეხურიან კიბის ძირას გერმანელი ჯარისკაცის სამხრეები ეყარა. იქვე კიდებჩაჭყლებილი ლითონის კოჭაკი ევდო. ზედ ნახევრამდე დახვეული კაბელი შევნიშნე. გამეხარდა, თავისუფლად ამოვისუნთქე, დავტაცე ხელი და ათმეთაურთან გავჩნდი. კოროშაშუბლიანმა მისკინმა მადლობის ნიშნად ნიჩაბივით ბრტყელი ხელი მხარზე დამარტყა, მერე თვალით მანიშნა: წადი, მოსივენეო...

ძილგაფრთხობილს აბა რალა დამაძინებდა, უქმად წოლას უქმად ხეტიალი ვარჩიე. უცხად წიწილების წივწივი შემომესმა. გამიკვირდა, მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ წიწილები ვერსად დავინახე. ვიფიქრე, უძილობის ბრალა-მეთქი და გზა განვაგრძე...

ერთ-ერთ შუკაში ჭურვისსაგან ამოთხრილი ხე გაშხლართულიყო. ვაფარჩხულ ფესვებს ჯერ კიდევ შერჩენოდათ სინედლე. ხეს ორად ორი მსხვილი ტოტილა ჰქონდა დაუმსხვრეველი და მიწაზე იდაყვებივით დაეყრდნო. წიწილების წივწივი ახლა უკვე გარკვეულად მომესმა. მალე კრუხის კრიახსაც მოვკარი ყურით. დავიჩოქე, — ხის ქვეშ დაედოთ ბინა.

შორიახლოს შავი კატა ჩაცუცქებულყო, სწორედ ის შავი კატა, რომელიც წიდან ჩალეწილ ფანჯრიდან გადმოხტა და ლასლასით ანწლებს შეერია. ნახტომისათვის ემზადებოდა, მაგრამ, როგორც შეგატყვე, ძალა აღარ ჰყოფნიდა ფერდებჩაცვენილს. სამაგეროდ კრუხმა იყოჩაღა, ფრთებაფოფრილი გამოუვარდა ხის

ქვემოდან, ეძვერა და რამდენჯერმე ისე მწვავედ ჩაუნისკარტა ჩაყვითლებულ თვალეში, რომ ყვავის ბახალასავით ააჩხავლა.

ვიფიქრე, აქ ვინმე უნდა ცხოვრობდეს-მეთქი. გადავალაჯე ჩაწინილ ღობეს, შევედი ეზოში, ფარღალალა სახლიც მივათვალ-მოვათვალიერე, აღამიანის ქაქანება არსად იყო. უკვე მესამე კვირა ილეოდა, სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი არც ქალი, არც კაცი თვალით არ მინახა.

ერთხელ კიდევ დავხედე კრუხ-წიწილესს, ჯიბეში ჩარჩინილი პურის ნამცეცები დაეუყარე და აკვიატებულმა სურვილმა სხვა ეზოებიც შემომატარა, სხვა სახლებიც დამათვალეირებინა, მაგრამ ამაოდ...

ბოლოს, იცქიანისკენ მიმავალ გზაზე გავედი. გზა ტელეგრაფის თეთრგორგოლაქა ბოქმბიანად სადღაც დაბლობში იკარგებოდა, მერე ისევე მაღლდებოდა და მოლივლივე ჰორიზონტს ვერცხლნარეც თასმასავით უერთდებოდა.

შვის ჩასვლას ბევრი აღარაფერი აკლდა. იქ, საღაც მაღლობი იწყებოდა, აშკარად დავინახე თეთრხილაბანდიანი ქალები, რომლებიც ოქროსფერ ძნებს ათეულებად დგამდნენ გზის გასწვრივ. მაგრამ აი საოცრება! — როგორც კი გავჩერდი, მოჩვენებასავით გაქრა ყველაფერი. ჩამავალ შვის შუქზე მხოლოდ ტელეგრაფის თეთრი გორგოლაქები ელავდნენ, რის ხილაბანდები, რა ხილაბანდები.

გადავწყვიტე, უკან დავბრუნებულეიყავი, მაგრამ ჩემდაუნებურად მაინც დაღმა დავყვი ტელეგრაფის ჩამწკრივებულ ბოქმებს. თითქოს ალაზნის ველს ვუახლოვდებოდი, — გული გამეხსნა, ნაბიჯს ავუჩქარე, მინდოდა ვინმეს გამოვლაპარაკებოდი. გზადაგზა ერთ ამოჩემებულ სიტყვას ვიმეორებდი: „ბინიტანგასიტ“, „ბინიტანგასიტ“, რაც რუმინულად სალამს ნიშნავს. აი, მე უკვე დაბლობი ჩა-

ვათავე და საღაც არის, აღმართსაც მაღლა მოვიქცევი. მაგრამ ეს რა მემართება, ნუთუ მართლა მოჩვენება იყო?! ნამჯეზის გარდა არაფერია იმ ადგილას. გულდაწყვეტილი უკან ვბრუნდები.

ვიდრე გზის მოსახვევამდე მივიდოდი, მზე უკვე მთებს ამოეფარა. ჰორიზონტმა ახლა დაისის შუქში დაიწყო ლივლივი. დაიწყო და, აი საოცრება, ერთხელ კიდევ გამოანათეს იმ თეთრხილაბანდიანმა ქალებმა. თვალეში დავხედე და ტელეგრაფის ბოძს მივაყრდნე გახურებული შუბლი. გაბმული ბუბუნი გავიგონე და თითქოს ამ ბუბუნში ბუნდოვანი სიტყვები და ხანგამოშვებული კისკისიც გავარჩიე.

როდესაც თვალეში გავახილე, ჰორიზონტს უკვე ბინდი დაუფლებოდა და მხოლოდ ფაიფურის თეთრი გორგოლაქები ანათებდნენ აქა-იქ მკრთალად. ისინი ძალიან ჰგავდნენ ხილაბანდის განასკვეულ ბოლოებს... ტელეგრაფის ბოძი უფრო აბუბუნდა. მერე სხვა ბოქმბამც მისცეს ბანი და ისეთი გუგუნე ატყდა, მეგონა გული გამისკდებოდა, მაგრამ ამას რად ვამბობ, ის გუგუნე ხომ სიცოცხლის დიდი სიმღერა იყო, რომელიც სიკვდილს უკვდავებაში ედავებოდა...

ეს ამბავი ჩემს ათმეთაურს რომ ვუამბე, კარპატის მთები უკვე გადალახული გექონდა. მან ბევრი იცინა: მაგნიარი ამბავი ერთხელ მეც დამემართაო. ბოლოს, სიცილითვე მითხრა: ასე იციან, ჩემო კარგო, ფაიფურის თეთრმა იზოლატორებმა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცის დასალიერს სიარულში გართული გაპყურებო...

მე კი სულაც არ მეცინებოდა, რადგან ის, რაც მე გადამხდა, ჩემთვის მთელი სულიერი ცხოვრება იყო, ჯარისკაცის მშეირი თვალით დანახული. კარპატების გადალახვაში ალბათ მასაც მიუძღოდა მცირეოდენი წვლილი...

შალვა ამისულაშვილი
ჩამავალ მზეზე





ქრონიკული ხანაწერი

ბერმანიანი

ყვეები პირველად ქალაქ ბელი-ფელში მიგვიყვანეს. იმ ქალაქს „შაში ლაგერი“ დავარქვით და სულ ასე ვახსენებდით, რადგან ბანაკში შესვლის-თანავე სრულიად უმიზეზოდ დაგვე-რივნენ და სულ ხმლის ყუებით გვცე-მეს. იქნებ უნდოდათ, არ დაგვეწყებო-და, რომ უუფლებო ტყვეები ვიყავით.

ბელიფელდიდან სულ მალე ქალაქ ციპენგაინში წაგვიყვანეს. იქ სამხედ-რო ტყვეთა ერთ-ერთი ცენტრალუ-რი ბანაკი იყო. ტყვეებს ამ ცენტრა-ლური ბანაკიდან ახლომახლო ქალაქებ-სა და სოფლებში აგზავნიდნენ. ამისთა-ნა ცენტრალური ბანაკები გერმანიაში უამრავი იყო.

რაკი გერმანიის მიწაზე დავადგით ფეხი, ყოველ ქალაქში გვბანდნენ და გვასუფთავებდნენ. ფრანგი და სხვა ეროვნების ტყვეები გვეუბნებოდნენ: ჩვენც ამ დღეში ვართო.

გამოაცხადებდნენ თუ არა, მოემზა-დეთ აბანოში წასასვლელადო, რეზინის ჯოხებიც მზად ჰქონდათ. ვისაც სიარუ-ლი არ შეეძლო, ან იქვე კვდებოდა რე-ზინის ჯოხქვეშ, ანდა მერე, აბანოში.

ციპენგაინის ცენტრალურ ბანაკში გაუთავებელი დაბანვით სულ ტყავი გა-გვადრეს. თუ უკრაინაში დაუბანლობა იყო წამება, გერმანიაში დაბანვა გა-დაიქცა სატანჯველად. არავინ იფიქ-როს, რომ თითქოს გვიფრთხილდებო-დნენ. გერმანელებს ეშინოდათ, რაიმე ავადმყოფობა არ გაგვევრცელებინა და დასახვრეტად გამზადებულ ტყვეებსაც კი ბანდნენ. ყველა აბანოში კედელზე ეხატა ვეებერთელა ტილი, ალბათ, რო-გორც სიმბოლო ჰიგიენისა და ამ პარა-ზიტთან ბრძოლისა.

ისე ცოტა საქმელს გვაძლევდნენ, ბუზებივით იხოცებოდნენ განბანილ-ვასუფთავებული ტყვეები. რასაც გვაძ-ლევდნენ, ისიც უმარილო იყო. ყოვე-ლი კერძის მიღების დროს ვნატრობდი ჩემს „ცისფერ მარილს“ და არც ერთ-ხელ არ მომნატრებია არც ქართული და არც „ფრანგული პოეზიის ანთოლო-გია“.

ჩვენს ახლოს ფრანგი სამხედრო ტყვეების ბანაკი იყო. ჩვენ და ისინი სადილს ერთ სამზარეულოდან ვღებუ-ლობდით, მაგრამ იმათ ჩვენზე უკეთეს

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4, 5.

კერძს აძლევდნენ. ერთ დღეს ფრანგებს ახლოს შევხვდი.

პირველად ფრანგებმა მიიღეს სადღილი. ვეება კასრები, რომლებიც ორ-ორ ტყვეს საკაცებზე მოჰქონდა, მიწაზე დადგეს. მოაღწია ჩვენმა რიგმა. გავემართეთ საშხარეულოსაკენ. ფრანგები არ ჩქარობდნენ ბანაკში დაბრუნებას, სიგარებს აბოლებდნენ და გვათვლიერებდნენ.

ერთმა ფრანგმა ერთ ქართველს ჰკითხა: Vous êtes mahométan? ¹

ქართველმა ვერ გაიგო ფრანგის შეკითხვა და მე შემომხედა. ქართველიამეთქი, ვუბასუხე.

თქვენც მაჰმადიანი ხართ? — ახლა მე მომმართა იმავე ფრანგმა. მეც ქართველი ვარ-მეთქი. არაო, მითხრა ფრანგმა, მე სარწმუნოებას გეკითხებითო. მაჰმადიანი ხართ თუ ქრისტიანი, წერაკითხვა თუ იცითო. იმ ფრანგს საკმაოდ გრძელი ენა ჰქონდა, ამხანაგებს ექაქანებოდა: ესენი ყველანი აზიელები, მაჰმადიანები არიან, ვერ წარმომიდგენია განათლებული აზიელი, რუსებს მაინც არა უშავთ რაო. მე გული მომივიდა და დაცინვით ვუბასუხე:

— მე, დიახ, ვიცი ცოტაოდენი წერაკითხვა, მაგრამ Monsieur. თქვენ? თქვენ თუ იცით წერაკითხვა?

მას თითქოს არც კი სწყენია, ამხანაგებს მიუბრუნდა:

— გესმით რას მეუბნება? — და მერე ირონიულად მიპასუხა:

— ვწერ და ვკითხულობ გაქირვებით.

— საქართველო გავიგონიათ?

— გამიგონია.

— სად არის, თუ იცით?

— აზიაში, — ისე მიპასუხა, რომ იგულისხმებოდა, რაც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყოს, მაინც აზიაო.

— თქვენ ქართველი ხართ? — ჩაერია ჩვენს ლაპარაკში მეორე ფრანგი.

— დიახ.

— საქართველო ულამაზესი ხალხის უმშვენიერესი მხარეა.

მე ისევ ჩემს პირველ ფრანგს მივუბრუნდი: როდესაც სხვები წარმართები და ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ, საქართველოში ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდნენ-მეთქი.

— კი მაგრამ, ახლა რატომ უარყოფენ თქვენში ქრისტიანობას?

— ვისაც სურს, არ უარყოფს, ვისაც არ სჭირდება — უარყოფს. განა ახლა თქვენ, ფრანგები ქრისტეს ჰკუთნათ ცხოვრობთ? — მივახალე საკმაოდ მკვახელ. ჩემმა მოკამათე ფრანგმა გაიღიმა და გაჩუმდა.

ფრანგების ცხელი კერძი გამომწვევად იდგა ჩვენს თვალწინ. კერძის ზედაპირზე თევზებივით დაცურავდნენ ყვითელი ქონის ნაჭრები. მაშინ ერთი თეფში ბრინჯის ფაფა იესო ქრისტესაც მერჩია და იმ ფრანგთან საუბარსაც, ვიცოდი, ბიჭებს სული მისდიოდათ, მაგრამ არც ერთს არ გამოუხატავს შიშინილი და ისე იდგნენ, თითქოს ახალი დანაყრბულები იყვნენ.

დაახლოებით, ხან ასი და ხან ორასი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი თითქმის ყოველდღე იგზავნებოდა სამუშაოდ ციპენგაინის ცენტრალური ბანაკიდან გერმანიის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში. მოგვებურდა ერთ ადგილზე ყოფნა, არ ვიცოდით თუ სად, რომელ ქალაქში მოვხვდებოდით, როგორი პირობები გვექნებოდა ცხოვრებისა, მაგრამ მაინც გვიწოდოდა ციპენგაინიდან წასვლა. სულ ნისლიანი დღეები იდგა და ყველაფერზე მეტად მზე მენატრებოდა.

ციპენგაინის ცენტრალურ ბანაკში რამდენიმე კორპუსი იყო, თვითეულ კორპუსს თავისი უფროსი განაგებდა და მთელ ბანაკს კი ერთი კომენდანტი ჰყავდა. რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ერთ კორპუსში ცხოვრობდნენ. ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლები ერთად ვიყავით. ოფიცრები ცალკე გაჰყავდათ ამა თუ იმ ქალაქში გასაგზავნად და რიგობი გიორგი ქავთარაძე

ჯარისკაცის ჩანაწერები

¹ თქვენც მაჰმადიანი ხართ? (ფრანგ.)

ჯარისკაცები — ცალკე. მე ოფიცერი ვიყავი. მაგრამ ტყვედ ჩავარდნისთანავე, როგორც ამ წიგნის დასაწყისში ვთქვი, სანიტარ-ინსტრუქტორად ვავასაღე თავი და ეს ტიტული ბოლომდის შევინარჩუნე. მაინცაღამაინც არც გერმანელები იძიებდნენ, თუ ვინ რა იყო საბჭოთა არმიაში, ოფიცერი თუ რიგითი ჯარისკაცი, ოღონდ ებრაელი ან კომისარი არ ყოფილიყო. ბოლოს ყველა ტყვე ერთმანეთს დაემსგავსა, ძნელი გამოსარკვევიც იყო და ისინი ჩვენს პირად განცხადებას უჯერებდნენ, რადგან მუშახელი უფრო სჭირდებოდათ, ვიდრე ოფიცრები.

ერთ ტყვე რუსს, რომელმაც გერმანული ენა იცოდა, გერმანულთა აღმინისტრაცია ტყვეების განაწილებაში იყენებდა. ქართველებმა, რომლებსაც ერთად მოხვედრა გვინდოდა, ვთხოვეთ ამ რუსს დაგვხმარებოდა. უარი არ უთქვამს. ამ ახალგაზრდას ზედმეტი დატვირთვის გარდა არავითარი სარგებლობა არა ჰქონდა ფაშისტებისაგან. ხანდახან სამზარეულოდან მონარჩენ კერძს აძლევდნენ და იმასაც ჩვენ გვიანწილებდა.

დადგა ჩვენი განაწილების დღეც. გიორგი ლალუაშვილი, გიორგი გოგინაშვილი, კომანდო სირაძე, თბილისელი სერგო ხიჩინოვი და მე ერთად მოვხვდით. ძალიან გაკვივართა.

ჩვენი ჯგუფი 60 კაცისაგან შედგებოდა. გერმანელებმა გამგზავრების წინ, გარდა მათ მიერ მოცემული ტანისამოსისა, თითქმის ყველაფერი ჩამოგვართვეს. ქვაბუნა, მათარა და კოვზიც კი არ დაგვიტოვეს. დანაზე, სამართებელზე და ასეთ ნივთებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო.

წყლის ჭურჭლის ჩამორთმევამ წელი მოგვეწყვიტა. წყურვილის გვეშინოდა, ზოგიერთებმა გამოვნახეთ გამოსავალი. ამოვიღეთ რაღაც დამტკრეული ჭურჭლები ნაგვის ყუთებიდან და ჩვენი ჭურჭლის ნაცვლად ჩავაბარეთ.

ჩემი ქვაბუნა ხალათის ქამარზე შევიბი და მაზარით დავმალე. ვიღაც გერმანელი ოფიცერი პირდაპირ ჩემსკენ

წამოვიდა. ვიფიქრე: ალბათ, ქამარზე შემბმული ქვაბუნა შემამჩნია-მეთქი. მეშინოდა, ჯგუფიდან არ გამოვეგდე და ამხანაგებს არ დავეშორებინე, თორემ უსაგზლობასა და ქვაბუნას დაკარგვას არ დავეძებდი. ასეთ დამნაშავე ტყვეს აღარც სხვა ჯგუფში მიიღებდნენ და ავადმყოფებთან ერთად „ღუშეგუბკით“ გაასეირნებდნენ.

დაბნეული ვიდექი. იგი მოვიდა, ხელი მომიკიდა, მწკრივიდან გამოიყვანა, ჩვენს წასაყვანად მოსულ ახალგაზრდა გერმანელ ეფრეიტორთან წარმადგინა და უბრძანა: აი, ამან გერმანული იცის (მაშინ ახალი ადგმული მქონდა ენა გერმანულში), დაიხმარეთ.

არ ვიცი, საიდან მიცნობდა.

ჩვენს წასაყვანად მოსული გერმანელი ეფრეიტორი ნამდვილ ტურას ჰგავდა. უშნოდ იყო გამხდარი, ჯუჯა ტანისა, ისრიმისფერი თვალები ბაყაყით ჰქონდა გამოკუხული, ბოროტად მოკუხულ პირს მხოლოდ ავი სიტყვის სათქმელად თუ გახსნიდა. თან ახლდა დიდი ძაღლი, ათას ხატზე შემძლია დავიფიცო, ძაღლი პატრონზე სიმბათიური იყო.

გავედით თუ არა ბანაკიდან, ჯერ ძაღლი ხმა არ ამოიღო და ძაღლის პატრონმა უკვე ყეფა დაიწყო.

ეფრეიტორი გერმანული ენის უცოდინარ ტყვეებს უყვიროდა, მათს დანახვას ვერ იტანდა, ეუბნებოდა: — რას გაჩუმებულხართ პირუტყვებივით, ხმა ამოიღეთ, რატომ არ იცით გერმანული ენაო. იმისთანა სულელი ჯერ არ შემხედრია ამ ქვეყანაზე. არც თვითონ იცოდა სხვა ენა, გარდა მშობლიურისა, თავის სახელსა და გვარსაც კი ვერ წერდა შეუცდომლად. ძალიან გაჯავრდა იმის გამო, რომ თავიდანვე გერმანული ენა არ შევისწავლე. რად გინდოდა ფრანგული ენა, ფრანგები ზანგები არიანო.

დასუსტებულ ტყვეს აიძულებდა ფეხზე მდგარიყო, ხან სმენაზე დააყენებდა, ავარჯიშებდა, ახტუნებდა, ეუბნებოდა: თქვენ გერმანიაში ხართ, დიდ გერმანიაში და ხეებსაც თაყვანი უნდა

სკეთო. უხაროდა უფროსობა, მზაკერუ-
ლად იღიმებოდა. ვთხოვდი, ვარწმუნებ-
დი, რომ ყველა ტყვე ავადმყოფი იყო
და არ შეეძლო ხტომა და ვარჯიში. არ
სჯეროდა, ნამდვილად არ სჯეროდა.

— არ შეიძლება, რატომ ვერ გაიგე,
რომ არ შეიძლება ველური ადამიანე-
ბის ავადმყოფობაო.

ძალლი, რომელსაც არაქსს ეძახდა,
სულ კულში დასდევდა და იმისკენ
იწევდა, ვისაც პატრონი უყვიროდა.
არაქსი მართლაც ჭკვიანი ძალლი იყო.
გრძნობდა, პატრონზე კარგად გრძნობ-
და, რომ მეზიზღებოდა მისი პატრონი
და ვერ იქნა და ვერ მივიჩიე.

ამხანაგები მეხვეწებოდნენ, რამე-
ნაირად მომეშორებინა ძალლი მათ-
თვის. ვეფერებოდი, ვუწრტუბუნებდი.
ძალლი ყველაფერს გრძნობდა. ენა-
გადმოგდებულ შემომტკეროდა. უხა-
როდა ეფრეიტორს, იცინოდა. როგორც
ყველა გაიძვრას, მასაც ქურდული გა-
ნობედვა ჰქონდა.

რომელიღაც სადგურს ვუახლოვდე-
ბოდით. ორი ამხანაგი ვაგონის ჭუჭრუ-
ტანიდან იხედებოდა, ეფრეიტორი მი-
ვარდა, ხელი ჩაავლო მათ და გამოაგდო,
ძალმა შეწყვედა, თვალები დააბრიალა
და ენა გადმოაგდო.

მატარებელი გაჩერდა. ეფრეიტორი
ჩავიდა, არაქსი კი თავისი სურვილით
იმ ორი ტყვის მეთვალყურედ დარჩა.

მატარებელი დაიძრა, ეფრეიტორი
არსად ჩანდა. მე ვიცოდი, რომ იგი სხვა
ვაგონში ავიდოდა. გაგვეზარდა, ცოტა
ხანს მაინც ამოვისუნთქავდით თავი-
სუფლად. ჩვენ კი ამოვისუნთქეთ, მაგ-
რამ იმ ორ კაცს შავი დღე დაადგა.
იგრძნო თუ არა ძალმა, რომ ჩემი პა-
ტრონი აქ არ არისო, გააფთრდა, რამდენ-
ჯერმე ყეფით მივარდა ვაგონის კარებს,
შემდეგ მიუბრუნდა იმ ორ ტყვეს და
მთელი ჯავრი მათზე იყარა, არც ერთს
არ მისცა განძრევის საშუალება.

მორიგ სადგურზე ეფრეიტორი ჩვენ-
თან გაჩნდა. ძალმა გაიხარა. მატარე-
ბელი მიჰქროდა, დრო კი ზანტად მი-
იზლანებოდა.

ვაგონის ღია კარებთან ვიდექი, ჩემ-
თან შემთხვევით მოსული არაქსი კინა-
ლამ გადავაგდე გაქანებული მატარებ-
ლიდან. იმ დღიდან კიდევ უფრო შე-
მიძულა ძალმა. ეფრეიტორი ახლო
მოვიდა. მე ძალს მსუქან გავაზე გადა-
ვუსვი ხელი. ძალლი ყელში მეცა საკბე-
ნად, მაგრამ პატრონმა დატუქსა.

სანამ ადგილზე ჩავიდოდით, ეფრეი-
ტორმა ცალკე გამიხმო, რაღაც უნდა
გითხარო. ძალლიც ჩვენთან გაჩნდა და
კარგი მრჩეველივით შუაში ჩავვიდგა.
ეფრეიტორმა მოკუმული ტუჩები უფ-
რო მოკუმა, გრძელი, წვეტიანი ცხვი-
რი ინდაურის ბიბილოსავით ჩამოშუვა
და თვალები სულელურად ააპარპალა.
ძალლი ჩაცუტქულიყო და ცალი თვალი
ჩემსკენ ეჭირა. ეფრეიტორი ავგვიანებ-
და სათქმელს. მიჭირდა მასთან ახლო
ყოფნა და უხერხულობის დასაფარა-
ვად, ისევ ვითომცა ძალლის მოსაფე-
რებლად წავიდე ხელი. ძალმა კბილე-
ბი დამანახა. კისერი ვიტეხიათ შენცა
და შენს ოხერ პატრონსაც-მეთქი, —
გავივლე გულში და ისევ ეფრეიტორის-
კენ მივბრუნდი.

— როცა ადგილზე ჩავალთ, ორი
კაცი დაგვჭირდება მზარეულად, თუ
გინდა ერთი შენ იყავი, მეორე კაცი
შემირჩიე.

დიდი ხნის ნაშიმშილევი ადამიანის-
თვის მზარეულობა მინისტრის პორტ-
ფელს უდრიდა, მაგრამ ვიცოდი, რომ
ჩემზე მეტად სხვებს უჭირდათ და უარი
განეუცხადე, ორ კარგ მზარეულს შე-
გირჩევთ-მეთქი.

ეფრეიტორი დამეთანხმა.

დავალემა იმ დღესვე შეეასრულე-
მზარეულებად შევარჩიე გიორგი ლა-
ლუაშვილი და სეროპ აბალიანი. მათი
დამზადებული საჭმელი მხოლოდ ჩვე-
ნისთანა ტყვეებისთვის თუ გამოდგებო-
და. ახედ-დახედა ორივეს ეფრეიტორმა,
სულელურად გაიცინა და თავი დამიქ-
ნია, კარგიო.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



ვაილბურგში ღამით ჩავედით.

ვაგზაზე სამი გერმანელი ოფიცერი შეგვხვდა. ერთი ობერლეიტენანტი იყო და უფროსი იმ სამხედრო სკოლისა, სადაც ჩვენი ჯგუფის ნაწილს უნდა ემუშავა.

მისი მსლებელი ოფიცრები ბოროტად გვიყურებდნენ. შემდეგში ისინი პროფესიული ჯალათები აღმოჩნდნენ. ბანაკებიდან გამოჰყავდათ ხელმძვავრული სამხედრო ტყვეები და კეთაში ტყვეის სროლით ხოცავდნენ.

ის ორი ოფიცერი მაინის ფრანკფურტიდან იყვნენ დროებით, ჩამოსულნი ვაილბურგში. აქედან მალე წავიდნენ და ვაიმარის ახლოს ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკს მოველინენ სულთამხუთავებად. ჩვენ აგვშორდა მათი რისხვა.

გერმანელი ობერლეიტენანტი მალაღლი და მხარბეჭიანი კაცი იყო, კეთილი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, მომხიზვლელად იღიმებოდა და ლაპარაკის დროს ხელებს იშველიებდა.

უნდა გენახათ, ობერლეიტენანტის ბანაკიდან გასვლის შემდეგ მახინჯი კომენდანტი ეფრეიტორი ფინიასავით აყფდებოდა და დაგვერეოდა. რატომ? რისთვის? ეშმაკმაც არ იცოდა. ყველანაცემი ჰყავდა, ყველას აჩნდა მისი ძაღლის კბილების ნაკვალები.

იმ რეგენმა ზეპირად იცოდა ადგილები ჰიტლერის ნაბოდვარი წიგნიდან „მაინ კამპფ“. ალბათ მსმენელი არა ჰყავდა და ჩვენთან მოდიოდა. ხან დონიჯს შემოიდგამდა, ხან ხელებს გულზე დაიკრფდა, ხანაც ნიკაზე ხელმიდებული უნიჰო არტიტივით გვიკითხავდა, რაც მოსწონდა ან რაც თეატრში ენახა თუ წაეკითხა.

ერთ მშვენიერ დღეს, თავით ფეხებამდე შეიარაღებული ეფრეიტორი ბანაკში გამოგვეცხადა და თავისი ფრონტზე წასვლით „დაგვამწუხრა“.

მაგრამ ასეთი დამშვიდობება არსად მიიწახვს. ბანაკიდან გასული ისევ შემოვარდა და მუშტმოღერებული და-

გვემუქრა: „წესიერად“ მოვქეუთლიყავით „წესიერ“ გერმანიაში. ძაღლიც კულში დასდევდა და პატრონის მუქარას ყეფით ადასტურებდა. მერე გაბრუნდა, „პილ ჰიტლერ!“ დაიყვირა ხელაწეულმა და ჯანდაბისაკენ წავიდა.

ვაილბურგის ბანაკი ტყვეების ბანაკს არ ჰგავდა. ალბათ არც იყო ტყვეებისათვის გათვალისწინებული. ვეხაროდა, მავთულხლართებით რომ არ იყო შემოზღუდული, მაგრამ ასე ხომ არ დარჩებოდა. წავიყვიანეს ტყეში. მოვკერით ხეები, გაეთალეთ ბოქები, მოვზიდეთ, დავასვეთ და ბანაკს ირგვლივ მავთულხლართები შემოვავლეთ.

ბევრი უძილო ღამე და წამება გადავიტანეთ ვაილბურგში.

როგორც მოგახსენეთ, ამ ბანაკში 60 კაცი ვცხოვრობდით. ჩემი უბის წიგნაკში მათი სახელი და გვარიც ჩავიწერე. ეს უბის წიგნაკი შენახული მაქვს და მათი გახსენება მათთან ვატარებულ მძიმე დღეებს მაგონებს.

სამოცი კაციდან გათავისუფლებამდე 55 კაცი დავრჩით. ორი კაცი ავად გასდა და ლაზარეთში გაგზავნეს. როგორც გვითხრეს, ორივე გარდაცვლილიყო. სამი კაცის ამბავს შემდეგ მოგახსენებთ.

ტყვეების სახელი და გვარი უბის წიგნაკში 1945 წლის ზამთარში ჩავიწერე. ყველა კარგად მახსოვს, მახსოვს მათი ყოფაქცევა და თვისებები. ყველას წლების განმავლობაში ვიცნობდი, ერთ ბედქვეშ ვიყავით, ერთად ვსვამდით და ვჭამდით, ერთად გვეძინა და ერთად ვდგებოდით, ბანაკიდანაც ერთად გავდიოდით. მათ თანდათან მივეჩვიე და ყველანი შევისწავლე. გამოკლებული ხუთი კაცის სახელი და გვარი აღარ მახსოვს, ერთადერთი ოსი გვეყავდა და ისიც გარდაიცვალა. სამოც კაცში

დაასლოებით 14 ეროვნების წარმომადგენელი ვიყავით და ერთად თავშეყრისას რამდენიმე ენაზე ისმოდა ლაპარაკი.

ანდრონიკ არუთინიანი ხელობით მესაათე იყო, გარეგნობით სომეხს არ ჰგავდა; როგორც კი გაიგეს გერმანელებმა, მესაათეაო, სამუშაოდ აღარ გაიყვანეს. დაუდგეს ბანაკში ერთი პატარა მაგიდა და სკამი, მაგიდაზე მომლოლი საათები დაუხვავეს. რა სისტემის, რომელი ქვეყნის საათს არ ნახავდით: გერმანულს თუ ფრანგულს, შვეიცარულს თუ ნორვეგიულს, რუსულს თუ ჩეხოსლოვაკურს. სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა სისტემის საათები ფაშისტებს დაპყრობილი ქვეყნებიდან ჰქონდათ შემოტანილი. ოსტატ-მესათის კუთხეში მუდამ ნახავდით სასმელსაჰმელს, მის ბედს ყველა შენატროდა. მესაათემ არ იცოდა გერმანული ენა და მე თარჯიმნობისათვის ყოველთვის მიწაწილებდა თავისი შრომის საფასურს. შემდეგ თვითონაც ისწავლა იმდენი გერმანული, რამდენიც მესაათეს დასჭირდებოდა და უჩემოდაც კარგად მუშაობდა.

როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, ჩვენთან რუსები არ იყვნენ. მხოლოდ 1944 წლის დასასრულს მოიყვანეს ჩვენს ბანაკში ექვსი რუსი სამხედრო ტყვე. ისინი მეწაღეები გამოდგნენ და ვაილბურგის ოფიცერთა სკოლის ოფიცერებისა და კურსანტებისათვის კერავდნენ და აკერებდნენ ფენსაცმელებს.

რუსმა ამხანაგებმა თავისი სული შემოიტანეს ბანაკში. აქ მოსვლამდე მალაროებსა და შახტებში ემუშავათ, დიდი გასაჭირი გადაეტანათ. დილით რომ ჩაგვიყვანდნენ მალაროში, მზის ჩასვლამდე ვმუშაობდითო, — გვიამბეს. უცქერდნენ გერმანიის ღრუბლიან ცას და მამა-პაპურად აგინებდნენ.

ამ ექვს რუსში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა. მე მუდამ ვეჭვობდი, რომ იგი მეწაღე არ უნდა ყოფილიყო. ექვს მიძლიერებდა მისი საუბარი და თავის დაქერა. და

მართლაც ერთხელ, სრულიად შემთხვევით გამოამქლავნა თავი.

გერმანელ ოფიცერთა სკოლის ეზოში ვმუშაობდით, რაღაც კლუბივით შენობაში სკამებსა და სხვა ავეჯეულობას ვეზიდებოდით. სტუმრებს მოელოდნენ და მათთვის ბინას ათავისუფლებდნენ. მეწაღე რუსებიც იმავე სკოლის სახელოსნოში მუშაობდნენ, სამუშაო დაემთავრებინათ და ბანაკში ბრუნდებოდნენ. გზად კლუბში შემოიარეს.

იმ მეწადის ყურადღება მიიპყრო შავმა როიალმა, დიდხანს უცქირა, შემოუარა, გერმანელისაგან ნებაართვა ითხოვა, ინსტრუმენტზე უხეშად დადებული რაღაც ტვირთი გადმოიღო, მიუჯდა და კლავიშები ისე საამურად აამეტყველა, რომ ჩვენცა და გერმანელებიც სულგანაბლები ვუსმენდით. გერმანელებმა ერთი მეთვალყურე კარებთან დააყენეს, რომ რომელიმე უფროსი ოფიცერი თავს არ წამოგვედგომოდა. მაგრამ რომელი ოფიცერიც კი მოვიდა, ყველა გაინაბა. ბეთპოვენი, ბრამსი, შუბერტი, მოცარტი, ვაგნერი, — აძლევდნენ შეკვეთებს. ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, არალეგალური კონცერტი.

გატაცებით უკრავდა მეწაღე-მუსიკოსი, სანამ მასთან არ მივიდა უფროსი გერმანელი. კმარა, კმარაო, — უთხრა. ახედა დამკვრელმა, ერთი კიდეც გადაასრიალა თითები კლავიშებზე, დაჰკრა სამი ძლიერი აკორდი, დანანებით წამოდგა და დაკეცა როიალის ფრთა. ტყვე მუსიკოსი აცახცახებული დაბრუნდა ბანაკში. ხომ არ გადავაჭარბეო, — მითხრა. არა, არა, კარგი იყო, ასეც უნდა მომხდარიყო-მეთქი, — გავამხნევე. აღლევებული იჯდა ღია სარკმელთან და გასცქეროდა ჩაბნელებულ ვაილბურგს. ჩემი მადლობა იმით გამოვხატე, რომ პაპიროსი ვუშოვნე და

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

დავამშვიდე. ეწეოდა პაპიროსს, დიდი ცისფერი თვალები უციმციმებდა, შუბლზე ძარღვი უცახცახებდა, გრძელი თითები უთრთოდა, პირისახე ოანდათან უშშვიდებოდა, მაგრამ მისი მთრთოლვარე თითების დაოკება მხოლოდ როიალის კლავიშებს შეეძლო.

ვაილბურგში სამუშაოზე თანდათან გვანაწილებდნენ. ერთი ჯგუფი შეშის დასამზადებლად დადიოდა ტყეში, მეორე ჯგუფი სადგურზე მუშაობდა, ვაგონებს ტვირთავდა. გიორგი ლალუაშვილი და სერო აბალიანი მზარეულებად იყვნენ. მე კი პირველ ხანებში მთელი ჯგუფის უფროსად ვითვლებოდი.

იმ ძალი ეფრეიტორის ფრონტზე წაშაგების შემდეგ ჩვენი ბანაკის კომენდანტად ხანში შესული გარმანელი ფელდფებელი დანიშნეს, გვარად მაქსი, პროფესიით კაპელმაისტერი და კომპოზიტორი იყო. იგი საკმაოდ ფლეგმატური აღამიანი აღმოჩნდა.

ერთხელ ასეთი რამ მოხდა: რომელიღაც ტყვემ სამზარეულოსთან დაყრილი კარტოფილი მოიპარა, ბანაკის გუშაგმა თვალი შეასწრო და კომენდანტ მაქსს მოახსენა. ამოკითხვის წინ მაქსი ბანაკში შემოვიდა, კარტოფილის ქურდი გამოიძახა და ოლიმპიური სიმშვიდით ჰკითხა, რამდენი ცალი კარტოფილი მოიპარეო.

ქურდს უნდოდა ეთქვა: „ცვაი შტიუკ“ (ორი ცალი) და „ცვაი ჰუნდერტ“ (ორასი ცალი) თქვა. ჩვენ გაგვეციხა, რადგან კარტოფილი ჯიბეში აღმოუჩინეს, ორასი ცალი კარტოფილი კი ერთი ტომარა გამოვიდოდა. მაქსს არ გაჰკვირვებია ეს რიცხვი, რადგან ყურს არ უგდებდა.

მაქსი დაემუქრა კარტოფილის ქურდს და ბრძანა, მეორე დღეს მისთვის სადილი არ მიეცათ და სამუშაოზე მშვიერი გაეგზავნათ.

დავბრუნდით სადილისათვის ბანაკში. მაქსი შემოვიდა, სადილობამ მოიღწია და გაისმა ზარის წკრიალი. მაქსი ჩაფიქრდა, ზარის წკრიალი თუ მოეწონა. მაღლა აიხედა, სადირიქტორო პა-

ტარა ჯოხი ხელში აათამაშა და ლინით ვარეთ გავიდა, თავის ოთახში ჩაიკეტა და დილამდის აღარ დაგვანახებია. კარტოფილის ქურდი მწყრივს გაჰყვა და კერძი მიიღო. მეორე დღეს მაქსს ეს ამბავი არც გახსენებია.

თუ როგორი კომპოზიტორი იყო მაქსი, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მისი მუსიკა არ მომისმენია და არც შეიძლებოდა მომესმინა.

ერთხელ დიდად აღფრთოვანებული დაბრუნდა მაინის ფრანკფურტიდან და გვიამბო, კონცერტი გაემართა და საკუთარი ნაწარმოებებიც შეესრულებინა. თეთრი ვარდების ვეებერთელა თაიგულით შემოვიდა ბანაკში. ბანაკში შემოსვლა არც უყვარდა და არც შემოდიოდა, თუ აუცილებელი არ იყო. იმ დღეს კი განსაკუთრებულ ხასიათზე გახლდათ. ბევრი მსმენელი არ ჰყავდა და მაინც მუსიკაზე გველაპარაკებოდა. შემდეგ გერმანული მუსიკის ქებას მოჰყვა, ყველა გერმანული კომპოზიტორი ცალცალკე დაახასიათა და გაიძახოდა: რა არის მაინც ეს გერმანია, მუსიკის ქვეყანააო, იტალიასაც კი სჯობიაო. აქებდა და აღიდებდა თავის ქვეყანას, განსაკუთრებით, როგორც მუსიკის სამშობლოს.

თქვენ, რუსებს (იგი ყველას რუსებად გვთვლიდა) მხოლოდ ერთი ჩაიკოვსკი გყავთო, — გვეუბნებოდა. სხვა რუს კომპოზიტორებს, როგორც ეტყობოდა, არც იცნობდა.

ბანაკში არ უყვარდა შემოსვლა, რწყილების ეშინოდა, ჩვენც ეგ გვინდოდა, თავისუფლად ვიყავით. ვატყუებდით, ბანაკში რწყილი დაგვეცია-თქო. იმასაც სჯეროდა ჩვენი ნათქვამი. სინამდვილეში, რწყილი კარგა ხანია არ გვენახა.

მუშაობის შემდეგ კომენდანტი მაქსი ბანაკის ჭიშკარს ჩაგვიკეტავდა, თვითონ ჩვენს პირდაპირ დადგებოდა მავთულხლართების ვარეთ (ბინა ბანაკის პირდაპირ ჰქონდა, სულ რაღაც 20 თუ 25 მეტრის მოშორებით), სადირიქტორო

ჯოს ხელში დაიჭერდა, ჩვენ ალბათ ორკესტრის მსახიობებად გვსახავდა და ღირიყორობას იწყებდა. ხან შტრაუსის მშენიერ ვალსებს გვიმღერებდა, ხან ბეთოვენის „მთვარის სონატას“.

ვაილბურგის ოფიცერთა სკოლის ეზოში გერმანელი კომპოზიტორების პორტრეტები ვიპოვეთ გადაყრილი, ბანაკში მოვიტანე. როგორც შემეძლო და მესმოდა, ისე დავალაგე. ჩემს საწოლთან კედელზე გავამწკრივე: ბეთოვენი, მოცარტი, შტრაუსი, ვაგნერი, ბახი. შემოვიდა კომპოზიტორი მაქსი, დანახა თავისი სათაყვანებელი მუსიკოსები და განცვიფრდა, ჯერ ხელი დაადო თვითელს და დამასახელებინა, როცა მათი ოპერები და სიმფონიებიც ჩამოვთვალე, სულ პირჯვარი იწერა...

მუსიკაზე საუბრით გაბრუნებულ მაქსს აღარც რწყილებისა ეშინოდა და აღარც ხის ქოშებით მობაკუნე ტყვეები აწუხებდნენ. ჯერ ბეთოვენის სურათს დაადო ხელი, რადგან პირველად ის ეკიდა, ჩემი საწოლის ფიცარზე დააკაუნა თავისი საღირიყორო ჯოხი, ხელები ისე აღმართა, თითქოს ბეთოვენის სიმფონიას ღირიყორობსო და თვალები მოქუტა, მერე კმაყოფილებით გაიღიმა და ტაში დასცხო. აღარ ისმოდა ტყვეების ხის ფეხსაცმელების ბაკაბუკი, თითქოს ყველანი ბეთოვენის მუსიკას დაეტყვევებინა, მაქსს შემოხვეოდნენ და გაოცებულები შეჰყურებდნენ ამ უცნაურ ადამიანს და ბევრს ვერ გაეგო, თუ რას ჯამბაზობდა ბანაკის კომენდანტი.

იმ საღამოს ტყვეების მწკრივებად მოწყობა და ამოკითხვა აღარ მოჰგონებია, კმაყოფილი ღირიყორივით თავი დაგვიკრა და წავიდა.

ჩვენთან ხუთი სომეხი იყო. სერგო ხიჩინოვი თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცი იყო და ქართველს უფრო ჰგავდა. მათევოს ნადირიანის ნამღვილი გვარი გუჯასიანი აღმოჩნდა და ეს ომის დამთავრებამდე არ უთქვამს.

მეცნიერ-მუშაკი იყო და ზოოლოგიაში მუშაობდა თურმე. მეტად ენერგიული და მხნე გუჯასიანი, რაც არ უნდა დიდ განსაცდელში ჩავარდნილიყო, სულიერად მაინც არ დაეცემოდა, მტკიცე და კეთილი პირისაზე არ შეეცვლებოდა. მხოლოდ თაფლისფერი თვალები ჰქონდა სევდიანი, დაილაპარაკებდა თუ არა, სევდაც გაუქრებოდა თვალებში.

ქართული სულ არ იცოდა. ხანდახან გაცხარებული ველაპარაკებოდი ქართულად, მაგიწყდებოდა, რუსულად რომ უნდა მელაპარაკა, გაიღიმებდა, სომხურად გამეცმდა პასუხს და მეც მაშინვე მივხვდებოდი ჩემს შეცდომას და ორივეს გაგვეცინებოდა ხოლმე.

ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო არამ ბაგრაშიანი. გერმანული ენა შეისწავლა და ყველაფერი ესმოდა. სიტყვების დაუმახინჯებლად ლაპარაკობდა კიდევ გერმანულად. ახალ-ახალ ამბებს იგებდა და მოჰქონდა. მის შემოსვლას ბანაკში ახალი გაზეთივით მოველოდით. ხელობით ზეინკალი იყო და სულ მარტო მუშაობდა გერმანელების სახელოსნოში.

ბაგრაშიანი ჩვენი ბანაკის ახლოს მუშაობდა და სადილისათვის ხშირად ცარიელ ბანაკში ბრუნდებოდა. იმ დღეს მეც მარტო მომიხდა მუშაობა გერმანელთა სამხედრო სკოლის ეზოში და მარტო ვბრუნდებოდი.

ვაილბურგის სამხედრო სასწავლებელი და სამხედრო ტყვეთა ბანაკი ერთ შემოფარგლულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. გარშემო გუშაგები იდგნენ, ჩვენს ბანაკს კი დამატებით სხვა მეთვალყურეებიც ჰყავდა, ამიტომ თითო-ოროლა კაცისათვის ჯარისკაცებს არ აცდენდნენ და არც იყო საჭირო.

ბანაკს რომ მივუახლოვდი. არამ ბაგრაშიანის სიმღერა შემომესმა. იგი სომხურ ენაზე მღეროდა. დაედექი, ყური დავუგდე, ჯერ არ ვაპირებდი შე-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები



სვლას, სიტყვები არ მესმოდა, მაგრამ სიმღერა მეტად სევდიანი იყო და ვინ იცის, იქნებ ასე კარგად, ასე გულში ჩამწვდომად არც არასოდეს უმღერია საწყაალ ტყვე ბიჭს. იგი „ქოროლღის“ მღეროდა. ქრუანთელმა დამიარა. გვერდზე მოვიხედე და ბანაქის მეთვალყურე გერმანელი დავინახე. თოფი ეჭირა ხელში და უსმენდა; მე რომ დამინახა, დაბალი ხმით მითხრა: „შედი, უთხარი, ცოტა ხმადაბლა იმღეროს, ხომ იცი სიმღერა აკრძალულია“.

ჩემი შესვლა არ შეუმჩნევეია. ისე გატაცებით მღეროდა.

გამიგონია: სადღაც, მგონი ტრობიკულ ქვეყანაში, უღრან ტყეში ერთი მგალობელი ფრინველი ცხოვრობს. ეს ფრინველი თურმე ისე თავდავიწყებით მღერის, რომ აღარაფერი ესმის, გარდა თავისი სიმღერისა. მას თურმე ძვირფასი ფრთები და ბუმბული აქვს და სიმღერა ღუპავს, თავდავიწყებულს სიმღერის დროს იჭერენ.

იმ ფრინველივით მღეროდა ბაგრა-მიანი. დაამთავრა სიმღერა, ოფლი მოიწმინდა, საყელო შეისხნა. არამ! — დაუფიქნებ გაუბედავად. პასუხი არ გაუცია, კეთილად გამოიღმა და ბანაკიდან გავიდა.

შაბათის მზიანი საღამო იყო, სამუშაოდან ადრე დაგბრუნდით და ბანაკის ეზოში ვისხედით. არამ ბაგრამიანს სიმღერის ცეცხლი წაჰკიდებოდა. სიმღერიდან სიმღერაზე გადადიოდა.

საოცარი რამ მოხდა. მომღერალს თურმე ყურს უგდებდა კომპოზიტორი მაქსი. იგი თავისი თთახიდან გამოვარდა და სადირიფოროდ გაემზადა.

ბაგრამიანი პირველად შეკრთა. მაქსს მოწონების აღტაცება შეეპყრინე და მომღერალს წავუღაპარაკე: არამ, შენ გენაცვალე, მიდი, მიდი, თუ ძმა ხარ, განავრძე სიმღერა, კარგია, კარგი-მეთქი. შევეხვეწე: ოღონდ ეს თხოვნა შემისრულე და მთელ კოლოფ პაპიროსს მოგცემ-მეთქი. წინა დღეს ვაილ-

ბურგის სადგურზე ვაგონებიდან საქონელი გადმოგტვირთეთ და ბევრი პაპიროსი ვიშოვნე, შევევარი ბარაკში, გამოვიტანე ერთი კოლოფი პაპიროსი და მომღერალს ჯიბეში ჩავუდე.

გახალისებულმა მომღერალმა კიდევ უფრო ეშხინად მოიღერა ყელი და სიმღერა განაგრძო. პერცოვის არიას მღეროდა ოპერა „რიგოლეტოდან“. მე გვერდით ვუჯექი და ვამხნევებდი. ტყვეებსაც შეეწყვიტათ ლაპარაკი და უსმენდნენ.

დაამთავრა თუ არა სიმღერა, ტაში დავცხეთ. არტისტული ქცევები მშვენიერად იცოდა, მოგვიბრუნდა, მადლობა გადაგვიხადა, მერე დირიჟორ მაქსს რევერანსი გაუკეთა და გაშორდა.

დირიჟორმა მაქსმა ჯოხი იღლიაში ამოიღო და ტაშით ხელები დაიმტვრია. საკუთარი გასაღებით ბანაკის ჭიშკარი გააღო და ბაგრამიანი იხმო. ჩემთვის არ დაუქანხნია, მაგრამ სანამ ბაგრამიანი გონზე მოვიდოდა, გავასწარი კიდევ ციცილი, რასაც ეტყოდა მაქსი მომღერალს, შორიანლო დაედექი და ვუცდილი კომპოზიტორისა და მომღერლის შეხვედრას. ყველაფერში ნიჭიერი ბაგრამიანი ჩემსავით მიინც ვერ ლაპარაკობდა გერმანულად. ამის მიზეზი ის იყო, რომ გერმანული წერა-კითხვა არ იცოდა.

— საიდან იცი, ან სად ვაგიგონია შენ ეგ სიმღერა? — ჰკითხა მაქსმა ბაგრამიანს. მას წარმოადგენა არ ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზე და ფაშისტური პროპაგანდით იყო მოწამლული.

ერთხელ პურის ჭამა ვეცლარელი გერმანელის ოჯახში მოგვიხდა, დანაჩანგალი მოგვიტანეს. აგვისსენს, დანაჩანგალი ასე უნდა იხმართო. როგორც მოგვხსენებთ, არამ ბაგრამიანი ენამწარე კაცი იყო და უპასუხა: მხოლოდ ორი წყვილი დანა-ჩანგალი მინახავსო, ერთი წყვილი მუხუშუმში და მეორე წყვილი აღარ მახსოვს სად ვნახეო. იმ დღიდან დამინახავდა თუ არა ბაგრამიანი, სად ილობა იქნებოდა თუ საუზნობა, მომაძახებდა: გოგიჯანი! ფრთხილად იყავი, ჩანგალი არ შაირჭო პირშიო.

გულმა არ მომითმინა და მომღერლი-
სა და კომპოზიტორის საუბარში ჩავე-
რიე. მაქსს ვუთხარი, ჩვენს ქვეყანაში
ლიტერატურისა და ხელოვნების გან-
ვითარებას დიდი ყურადღება ექცევა-
მეთქი და ჩამოვუთვალე ყველა ევრო-
პელი კომპოზიტორის ოპერები, რომ-
ლებიც ჩვენს სამშობლოში დადგმუ-
ლა და იღვამება.

მაქსმა ბავარმინი სიგარებით და-
აჯილდოვა. დაჯილდოებულმა მომღე-
რალმა ჩემს მიცემულ ერთ კოლოფ
პაპიროსს მაქსის სიგარებზე მიუმატა.

ამ თავის დასაწყისში ვთქვი, რომ
სამოცი კაციდან 55 კაცი დაგრიით-
მეთქი. ამ 55 კაცში ერთი ჯაშუში
გვყავდა, მხოლოდ ერთი. ვერც მე და
ვერც სხვებმა ვერ დავადგინეთ, თუ ვინ
იყო ის ერთი ჯაშუში, რომელმაც
ან თვითონ იკისრა ეს სამარცხვინო
საქმე, ანდა გერმანელებმა გადაიბი-
რეს.

ვაილბურგში ჩვენს ბანაკს შესავალ-
თან აბრა ჰქონდა წარწერით: „Arbeits-
kommado, № 26-34“¹. პირველ ხა-
ნებში უკიდურეს გაჭირვებას განვიც-
დიდით. სამუშაო ბევრი და მძიმე
გვექონდა, სასმელ-საჭმელი კი იმდენი
გვეძლეოდა, რაც მხოლოდ განსაზღვრუ-
ლი ხნით არსებობისათვის იყო საჭირო
და არა მძიმე შრომისათვის და სი-
ცოცხლის შესანარჩუნებლად. კიდევ
რომ მოეკლოთ ჩვენთვის ულუფა, შე-
ვედავებოდით თუ?!

კომენდანტმა მაქსმა ერთ დილით
ხუთი კაცი გაატანა მცველებს. ბა-
ნაკში დაბრუნებისას, გზის პირას რა-
შიდ მამედოვს გერმანელი გლეხის
ბოსტანში კომბოსტო მოეთხარა და
კურდღლებივით იქვე შეეჭამათ მშვიერ
ტყვეებს.

გერმანელი გლეხი იმავე საღამოს
მოვარდა ბანაკში, კომბოსტოს ქურდს
კომენდანტ მაქსთან უჩივლა და მისი
სასტიკად დასჯა მოითხოვა. ერთი თა-

ვი კომბოსტოსათვის ამ გერმანელ
გლეხს მეზობელი გლეხებიც თან მო-
ჰყვენენ. კინალამ შემოგლიჯეს მავთულ-
ხლართები და დაგვერივნენ. მაშინვე
გამახსენდა მათი ნაშიერების პარაში
დაპყრობილ უკრაინაში; მომაგონდა, თუ
რა დაუზოგავად ანადგურებდნენ და
ძარცვავდნენ უკრაინელ კოლმეურნე-
თა ქონებას და როგორ აგზავნიდნენ
გერმანიაში, რაც კი ხელში მოხვდებო-
დათ.

კომენდანტმა მაქსმა ინდიფერენტუ-
ლად მოუსმინა გერმანელ გლეხს, გაის-
ტუმრა და ამით დამთავრდა ვაილბურ-
გელ „გლეხთა აჯანყება“. საღამოთი
მოგვაწყო ტყვეები, დაგვთავალა და შემ-
დეგ გამოიძახა კომბოსტოს „ქურდი“
რამიდ მამედოვი. გამოვიდა მწკრივი-
დან საწყალი მამედოვი, მეტისმეტად
იყო გამხდარი, აჩრდილს დამსგავსებო-
და და სიმწრით ილიმებოდა.

მაქსმა არც ჰკითხა, თუ რად მოიპარა
კომბოსტო, არც გააფრთხილა, შემდეგ
მანაც აღარ ჩაიდინო მსგავსი საქციე-
ლით, მაგრად მოქაჩა სიგარა, რომე-
ლიც მუდამ პირში ჰქონდა გაჩრილი
და ხშირად ხელმოუკიდებლადაც კი
ეწეოდა, დინჯად შებრუნდა და ბანა-
კიდან გავიდა. ვეცლარში მიდიოდა
კონცერტების გასამართავად, ორი კვი-
რა არ გამოჩენილა.

მის ნაცვლად დროებითი კომენდანტი
დანიშნეს. „დაზარალებული“ გლეხი
კიდევ მოგვადგა და ახალ კომენდანტს
ჰკითხა, თუ რითი დაისაჯა მისი ოჯა-
ხის „ამომგდები“. იმ საღამოს მაქსი
ვეცლარში წავიდა, არავინ დაუსჯია,
არავის დასასჯელად არ ეცალა, ხომ
მოგვხსენებათ, რა უთავბოლო ხალხია
ეს არტისტებიო, — უპასუხა გლეხს
ახალმა კომენდანტმა და მამედოვს სამი
დღის პატიმრობა მიუსაჯა. მხოლოდ
წყალზე უნდა ყოფილიყო. ისედაც და-
სუსტებული ტყვისათვის ეს სასჯელი
სიკვდილს უდრიდა. რამიდ მამედოვი
სასჯელის მოსახდელად ქალაქში წაი-
ყვანეს, მომიჩივანი გლეხიც თან გაჰყვა.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

¹ მუშათა ჯგუფი (რუზში), № 26-34. (გერმ.).

სამი დღის მერე რაშიდ მამედოვი დაბრუნდა. გზაზე სასაკლავოსთან გამოველოთ, მცველს ნაცნობი ყასაბი შეხვედროდა, მასთან შესულიყო, მამედოვი ყასაბს დაკლული ძროხის გასატყავებლად მოხმარებოდა და გასამრჯელოდ მთელი ძროხის შიგნეული მიეცა და საქმელიც ეჭმია. მცველსაც გვარიანად გადაეკრა.

სასჯელმთხოვნილი მამედოვი იმდენი შიგნეულის თრევიტ გასაკვთებული დაბრუნდა ბანაკში. მცველი არ მამლევდა შიგნეულის წამოღების ნებას, ბატონი ოფიცრები რომ შემხვდნენ, დამსჯიანო. ყასაბი შეხვეწოდა: თუ ხათრი გაქვს, წაიღოს, ცოლდა არისო.

დაეტრიალდით, მაშინვე გავფუჭქეთ და იმ ღამით კარგი ვახშამი გეახელით.

ასეთი ბედნიერი შემთხვევა იშვიათი მოვლენა იყო.

გერმანელ ოფიცერთა სკოლა ჩვენი ბანაკიდან სულ რაღაც 100 მეტრით თუ იქნებოდა დაშორებული. იქ ხშირად გაჰყავდათ ტყვეები სხვადასხვა საქმეზე. ხან კარტოფილს აზიდვინებდნენ გერმანელების სამზარეულოსათვის, ხან ნახშირსა და ხანაც შეშას. სამხედრო სკოლის ტერიტორიაზე გასვლა ყველას უხაროდა.

გათენდა.

დილიდანვე გაანაწილა კომენდანტმა მაქსმა ტყვეები სხვადასხვა საქმეზე. ორი ახალგაზრდა უზბეკი ოფიცერთა სკოლის სამზარეულოსათვის შეშის მისაზიდად გაიყვანეს. ისინი ჩვენზე გვიან დაბრუნდნენ საღამოთი, საცვლების ამრა მოდიოდნენ ხურჯინგადაკიდებულები. მათი უშარვლობაც გავიკვირდა და ტვირთიც. უკან მცველი მოსდევდა სიცილით, თან ავინებდა და ლანძღავდა.

ორი მშვიერი ტყვე სამზარეულოსთან დადგმულ ნაგვის ყუთში გადაყრილ მონარჩენ კარტოფილსა და ბრინჯის ფაფას წაწყდომოდა. ეჭამათ და რასაც ვერ მორეოდნენ, შარვლები გაეძროთ, თავები მოეკრათ, ნაგვის ყუთიდან ამოღებული მონარჩენებით ავესოთ და ბანაკში მოეტანათ.

• მაქსი ბანაკის წინ იდგა, დიდნანს იდგა, იფიქრებდით, ვიღაცას ელოდებო, სიგარას ეწეოდა და საღირიყრო ჯოხს ჩექმაზე იტყაპუნებდა. ერთ აღგილზე ტორტმანობდა. მის წინ გაიარეს უშარვლო და ხურჯინიანმა უზბეკებმა; მაქსმა, რა თქმა უნდა, დაინახა ისინი, მაგრამ არც გაოცება და არც რაიმე ცვლილება შეტყობია სახეზე. იგი ისევ წიღანდელივით იდგა, არც მცველის საღამს უბასუხა, მხოლოდ უფრო ხშირად აატყაპუნა ჯოხი ჩექმაზე, რაღაც ჩაილიდინა და აუჩქარებლად შევიდა თავის ოთახში.

ბანაკში კი ერთი აურზაური ატყდა, დატვირთულ უზბეკებს შემოვესიეთ და ნადავლი ძმურად გავიყავით. სამზარეულოსთან დადგმული ნაგვის ყუთი, რომელიც ორმა უზბეკმა აღმოაჩინა, ჩვენი ბანაკის საარსებო წყაროდ გადაიქცა. მოუთმენლად მოველოდით ყოველი შაბათის მოსვლას. შაბათობით მოდიოდა ბანაკში ყოველთვის ჩვენი ნაცნობი ობერლეიტენანტი. მე ერთი კარგი აზრი დამეზადა...

მოაღწია შაბათ საღამომ, გამოჩნდა ობერლეიტენანტი ეჩქარებოდა, ცოტა ხანს გვესაუბრა და გამოგვეთხოვა, გავყვი უკან და ვთხოვე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მისი ნებართვით, გერმანელების სამზარეულოში მონარჩენი კერძი ერთ სუფთა ჭურჭელში მოეთავსებინათ. ისიც მოვასსენე, თუ როგორ ეზიდებოდნენ ტყვეები სამზარეულოს ნაგვის ყუთიდან გადაყრილ მონარჩენს.

ობერლეიტენანტი ნიკაპზე ხელმიდებული მისმენდა. მერე მითხრა: წამოვიდეს ახლავე ორი კაცი, კასრს გავარეცხინებო, ვეტყვი სამზარეულოს უფროსს და ზედმეტ კერძს იმ სუფთა კასრში მოვაროვებენო. მეც ნება დამართო, მესამე კაცად გავყოლოდი. დიახ, დიახ, კარგი იქნება, თუკი თქვენც წამოხვალთ და არ დაიზარებთო, — მომამახა აჩქარებულმა ობერლეიტენანტმა. მოვიდევ ორ კაცს ხელი, გავყვიით უკან და ყველანი ერთად შევედით გერმანელების სამზარეულოში.

მთელი სამზარეულოს თანამშრომლები და ოფიცრები ფეხზე დადგნენ და შესძახეს ობერლეიტენანტს „ჰაილ ჰიტლერ!“ „ჰაილ!“—უპასუხა მან და ხელით ანიშნა, დასხედით, განაგრძეთო. გამოიძახა სასადილოს უფროსი და უბრძანა, გამოენახათ ახალი კასრი, ხის არ ვარგა, უქანგავი ლითონისაო. მაშინვე გამოგვინახეს სუფთა კასრი, მაინც გავხეხეთ, გავრეტხეთ, თავსახურავიც მოვარგეთ, დაგვიდგეს სამზარეულოს დერეფანში და იმ დღიდან იმ სუფთა კასრში გვიგრძობდნენ მონარჩენ კერძს და თითქმის ყოველდღე მოგჭმონდა. პირველ ხანებში არ მახსოვს არც ერთი დღე, რომ კასრი ცარიელი დაგვხვედროდეს.

ჩვენთან მყოფი უზბეკები მიუზნებოდნენ: შენს კარგად ყოფნას ალაპსავთხოვთო, შენ რომ ეს კასრი არ მოგეგონებინა, შიმშილით დავიხოცებოდითო.

დაბომბვის დროს ბანაკში მარტო ვრჩებოდი ყოველთვის. ერთი დიდი საპაერო თავდასხმის დროს ბანაკის ახლოს ყუმბარა დაეცა და ხის ბანაკი კრუხის საბუღარივით გადადგა ჰაერის ტალღამ. უვნებლად გადავრჩი, ეტუობა, ალაპმა „მიშველა“.

იმ სამოც კაცში ყველას ერთნაირ პატივს არ ვცემდი და არც ერთნაირად მიყვარდა. შეიძლება ითქვას, რომ 58 ჩემი მოყვარე იყო და ერთი კი მტერი. ეს ერთი კაცი ამავე დროს ყველას მტერი იყო.

სამოც კაცს პირველად ორი კაცი გამოაკლდა, ერთი უზბეკი და ერთი ოსი. ავად გახდნენ, ორივე ლაზარეთში გააგზავნეს.

ავადმყოფ ტყვეებს პირველად გერმანელ ექიმთან აგზავნიდნენ, მაგრამ ექიმი არ მკურნალობდა. გამოუწერდა ლაზარეთის საგზურს და იმ ლაზარეთიდან იშვიათად თუ ვინმე ბრუნდებოდა უკან. ავადმყოფობისა ისე მეშინოდა, როგორც ცელიანი სიკვდილისა. ორი კაცი გამოგვაკლდა ავადმყოფობის მიზეზით, ისინი უკან აღარ დაბრუნებულან.

ოსი გარდაცვლილიყო, უზბეკისა კი ვერაფერი გავიგეთ.

მაქსი პირველ ხანებში ყველაზე უფრო ტყვეებში ასკერ კალაბურას მფარველობდა. რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად მმტრობდა ასკერ კალაბურა, რადგან გრძნობდა, რომ ადვილად ვერაფერს მაკლებდა. კალაბურას სწყალობდნენ გესტაპოელები და სხვა გერმანელი ოფიცრები, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ ჩვენს ბანაკში.

პირველ ხანებში მაქსსაც ყველაფერი სჯეროდა ასკერ კალაბურასი. მათევის გუკასიანმა მოთხრა: გოგიჯან, ფრთხილად იყავი, კალაბურამ რომ უთხრას მაქსს შენზე, ჩამოახრჩო, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ჩვენთან ერთი კაციც კი არ დაუტყვი, უსათუოდ დაგსჯისო!..

ყველა ჯამუშევით ასკერ კალაბურაც მშობარა იყო. იგი ხანდახან სხვებთან ერთად გაჰყავდათ სამუშაოდ, ისე კი უფრო ხშირად სულ მარტო მუშაობდა. მოთმინებიდან გამოსულმა, ორჯერ ჩემზე დიდი კალაბურა ერთხელ ტყეში გავიტყუე შეშის დამზადებისას. ხელში გალესილი ნაჯახი ნეჭირა. თუ არ დამეხსნებო, შენი ძვლები ვაილბურგის ტყეში დარჩება-მეთქი. სიტყვა ვერ დასძრა, ისე მოიკუნტა, იმოღენა კაცი ჩემზე პატარა გამოჩნდა.

რა არ თქვა, რა არ მომიგონა, თითქოს მე უმტროსი ლეიტენანტი, პოლკის კომისარი და საბჭოთა კავშირის გმირი ვიყავი.

მე უკვე აღარ შემეძლო თავისუფლად გამეველო გერმანელთა სამხედრო სკოლის ეზოში, სადაც ყველა დადიოდა ამა თუ იმ საქმეზე.

1944 წლის შემოდგომის ერთ დღეს, ერთმა გერმანელმა გლეხმა კომენდანტ მაქსის ნებართვით 10 კაცი წაგვიყვანა სოფელში ვაშლების საკრეფად. მივდიოდით და მიგვიხაროდა, არც ვაშლების კრეფაა მძიმე სამუშაო. სოფელშიც გავისიერებდით, ახალ ამბებს გავი-

გოორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

გებდით. ისე გავდიოდით ბანაკიდან, ისეთი სიხარულით მივეშურებოდით, როგორც გათავისუფლებული პატიმრები მიაშურებენ მშობლიურ სოფელს.

სანამ სოფელში მივიდოდით, ვაშლის პატრონმა გერმანელმა გლეხმა დაგვალა თავისი ბალისა და ვაშლების ქებით. გერმანელებს საერთოდ ტრაბახი არ უყვართ, მხოლოდ თავიანთი ნამუშევრის ქება იციან და ამაყობენ კიდევ თავიანთი შრომისმოყვარეობით.

დაგვალა-მეთქი ვაშლების პატრონმა გლეხმა თავისი ხეების ქებით.

ყველა ხილი კარგია, ყველა სასარგებლოა, მაგრამ ვერც ერთი ერის ზღაპარში ვერ ნახავთ ისე აქებდნენ ატამს, კომშსა და თვით ყურძენსაც კი, როგორც ვაშლს.

საქართველოში იტყვიან: „დილის ვაშლი — გულის ვარდი, დილის მსხალი — გულის შხამი, დილის ქლიავი — გულის ფრიალი“ და ასე შემდეგ... ვაშლი ყოველთვის კარგია.

მართლაც ისე სათუთად, ისე სიყვარულით იყო მოვლილი ვაშლების ბაღი გერმანელი გლეხისა, რომ გულის კარი გაგეხსნებოდათ.

ვაილბურგში, ჩვენი ბანაკის ირგვლივ, ვაშლის ხეები შრიალეზდნენ. არ ვიცი, ის ვაშლები მეწლე იყო თუ არა, ჩვენს დროს კი ყოველთვის ბევრი ესხა. ვაშლის ხეებს ტოტები ბანაკის ეზოში ჰქონდათ გადმოშვერილი, მაგრამ ნაყოფის მოწყვეტის უფლება არ გვქონდა. მაგონდებოდა ლექსი „ვაშლი და შაქარა“ და ყველანი შაქარებით შეეცქეროდით და შევთხოვდით ქარსა თუ ნიავს, მოეწყვიტა მწიფე ნაყოფი. იმდენი ხანი გერმანიაში ვიყავი და ერთხელაც არ მახსოვს, ძლიერი ქარი ამოვარდნილიყოს. თურმე ვაშლის კარგ მოსავალს ძალიან უწყობს ხელს წყნარი ამინდი. ყვავილების დატყვერვასა და განაყოფიერებას ქარის ნაცვლად ფუტკრები ასრულებენ, ქარი მტერია ვაშლის კარგი მოსავლისათ, — ამბობდნენ მებაღე გერმანელები.

ვაშლების საკრეფად მიმავალ ათ კაცს მებაღე გერმანელი და ერთი მცვე-

ლი გვახლდა. სოფელს რომ მივუახლოვდით, გზა ყაჩაღებით გადაგვიჭრა ერთმა შეიარაღებულმა ახალგაზრდა გერმანელმა ჯარისკაცმა. ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევია, ჩვენს მცველს გამოეღაპარა და მერე ჩვენთან დარჩა მცველად.

ახალგაზრდა ჯარისკაცს რაღაც უხაროდა და ელიმბოდა. მას თურმე პაემანი ჰქონდა დანიშნული თავის საცოლესთან, რომელიც იმ სოფლიდან იყო. ქალიშვილი ბაღში მისვლამდე დახვდა დანიშნულ ადგილზე. გერმანელი ფროილანინი ლამაზი იყო, ჭრელი კაბა და წითელი ფეხსაცმელები ეცვა. თმაში წითელი ვარდი ჰქონდა გაკეთებული, ხელშიაც წითელი ვარდი ეჭირა, ნაზად აკოცა თუ დაყნოსა და ვაჟს მისცა. ღიმილით გამოართვა ვაჟმა ვარდი და შაშხანაზე დაამაგრა. მაგრამ შაშხანას არ მოუხნდა ვარდი, მოხსნა და გულზე დაიბნია.

შევედით ვაშლების ბაღში. შეყვარებულებს არ ეყობ საჯაროდ ტრფიალი და განაპირება მოინდომეს. მე გავათამამე, რადგან სოფელს გერმანელებთან თავისუფლად ყოფნა და ლაპარაკი მინდოდა. მცველს ვუთხარი: თქვენ ისაუბრეთ მაგ ფროილანინთან და როცა გინდოდეთ, მოგვაკითხეთ, ხომ იცით, რომ გერმანიაში ტყვეები არ გარბიან-მეთქი. ეს მართლაც ასე იყო. გერმანიაში არ გარბოდნენ ტყვეები, თავს ვერსად შეაფარებდნენ. გერმანიაში მცხოვრებმა ტყვეებმა გაქცევა მხოლოდ მაშინ დაიწყეს, როცა გერმანიას საბჭოთა და ინგლის-ამერიკელთა ჯარები მოუახლოვდნენ.

მცველი ისე გატაცებული იყო საცოლეთი, რომ რაც არ უნდა მეთქვა, მგონი ყველაფერს დამიჯერებდა. იგი უბრალო ჯარისკაცი იყო, მსუბუქად დაჭრილი, შეიძლება მაღლე ისევ ფრონტზე გაეგზავნათ და ცდილობდა ყველაფერი მოესწრო. სხვა მხრივაც თამამად იყო, სოფელში ბატონი ოფიცრების გამოჩენაც მოსალოდნელი არ იყო. გერმანელი ჯარისკაცები ცახცა-

ზედნენ ოფიცრების წინაშე. ჯარისკაცმა დამიჯერა და ორივენი თვალს მოეფარნენ.

ჯარისკაცი გვიან დაბრუნდა, ტყვეების ნაწილი მანქანით ჩაიყვანა ბანაკში, ნაწილი კი ისევ გლეხთან დავრჩით ვაშლის საკრეფად. ორი ძირი ვაშლი კიდევ დარჩა მოსაკრეფი. ჩვენი მცველი აღარ დაბრუნებულა ჩვენს წასაყვანად, ალბათ კომენდანტმა მაქსმა დართო ნება და საცოლეს გაჰყვა.

მთვარიანი ღამე იყო. მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა და გული მიკვდებოდა, ვაშლის ხეზე გასულს მოკრეფილი ვაშლები ხელიდან მიცვიოდა და ბაგა-ბუგი გაჰქონდა მიწაზე. ეცდილობდი და მაინც ხელიდან მივარდებოდა. *Langsam, vorsicht!* — ამომძახოდნენ ვაშლის პატრონები.

დავამთავრეთ ვაშლის კრეფა. როგორც საქართველოში იციან, ისე გაგვიშალეს სუფრა ბაღში და მასპინძლებიც ჩვენთან დასხდნენ, ერთად ვივანშმეთ. დღემილი იყო გამეფებული, განსაკუთრებით ვახშმობის დროს და ვაშლის ხეზე შემომჯდარი მთვარე დაგვეურებდა.

ჩვენს მასპინძელს შვილი ჰყავდა ცალხელა. ახალგაზრდა კაცს ხელი ომში დაეკარგა. როცა ვაშლებს ვკრეფდით, მოვიდა, თავი დაგვიკრა, მერე ბაღში გაიარა. გალიაში დამწყვდეულივით წრიალებდა. ვაშლის ხეს, რომელზედაც მე ვიყავი გასული, რამდენჯერმე შემოუარა. არც სხვა მკრეფავეები დავიწყებია. ჩვენთან ივანშმა. ჩუმად იჯდა. არქიტექტურული ფაქტობების შესამე კურსიდან წასულიყო ომში, ხშირად ივლებდა მხარზე ხელს, თითქოს მოწყვეტილ ხელს ეძებსო და სახეზე ტანჯვა ეხატებოდა. ცალ ხელთან ერთად ლაპარაკის უნარიც დაეკარგა. ცალი მარჯვენა ხელი თვითონ დაიბანა ნავახშმვეს ბაღის ონკანთან, პატარა გოგონამ პირსახოცი მიუბრუნინა, მხარმარცხნივ გადაიკიდა და შეიმშრალა

ხელი. ისევ ჩვენთან დაჯდა, სახეზე ღიმილი წამოებარა, პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ჯერ მე მომაწოდა და მითხრა: პაპიროსს ხომ არ ინებებთო. უხმოდ ავიღე პაპიროსი.

იმ ოჯახში ის ახალგაზრდა ხეიბარი, მოხუცი ცოლ-ქმარი, ბავშვები და ომში დაღუპულთა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ქვრივები იყვნენ. ყველა ძუნწად ლაპარაკობდა, თვითონ ბავშვებიც კი არ ცელქობდნენ, არ ხმაურობდნენ. ღვინო ჰქონდათ სუფრაზე, მაგრამ არც ერთი სადღეგრძელო არ თქმულა.

ნავახშმვეს სხვა გერმანელი მეზობლებიც მოვიდნენ და გამოგველაპარაკნენ. გერმანელ მოქალაქეებთან საუბარი, თუ საქმეს არ შეეხებოდა, აკრძალული გვქონდა. რაკი უმეტადად ურეოდ დავრჩით, დაგვყარეს კითხვები კითხვებზე და როგორც მინდოდა, როგორც საჭირო იყო, ისე ვაქმაყოფილებდი მათს ცნობისმოყვარეობას.

ისინი დიდად დაინტერესებული იყვნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებით, სურდათ გაეგოთ, რას წარმოადგენდა კოლმეურნეობა, რანაირად მუშაობდნენ კოლექტიურად. ყველაფრის გაგება სურდათ, ყველაზე მეტად კოლმეურნეობა და უფასო მკურნალობა აკვირებდათ.

ორი პატარა გოგონა პირველად ისე მიბღვერდა, როგორც „კაციჰამის“, ჩქარა შემეჩვივნენ და ბავშვური გულუბრყვილო მეტიჩრობით გამოარბენინეს წიგნები და თავმოწონებით ხმამალა დაიწყეს კითხვა, ცალი თვალით ჩემსკენ იყურებოდნენ. გამოვართვი ერთს წიგნი და მეც წავიკითხე. ამ მოულოდნელობით გაკვირებული ბავშვები სიცილით ერთმანეთს აწყდებოდნენ. ნეტავ რა აცინებდათ ასე გულიანად? მოეწონათ ჩემი გერმანული თუ დამცინოდნენ? ალბათ არ მოეწონათ, მაგრამ მაინც გაეხარდათ. მეც მიხაროდა ბავშვების უზრუნველი კისკისი.

მერე საუბარში გავერთეთ და ბავშვებს ველარ მივაქციე ყურადღება.

**გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები**

1 ფრთხილად, ნელა (გერმ.).

ბავშვები ვაშლის ხეს ამოფარებოდნენ და ისევ კისკისებდნენ. ისინი დასაძინებლად წაეყვანათ უფროსებს, მაგრამ არ დამორჩილებოდნენ, ჩვენთან გამოშვიდობება უნდოდათ და ხეს ამოფარებულნი ერთმანეთს აქეზებდნენ: ჯერ შენ გამოემშვიდობე და მერე მეც გამოემშვიდობებიო. ბოლოს, როგორც იქნა, ერთად დაიყვირეს: Gute Nacht — „ღამენებისა“ და გაიქცნენ. Gute Nacht — მივაძახე მეც.

ყველას ჰყავდა ომში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული. უგზო-უკვლოდ დაკარგულებს ისინი ტყვეებად სთვლიდნენ. ვარწმუნებდი, გერმანელ ტყვეებს ჩვენები არ ხერებენ, ისინი კარგ პირობებში არიან-მეთქი.

მერე გამოგვემშვიდობნენ, თან ბევრი ვაშლი გაგვატანეს და უცხო ქვეყნის მთვარიან ღამეში ერთი გერმანელი მეზაღე გლეხის თანხლებით სულ რაღაც სამი კილომეტრით დაშორებულ ვაილბურგში ჩავედით.

შორიდან მოვკარი თვალი ჩვენს ბანაკს და ყრუანტელმა დამიარა. მაშინვე გაჰქრა იდილია მშვენიერი მთვარიანი ღამისა. მივედით, ბანაკს გუშაგები მეთვალყურეობდნენ ოთხივე მხარეს, მე კი მხოლოდ ორი გუშაგი მეგონა, ალბათ იმიტომ, რომ ასე გვიან პირველად ვბრუნდებოდით ბანაკში. ჭიშკართან მდგომმა გუშაგმა გასაღებები ააჩხარუნა, გაგვიღო ჭიშკარი, გერმანელმა გლეხმა მშვიდობის ღამე გვისურვა და წავიდა.

ვაშლის სასიამოვნო სუნმა გამოადვილა მძინარე ტყვეები, წამოცვიდნენ, ხის ქოშების ბრახა-ბრუხმა დააფრთხო ბანაკის მეთვალყურე გუშაგები. მეორე დღეს გვეკითხებოდნენ: რა მოხდა ასეთი თქვენი დაბრუნებითო. ვაშლები იმ ღამესვე გავუნაწილეთ მშვიერ ამხანაგებს.

მაქსს გაეგო, რომ კარგი ვაშლები მოვიტანე სოფლიდან. ასკერ კალაბურამ მთხოვა: მომეცი, მე მიუტანო. კალაბურასათვის პასუხი არ გამიცია. არ ვიცი, რა გადასცა მაქსს. დიდი ხანია

მაქსი ბანაკში არ შემოსულიყო. ირო-ნიულად ილიმებოდა. არჩეული ვაშლები მაგიდაზე ელაგა ტყეში ნაპოვნ ლითონის თეფშზე. მომიახლოვდა, ერთი ცალი ვაშლი აიღო, გახედა და მითხრა: ასეთი ვაშლი თუ გინახავსო! წამოვდექი და ვუპასუხე: ძალიან კარგია. მიჩურინის ვაშლი მაგაზე უკეთესია. მე ვაზისა და ციტრუსების ქვეყნიდან ვარ და ასე ადვილად ვერ გამაკვირვებს ასეთი ვაშლი-მეთქი და მთელი თეფში გავუწოდე. Danke¹, — მითხრა გულგრილად და მთელი თეფში ვაშლი თან წაიღო.

ჩემმა ლაბარაკმა, არ ვიცი, რა გავლენა იქონია გერმანელ გლეხებზე, ჩემთვის კი მწარე ნაყოფი გამოიღო. მთელ სოფელს მოსდებოდა ჩემი იმღამინდელი ნალაბარაკევი. ვაილბურგშიაც გავრცელდა ხმა და გერმანელთა სამხედრო სკოლამდისაც მოაღწია. ის სოფლელი გლეხი სამხედრო სკოლის მებოსტნედ მუშაობდა, აზრადაც არ მომსვლია მეთქეა, არ გამამხილო-მეთქი. ეს ამბავი ჩვენი ბანაკის ჯაშუსაც გაეგო.

სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გერმანელებმა ჯაშუშები შეგზავნეს. ამა და ამ ბანაკიდან გადმოგვიყვანესო, ამბობდნენ ისინი. კაცი ვერ გაიგებდა მართლა სამხედრო ტყვეები იყვნენ თუ შემოგზავნილები. ასეთმა შემოგზავნილმა ჯაშუშებმა ბევრი ტყვე იმსხვერპლეს. ზოგს იქვე ხერებდნენ და ზოგს სიკვდილის ბანაკებში აგზავნიდნენ.

კომენდანტ მაქსთან ერთად ტყვეების სამეურნეო საქმეს ვანაგებდა ახლად-დანიშნული ოფიცერი, პროფესიით ცალმაისტრი. იგი თავის თავს ყოზეფ ფუშეს უწოდებდა, ჩვენ კი ახეფი დავარქვით. ყოველნაირი იარაღი ეკიდა. ზარბაზანი აკლიაო, — დასცინოდნენ კოლეგები. ვაიმარიდან ორი გესტაპოელი ჩამოიყვანა და მასთან ერთად იკისრა ჩემი საქმის გამოძიება. კომენდანტმა მაქსმა კი ჩვეულებრივი გულგრილობა გამოიჩინა.

¹ გამალობთ (გერმ.).

ჩემი საქმის გამოძიება მაქსის ოთახში მიმდინარეობდა. იმ ორი გესტაპოელის გარდა ცალმაისტერმა ვიღაც გერმანელი ოფიცერიც დაისწრო. ის ოფიცერი სრულიად არ იყო დაინტერესებული ამ საქმით, სხვაგან ეჩქარებოდა, ვერ ისვენებდა და „მოკლედ, მოკლედო“, — ეუბნებოდა ცალმაისტერს.

მაქსს სულ სახეში შეეცქეროდი, რაღა მისი დარდი მქონდა, მაგრამ მაინც მოაცხებდა მისი ხასიათი. ცოტა ხანს დარჩა, სულ სხვა რამეზე იყო დაფიქრებული. დაჯექიო, — ეხვეწებოდა ცალმაისტერი, მაქსი ყურს არ უგდებდა, ცალი ფეხი რიტმულად აბაკუნა იატაკზე და გავიდა.

ახლა ორ გესტაპოელს შევხვდეთ. ერთი სიკვდილის მომლოდინე ორ სიკვდილს შეეყურებდი. ორივე შვიდად იჯდა. რამდენიმე კითხვა მომცეს და დაკმაყოფილდნენ. ორთავეს შუბლზე ეწერა, ჯალათები რომ იყვნენ.

— თუ ასეა საქმე, დროს რად ჰქარავ, შეშა და ნახშირი მაქვს მოსატანო, შენ არა სთქვი? მეც მაგ საქმეზე ვარ წასასვლელი, შევბუღება უნდა ავიღო, — უთხრა ოფიცერმა ცალმაისტერს.

— შეშა... ნახშირი... ნახშირის ბრიკეტები თვლითა და ცალობით ნაწილდება, სადაა ნახშირი, შეშა არ გამოადგება ჩემს ღუმელებს, მთელი ვაილბურგის ტყეც არ მეყოფა, — შესძახა ცალმაისტერმა.

— აბა დაჯექი და უცქირე ერთ ვიგინდარა აზიელს თუ რუსს. საქმე არა გაქვს? „Erschießen“¹ მორჩა და გათავდა, — თითქმის დაუყვირა გერმანელმა ოფიცერმა. ხელთათმანები ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და გარეთ გავარდა. ისევ ჩქარა მობრუნდა, კარი შემოაღო და გესტაპოელებს უთხრა: ბატონებო, წამობრძანდით, რაღას უყურებთ, დროს რატომ კარგავთ!

— აბსოლუტური ჰემშარიტებაა, — უპასუხა უფროსმა გესტაპოელმა, ორივენი წამოდგნენ და გაჰყვნენ.

სიტყვა „ერშისენმა“ გული გამიხვრიტა. ნეტავ არ მცოდნოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა, თუმცა მეტი რა ვისწავლე ამ ოხრებისაგან.

ცბიერი ღიმილითა და გველის თვლებით მიყურებდა ცალმაისტერი. მეც თითქოს მშვიდად შევეცქეროდი სახეში და განაჩენს ველოდი. აგვიანებდა მეგზვარა ცალმაისტერი გადაწყვეტილებას. დავიტანჯე, ყოველი წამი საუკუნედ მეჩვენებოდა. მინდოდა ძეყვირა: ჩქარა, ჩქარა ამოიღე ხმა, შე ჯალათო-მეთქი. ცალმაისტერს ისევ ცბიერი ღიმილი მოერია და მითხრა:

— ორი კვირა კიდევ დარჩები ბანაკში და მერე სიკვდილის ბანაკისაკენ გაემგზავრები. იქ განაგრძე შენი პრობანდისტობა!..

ეს ჟოზეფ ფუშე უფრო კეთილი გამოდგა, არ უნდა დამხვრიტონ. სიკვდილის ბანაკში მაგზავნის, სიკვდილს ეს სჯობია, იქნებ სიკვდილს გადავურჩე რამენაირად იმ ბანაკში...

— ა, რას იტყვი, არ მოგწონს? არ მოგწონს ჩემი განაჩენი? ის ხომ მოგწონს, ფრონტზე მიმავალ გერმანელ ახალგაზრდა ოფიცრებს რომ უთხარი, გერმანიიდან რუსეთში წასული კაცი მოგზაურობით დაიღლებო. ესე იგი, ბრძოლით რაღა დაემართებო. დიხა, სხვანაირად არ შეიძლება ამის გაგება.

არ დამიწყია თავის მართლება.

— ა, რას იტყვი, არ მოგწონს?..

ჩემთვის სულ ერთია-მეთქი ვუპასუხე. ერთ ადგილზე ყოფნა მიმბეზრდა, ყველაფერი მომბეზრდა, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით-მეთქი.

— რაო, — დაიყვირა ცალმაისტერმა, — მოგბეზრდა ერთ ადგილზე ყოფნა? მე დაგტოვებ ერთ ადგილზე, სამუდამოდ დაგტოვებ ვაილბურგში, ვაილბურგის მიწაში.

აცხაცხდა. მე კი უფრო მაგრად ვიდექი. ხელთათმანების გახდა დაიწყო. გადაწყვეტილი მქონდა, თუ ხელს რევოლვერისაკენ წაიღებდა, მაშინვე გა-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

¹ დახვრიტეთ (გერმ.).

კუბობდი გულს მაქსის ხანჯლით, რომელიც ახლოს ეკიდა კედელზე. არასოდეს არ ატარებდა კომპოზიტორი თავის ხანჯალს. აღარ გაუძვრია ხელთათმანები. აღმური წაჰკიდებოდა სახეზე, ქალაღებით სავსე პორტფელს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

მარტო დავრჩი მაქსის კაბინეტში. არაჩვეულებრივ ძალღონეს ვგრძნობდი და მიხაროდა. შემეძლო გარეთ გავსულიყავი და არ გავდიოდი. მაგიდაზე დარჩა მაქსისა და ცალმაისტერის სახელზე დაწერილი ბრძანება-ქალაღი, რომელშიც ეწერა:

„გვეალებათ გამოიძიოთ ეროვნებით ქართველი სამხედრო ტყვის გეორგ ჭავთარაძის საქმე, დაჰკითხოთ სოფელ კუბახის¹ მცხოვრებლებს და დამნაშავე ტყვე... გეორგ ჭავთარაძე თუ ჭავთარაძეს... მეტი ვეღარ ამოვიკითხე. მოხსენებული იყო აგრეთვე გვარი ჩვენს ბანაკში მცხოვრები ერთი ტყვისა, გვარი ვერ დავაზუსტე, რადგან ჩვენთან რამდენიმე კაცი იყო თითქმის ერთნაირი გვარისა. მაგალითად, ახმედოვ, ახმატოვ, ახმეტოვ. ამ გვარის ნაცვლად კალაბურას გვარი რომ წამეკითხა, არ გამიკვირდებოდა, ვერც ეს გვარი ამოვიკითხე კარგად და ვერც დაწერილი ბრძანება წავიკითხე ბოლომდის. მაქსის ხმა შემომესმა: „ოსკარ!“ ასკერ კალაბურას ეძახდა. ჩემთვის საზარელი სახელი ბასრი მახვილივით გულზე მომხვდა და დავეჯექი.

შემოვიდა მაქსი და მის სავარძელში ჩამჯდარი რომ დამინახა, განცვიფრებულმა უკან დაიხია.

— სად არის ცალმაისტერი? — იკითხა და მიიხედ-მოიხედა პატარა ოთახში.

— არ ვიცი, წავიდა.

— წავიდა? მერე შენ აქ რას აკეთებ?

— არაფერს...

— Dummkopf².

— ვინა, ბატონო?

— ცალმაისტერი!

— რატომ?

— როგორ დაგტოვა აქ მარტო.

მერე უბის წიგნაკი გამომიწოდა:

— შენი წიგნაკია, ოსკარმა მომიტანა.

ოფიცერთა სკოლის ეზოში ვიბოვეო.

როგორ ჩაუვარდა ხელში ჩემი უბის წიგნაკი ამის მომტანს? ასე მეგონა, ყველაფერი წაკითხული ჰქონდათ წერაკითხვის უცოდინარ ჯამუშ ასკერ კალაბურასა და ქართული ენის უცოდინარ გერმანელს.

გავიფიქრე: თუ დამეკარგა ეს ჩემი უბის წიგნაკი, რაღა მაინცდამაინც კალაბურამ იპოვნა და თუ ასე მოხდა, რაღა მაინცდამაინც კომენდანტ მაქსს მიუტანა-მეთქი. კიდევ კარგი, რომ ცალმაისტერს არ ჩაუვარდა ხელში. ცალმაისტერი ამნაირი ამბების რკვევადიებით ცოცხლობდა და ჩანაწერების მთარგმნელს უსათუოდ მოძებნიდა.

მაქსს მაღლობა გადავუხადე და ოთახიდან გამოვიდი. მცველი გარეთ მელოდებოდა და ბანაკში წამიყვანა.

ჯამუშმა მიადწია მიზანს. ცალმაისტერის მრჩეველი ოფიცრის ნათქვამი არ მასვენებდა. ყოველდღე, ყოველწამს ველოდი დახვრეტას. სიკვდილს. ცალმაისტერის დაპირებული სიკვდილის ბანაკი მერჩია და მაინც მთელი თავისი საშინელებით წარმოვიდგინე ეს ბანაკი. თუმცა ხშირად ჩვეულებრივი ბანაკი სიკვდილის ბანაკისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

გაქცევა მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი, სანამდის ვირბენდი ან სად დავიმალეობოდი, გერმანიაში დამალვა უძნელესი რამ იყო. ვფიქრობდი და გამოსავალი ვერ გამომენახა. მთელი ღამე თეთრად გავათენე.

მეორე დღეს მაქსმა გამომიძახა და მითხრა: დღეიდან ბანაკის უფროსი ასკერ კალაბურა იქნებაო.

ჩემი ტრაგედია ის იყო, რომ სამუშაოდ არ მიშვებდნენ, სულ მარტო მტოვებდნენ ბანაკში.

¹ კუბახი — სოფელი, სადაც ვაშლის საკრეფად ვიყავი.

² სულელი (გერმ.).

გერმანელთა სამხედრო სკოლის გა-
დაღმა დაღმართი იწყებოდა, შემდეგ
პატარა მდინარე (უფრო ღელე) იყო.
მდინარის პირას ვაილბურგელ სამ-
ხედრო ტყეებს ხერგტდენ და იქვე
მარხავდნენ. ბანაკში ყოველთვის ერთსა
და იმავე დროს, დაბინდებისას და უფ-
რო გვიან ღამითაც სროლის ხმა მესმო-
და. არ მინდოდა დამეჯერებინა ის სა-
ეჭვო თოფის სროლა, სანამ ამხანაგებმა
არ მოიტანეს ამბავი: იმ დროს ტყეებს
ხერგტენო.

იმ პირველ უძილო ღამეს თურმე მა-
თევოს ნადირიანი მადევენებდა თვალს.
ღილით ჩამილაპარაკა: ნუ გეშინია, გო-
გიჯან, შენთან ვარო!.. იგი კარგი ადა-
მიანი იყო და ბოლომდის ასეთივე დარ-
ჩა. ყველაზე გაბედულად გამომიწოდა
მეგობრული ხელი, დარდი და გასაჭირი
შემომსუბუქა. ახლაც კარგი მეგობრები
ვართ. იგი ერევანში ცხოვრობს და ერთ-
მანეთს ხშირად ვწერთ წერილს.

უძილობა მჭირდა, ჩემი საწოლი
სარკმელთან იდგა და შავ ფიქრებში
გართულს მთვარე თავზე წამომდგომო-
და და სარკმელში იხედებოდა. რაღაც
მცირე სიხარული ვიგრძენი, მაგრამ ეს
მცირე სიხარული დამწუხრებულ გულს
ისარივით მოხვდა. მომაგონდა დედის
ნათქვამი: „როცა წევხარ და მთვარე
შინ შემოიხედავს, კარგია, სიხარული
იციოს“.

დედაჩემო!.. რა უყურადღებოდ ვის-
მენდი, როცა შენ ამას მეუბნებოდი.
სად მომაგონდა, სად გამახსენდა!.. რა
ძვირფასია ახლა ჩემთვის შენი სიტყვე-
ბი. ნეტავ რა სიხარული უნდა მომიტა-
ნოს ამ უცხო ქვეყნის მთვარემ?.. ასე-
ველაპარაკებოდი დედაჩემს, რომელიც
ვერ დავიტირე და სამარემდის ვერ
მივაცილე. ავადმყოფი მივატოვე მე-
ზობლებსამარა. ვაკიქციე, რომ მა-
ტარებელს არ გაესწრო. ფრონტზე მი-
ვეშურებოდი.

„როცა წევხარ და მთვარე შინ შე-
მოიხედავს, კარგია, სიხარული იცი-
ოს“ — ვიმეორებდი გულში და მგონი
ამ ფიქრში ჩამთვლიმა კიდევ. რა არი
ბიჭო, რა უნაირო წოლა იცი, შიშველი

რომ ვათხლაშულხარ, გაცივდები —
ჩამჩურჩულა დედაჩემმა და ხელების
ფათურით გადამახურა საბანი. გა-
მიტყდა ისედაც გატეხილი ძილი.

ველარ გავძელი და გარეთ გამოვეარ-
დი. თბილისიდან რომ მივდიოდი
ფრონტზე, 1942 წლის 21 ივნისის მთვა-
რიანი ღამე იყო და უცხო ქვეყანაშიაც
ისევ ის მთვარე მიყურებდა. რამდენი
რამ შეცვლილიყო მას შემდეგ, რამდენ-
ნი სიცოცხლე ჩამქრალიყო, რამდენი
მშვენიერი ქალაქი და სოფელი გადა-
ბუგულიყო, ადგილიყო პირისაგან მი-
წისა. ის მთვარე კი ისევ გულგრილად
იხედებოდა.

ბანაკის წინ გერმანელი გუშაგი იდგა
და შტრაუსის ვალსს უსტვენდა, შიგა-
დაშიგ მღეროდა კიდევ. მე რომ დამი-
ნახა, თითქოს შერცხვარ, სტვენა შეა-
ნელა და ბოლოს სულ შეწყვიტა. რა
კარგი იყო იმ მთვარიან ღამეში შტრაუ-
სის მშვენიერი ვალსი. ვიფიქრე, გამო-
ველაპარაკები, რაც იქნება, იქნება-
მეთქი. ვთხოვე, განეგრძა.

— მოგეწონა? ეს შტრაუსის ვალ-
სია, — მითხრა. ვიცი-მეთქი. მიიხედ-
მოიხედა და ისევ თავიდან დაიწყო.

კარგად უსტვენდა; კონსერვატორიის
სტუდენტი ყოფილიყო და მომავალმა
არტისტმა ჩემი სახით კარგი მსმენელი
იშოვნა და გაიხარა.

კონცერტი როცა დაამთავრა, შევაქე-
მომიახლოვდა, გაკრიალებული ჩექმე-
ბი მთვარის უშქვე უბრწყინავდა, მარ-
ცხენა ხელში ჯოხივით დაბიჯებულ
თოფი მარღად მოიგდო მხარზე, გულის
ჯიბიდან ორი თითით ორი ცალა სიგა-
რეტი ამოიღო, მავთულხლართში ხელი
შემოყო და ერთი მე გამომიწოდა.
მერე ასანთი მთხოვა. ამოვიღე ასანთი,
მავთულხლართებში ხელი არ ვაყვავი,
რაც ტყეებს აკრძალული გვექონდა და
ზევიდან გადავუღდე, მარჯვედ დაი-
ჭირა, სიგარეტს მოუკიდა და უკან და-
მიბრუნა.

გიორგი ქავთარაძე
ჟარისკაცის ჩანაწერები

გამომელაპარაკა. მშვენიერი მთვარინი ღამე ვაქეთ, ომი ვაგინეთ. სამხედრო სკოლის კურსანტი იყო. სკოლის უფროსად ობერლეიტენანტი ჰყავდა. ჩემი გასაჭირი გუშაგმა ყველაფერი გამომკითხა და დამპირდა, ვეტყვიო.

კვირადღე იყო. ყველანი ბანაკში ვიყავით, მხოლოდ რამდენიმე მხალისე ტყვე გაიყვანეს სამუშაოდ. დანარჩენები ვისვენებდით, თუ ჩვენს დასვენებას დასვენება დაერქმეოდა. ბანაკის წინ მუქი ყავისფერი მანქანა გაჩერდა, გუშაგი მიესალმა მანქანაში მჯდომს, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოტრიალდა გუშაგი და ბანაკისკენ წამოვიდა; მე ეზოში ვიჯექი, გამომიძახა.

გავოცდი. მანქანიდან ობერლეიტენანტი გადმოვიდა და მოხუცი კაცი ფრთხილად გადმოიყვანა. ორივე ზრდილობიანად შემეგება. ობერლეიტენანტმა მოხუცი კაცი გამაცნო: მამაა ჩემო. ჩემზე უთხრა: ეს ქართველია, ცნობილი და მშვენიერი ქვეყნიდან არისო. მოხუცმა საყიდლად მიყვანილ მონასავით კარგად დამათვალიერა და მკითხა:

— Was sind sie von Beruf? ¹

სანამ ვუპასუხებდი, შვილი ნახევრად ყრუ მამასთან მივიდა და ყურში ჩასძახა:—ხომ გითხარი, პოეტია, მწერალია-მეთქი. მოხუცი გაიპართა და სახეგანათებულმა პათეტურად წარმოთქვა:

— Dichter, Schriftsteller ². დიახ, დიდად სასიამოვნოა. მე ვიცნობ საქართველოს არტურ ლისტის წიგნით: „Das Georgische Volk“ ³ და მისი თარგმნილი რუსთაველის „ვეფხისტყაო-

სანიც“ წაკითხული მაქვს. ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. — შეილს გაეხარდა მამის ნათქვამი, ხან ჩემსკენ იტკირებოდა და ხან მამისკენ.

ჩემი სამშობლოსა და რუსთაველის ხსენებაზე ცრემლი მომერია. მე არ მრცხვენია იმ ცრემლებისა. ტყვე კი არა, ვინ იცის რამდენი ქართველი აუტირებია უცხო ქვეყნის მიწაზე რუსთაველის პოემას, ვინ იცის რამდენი ქართველი გაუმხნევებია ამ უკვდავ წიგნს.

— აჰა, ტირით? კარგია, არა უშავს რა, მე მიყვარს ასეთი ცრემლები. მეც მიტირია გოეთეს საფლავზე, როდესაც დიდი ხნის წასული საფრანგეთიდან სამშობლოში დავბრუნდი. აი, ეს მაშინ პატარა იყო, — მითხრა და შვილზე მიმითითა.

სამხედრო სკოლასა და ბანაკს შორის ვიდექით გზის პირას. ყველა გამველღამომველი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი სმენად ქვეუღიყო და გვიტკერდნენ. გვიან შეამჩნია ობერლეიტენანტმა, მიბრუნდა თუ არა მათკენ „ჰაილ ჰიტლერ!“ — იგრიალეს ერთხმად. „ჰაილ!“ — უპასუხა ობერლეიტენანტმა და ხელით ანიშნა, დაშლილიყვენ. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მერე გუშავს კომენდანტი მაქსი გამოაძახებინა და სანამ მაქსი მოჩანჩაღდებოდა, მოვასწარი მეთქვა, რაც მაწუხებდა. ყველაფერი ვიციო, მითხრა.

მოვიდა კომენდანტი მაქსი და მისალმებისას სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა. იგი არ იყო სამხედრო კაცი, დაიბნა, ხელის ალების დროს სიგარა პირში შერჩენოდა.

ობერლეიტენანტს გაეცინა, მივიდა, გამოაცალა პირიდან სიგარა და გადააგდო. მაქსი კიდევ უფრო დაიბნა, დაიხარა, სიგარა აიღო და უფრო შორს გადაისროლა. ობერლეიტენანტმა სიცილი დაიწყო. გერმანიაში პირველად და-

¹ რა ხელობისა ბრძანდებით? (გერმ.).

² პოეტი, მწერალი (გერმ.).

³ „ქართველი ხალხი“ (გერმ.).

ვინახე გულიანად გაცინებული გერმანელი. მოხუცსაც გაეცინა.

ობერლეიტენანტმა სიცილი შეწყვიტა, შუბლი შეიჭმუნა და კომენდანტ მ.ქსს უბრძანა, ხვალ დილისთვის ეს კაცი ჩემთან გამოგზავნე, წერა-კითხვის მცოდნე კაცი მჭირდება წიგნების გადასარჩევად.

„არის“, — წამოიძახა მაქსმა და ხუმრობით უთხრა: პოეტია, საქმისთვის არ გამოგადგებათო. ობერლეიტენანტმა მოკლედ მოუჭრა: ვიცი, რაც არისო.

ობერლეიტენანტმა ჩასვა მოხუცი მამა მანქანაში, რომელსაც თვითონ მართავდა, ხელი დამიქნიეს და წავიდნენ. ბანაკში ტყვეები შემომეხვივნენ და ჩემი გამოძახების მიზეზს მეკითხებოდნენ. ასკერ კალაბურა კი ისტიბარწამხდარი დაწრიალებდა იქვე.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

გვრძელება იქნება



მეჩხო სახელაუზიდი



მოთხრობა

მამინ თორმეტი წლისა ვიქნებოდი. ძალიან ცუდი ბინა გვექონდა. ჟამთა ვითარებასაგან ძალაგამოცლილი სახლი თავს ძლივს იკავებდა და ზედ დამხობით გვემუქრებოდა. მოცდა აღარ შეიძლებოდა. მამამ უკიდურესი მომჭირნეობა გამოიჩინა, კაპიკს კაპიკი მიუმატა, საჭირო ფული ძლივს დააგროვა, ფიცრის ძველი შენობა დააგროვა და ახალი, ქვიტკირის ერთთახიანი მკვიდრი შენობის აშენება გაბედა. ახლობლების გარდა ამ მშენებლობაზე რამდენიმე ფასიანი მუშა მუშაობდა. ერთი მათგანი, შორი სოფლიდან ფულის საშოგენელად წამოსული ვინმე კეთილაძე სახლის დამთავრებამდე გვევლოდა. კეთილაძე მართლაც რომ კეთილი ადამიანი იყო.

მუშები რომ საფასურს იღებდნენ, კეთილაძემ თავი ბოლოს მოიქცია და მართლ დარჩენილმა მამაჩემს უთხრა:

— ძია მიხავ, დაგრჩა რამე ჯიბეში?

— შენი მოსაცემი მაინც დამრჩა!

— თუ დაგრჩა, მომე, თუ არა და დაცადი.

— რაღა შენ უნდა დაგტოვო უფულოდ!

მამამ კეთილაძესაც მიუთვალა გასამრჯელო. კეთილაძეს ფული მაშინვე არ ჩაუდვია ჯიბეში, მიიხედ-მოიხედა, ჯერ მამაჩემის დახეულ პერანგზე შეაჩერა მზერა, მერე ჩემს შიშველ ფეხებზე. რამდენიმე თუმანი გადათვალა და მამას მიაწოდა:

— აიღე, სამი დღით მოგვხმარე. დიდი ამბავი!

მამა უარზე დადგა. კეთილაძემ ის ფული ახლა მე მომცა და მითხრა:

— მიჩუქნია, გაიყოლე დედა მალაზიანი, იქ საშენო წითელი ფეხსაცმელი იყიდე და ჩაიცვი, ოღონდ კარგად ისწავლე. კაცი გამოდი!

მამა უძრავად იჯდა, მერე უთხრა:

— ჩემი ძმა არა ხარ, ნათესავი და მეზობელი, რატომ მეხმარები?

— ადამიანი ვარ! — სიტყვა მოუჭრა მამას კეთილაძემ.

სამი დღის ნაფასური! დიდი რამე იყო ჩვენთვის ის მცირე თანხა. მერე მამა მიდგა, მოდგა, იმუშავა, შემოსავალი გაიჩინა და, როგორც იტყვიან, იოლად გავედით.

წითელი ფეხსაცმელი!

რა ძალიან დამწყდა გული იმ წითელ ფეხსაცმელზე, რომელსაც მერე ხშირად ვუსურებდი, ვიტრინას არ ვცილდებოდი და ვფიქრობდი: გავიზრდები, ვისწავლი, ვიმსახურებ, ჯამაგირს ავიღებ და... ახლა კი...

... მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ მიეცა დაფიწყებას. ის კაცი ვერც მამამ დაიფიწყა, ვერც მე. კეთილაძემ გაღესილ, ჯერ კიდევ გაუმშრალ კედელზე წვეტიანი ჩხირით წააწერა: „ა. ნ. კეთილაძე, დაბადებული 1913 წლის 19 სექტემბერს“. მამა მუდამ გვაფრთხილებდა: არ წაწალოთ, ეგ წარწერა

კარგ კაცსა და მასთან სასიამოვნო ურთი-
ერთობას მაგონებსო.

ახლა ჩვენი სოფელი ისეთი აღარაა,
როგორც იყო. ცხოვრება დულს და ვად-
მოდულს, ახლა ყველანი კარგად ვცხოვ-
რობთ. მამა ყურძნის უხვი მოსავლის ოს-
ტატია, მე ექიმში ვარ, ქირურგი, ჩვენი
დიდი და კეთილმოწყობილი სოფლის სა-
ავადმყოფოს გამგედ ვმუშაობ.

გაკვირვებით აშენებულ იმ ერთ ოთახს
რამდენიმე ოთახი მივადგი და დავადგი.

— ეგ ოთხი კედელი — მეტყვის ხოლ-
მე მამა — შენი მამა-პაპის ძვალსისხლი,
მათი გულისცემა, ხსოვნა და მოგონებაა.

ზოგჯერ მახსენდება მიუღწეველი წი-
თელი ფეხსაცმელი და წუთიერი სევდა
მეუფლება. ცარიელ ოთახში უბრალო
ტახტიც არ გვედგა. ჩვენს სახლში მარტო
სიღარიბეს ედგა ტახტი. იმედმა, მოწა-
დინებამ, შრომამ და შრომის განუსაზღ-
ვრელმა სიყვარულმა ჯერ შეაფიქროვა
მოძალებული სიღარიბე და მერე საბრძა-
ნებლიდანაც ჩამოაგდო.

... აგვისტოს დღე იყო. ქუჩიდან რა-
ღაც ხმაური მომესმა. გარეთ გავვარდი.
მგზავრებმა საშინელი ტკივილისაგან შე-
წუხებული თანამგზავრი მანქანიდან ჩა-
მოიყვანეს. სანამ მწვანეზე დასვამდნენ,
მივაძახე:

— სახლში წამოიყვანეთ!

ავადმყოფს ბრმანაწლავის ისეთი შე-
ტევა ჰქონდა, რომ სასწრაფო ოპერაცია
იყო საჭირო.

საშველად ჩემს დასა და ცოლს ვუხმე.
საოპერაციოდ მოვემზადე.

ექიმს ოპერაციის დროს დიდად ეხმა-
რება ავადმყოფის სულიერი სიმტკიცე.
ჩემი ავადმყოფი სწორედ ასეთი გამოდგა.

— ნულა გეშინია, ახლა სულ კარგად
იქნები! — ვუთხარი ჩემს ავადმყოფს მე-
ორე დღეს. მაშინ, სწორედ მაშინ დავა-
კვირდი მის ფერმკრთალ სახეს, დავა-
კვირდი და მის აზრიან და ღრმა
თვალეზში რაღაც ნაცნობი, ახლობელი
და ალერსიანი დავინახე. საიდან მეც-
ნობა ეს კაცი?!

მამა გვიან დაბრუნდა. უცხო ადამი-
ანის ჩვენთან ყოფნა ეზოშივე გვაგებინე.

მამაჩემმა შეხედა თუ არა სტუმარს, მა-
შინვე მითხრა:

— ეს ხომ კეთილადეა!

ამის გამორკვევა არ იყო ძნელი. მამა
გვერდით მოვისვი, მოვიმარჯვე ფანქარი
და ავადმყოფს კითხვები დავაყარე:

- სახელი?
- ალექსი.
- მამის სახელი?
- ნიკოლოზი.
- გვარი?
- კეთილადე.
- დაბადების წელი?
- 1913.
- თვე?
- სექტემბერი.
- რიცხვი?
- ცხრაშეტი.

პასუხები კედელზე წარწერილს ზუს-
ტად დავითხვა. მამამ ითმინა, ითმინა,
სინარული ვეღარ დაფარა და ალექსის
უთხრა:

- შენი რჯული არ იყოს, რას გვეხათ-
რები, ნუთუ აღარ გახსოვართ?
- თქვენ?! — გაიკვირვა ალექსიმ.
- ჰო, ჩვენ.
- საიდან უნდა მახსოვდეთ?
- შენ ხომ ჩვენთან მუშაობდი?
- როდის?
- ოცდაერთი, ოცდაორი წლის წი-
ნათ.

- ცდებით.
- აბა კარგად გაიხსენე.
- რა უნდა გავიხსენო, ამ სოფელში
პირველად ვარ!
- საოცარია!

არ შევაწუხოთ ავადმყოფი-მეთქი, გა-
ვიფიქრე და მამა ოთახიდან გამოვიყვანე.
ვიფიქრეთ, ალბათ სიკეთის გახსენება
არ უნდა-თქო. კაცია და გუნება!

ალექსის ტკივილები ჯერ მიუყურდა,
მერე სრულიად გაუქრა. მოიკეთა. ნაც-
ნობობაზე სიტყვა აღარ დაგვიძრავს. რო-
ცა მე შინ არ ვიყავი, ოჯახის სხვა წევ-
რებთან ერთად ავადმყოფს მამაჩემიც უყ-
ვლიდა. უფელიდა კი არა, პირდაპირ თავს
ეგვლებოდა.

შაქრო სამადაშვილი
ორი დანა

განშორების დრო ახლოვდებოდა და ალექსის უფრო და უფრო ვატყობდი მოკრძალებასა და ჩუმ ნაღველს. მიწეზი ვკითხე და არ მითხრა, მალე თუ გამიშვებ, კარგი იქნებაო. ბოლოს, როგორც იყო, გამომიტყდა, ამჯერად შენი პატივისცემა არ შემიძლია და ძალიან მეუსერბულებო. თურმე რა საფიქრალი ჰქონია! დავარწმუნე, მაგაზე ნუ ფიქრობ, ეგ ზედმეტია-მეთქი. მერე წინ გავუძებნი, მამასთან, მამისეულ ბინაში ჩავიყვანე, კედელზე მივახედე და გუთხარი, წაიკითხე-მეთქი.

წაიკითხა!

— არც ახლა გაამხელ შენს ვინაობას?

კეთილადემ გაიღიმა.

— აი, რაში ყოფილა საქმე. ეს წარწერა მე არ მებეზა, ძმა მყავს, ანდრო ნიკოლოზის ძე კეთილადე, საოცრად მკაცრს.

— მერე და ერთ წელს, ერთ თვესა და რიცხვში დაიბადეთ?

— ტყულის ცალია.

მამას მივხედე: უხაროდა თუ სწყინდა, ალექსი რომ ალექსი გამოდგა და არა ანდრო?! მაგრამ ე' გრძნობა წუთიერი აღმოჩნდა. ეს კეთილადეც ისევე ძვირფასი იყო ჩვენთვის, როგორც მისი ძმა.

ალექსის ვუამბეთ ყველაფერი. ძმის კეთილშობილი საქციელი არ გაჰკვირვებია, მარტო ის უკვირდა, სიკეთის პატარა, მაგრამ ჯანსაღმა თესლმა ასე ნოყიერი ნიადაგი როგორ იპოვაო.

... ჩვენთან ყოფნის უკანასკნელი დღე ალექსიმ ეზოში გაატარა. მოხერხებულ ადგილებზე პანტის, მაყალოს, ბლის, ატმისა და ქლიაგის საძირე ნერგები შენიშნა. მკითხა:

— ესენი რატომ დარგე?

— ზედ საუკეთესო ჯიშის ხეხილის კვირტები უნდა დავამყნო.

— მყნობა იცი?

— არა.

— რა ჯიშები გინდა?

— მაჭალოზე მინდა ვახარო შაურანი, პანტაზე — გვიანი ზაფხულის მსხალი, ბალზე — თეთრი სამურაბე, ქლიაგზე —

ალტანა, ატამზე — ადრეულა სახრავი, სხვა დანარჩენი ხეხილი სხვადასხვა ჯიშისა, როგორც ხედავ, მაქვს!

— ეგ ჯიშები უდგას ვინმეს აქა?

— კი.

— ვისა?

— სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს.

ალექსის სწორედ იმ ტექნიკუმში ჰქონია საქმე. სწორედ იქ მიდიოდა თურმე.

მეორე დილით ალექსი გავაცალეთ. კარგი, კეთილი მშრომელი, საქმეზე მიმავალი ადამიანი სიკვდილმა გზაზე წამოაქცია, წაძვეულს მივეშველე, მოეუარე, ფეხზე დავაყენე და თავისი გზით გავუშვი.

მიხაროდა და მემამაცებოდა.

დაჯერებული, მტკიცე ნაზიჯით მივდიოდი სამსახურში, შევესურებდი ჯვავილებს, ხეებს, მოწმენდილ ცას, ბავშვების თამაშს, ფრინველთა ნავარდს, ადამიანის შრომას და ყველაფერი სიცოცხლის გამარჯვებისა და სიკვდილის დამარცხების ჰიმნად მესმოდა.

გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და შინ გვიან დაგბრუნდი, ალექსის საქმე რომ მოეთავებინა, ისევე ჩვენსას გამოეცლო, შინმისულს გადმომცეს მისი ბარათი:

„ძვირფასო და საყვარელო ვახტანგ! შენი სურვილი შევასრულე. გავა რამდენიმე წელი და თქვენთან გატარებული დღეების სამახსოვროდ შენს პატარა ეზოში იმრიალებენ ვაშლის, მსხლის, ატმისა და ქლიაგის ფოთლები. გემრიელი, ბარაქიანი ნაყოფის სიმძიმით დაიხრებიან ტოტები. კვირტები კანში საიმედოდ სხედან და ეჭვი არ შეგეპაროს მათს გახარებაში. გჯეროდეს, მყნობის საქმეში ისე ვარ დახელოვნებული, როგორც შენ — ადამიანების მკურნალობაში! ჩვენ დიდხანს უნდა ვიცოცხლოთ და ვემსახუროთ ხალხს, შენ — შენი დოსტატრის დანით, მე კი ჩემი სანამყენე დანით. რაკი სურვილი შევისრულეთ, ნაწილობრივ მაინც ნასიამოვნები მივდივარ.

თუ დაგპირდე, მიხმე, შემომთოვალე. მალე ნახვამდის. შენი ალექსი“.



ქვემო და ზევითი პაპაშვილები

სადაც ყველაზე უფრო

ქვემო

რომანი

სადა მრაველი და მთავარსაზრებო

დაიწყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები. ვმოგზაურობდი და ვათვალისწინებდი ჩემს წინ გადაშლილ ვრცელსა და თვალწარმტაც ქვეყანას. დღე ისე არ გაგოდოდა, რომ კიდევ ერთი მარჯალიტი არ მიმემატებინა შთაბეჭდვლებათა საგანძურისათვის.

დიდი, თვალწვედენელი იყო ამერიკა. „დი-ღია, დი-ღია“, — შემომძახოდნენ ავტომობილებისა და ამაყი მოტოციკლეტების თვლები: „დი-ღია“, — გრიალებდნენ ტრაქტორის მუხლუბოები, „დი-ღია, დი-ღია“, — გუგუნებდნენ ლიანდაგები, თუმცა ლოკომოტივი უკვე თვალს იყო მიღარებული...

ახლა ხალხი?! სადაც კი შევჩერდებოდი, ყველა ხალხით მემუსაიფებოდა და მიმეგობრდებოდა. ვხვდებოდი რუსეთიდან ჩამოსულ მენონიტებს, პრადელ „ბოჰემელთა ძმობის“ წევრებს, გზის შეკეთებაზე მომუშავე ირლანდიელებს, კარგი ვისკისა და მაგარი თამბაქოს სუნი რომ ასდიოდათ; ისინი ცოტა ხნით შემოირბენდნენ ხოლმე დუქანში და ხელგაშლილად იხარჯებოდნენ; ვხვდებოდი შიფერის ქარხანაში მომუშავე უელსელებს, რომელთა ლაპარაკი ჩიტის ჭიკჭიკს წააგავდა; ვხვდებოდა პატარა მოხატულ სახლებს აიოვაში, სადაც ეგვრეთ წოდებულ „პირველ მოახალშენეთა“ ოჯახები ცხოვ-

რობდნენ. ისინი ოპაიოდან გადმოსული პიონერები იყვნენ: ოპაიოში ვერმონტიდან მოსულიყვნენ, ხოლო სულ ადრე უფრო შორიდან — ინგლისიდან გადმოსასლესულიყვნენ. უკვე აღარ მადარდებდა, რომ არც ერთი ენა არ ვიცოდი ხეირიანად და უცხოური ქცევა მქონდა: ეხედავდი, რომ ყველა უცხოელი იყო, მხოლოდ ერთი იყო განსხვავება — ზოგი ადრე ჩამოსულიყო, ზოგი გვიან.

ნეტა მარტო ვყოფილიყავი. მაშინ ალბათ შევძლებდი ყოველ ადვილას მთელი კვირა, თვე, წელიწადი დავრჩენილიყავი. მაგრამ ლუბას ეჩქარებოდა, ისე ეჩქარებოდა კინოვარსკვლავობა, რომ წუთიც არ ემეტებოდა დასაკარგავად. „მის აღმატებულებას“ — ყოფილ რუს ადმირალს არაფერი მოსწონდა: — ხან სიცხეს უჩიოდა, ხან სიცხევს, ხან ხალხი აწუხებდა, ხან უხალხოა. ანა ფეოდოროვნა სულ ქვითინებდა — დეტროიტი რატომ დავტოვეთო, ყველაფერი უფარდებოდა ხელიდან. საცა შევისვენებდით, რაღაცა რჩებოდა — ხან კბილები, ხან ჭიქის ჩასადგამი, ხან ყურთბალიში.

— ძალიან მიკვირს, ანა ფეოდოროვნა, ძალიან მიკვირს, პეტროგრადიდან დეტროიტამდე როგორ ჩამოაღწიეთ? ვინმე ალბათ ტომრით ჩამოგყვანდათ, — ვუთხარი ერთხელ, როცა კანტორიდან პიო-



რიაში დაბრუნება მოგვიხდა, სადაც, ტურისტთა ოთახში, ანა ფეოდოროვნას ხატი დარჩენოდა.

არტაშას ფანჯარაში გაეყო თავი და მის წინ ღეთის ნახელავ ხალიჩასავით გაშლილ ამერიკას ათვალერებდა.

გადავჭერით ილინოისი. გზა ტყეებსა და მწიფე ყანებს შუა მიდიოდა. მისურის შტატის რომელიღაც მდინარისპირა ქალაქში „ამერიკული კერძი“ ვიხსენებო — შემწვარი ქათამი, ძალიან გემრიელი იყო, რადგან უჩანგლოდ და უთეფშოდ ვჭამდით. ცხელ-ცხელი ოქროსფერი ხშიადები დავაყოლეთ, თაფლკარაქწასმული; ნამცხვარივით დნებოდა პირში. ნებრასკა ძალიან მომეწონა. შებინდებისას ერთგან რძის საშოვნელად შევედით. ღრმად მოხუცებულმა ფერმერმა, რომელსაც მამა-ღმერთივით თეთრი და გრძელი წვერი ჰქონდა, ბოსელში შემოყვანა და სათითაოდ ჩამომითვალა ძროხების სახელები. შემდეგ თავისი დიდი, კრელი კომბანიი მაჩვენა და ისე მოუთათუნა ხელი, თითქოს საყვარელ ცხენს ეფერებო. მერე მიაშბო, როგორ მოდიოდა ფეხით ნებრასკისაკენ, როგორ ცხოვრობდა ალიზის ქოხში, რომლის მახლობლად ბიზონის ჯოგები დაეხეტებოდნენ...

— სიხარულით ცას ვეწიე, როცა უღელი ხარი — დოლი და რეიჩელი მინდორში გავიყვანე და პირველი ბელატი გადავაბრუნე. მაშ! — მოხუცს ხმა ჩაუწყდა და თითქმის ჩურჩულით განავრძო: — ვიცოდი, რომ ქვეყნის შექმნის დღიდან არც ერთი გუთანი არ შებმოდა ამ ყაშირს...

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ მომწონდა. ვხედავდი ლატაკთა დაბრცილ ხუხულებს, რომლებსაც შიგნიდან ქალაღდის ნახევები ჰქონდა გაკრული; ვხედავდი ფერადკანიანებს, რომლებიც კინწისკვრით გაეგდოთ სუფრიდან, — ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ თეთრკანიანებისათვის გაეშალა; ვხედავდი ადამიანებს, რომლებიც ნაღვლიანი მოთმინებით იცდიდნენ ქარხნის კარებთან, მაგრამ ისინი აღარავის სჭირდებოდა.

ყველაფერი ეს ადრე რომ მენახა, გული გამისკდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც

ამერიკაში ვიმოგზაურე, დავმშვიდობივინახე, რომ ყველაფერი ბლომად იყო, დოვლათი ყველას ეყოფოდა, ოღონდ სამართლიანად უნდა გაენაწილებინათ.

კარგა ხანს მშვიდობიანად ვმოგზაურობდით, ხაფათი მაშინ შეგვემთხვა, როცა კოლორადომდე ერთი დღის სავალი დავკრჩა. „მისმა აღმატებულებამ“ მითხრა, საჭესთან მე დავჯდები და შენ ცოტას დავასვენებო. მე წავთვლიმე. როცა თვალი გავახილე, მთავარ გზას უამრავი მილით ავცდნოდით და მდინარის ნაპირას შევჩერებულყავით. მართალია, წყალი კოჭებამდის ძლივს მისწვდებოდა კაცს, მაგრამ ხიდი არსად ჩანდა და მდინარეს ნაპირებიც ციცაბო ჰქონდა.

— ეს ასე მოხდა... — დაიწყო „მისმა აღმატებულებამ“.

— მშენივრად ვიცი, როგორც მოხდა, — შევაწყვეტინე მე, — რაც მოხდა, მოხდა. ერმაკ, შენი მანქანა უფრო მსუბუქია, ჩემსას გვერდზე გადავაყენებ, პირველად შენ სინჯე. თუ გახვედი, მეც გამოვყვები.

— რომ ჩავრჩე?

— შენ უფრო ადგილი ამოსაყვანი იქნები.

— არა, არა! შენ ამ გზით წადი, მე კი იმ გზით წავალ. (ერმაკი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, შავზე რომ ვერ ათქმევინებდი, შავივით): მე რომ ასე წავიდე...

— ფილოსოფოსობის დრო აღარ არის, საცაა დაბინდდება. შენ თუ არ გინდა წასვლა, მე ვერ დავრჩები, — ვთქვი და მანქანა დავძარი. შუა მდინარეში გავიჩხირე. თვლები ლამში ჩაეფლო. ვიძირებოდი!

— ჩემი ავეჯი, მიშველეთ! — აყვირდა ნაპირზე მდგომი ანა ფეოდოროვნა და თავში ხელები წაიშინა — გადაარჩინეთ, ვილუპები! — საბარგო მანქანა კიდე ერთი გოჯით ჩაჯდა ლამში.

— ნუ გეშინიათ, ანა ფეოდოროვნა, — გადმოვედი, მანქანის ქვეშ შევიხედე და ლამის თითები დავიკვნიტე სიბრაზისაგან. — ნუ წუხართ. ცოტა მაცალეთ და ჩინეთამდე მივიყვანთ. მერე, თუ გნებავთ,

ვლადივოსტოკში წადით თქვენი ავეჯი-
ნად.

ერთი ღრიანცელი ატყდა. ყველანი და-
ვესიეთ მანქანას და ნივთები ნაპირზე გა-
დავიტანეთ. მანქანა უკვე აღარ ეფლობო-
და ლამში, მაგრამ მისი ადგილიდან
დაძვრა მაინც ვერ შევქელი. მდინარეს
ნაპირ-ნაპირ დავყვევი, იქნებ სადმე ფიც-
რები ვიპოვო-მეთქი. მოშორებით რამდენ-
ნიმე ცხენოსანი და ფორნები დავინახე.
მათ უკან ისეთი მტვერი იდგა, აშკარა
იყო, ცხვრის ფარას მოერეკებოდნენ.
იმათკენ გავეშურე:

— დამეხმარეთ, ბიჭებო, მანქანა ლამ-
ში ჩამეფლო.

როგორც ჩანდა, ვერ გამიგეს, ერთმა-
ნეთს რაღაც გადაულაპარაკეს. — ჰოუ,
ჰოუ, ჰოუ. ბოლოს ცხენოსნებს ერთი
ახალგაზრდა მხედარი გამოეყო, მომიახ-
ლოვდა და ინგლისურად მკითხა, რა გინ-
დაო.

— გამაგებინეთ, რა რჯულის ხალხი
ხართ, — ვკითხე მე. — ტალახში ჩავეფა-
ლი, იქნებ მიშველოთ!

— ნავაპოები ვართ. მოიცა, ვიკითხავ
და თუ დახმარება შეგვიძლია, გეტყვი.

— ნავა ჰუ?

— ნავაპო, ინდიელები.

— სასიამოვნოა, ბევრი რამ გამიგია
თქვენს ბრძებზე, მაგრამ როგორ ვიფიქ-
რებდი, რომ ბედი გამიღიმებდა და გნა-
ხავდით.

ცხენოსანი უკან გაბრუნდა და ერთ
მოხუცს დაუწყო ლაპარაკი. ამასობაში
ჩემიანებს ვუთხარი, ეგენი ინდიელები
არიან-მეთქი.

ანა ფეოდოროვნამ დაიჩოქა, პირჯვარი
გადიწერა და ლოცვა დაიწყო. „მისი
აღმატებულება“, რომელიც ტახტზე იყო
წამოწოლილი და ისვენებდა, წამოხტა,
მაშები, ჯახები, ცეცხლის საჩხრეკები
აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა და აღრიღ-
და: ხმალი სად არის, ჩემი ხმალიო. ნამ-
დვილი გიჟი გეგონებოდათ.

ერმაკმა სამზარეულოს მაგიდა ააყირა-
ვა, ზედ სკამები ახორხლა და მათ უკან
ჩაცუსტა.

— ნუ გეშინია, — უთხრა მან მადამ
გრეშინას, — სანამ მოგვედებოდე, შე-

ვეცდები შენ და ლუბა დაგზოცოთ, მაგ-
რამ თუ უფალი სხვანაირად ინებებს,
აი... — მან მაგიდის უჯრიდან ყასბის
დანა ამოიღო, — აი ეს იხმარეთ, ცოცხ-
ლად არ ჩაუვარდეთ ხელში!

— ხმა ჩაიწყვიტე, — უყვირა ლუბამ,
სარკე კამოდის უჯრაში ჩააგდო, კულუ-
ლები შეისწორა, სახეზე პუდრი გადაისვა
და ძმას მკლავში ხელი ჩაავლო: — წა-
მოდი, არტამ, ინდიელებთან უნდა წაგი-
ყვანო.

— მე თვითონ წამოვალ, ხელი გამიშ-
ვი, — უთხრა არტამამ. ამასობაში ინგ-
ლისურის მცოდნე ინდიელი უკან მობ-
რუნდა.

— ოლ რაიტ, — დამიყვირა მან და
ამხანაგებს ხელი დაუქნია. ისინი მოგვი-
ახლოვდნენ და ცხენებითა და ფორნებით
წყალში შევიდნენ.

— ჰი, ია! ჰი! — დაიძახა ერთმა.

— ჰი! — შესძახა ყველამ ერთად. ერ-
თი, ორი, სამი, და საბარგო მანქანა ნა-
პირზე აღმოჩნდა. შემდეგ მეორე მანქა-
ნაც გადმოიტანეს.

— მგონი, ერთი სოფლის ხალხი უნდა
იყოს? — ვუთხარი ახალგაზრდა ინდი-
ელს, როცა ყველაფერი მოთავდა. —
თქვენი უფროსის ნახვა მინდა, შეიძლე-
ბა? — მან მიმიყვანა მოხუც ინდიელ-
თან, რომელმაც ოუ, ოუ, ოუ შემომძახა.
არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ
ზრდილობის გულისთვის მეც იგივე გავი-
მეორე. ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით,
ერთმანეთს ვათვალიერებდით. ბოლოს იმ
ახალგაზრდა ინდიელს ვკითხე, გასამრ-
ჯელო რამდენი მოგცეთ-მეთქი. მათ ცო-
ტა ხანს ითათბირეს და ბოლოს მითხრეს,
არც რამდენიო.

ამ პასუხს თავიდანვე მოველოდი და
როცა მათკენ მივდიოდი, წინასწარ მო-
ვამზადე ხუთდოლარიანი ქაღალდის ფუ-
ლი. გასამრჯელოს რომ არ ჰგვანებოდა,
ფული ჩემს ლამაზ, წითელ ცხვირსახოც-
ში გავახვიე და მოხუც ინდიელს მივარ-

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს

თვი. მან გულდაგულ დაათვალიერა ფულიცა და ცხვირსახოციც, მერე რაღაც თქვა თავის ენაზე. სულ მალე ვიღაც ინდიელმა მშვენიერი ქაშარი მომიტანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ნაცნობი ინდიელი მოვიდა და ხუთდოლარიანი ოქროს ფული გამომიწოდა. ეს, როგორც ჩანს, იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით.

ახალგაზრდა ინდიელს ეთხოვე, იქნებ ცხვარი მომიყიდოთ-მეთქი. ინდიელებმა მოითათობირეს და ცხვარი მომიყვანეს.

— ყველანი უნდა დამეწვიოთ, — ვუთხარი ინდიელებს, — ჩვენებურად უნდა შევწვა!

ცხვარი დავკალი, გავატყავე და გავასუფთავე, შემდეგ შამფურები დავთაღე და მწვადები შევწვი. ცეცხლი არტაშამ და ორმა ინდიელმა დამინთო. ინდიელები თავისებური ხალხი გამოდგა: როგორც კი ჩემებურად დავუტრიალდი ცხვარს, მათ მერე ცხვარი დაკლეს და შეწვეს, ოღონდ სხვანაირად. ორ საათსაც არ გაუვლია, რომ ყველაფერი მზად იყო.

მე ჩემიანები მოვიწვიე, მაგრამ არ წამომყენენ.

— რა თქმა უნდა, არ წამოვალთ, — თქვა ანა ფეოდოროვნამ, — ზევშებს რამე შეალოდებათ, აბა შეხედეთ, რა აცვიათ ტანზე?

— არა, არა! — „მის აღმატებულეზას“ ხმალი ეპოვნა და წელზე შემოერთყა. — მე და ერმაკი ყარაულად დავრჩებით, ამას ისევ შენს დასაცავად ეკეთებთ, გიორგი ივანიჩ, მაგათი ნდობა არ შეიძლება.

ლუბამ არც კი მიპასუხა, იგი იმ კატასავით გაუხორცილიყო, რომელსაც კულზე ფეხი დააბიჯეს. ასე რომ არტაშალა შემრჩა. მე მოხუცი ინდიელით დავიწყე და ყველას საითათოდ ჩამოვურვიე შიშ-

ხინა მწვადები (ოცი თუ ოცდახუთი კაცი იყო). ვცდილობდი უფროს-უმცროსობა დამეცვა. არ ვიცი მოეწონათ თუ არა, ეს კია, რომ დიდი შეძახილებით მიირთმეოდნენ. როცა ჭამა დავამთავრეთ, ჩემი ახალგაზრდა თარჯიმანი მომიახლოვდა და მითხრა:

— პაპაჩემს მოეწონა ცხვრის დაკვლის, გატყავებისა და შეწვის თქვენებური წესი. მას უნდა გაიგოს, რომელი ტომიდან მოსულხარ, რამდენი ცხვარი გყავთ და ნადირობის საქმე როგორ მიდის.

— მე ქართველი ვარ, ქვეყნის მეორე კილაღან. ჩვენს სოფელში, როგორც ვიცი, ბოლოს ორასამდე ცხვარი იყო. თუ წესიერად ვინადირებთ, ნადირი ყველას ჰყოფნის.

ახალგაზრდა ინდიელმა ქვისაგან გამოთლილი რაღაც ნაეთი მომცა. მე საჩუქრად ჯიბის დანა მივეცი. სხვა არაფერი არა მქონდა ჯიბეში. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ინდიელები წავიდნენ.

— მგონი, მსოფლიოში არ მოინახებმა მაგათზე ბინძური და შესაზარი ხალხი, პირდაპირ ჰყარან, — თქვა ანა ფეოდოროვნამ, როცა ბარგი მანქანაზე დაუდეთ და წასასვლელად მოვეწვადეთ.

— საშინელი შესახედავებრიც არიან, — დაუმატა ლუბამ, — შემადრწუნებელი.

— ველური ხალხია, — ბრძანა „მისმა აღმატებულეზამ“ და ხმალი ქოლგის ხალთაში ჩადო. — ველურები! აბა როგორები გინდა იყვნენ, მოუშინაურებელი ველურები არიან!

— ახი კი იქნებოდა, ყველანი დაეტოვებინეთ შუა მდინარეში, — ეთქვი მე. ისე კი, მე თუ მკითხავთ, მაგ „ველურებმა“ იციან, როგორ უნდა იქცეოდეს კაცური კაცი. ასეც მოიქცნენ!

მსაც კალიფორნია

ლამში ჩაფლობა მაინცდამაინც არ მოუხდა ჩემს მანქანას. როგორც იყო წვალეებით გავიარე კოლორადო და არიზონაში შევედი. ძალიან ვცდილობდი მსუ-

ბუქ მანქანას არ ჩამოვრჩენოდი, მაგრამ საბურავები მიჭირებდა საქმეს — ძველი, გაქვავებული რეზინა წამდაუწუმ სკდებოდა, იძულებული ვხდებოდი, გავეჩრე-

ბულიყაგი ხოლმე და შემეკეთებინა. ისე ხშირად ვისვენებდით, რომ ყველა დაიღალა. ბოლოს გადაწყვიტეს, დაწინაურებულიყვნენ. შეხვედრა კალიფორნიაში დავთქვით.

მოგზაურობის დაწყებისას თითოეულმა 30 დოლარი დავდეთ. ამ ფულს ანა ფეოდოროვნა განაგებდა. მას უნდა გადაეხადა ბენზინის, ღამის გათვისის, საკმლისა და ღია ბარათების ფული.

ახლა, რაკი ვიყრებოდით, ფულიც უნდა გავვეყო. ანა ფეოდოროვნამ ქისა გახსნა და წარმოიდგინეთ, ჩვენზე უფრო თვითონ გაოცდა, როცა შიგ მხოლოდ 8 დოლარი და 75 ცენტიღა ნახა.

— ღმერთო დიდებულო, — წაშოიძახა ერმაკმა, — დანარჩენი სად ვაქრა?

პასუხის მოლოდინში ყველანი სმენად ვიქცით.

ანა ფეოდოროვნამ ყველაფერი გადააქოთა, ქისა დაფურთხა. ბანქოს ყუთი ამოაცარიელა, საითათოდ ვადაფურცლა ქალაღდები.

— ვიცო, მიეხვდი. სადაც ვაქრა. მე გავფლანკე, ქურდი ვარ, — თქვა ანა ფეოდოროვნამ და აქვითინდა.

— გაჩუმდით, — ვუთხარი მე. — ახლა ტირილი ვერ ვერსეელის. მოდი ჯიბე ამოვიფხიკოთ და გავიგოთ, რამდენი გვაქვს.

პირველად ერმაკმა ამოიბრუნა ჯიბეები — ცარიელი აღმოჩნდა. არტაშას 3 დოლარი ჰქონდა, რომელსაც კარგა ხანია ინახავდა ავტომობილის საყიდლად. მაღამ გრეშინამ გვთხოვა, თუ არ შეწყუბდებით, მანქანიდან გადაბრძანდითო. ჩვენც გადავედით. მან ფანჯრის ფარდები ჩამოუშვა. ათირდე წუთი გზაზე ვიდექით და ვუცდიდით. ბოლოს ფარდები ასწია და ქაღალდის ხუთდოლარიანი მოგვაწოდა. „მისმა აღმატებულებამ“ ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი დაგვმატა. მე მკონი, ლუბასაც ჰქონდა ფული, მაგრამ გაიტრუნა. მათ ფულს ჩემი თხუთმეტი დოლარიც რომ დავუმატე, ზუსტად ოცდაცამეტი გამოვიდა. კალიფორნიაში კი ჯერ ექვსასი მილი გვიკლდა. კარგა ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ოცდახუთი დოლარი წაეღოთ და მსუბუქი მან-

ქანით მისულიყვნენ პოლიცულში. დანარჩენი რვა დოლარი მე დამიტოვეს და დამავალეს, როგორმე იუმამდე მიადწიეთ.

— იქ დაიცდი და ფოსტას ხშირ-ხშირად მიაკითხე. ორიოდ დღეში ფულს გამოვიგზავნით, დარჩენილი გზის გამოვლა რომ შესძლო, — მითხრა „მისმა აღმატებულებამ“.

— ფულის შოვნას როგორ აპირებთ?

— ერთი ნათესავი მყავს — ჩემი დის უფროსი შვილი. ციმბირიდან ლოს-ანჯელოსში წამოვიდა. ის მასხსხებს.

— იცით სად ცხოვრობს?

— რასაკვირველია. ის ხომ ჩემი დის შვილია.

— ერთსაც ვიტყვი და მერე დავმუნჯდები, — ვუთხარი მე. — მოდი უახლოეს ქალაქამდე მივალწიოთ, საბარგო მანქანა და ავეჯი გავყიდოთ და ერთად წავიდეთ კალიფორნიაში. რაღაცას ხომ მოგვეცემენ.

ანა ფეოდოროვნა კვლავ ცრემლად დაიღვარა. რაღა მეთქმოდა.

— ოღ რაიტ, — ვუთხარი მე, — თქვენებურად იყოს.

მათ თვიანთი ჩემოდნები წაიღეს და წავიდნენ.

— აუცილებლად მიაკითხე ხოლმე ფულს იუმის მთავარ ფოსტაში, — გადმოძახა „მისმა აღმატებულებამ“ მანქანიდან.

გზა განვაგრძე. ჩავუარე ჯილა ბენდს და სენტინელს. თუმცა ფული ცოტა მქონდა, და ჩილიური ლობიოთი და სოღიანი ბისკვიტებით ვიბრუნებდი სულს, ექსკურსიის ეს მონაკვეთი მაინც ძალიან მომწონდა.

დაბინდებისას მანქანის გვერდით ვბინავდებოდი და საკმელს ვიმზადებდი. ხანდახან ვამვლელებს გამოველაპარაკებოდი ხოლმე — მოღუშულ, სევდიან ადამიანებს. მათ კუზივით ადგათ ზურგზე დახვეული საბნები. ასეთი ცხოვრება ხელს არ მომცემს-მეთქი — გადავწყვიტე ამ ხალხის შემხედვარემ. მიდიოდნენ და თვითონაც არ იცოდნენ საით... თუ არავის მამა, ქმარი, ძმა, მეზობელი ან მეგობარი არა ხარ, რაღა კაცი გაქვია?

ელენე და გიორგი პაპაშვილები სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

შემდეგ დამე ჩამოწებოდა, უდაბნოს ფერები ერთმანეთს შერწყმოდა და ბოლოს ყველაფერი ჩამუტდებოდა. მხოლოდ ხანდახან თუ გააპობდა წყვილიად შორეული ქობის ფანჯრიდან გამომკრთალი ეული სხივი.

ყველაზე უფრო რკინიგზის გვერდით დგომა მიყვარდა. მთელი დამე შემეძლო ვმდგარიყავი და მეშხირა გვერდით ჩაქროლილი მატარებლისათვის. ისინი მაქოსათვის დასარიღებდნენ წინ და უკან და მთელს ამერიკას ქსელავდნენ. გასაკვირი არაა, რომ ამ მატარებლებმა შემოუწახეს ამერიკას ლამაზი სახელები. ეს სახელები საბარგო ვაკონებზე ეწერა: ერისონი, თოპეკა და სანტა ფე, დელავერ ლავაკანა და რუთ ოვ როკითსი, დეტროიტი და მაკინაკი, ჰანთივი, მენსფილდი და ნაკოვლოში, ბლეკ დაიამონდი და ნიკლ ფლეათი.

თანდათან ვუახლოვდებოდი იუმას. ათიოდე მილი დამრჩა და უკვე გახარებული ვფიქრობდი, ყოველივე კეთილად დამთავრდა-მეთქი, როცა მანქანას უკანა მარჯვენა საბურავი მოძვრა, მახრჩობელა გველივით დაიწყო ქვიშაზე კლაკვნა. დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ ალარაფერი ეშველებოდა. დავჯექი და სამხრობამდე ვიცადე. იქნებ ვინმემ ჩამოიაროს და ქალაქში წამიყვანოს-მეთქი. მაგრამ ერთი მანქანაც კი არ გამოჩნდა. შემდეგ ვცადე უსაბურავოდ წავსულიყავი. ერთი მილის შემდეგ ფერსოც მოვარდა.

რალა გაეწყოზოდა, მანქანა გზის ნაპირას გადავაყენე და ბედს შიჯორიგდი. შევატყვე, რაც ცოტა ხანს აქ უნდა დამედო ბინა. მეორე დღეს მოვახერხე იუმაში მისვლა. წერილი არ დამხვდა. ხარახურის საწყობებზე ჩამოვუარე და ერთგან ფორდის მანქანის ცოტათი ნახმარ ბორბალს მივაგენი. 10 დოლარს აფასებდნენ, მე კი მხოლოდ ოთხნახევარი მქონდა. შუადღის ფოსტას მივაკითხე — კვლავ არაფერი მომსგლოდა.

ჩემს მანქანასთან დავბრუნდი. მეორე დღესაც მივაკითხე წერილს — ჯერ არ მოსულაო, მითხრეს. ასე გავიდა თითქმის მთელი კვირა. დღეში ერთხელ მაინც მივდიოდი ქალაქში და ხელისგულივით შევისწავლე მთელი გზა—ძროხის ჩონჩხე-

ბი, კონსერვის ცარიელი ქილები და რკინის ნამსხვრევები.

ერთ დღილას, როცა ფოსტაში მივედი, თანამშრომელმა მითხრა — შენი წერილი მოვიდაო (ეს თანამშრომელი უკვე კარგად მიცნობდა).

წერილი კი არა, ღია ბარათი იყო. ცალ მხარეზე პალმის ხეები ეხატა და ქვეშ წარწერა ჰქონდა — „მთავარი ქუჩის აღმოსავლეთი მხარე“. ნეტა რაში მენადვლებოდა, რომელი მხარე იყო! ბარათი გადმოვატრიალე. „მისი აღმატებული“ ხელით ეწერა: „მშვიდობით ვიმგზავრეთ. მადლობა უფუალს. აქ კარგი ამინდებია. ორჯერ პლაჟუნდაც ვიყავით. არტამამ თვეზეულობის ზაზარში კინოვარსკვლავი ნახა...“, კიდევ ორიოდ სტრიქონი, მისამართი: სულ ქვევით კი — „P. S. ჩემს დისშვილს ჯერ კიდევ ვერ მივაგენი, მაგრამ არ იღარდო, ვეძებ“.

ფოსტის კიბე ჩავიარე, ჩამოვჯექი და ვიქტი დავიწყე. ბოლოს გადავწყვიტე, როგორ მოვქეუულიყავი — კვლავ ხარახურის საწყობში მივედი.

— ოთხ დოლარად არ მომცემთ იმ ფორდის ბორბალს? დანარჩენს მერე გამოგიგზავნით.

- არა.
- ოთხი დოლარი და ფოტოაპარატი?
- არა.
- ოთხი დოლარი ნაღდად. ჩემი ფოტოაპარატი და მანქეტის დასამაგრებლები?
- არა.

— მგონი მეც რომ დავემატო, მაინც არაფერი გამოვა, — ვუთხარი გამყიდველს და გამოვედი. — აი ეს რა ღირს? — ვკითხე, როცა ჭიშკართან მივედი. ბალახში ნეშის ძველი ბორბალა ეკდო. მაგრამ უცებ ერთი კარგი აზრი დამებადა.

— ერთი დოლარი, ოღონდ მალე მომწყდი თავიდან.

ფული გადავიხადე და წამოვედი. ბორბალს ხელით მოვაგორებდი. დაახლოებით ერთი მილი რომ გავიარე, ქალაქიდან მომავალი მანქანა წამომეწვია. ახალგაზრდა მძღოლმა მანქანა გააჩერა და ჩამისვა. სიტყვა არ დაუძრავს და მეც

მას მივბაძე, სანამ გზის ასაკტყვეს არ მი-
 ვუახლოვდით. აქ ამოვიღე ხმა: ცოტა ხანს
 შევჩერდეთ, აი ის ძველი აკუმულატორი
 უნდა ავიღო, გზაზე რომ აგდია-მეთქი.

— ჯართის შემგროვებელი ხარ? —
 მკითხა მძღოლმა, როცა მანქანა შეა-
 ჩერა.

— არა, მანქანა გამიფუჭდა, ფორდი.
 ბორბალი მოძვრა და აი ეს უნდა დავუ-
 ყენო.

მძღოლი მოტრიალდა, ბორბალს შეხე-
 და და თქვა:

— ეგ ხომ ნეშისაა. ვილაქას გაუმსახა-
 რავეებიხარ.

— ვიცი რომ ნეშისაა, მაგრამ მინდა
 როგორმე გამოვიყენო.

— არ მოერგება.

— მოვარგებ.

— ვერ მოარგებ.

— ვსინჯავ მაინც.

უცებ გამახსენდა, რასაც ამერიკელებ-
 ზე ამბობდნენ. ვიფიქრე, აი ახლა კი ნამ-
 დვილად ჩავაღწევ კალიფორნიამდე-მეთ-
 ქი და მტკიცედ ვუთხარი:

— უეჭველად მოვარგებ. დარწმუნე-
 ბული ვარ, მოვახერხებ. თუ გინდა ოც
 დოლარზე დაგენიძლავები, რომ ჩემი
 მანქანა ივლის.

უკვე მანქანასთან მივსულიყავით. ავე-
 ჯი გადმოტვირთული იყო. ცალ მხარეს
 მანქანას მორჩ ჰქონდა შეყენებული.
 მძღოლი გადმოვიდა და გულდასმით და-
 ათვალეირა ყველაფერი. ოც დოლარს
 ედებ, რომ არ წავაო, თქვა მან ბოლოს,
 მანქანის საფეხურზე ჩამოჯდა და ცქერა
 დამიწყო — აბა რას გააკეთებსო. მე
 ფიჩხები და ქაღალდის ნაგლეჯები მოვა-
 გროვე, თუნუქის დაზრცილ ნაჭერზე
 დავყარე და ცეცხლი მოვუკიდე. როცა
 კარგად აგიზგიზდა, შიგ აკუმულატორი
 ჩავაგდე. შემდეგ დომკრატით მანქანა
 ცოტათი ავწიე და ბორბალი მოვსენი.
 მერე ნეშის ბორბალი მოვაზომე — ფომ-
 ფლოდ მოდიოდა. ამასობაში მძღოლი ისე
 დაინტერესდა, რომ ფიჩხი მოაგროვა და
 ცეცხლს შეუკეთა. ბოლოს აკუმულატო-
 რის ტყვია გადნა და თუნუქზე დაგროვ-
 და. მეც სწორედ დამდნარი ტყვია მჭირ-
 დებოდა, ბორბალსა და ფერსოს შუა ჩა-

ვასხი და ღრიჭო ამოივსო. ეს ტყვია მი-
 ვასწორ-მოვასწორე და შევალამაზე. შემ-
 დეგ თვალი მანქანას დავუყენე და ასიო-
 დე ფუტი გავიარე. საუცხოო რამ იყო,
 ოღონდ ჩემი მანქანა ომიდან დაბრუნე-
 ბულს ჰგავდა — ცალი ფეხი დიდი ჰქონ-
 და, ცალი პატარა.

— დიდი შებერტყილი ვინმე ყოფილ-
 ხარ, — მითხრა მძღოლმა, — ჩემი თვა-
 ლით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი.
 ბედი გქონია, რომ ის ძველი აკუმულა-
 ტორი გაგახსენდა.

— მართლა ბედი მქონია, რომ გამახ-
 სენდა, რასაც თქვენზე ამბობენ: ამერიკე-
 ლები ყველაფერზე მზად არიან ნიძლავი
 დადონო, — ვუთხარი მე.

მძღოლმა ქაღალდის ორი ათდოლარი-
 ანი გამოაძრო დასტას.

— მომიგე. მაგრამ ავტომობილზე რა-
 ტომ ხარჯავ დროს? ჯობს ცხენებზე სცა-
 დო შენი ხელოვნება.

ავეჯს რომ ვტვირთავდი, სულ იმ კაცის
 ნათქვამზე ვფიქრობდი. რაღაც ხუმრობა
 რომ იყო, მიგზვდი, რადგან ცხენს ხომ ვე-
 რავინ გამოუცვლიდა ფეხს; როცა ცხენი
 ფეხს მოიტენს, ტყვიას დაახლიან ხოლმე.

უკან, იუშაში დავბრუნდი. თან ოცი
 დოლარი ნაღდი ფული მქონდა. ფორდის
 ბორბალი ვიყიდე, მანქანას დავუყენე,
 ლაზათიანად ვივანხმე და უკვე მზად ვი-
 ყავი გასამგზავრებლად.

ასე განვაგრძე გზა. ფული ბევრი არა
 მქონდა, მაგრამ მსუბუქად გვამდი და მე-
 ყო. ლოს-ანჯელოსამდე ბევრი აღარ დამ-
 რჩა. დაღამდა, მაგრამ გადავწყვიტე
 აღარ გაჩერებულეყავი და შუალამისას
 ქალაქში შევრახხადი. მივედი იმ მისა-
 მართზე. „მისმა აღმატებულებამ“ რომ
 გამომიგზავნა, მაგრამ ჩვენები უკვე აღარ
 ცხოვრობდნენ იქ.

— ყველანი პოლიფულში გადასახლდ-
 ნენ, — მითხრა დიასახლისმა და ახალი
 მისამართი მომცა.

აღარსად შევეყოვნებულვარ. ათსანიირი
 მიხვეულ-მოხვეული ოღროჩოღრო გზა
 გავიარე და როგორც იყო, მივაგენი, ვრე-

ელენე და გიორგი პაპაშვილები
 საღაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს

კე და ვრევე ზარი, სანამ არ გაიღვიძეს. ყველანი ფართხაფურთხით ჩამოცვივდნენ ქუჩაში. „მის აღმატებულებას“ ისევ წითელფუნჯიანი ღამის ქუდი ეხურა.

ანთეს სანთელი. საუცხოო ოთახი დაეჭირავებინათ — რკინის მიღებისაგან გაკეთებული სავარძლები, ლურჯტყავგადაკრული სკამები და მინის მაგიდები იდგა ოთახში. ცნობილი პარიკმახერის სახელოსნოს ჰკავდა იქაურობა.

— ესეც ასე. აი მეც აქა ვარ. მეგონა, ვერასოდეს მოვალწევდი. მე ძალიან...

ამ დროს კიბეზე ლუბა ჩამოზრძანდა. კაბა მიწაზე დასთრევედა. რაღაც ვარდის-

ფერი მხეცის ბეწვისაგან შეკერილ წამოსასხამში იყო გახვეული. ნეტა მანახა ის ცხოველი, რომელსაც ეს ტყავი გახადეს.

— ახლა კი, — ვუთხარი ანა ფეოდორონას, როცა ჩემი თავგადასავლის მოყოლა დაემათავრე, — თქვენი წუხილი წარსულს ჩაბარდა. ახლავე გადმოგტვირთავ თქვენს ავეჯს. ოღონდ მითხარით, სად დაგვწყო.

— დაგაწყოთ? — იკითხა ლუბამ. — რაში გვეკითხება, სად დააწყობ მაგ ხარახურას, ჩვენ ეს ავეჯი ვიყიდეთ. სანაგვეზე დააწყე. — და ბულდოგით ასწია ცხვირი: — მე ახლა კინოში ვმუშაობ!

როგორ გაჰქიდა ჩანჩომ ჩემი ცხვირი

იმ დროს პოლიფუნჯი სამსახური სარჩევად არ იყო. მარტო კინოსტუდიებში შეიძლებოდა ადგილის შოვნა. მე საჩამომსმელო საამქროში მოვეწყვე; თან კინოშაყ ვთამაშობდი; როცა კაზაკი დასჭირდებოდათ, მხოლოდ მაშინ დამიძახებდნენ ხოლმე. სხვა როლს ვერ ვეღირსე. ერთ დღეს, ჩინგიზ ხანის ურდოებს რომ ვდევნიდი თუ ვოღველ მენაგეს რომ ვცემდი (ახლა კარგად აღარ მახსოვს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს), მსახიობობაზე გული ავიყარე. ვთქვი — ცხენის ჰენება და ჩოხისა და ბოხოსის ტარება რომ მნდომოდა, ბარემ შინ, კობიანთკარში, დაერჩებოდი, მე სხვა რაღაცის საძებნელად ჩამოვედი ამერიკაში და ჯობს, ის ვიპოვნო-მეთქი.

აი ეს იყო მიზეზი, რომ სან-ფრანცისკოში წავედი და სამუშაოს ძებნა დავიწყე. მესამე თუ მეოთხე დილას კარზე დამიკაკუნეს. ოთახში ძია ვანო შემოვარდა (იგი იქვე მახლობლად ცხოვრობდა).

— გაიღვიძე, გაიღვიძე, ბიჭო! — ძია ვანო აღმართზე ამავალი ორთქლმავალივით ქმინავდა და ისევე ჩქარობდა. — თერთმეტ საათზე კალისტოგაში უნდა ვიქნე. ბორისი უნდა გაფატროს.

— ვინ უნდა გაფატროს?

— ექიმებმა. ჩემ ჩამოსვლამდე საუზმის ბიზნესი შენთვის მიჩუქნია.

— საუზმის? ეს საქმე ისე მჭირდება, როგორც თხუნელას — თვალეში. მე ახლა ავტომობილების ზეთის გასაზომ ხელსაწყოს შექმნაზე ვაპირებ მუშაობას.

— არა, არა — ძია ვანომ რამდენიმე გასაღები გამოაძრო რგოლს. — შენ სავსებით გენდობი. არც ვაგვირდება. ჩანჩომ შენთან იქნება და ყველაფერში მოგეხმარება, ნახვამდის. — შუა კიბიდან უკან ამობრუნდა, კარში თავი შემოჰყო და მითხრა: — შუადღემდე ათასი სენდვიჩი უნდა გაყიდო.

ნეტა თუ დაბადებულა ჩემზე უბედური კაცი? თუ დაიბადა, ალბათ მაშინვე მოკვდა და ახლა აღარ დადის ქვეყანაზე.

ახლავე მოგახსენებთ რა იყო ამ ბიზნესის არსი: ძია ვანო გამზადებულ საუზმეს პაკეტებში აწყობდა და იმას მიჰყიდდა ხოლმე, ვინც რესტორნიდან ძალიან შორს მუშაობდა, ან ვისაც სამუშაოდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონდა, შუადღისას კი ჭამა უნდოდა...

რადგან ძია ვანო ჭკვიანურად ყიდულობდა სურსათს, ამიტომ თითო შეფუთვა საუზმე 4-ს ცენტ მოგებას უტოვებდა.

როცა ძია ვანო საუზმეს გამზადებდა, ორი რუსი დამტარებელი მოდიოდა თავიანთი მანქანებით და ქარხნებში, გარაჟებში, მშენებლობებზე და ცველგან, სადაც კი ვაიყიდებოდა, ჩამოატარებდნენ

ხოლმე. ისინი ექვს-შვიდ ცენტს იგებდნენ თვითიულ პაკეტზე.

ძია ვანო ორგვარ სენდვიჩს ამზადებდა — ერთში იდო ვაშლი, ღვეზელის ნაჭერი და მწინილი, მეორეში კი მაგრად მოხარშული კვერცხი და ჩურჩქ-ლუპუმი (ხანდახან ამის ნაცვლად შაქარყინულის ნატები ან მიწის თხილი). ეს ყველაფერი 25 ცენტი ღირდა. ასე რომ ყველა ბედნიერი იყო ჩემს გარდა — ამიერიდან სენდვიჩები მე უნდა მეკეთებინა, ამაზე უფრო კი არაფერი მეჯავრებოდა ქვეყნად. მე თუ მკითხავთ, სენდვიჩი ვერაფერი შვილი საქმელია.

როცა ძია ვანოს დუქანში შევედი, ჩანჩოს ღვეზელის ცარიელ ყუთებზე ეძინა. ბალიშად მაიონების ყუთი გამოეყენებინა. ეს ჩანჩო ცოტა ჭკუამხიარული ახალგაზრდა იყო. ძია ვანო მას ემზარკადეროზე¹ წააწყდა. შიმშილით მისიკვილებული იყო. რაღა თქმა უნდა, ძია ვანოს მეტი არავინ მისცემდა სამუშაოს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

— ჩანჩო, — დავუძახე და შევაჯანჯლარე, — მოდი, საქმეს შევუდგეთ. პირველად რას აკეთებდა ხოლმე ძია ჯონი?

ჩანჩო გამოფხიზლდა, ოთახს თვალი მოავლო და ბოლოს ჭერს უპასუხა:

— სენკვიშებს. თინუსის და ორაგულის სენკვიშებს.

— აბა, მოიტანე, რამდენი ქილა კონსერვიც სჭირდება თვითიულს.

— მარტო ერთნაირი კონსერვი გვინდა, — თქვა ჩანჩომ და ისე გაიღრიჭა, კინაღამ ლაშები გაება. — ყველაფერი ამ კონსერვიდან გამოდის.

— ამიდან? შე საწყალო, მართლა ლენჩი ყოფილხარ. კარგი, გააკეთე (ჩანჩოსთან დავას ასე სჯობდა). კიდევ რას აკეთებდა?

— სააღდგომო კვერცხებს.

ახლა მკათათვე იდგა და მივხედი, რომ ჩანჩო მოხარშულ კვერცხებს გულისხმობდა. სენდვიჩებს ვამზადებდი და თან ჩანჩოს ვადვენებდი თვალს, აბა რას აკე-

თებს-მეთქი. ჩანჩომ ქილა გახსნა, ორაგული ამოიღო და საუცხოოდ გაანაწილა — ერთ თევზზე ძვლები, კანი და შავი ხორცი დააწყო, ერთმანეთში აზილა, და ორაგულის სალათა დაარქვა; მეორეზე თეთრი ხორცი დაალაგა და მაიონეზში ამოთითხნა.

— ესეც თინუსი. არ მოელოდი განა? — თქვა ჩანჩომ და იალაღზე გაშვებული ცხენივით დაიჭიხვინა.

ოთახში ღვიძლით, ვირის ძეხვებით და სოსისებით დაზურგული მეხორციე შემოვიდა.

— დღეს ჩვენი დღეა. ქორფა შაშხს ვიღებთ ხოლმე, — ამიხსნა ჩანჩომ.

— რისთვის იყენებთ?

— ინდაურების სატენისათვის, — მიპასუხა ჩანჩომ და მართალიც გამოდგა. ჯერ შემწვარი ღორის ხორცის სენდვიჩები დაეამზადეთ. რაც თხლად არ დაიჭრა, პილილისა და სანელებელში აფურიეთ და ყარსული მწვადები შევწვით. ნარჩენები დაგვკეპეთ, ნიახურში აფურიეთ და ქათმის სალათა გამოვიდა. მე თუ მკითხავთ, სენდვიჩის მოყვარულები გასულელების ღირსნი არიან და ასულელებენ კიდევ.

გადიოდა დღეები. მე და ჩანჩო კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს და საუცხოო სენდვიჩები გამოგვდიოდა ხელიდან. ისე დავესტატდი, რომ პურის ნაჭრებს ბანქოსავით ვარიგებდი, ხორცს კოზირებოვით ვარტყამდი, ერთი ხელის მოქნევით ვატყეპებდი კარაქს პურზე, მეგრე ვადავკეცავდი, და სენდვიჩი მზად იყო. მარტო ერთი რამ მაწუხებდა — მოგებას ვერ ვხედავდი.

ძალიან მრცხვენოდა: ძია ვანომ თავისი საქმე ჩამაბარა, სრული ნდობა გამომიცხადა, მე კი ვერ გავუშარტლე, მოგება ვერ ვანახვე. ბოლოს ჩემს საკუთარ დანაზოგს ოცი დოლარი მოვაკელი და გაუღუგავნე.

ზარალში ჩანჩოს მიუძღოდა ბრალი. არა, ქურდი კი არ იყო. იმაზე უფრო პა-

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

¹ გემების მისადგომი

ტიოსანი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა, მაგრამ ყველაფერს იჯერებდა, რასაც ეუბნებოდნენ. ეს კი ფული ჯდებოდა.

ერთხელ კომივოიაჟერმა რაღაც სანოვაგე მოიტანა — მარილის მაგივრობას წვეს და ადამიანსაც აუჯანსაღებსო, თქვა. ჩანჩოს, ბუნებრივია, უნდოდა, რომ მუშტრება ჯანსაღად ჰყოლოდა და ორმოცდაათი გირვანქა იყიდა. როცა ღუქანში მივბრუნდი და ეს ამბავი გავიგე, გავცეცხლდი.

— ჩანჩო, მამაშენი და ბაბუაშენი უბრალო მარლითაც კმაყოფილდებოდნენ. ამას გარდა, მარილი დიდი-დიდი იმის მეოთხედი ღირს, რაც შენ გადაიხადე.

ჩანჩო ისე შეწუხდა, რომ სამზარეულოში გავიდა და ვარდისფერკრემიანი ტორტი გამომიცხო, ზედ აცაბაყა ასობით ეწერა: „სალამი და დიდხანს სიცოცხლე გიორგი ივანიჩს“. აბა რა გული მიზამდა, რომ არ შევრიგებოდი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩანჩომ ორი ყუთი კოკტიელის საწრუბავი ჩალის ღეროები იყიდა საუზმის პაკეტებში ჩასატანებლად — წითელი, ყვითელი, მეწამული და მწვანე ჩალის ღერები მუშტრებს გაახარებსო, უბრალო, თეთრ ღეროებზე უფრო ესენი მოეწონებათო.

მე ფულის გადამაღვა დაფიწყე, მაგრამ ყველას რომ გავუსწორებდი ანგარიშს, გადასამალავი თითქმის აღარაფერი მჩებოდა ხოლმე.

მთავარი იყო, მეტი მუშტრები გვეყოლოდა. ამიტომ ქალაქში გავედი ახალი მუშტრების მოსანახავად. აქა-იქ ვიშოვე კიდევ რამდენიმე — რვა ბიჭი საკანალიზაციო არხის მთხრელებში, ათი გოგო სამრეცხაოში, თხუთმეტი კაცი მშენებლობაზე. ეროვნული არმიის სასროლეთზე ისე მოეწონათ სასინჯად მიტანილი საუზმე, რომ მითხრეს, ყოველ კვირას სამასი სენდვიჩი და ას ორმოცდაათი რძე მოგვიტანეო.

მაგრამ ვერც ამან გვიშველა და ბოლოს იძულებული გახვდი ძია ვანოსათვის სიმართლე მიმეწერა. მან წერილითვე გვიპასუხა: „მე არ შემიძლია დაბრუნება, ბორისი ჯერ კიდევ სუსტადაა და

ვერ მოვშორდები. კარგი იქნება, თუ ბაზნესს გაყიდით. ფასზე ნუ იჯანჯლებ. არ იღარდო, შვილო, სხვა ბიზნესს ყოველთვის ვიშოვი, ბორისისთან მეგობარს კი ვერა“.

რუსულ განთეში განცხადება მოვთავსე, მაგრამ ვის უნდოდა შენი ჩაფლავებული ბიზნესი. ორიოდვე მყიდველი მოვიდა, მაგრამ ჩვენი ტექნიკური აღჭურვილობა რომ დაათვალიერეს, დაიჯღანენ, რატომ ავტომატური ხორცის საკეპი არა გაქვთ და მაცივრიდან წყალი რათა წვეთავსო. ბოლოს ვიღაც მისისი და მისტერ მარინოვებმა ხუთასი დოლარი შემოგვამძლიეს. მე იმ დროს ქალაქში ვიყავი სავაჭროდ (მაგრამ მხოლოდ საუზმის ნახევარი გავასადე); ღუქანში რომ მივბრუნდი, მაშინ გავიგე ჩანჩოსაგან ეს საშინელი ამბავი.

— კაცი და ქალი იყვნენ აქ. ხუთას დოლარს იძლეოდნენ, მაგრამ ძია ჯონს ამაზე მეტი ფული დასჭირდება საცხოვრებლად, ვიდრე ახალ ბიზნესს დაიწყებდეს, ამიტომ არ გამოვართვი.

— არ გამოართვი! — ვუღრიალე ჩანჩოს. — სამასი დოლარი რო აგველო, მადლობელი ვიქნებოდი! სადა ცხოვრობენ?

ჩანჩომ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. ისე გავცოფდი, რომ კარის გამოკეტვა და გასაღების წყალში გადაგდება დავაპირე. მეორე დღეს გამეხარდა, რომ თავი შევიკავე — სრულიად მოულოდნელად მუშტრები მოგვემატა. ყველა ჩემგან ყიდულობდა, სხვა გამყიდველები შურით სკდებოდნენ (აქამდე მე მშურდა მათი).

მესამე დღეს კიდევ უფრო დამაფასეს.

— სამი პაკეტი მომიცი, მეზუფეტემ. — მითხრა ერთმა ახალგაზრდამ.

— ძალიან მადაზე მოსულხარ.

მან რაღაც სხვანაირად გაიცინა, შემდეგ მეორემ მითხრა, აბა ერთი კარგი პაკეტი ამომირჩიეო. ყველა კარგია, ყველა სენდვიჩში ყველის ორმაგი ულუფაა-მეთქი, ვუთხარი. მუშტარმა თვალი ჩამიკრა და მითხრა: ვიცი, რომ ნამდვილად აგრეაო.

უკან დავბრუნდი, რომ კიდევ ორმოცდაათი პაკეტი წამეღო. ჩანჩო ვიღაც ქალსა და კაცს ესაუბრებოდა. თურმე ისინი იყვნენ, ხუთასი დოლარი რომ შემოგვაძლიეს ბიზნესში. მაგრამ საქმე უკვე კარგად მიდიოდა, იქნებ ჩანჩო მართალიც იყო, რომ არ დათანხმდა — ჩვენ მეტი თანხა გვჭირდებოდა. მათ კვლავ შემოგვათავაზეს ხუთასი დოლარი. არც „პო“ ვუთხარი, არც — „არა“. ავდექი და უკანა ოთახში გავედი, სადაც პროდუქტებს ვინახავდით. მინდოდა სენდვიჩები დამემზადადებინა.

— ვინ არის ეგ კაცი? — ჰკითხა იმ კაცმა ჩანჩოს.

— უფროსი.

— მართლა? — გაიცინა ქალმა. — საშინელი შესახედავია. თუთიყუშს მიუგავს ცხვირი.

— აბა ახლა წადით, — თქვა ჩანჩომ, — საღამოსათვის პაკეტები უნდა მოვამზადო. მომშორდით.

საწყალი ჩანჩო. ხმაზე შევატყვე, ძალიან გაბრაზდა ჩემი შეურაცხყოფისათვის.

— ხუთას ორმოცდაათ დოლარს მოგცემ. — უთხრა კაცმა. — ორმოცდაათი შენ დაიტოვე.

— წადით აქედან!

მე გამოვედი საკუჭნაოდან.

— იცი რას გეტყვი? — მითხრა მისტერ მარინოვმა, — მოდი ერთხელ გამოგყვები და ვნახავ, როგორი ვაჭრობა გაქვს. ხვალ დილას შეიძლება?

არაფერი მქონდა საწაანაღმდეგო. ამა-სობაში ჩვენი ბიზნესი ისე გაიზარდა, რომ სასწრაფოდ დამჭირდა ფული დამატებითი პროდუქტების შესაძენად. ჩემი უკანასკნელი ორმოცდაათი დოლარი, შავი დღისათვის რომ ვინახავდი, ორიოდე დღის უკან ბანკიდან გამოვიტანე და დუქანში დავმალე. შავი დღეც კარზე მომდგომოდა.

— ჩანჩო, ჩვენი საქმე ისე კარგად მიდის, რომ ხვალ ათასი საუზმით მეტი უნდა მოვამზადო. დღეს ძალიან ადრე გავიცალე ხელი.

სამალავთან მივედი ფულის ამოსაღებად, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.

— ჩანჩო, ორმოცდაათი დოლარი ხომ არ ამოგიღია იატაკის ღრიჭოდან?

— კი, ამოვიღე. ორმოცდათერთმეტნახევარი დოლარი იყო, — მიპასუხა ჩანჩომ და მხიარულად გაიღმიჭა.

— მერე რა უქენი?

— საქმეში დავაბანდე.

— რაში გამოიყენე?

— ზოგი ამაში, ზოგი იმაში დავატრიალე.

— გამაჯანსაღებელი მარილი, ჩალის ღერები, კიდევ რა? მეტი რა იყიდე? მაჩვენე. იქნებ გავყიდო. რალაცას ხომ მომცემენ!

ვერა, სიმართლე ვერ ამოგვლიჯე პირიდან. თანხა საქმეში დააბანდა; რამდენი და რაში — ვერ მითხრა. ჩანჩო თითებზე ითვლიდა, ბოლომდე მივიდოდა, მერე უკუღმადან მოყვებოდა თელას და კვლავ იმავე პასუხს მაძლევდა, თან ნაცემი, ძალღივით შემომცქეროდა თვალებში. ბოლოს შემეცოდა და ვუთხარი, ეს ამაზე დავივიწყეთ-მეთქი.

რა უნდა მექნა, ღმერთმა ასეთი გააჩინა და რალა ეშველებოდა. ქუჩაში გამოვედი და სეირნობა დავიწყე, რომ ცოტათი დავწყყნარებულყავი. დუქანში რომ დავრჩენილიყავი, ნამდვილად ვიფეთქებდი.

როცა დავბრუნდი, ვნახე, რომ ჩანჩოს რალაცა მანქანებით ყველაფრის მომზადება მოეხერხებინა. თურმე ყასაბს დაღრეჯოდა და ხორცი და ოცდაათი დოლარი გამოერთმია...

მეორე დილას. ექვს საათზე დამატებითი პაკეტები გამზადებული იყო და ის იყო უნდა წავსულიყავი, რომ ჩემი ბიზნესის მულტარი — მისტერ მარინოვი მოვიდა და მითხრა, გამოგყვებით. ძალიან კარგი, წამოდი-მეთქი, ვუთხარი.

პირველსავე ალაყაფის კართან კინალამ გადამქვლა ხალხმა. მეორე ადგილას უკვე წინასწარ რიგი დაეყენებინათ და მიცდიდნენ.

ელენე და გიორგი პაპაშვილები
სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს

— როგორ მოიხვეჭეთ ასეთი პოპულარობა? — მკითხა მისტერ მარინოვმა.

— მეც არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ არა ვცუნწობთ. თუმცა ამ საქმელებს ისეთი სახელები ჰქვია, რომლებიც მაინც-დამაინც არ მომწონს, მაგრამ პატიოსნად ვვაჭრობთ და, ვფიქრობ, ყველა მიხვდა ამას.

— ოთხი პაკეტი, მეზუფტემ!

— ექვსი პაკეტი!

— მეც მომხედეთ.

— მე სამი ცალი გადამიწახე, — გადმომძახა რიგის ბოლოდან ათისთავმა.

მისტერ მარინოვს ასეთი კარგი ბიზნესის დანახვაზე თვალეზი აუციმციმდა. მან მგელივით დააძიკინა კბილები და ჩაილაპარაკა:

— კარგია, საუცხოოა. არ მოველოდი, ასე კარგად თუ მიდიოდა საქმე.

არც მე მოველოდი, მაგრამ მისტერ მარინოვს აღარ ვუთხარი. როცა დუქანში დავბრუნდით. ცოლი იქ უცდიდა. კუთხეში მიდგნენ და მოილაპარაკეს.

— ოღ რაიტ. — თქვა მისტერ მარინოვმა ბოლოს. — რაც იყო-იყო, დავივიწყეთ. რეაას დოლარ ნაღდ ფულს მოგცემ. — საფულე გახსნა და დოლარები აატკაცუნა.

განა თვეზი ვიყავი, რომ ჭიით მივეტყუებინე: არა, ხელს არ მაძლევს-მეთქი, ვუთხარი.

საწყალი ჩანჩო ძალიან შეწუხებული იყო, ფული რომ გაფლანგა და ამ დღეში ჩამავლო. თავისი დანაშაული რომ ვამოესყიდა, ისე იქნედა თავს, როგორც გზაჯვარედინზე მდგომი მებისრე აქნევს დროშას. მანიშნებდა: არა, არ გვინდაო.

— მაშ რამდენი გინდათ?

— უფრო მეტი.

— უფრო მეტი, — კვერი დამიკრა ჩანჩომ.

— ცხრაასი?

— ათასი დოლარი, ოღონდ ახლავე.

— ოღონდ ახლავე, — გაიმეორა ჩანჩომ, — აი ამ წამსვე.

მაგრამ ამდენი ვერ გაბედეს და როცა მიხვდნენ, რომ არ დაუწყებდით, წავიდნენ.

ახლა ხილის საყიდლად უნდა წავსულიყავი. იმდენ საუზმეს ვაზზადებდით, რომ საყიდლებზე უამრავი დრო გვეხარჯებოდა.

— ოღონდ იცოდე, სკამიდან არ ადგე და ძალიან გთხოვ, რაც არ უნდა კარგი აზრი მოგაგონდეს თავში, ჩემს მოსვლამდე არ განახორციელო! — ვუთხარი ჩანჩოს, როცა დუქნიდან გავდიოდი.

ორი კალათა ვაშლი, ერთი კალათა ფორთოსალი, ცოტა ქლიავი ვიყიდე და ნახევარ საათსაც არ გაუღია, რომ დუქანში ვიყავი. ჩანჩო ისევ იმ სკამზე იჯდა, ოღონდ მის წინ ფულების გროვა აღმართულიყო.

— ის ცოლ-ქმარი დაბრუნდა და ბიზნესი მივეყიდე. ისე მივეყიდე, გიორგი ივანიჩი, რომ აქედან არ ავმდვარვარ. არც კი გავნძრეულვარ. ძია ჯონს გაეხარდება, კმაყოფილი დარჩება! — საწყალი ჩანჩო სიხარულით ხელებს იფშენეტდა.

— იმედია გაეხარდება, მაგრამ ჯერ ეგ ფული დაეთვალო! ათას ორასი დოლარია? ცას ეწვევა სიხარულით. ეს ორასი დოლარი რაღაში დაგიმატეს?

— დაბრუნდნენ და ათას დოლარს მაძლევდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი: ათასი 12 საათზე იყო, გიორგი ივანიჩმა თქვა ათასი, ოღონდ ახლავეო. მაშინ თორმეტი საათი იყო, იმის მერე ფასი ათას ორას დოლარზე ავიდა-მეთქი.

— მერე?

— მერე ქალმა ყვირილი დამიწყო, კაცი მოიღუშა, მაგრამ მე არ ავდექი სკამიდან და ბოლოს მომცეს ათას ორასი დოლარი.

— ეს ორასი დოლარი რაში მოგცეს?

— შენს ცხვირში, გიორგი ივანიჩი. იმ ქალმა ხომ შეურაცხყოფა მიაყენა შენს ცხვირს.

— მადლობელი ვარ, ჩანჩო. მაგდენი მთელი ჩემი სახე არ ღირს.

რამდენიმე საათის შემდეგ მისტერ მარინოვმა საქმე გადაიბარა. მე და ჩანჩო მაშინვე კალისტოგის მატარებელში ჩავსხედით და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს დანახვაზე ძია ვანო სიხარულით ცას ეწია. ფული გადავეცით, სამი დღე გჭამეთ.

კვით, ვიმღერეთ და ვიმხიარულეთ. სა-
ავადმყოფოდან ახალგაზოგწერილი ბორი-
სიც ავიყოლიეთ. სახლი მთელი დღე ძია
ვანოს მეგობრებით იყო სავსე. ყველამ
გაიგო ჩვენი ამბავი და ყველას უნდოდა
ენახა ის ცხვირი, რომელმაც ორასი დო-
ლარი შეგვმატა.

— ახლა კი, — მითხრა ძია ვანომ,
როცა ტეიფი და დროსტარება მოეთა-
ვეთ, — მე გადავწყვიტე ისეთი ადგილი
შევიძინო, სადაც მინერალური წყლის
აბაზანები იქნება. შენ ჩემი მოზიარე იქ-
ნები, ჩანჩო კი თანაშემწე. გინდა?

— არა, ძია, მე ცოტა ხანს კიდევ დავ-
რჩები, მერე კი უნდა წავიდე. დრო არა
მაქვს.

— კარგი, მაგრამ მაშინ შენ და ჩან-
ჩომ რაიმე საჩუქარი იყიდეთ თქვენ-
თვის. — გვითხრა ძია ვანომ და ორასი-
ორასი დოლარი მოგვცა.

მე საკოსტუმე ვიყიდე და პირველად
ჩემს სიცოცხლეში შევაკერინე თერძს
კოსტუმი. მუჭი ნაცრისფერი იყო. როცა
ვიცვამდი, ყველას ამერიკის მკვიდრი ვე-
გონე. ძალიან კარგი რამ იყო. პიჯაკს ახ-
ლაც ვატარებ.

ჩანჩომ კი... არა, მისი უმეთვალყუროდ
დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა:
ჩანჩომ ფული წაიღო და ისეთ რამეში
გადაყარა, იმაზე უსარგებლოსა და გამო-
უსყენებელს, მთელი ტენეკანაც რომ მოეე-
ლო, მაინც ვერ იშოვიდა — მან საფლა-
ვის ტვა იყიდა თავისთვის. ძალიან გახა-
რებული იყო. ყოველ შემთხვევაში ხში-
რად პატივებდა ხალხს, რომ ეჩვენებინა,
თუ რა ღამაზად იქნებოდა დასაფლავე-
ბული.

ცოტა კიდევ და დავამთავრებ ამ ამ-
ბავს: ერთ ცხელ დღეს მე და ძია ვანო
ხისქევე ვისხედით (ძია ვანომ მამული

იყიდა) და ატამჩაპრილ ცივ ღვინოს შე-
ვექცეოდით. ჩანჩოს იქვე ეძინა.

— ეს მამული უკეთესი საქმეა, ძია,
ვიდრე საუზმის გაყიდვა. ისე საფაციფუ-
ცო არაა და, რაც მთავარია, სენდვიჩები
აღარა ვაქვს დასამზადებელი, — ვუთხა-
რი ძია ვანოს.

— მართალია. უნდა გამოვიტყდე, ყო-
ველთვის გული შეთანადებოდა, როცა
სენდვიჩებს ვაკეთებდი. მრცხენოდა. აბა
რა პატიოსანი კაცის საქმელია სენდვიჩი.
იცი, დღესაც ვერ მივხევედრილვარ, რო-
გორ გამოსწორდა თქვენი ბიზნესი ასე
უცებ. ამდენი წლის გამოცდილება მაქვს
და ასეთი რამ არასდროს გამიგია.

ჩანჩომ გაიღვიძა და ახლა ღვინოს
დავლევეო, წაიბურტყუნა. ძიამ ჭიქა გა-
უქსო.

— მეც ვერაფერს მივხედი. ერთ დღეს
სამასი საუზმე ვაგყიდე, მეორე დღეს
ათასი, მესამე დღეს სამი ათასი. მიზე-
ზი?

— მიზეზი ის ფულია, საქმეში რომ
დავაბანდე, — თქვა ჩანჩომ.

— აბა ამიხსენი, ჩანჩო; — თხოვა ძია
ვანომ. — მარტივად მითხარი.

— ის ფული, ატაკის ღრიჭოში რომ
ვიბოვე, ავიდე და თითო დოლარიანებად
დავახურდავე. მაშ! მერე ქვედა სენე-
ვიში ვდებდი თითოს, ყოველ მეთათე პა-
კეტში. ხალხი ამიტომ ამჯობინებდა
ჩვენი საუზმის ყიდვას. აღბათ უხარო-
დათ, როცა აპოვიდნენ.

განა არა! ჩალის ღერები, გამაჯანსა-
ღებელი მარილი, საფლაგის ტვა, დოლა-
რები სენდვიჩებში — არა, ნამდვილი
შტერი იყო ეს საცოდავი ჩანჩო.

ელენე და გიორგი ბაბაშვილები
სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ქურნალი „ცისკარი“ ამ ნომრიდან იწყებს სათავედასავლო და მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოებების ბეჭდვას.

ორღე დგებულების „ჩაძირული „თოლია“ ამ ქანრის პირველი ნაწარმოებია, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველს.

ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი ცალკე წიგნად გამოიცა 1962 წელს.

ორღე დგებულება

ჩაძირული „თოლია“

სათავედასავლო რომანი

ნაწილი მეორე

ზამთრის მზე ყმავილს ვერ ზაახარებს

ღედი არ მწყალობსო, ფიქრობდა ერთ ხანს საღაზვერვო სამსახურის ოფიცერი გიორგი თორია, მაგრამ როცა გამარჯვებაში ვულდაჯერებულს მესამეჯერ გამოაცალეს ხელიდან მარია საბურა, მაშინ კი მიხვდა, რომ ზედი არაფერ შუაში იყო. დიახ, ამ შეუწყალებელმა კაცმა თუმცა გვიან, მაგრამ მაინც შეიგნო, რომ რაღაც ისეთი აკლდა, რაც საბედისწერო გავლენას ახდენდა მის კეთილდღეობაზე. რა უნდა ყოფილიყო ეს „ისეთი რამ“? შესახედავად თვალსაამო ვაჭკაცი იყო გიორგი, შეუპოვრობაც ხშირად დაუმტკიცებია. სიკვდილის პირისპირ არაერთხელ მდგარა, მაგრამ წარბიც არ შეუხრია: არ შეუხრია განა იმიტომ, რომ შიში მისთვის უცხო იყო ან არ იცოდა სიცოცხლის ფასი. არა, ის, როგორც ყველა გონიერი სულდგმული, სიცოცხლეს შეჰხაროდა და კარგად იცოდა, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღის იქით უკუნი იყო.

და რაკი ასე იყო, როგორ შეეძლო გიორგის თავისი თავის დავიწყება, სანამ იმ უკანასკნელი დღის ზღურბლს გადააბიჯებდა? როგორ შეეძლო, დაეხშო გული, დაეხუჭა თვალი და ორივე ხელით არ ჩასჭიდებოდა ყოველივე კარგს, ტკბილსა და ლამაზს?

ჩასჭიდებოდა და ვისთვის? რა სათქმელია, რომ საკუთარი თავისთვის.

რა ამოქმედებდა გიორგი თორიას, როცა ის მეფის რუსეთის კეთილდღეობისათვის იბრძოდა — ჯერ ავსტრიელებს უტევედა, მერე გერმანელებს?! წითლების წინააღმდეგ ბრძოლაც ხომ მეფისათვის თავდადებას ნიშნავდა?! დიახ, მაგრამ ქართველი მენშევიკებისათვის თავის განწირვა რაღა? ესეც მეფის რუსეთის ერთგულებაა?

წყაღს წაუღია მეფის რუსეთიც და დამოუკიდებელი საქართველოც. გიორგი ბედნიერი იქ არის და ნავით იქ მიეყუ-

დება, სადაც წყალი მდორე იქნება და ტალღა ჩასაძირავად არ გასწირავს. დიხს, თორიას იქ ურჩევნია, სადაც სამხრე-ებზე ვარსკვლავები გაუმრავლდება და ვეება ნაბიჯით გასწევს წინ.

მაშ, რა უნდა იყოს ის „ისეთი რამ“? იქნებ გიორგი მეტისმეტად პატივმოყვარე და უდრეკი იყოს, ანდა ზედმეტად მიმნდობი და დამჯერი?!

ბევრჯერ უცდია სადაზვერვო სამსახურის ოფიცერს გზის მაჩვენებელ ვარსკვლავთა წინაშე წელში მოხრილიყო, მაგრამ ვერა, გულზავაობა არ ანებებდა.

ამაყად თავშემართული, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ოფიცერის ღირსებას. ასეთი იყო მუდამ, რაც თავი ახსოვს. არც მიმნდობი და დამჯერი ყოფილა. და სწორედ ამიტომ დღეს არ იცის, რამ გახადა ასეთი თვინიერი და თავდრეკია ვიდრე ცხვირმოუსოცელ გადამთიელ გოგობიჭასთან. ვაი სირცხვილო! ნუთუ მართლა საბურას ქალის სიყვარულია ის, რაც გიორგის ამდენი ხანია აწვალუბდა? საკვირველია, რად არ უფრთხილდებოდა თავის სახელს ეს ნიაგმიუკარებელი ოფიცერი?!

მერე, რითი უპასუხა ამ ბელეშა ქალმა? იმითი, რომ ეს ღირსეული ადამიანი ვიღაც მარაგზის ავაზაკზე ვაცვალა. კვიცი გვარზე ხტის. მამამისი ურჩი და წინდაუხედაფი იყო და ქალიც მას დავემგვანა, თორემ ხის ტოტზე პორწილას მყუდრო ცხოვრებას ამჯობინებდა! ახლა გიორგის, ამ თავმოწონესა და გამოჩენილ ოფიცერს, სხვებს რომ თავი დაგანებოთ, ალბათ ახლო მეგობრებიც კი დასცინიან. მას შემდეგ, რაც ამ ქალმა ენით გამოუთქმელი სიმწარე აგვმა ფოთში, სამმა თუ ოთხმა თევმ გაიარა, მაგრამ ჯერ არც ერთ უფროსს ამის თაობაზე კინტიც არ დაუძრავს თორიასთან, თუმცა ეჭვი არაა, ამ შემთხვევის გამო დიდი მითქმა-მოთქმა იქნებოდა.

ეპ, მარიას რომ თანაგრძნობა გავწია, იქნებ ეს დაუდევარი კაცი სადმე დაბუდებულიყო და ქარბუქსა და ორომტრი-ალში გატარებული ცხოვრება მყუდროებით შეეცვალა.

გიორგის მხოლოდ სიკეთე ეწადა მისი და ეს ხომ კარვად იცოდა მარია საბურამ? მაშ რა ჰქნას თორიამ? დავიწყებას მისცეს კაზაკის ქალი? მერე ბუკია? ჰოო, დათა ბუკიამ, ამ ავაზაკმა, ამ მისმა კლასობრივმა მტერმა ქვეყნის სასაცილოდ გახადა გიორგი. თორია არც ამ თავზე ხელაღებულ შკიპერს დაინდობს და არც მარია საბურას. ახლა ამ ქალს არც ის ადრინდელი გატაცება აკონებს. არა და არა, მასთან წუთიერი სიახლოვეც კი არ მოუნდება, თუნდ ეს ჯიუტი ქალი მუხლგებზე დაეცეს და ცრემლად დადვრილმა პატივება ითხოვოს.

გიორგი თორიას ახლა ერთი რამ აქვს სადარდებელი, საფიქრალი: არ ჩავიდეს საფლავეში ისე, რომ დათა და მარია თან არ გაიყოლიოს. ოღონდ ისინი ნახოს თავისი ხელით განგმირული და თუნდ იმავე დღეს სული ამოხდენია — მერე სიკვდილი რა დასანანია! მაგრამ როგორ?! როგორ აღისრულოს გულისწადილი გიორგიმ?

გაქცეულის, ტყეში გაჭირლის კვალს რომ დაადგე, რა უნდა ჰქნა? როგორ ეძებენ ტყეში მგელს, ტურას, ფოცხვერს? მონადირეს ხომ მეძებარი სჭირია? მერე სადღა „მეძებარი“? დღეს ხალხი ისე გაფუჭდა, ბოლშევიკებზე კრინტს ვერ დააძვრევენებ. დასწყევლოს ღმერთმა! რატომ ხდება ეს? ნუთუ ბოლშევიკები ისე შეიყვარეს, რომ არავინ კისრულობს მათ დასმენას, არავის არა სურს კანონიერ მთავრობას დაეხმაროს ამ ყაჩაღების ალაგვებაში?

იქნებ არც უყვართ ბოლშევიკები, მაგრამ ეშინიათ — ვინ იცის, იქნებ დღეს თუ ხვალ მოვიდნენ და მერე...

ხალხი ისე გათამამდა — გათამამდა კი არა, გატუტუტდა, — რომ ამ ერთ ციციქნა საქართველოში დღე არ გავა, სადმე აუჯანყებამ არ იფეთქოს. ყველას ბოლშევიკები, წითელი რუსეთი და ლენინი აკერია პირზე. თუ ვინმეს მთავრობის ერთგულება დასწამეს, ან ტყვია, ან მარყუჭი... ამიტომაცაა, რომ ისიც კი სოროში

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

მიძვრება, ვისაც თორიას საქმე სწამს და ეულით სწადია ქვეყნის სამსახური. დიას, ასეთები სადღაც მიყუყულან და შორიდან უტყვიან მთავრობისა და გაბოლშევიკებული ხალხის ჯახს.

უთუოდ ამის ბრალია, რომ თუმცა უკვე სამა თუ ოთხმა თვემ განვლო, რაც ბუკია და საბურას ქალი მეზღვაურმა კორტამ ფოთის ნავსადგურიდან გააპარა, მაგრამ გიორგიმ ვერა და ვერ მოახერხა, რომელიმე მათგანს პირისპირ შეხვედროდა.

ეჰ, საქმე ის იქნებოდა, დათა ბუკია და მისი თანამოაზრენი მოხერხებულად გილზე მიემწყვდია და ამოეკლიტა. სიოცარია, როგორ დაძრწის ეს ავაზაკი ის, რომ კვალის ნასახსაც არსად არ ტოვებს! როგორ ახერხებს დღეს ვალს დაესხას თავს და სანამ ჩვენ იქ გავჩნდებოდეთ, დრანდასა ან კოდორში ამოჰყოს თავი?!

რა არ იღონა, რა არ მოიმოქმედა გიორგიმ, მაგრამ ამაოდ.

არც სისხლს მორიდებია სადაზვერვო სამსახურის კაპიტანი. აკი გაისტუმრა საიქიოს კომენდანტი სიგუა და მისი ხელქვეითი ძარგუ. გაისტუმრა?! არა, რას ბოდავს, თორია მკვლეელი არ არის. მან მხოლოდ დაამტკიცა, რომ ისინი ბოლშევიკების შემოგზავნილი ჯაშუშები იყვნენ. თორიას რატომ უნდა ამძიმებდეს სისხლი, როცა ისინი კანონმა, სამართლმა დასაჯა სიკვდილით.

თუ მართლა ბრალი არ მიუძღვის, რატომ ფიქრობს ამდენს იმ ადამიანებზე? მაგრამ რატომღაც ისინი, ამ ქვეყნიდან წასულენი, ერთი ტანდაბალი და მეორე ძალზე მაღალი კაცი, საშველს არ აძლევენ თორიას, ხშირად გამოეცხადებიან, თავს აცოდებენ, ჩვენ ჯაშუშები არა ვყოფილვართო, ეუბნებიან ძილში თუ ცხადად.

ჰო, კარგი, რაც უნდათ ისა თქვას. იმართლონ თავი: რა გასაკვირია, დამნაშავემ რომ გითხრას, მართალი ვარო?!

ოპანეს დანელიანცი და მისი ცოლი რომ სიკვდილით დასჯილიყვნენ, არაფერი დაშავდებოდა. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ცოლ-ქმარი მართლა დაეხმაროს და

ხელში ჩააგდებინოს დათა ბუკია დროში არაფერია გასაკვირი. მაგრამ მთელმა თვემ გაიარა, რაც აქედან წავიდნენ და ჯერ კიდევ არაფერი ისმის. ოპანესი ავად არისო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ფარამშიმა რატომ დღეს. ნუთუ ერთადერთმა შეიღმა ამდენი ხნის ნატანჯ დედ-მამას ერთხელაც არ მიაკითხა?

თუმცა დათა ბუკია ძალზე ფრთხილია და იქნებ ვაჰანი თავის ჭკუაზე არ გაუშვას?

ვაითუ არ გამართლდეს კონდრატე არაჩემიას ვარაუდი და დანელიანციების გათავისუფლება არ იყო საჭირო. მაგრამ არაჩემიას ხომ ალღო საერთოდ იშვიათად ატყუებს? რაღა მაინცდამაინც ამ საქმეში გაუწყურება ღმერთი?

არა, დანელიანციები ამდენს ვერ ვაბედავენ. მათ კარგად იციან, რომ თუ საჭირო იქნა, თორიას არ გაუჭირდება მათი ხელმეორედ დაპატიმრება. არაჩემია! სიოცარია, ღმერთმანი! როგორ შესძლო ამ კაცმა თავი დაედღწია ისეთი ვერაგი და დაუძნობელი ადამიანისაგან, როგორიც დათა ბუკიაა?!

თუმცა დათას შეიძლო გაეთავისუფლებინა არაჩემია, მართლა ეთქვა: ხელმეორედ ფეხზე არ წამომედო, თორემ წეის აგივებო. ასეთი საქციელი შეუძლებელია, გამოწვეული ყოფილიყო ამ ყაჩაღის კაცთმოყვარეობით, მისი გულჩვილობით. რასაკვირველია, არც შიშითა და მორიდებით. ამას მხოლოდ და მხოლოდ ავტაციის მიზანი ჰქონდა და სხვა არაფერი. მართლაც, არაჩემიას გათავისუფლების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო აფხაზეთს. სავანგებო რაზმშიც კი დაიწყეს ჩურჩული: ბუკია არც ისეთი ავაზაკი ყოფილა, როგორიც გვეგონაო.

ეს შემთხვევა არ შეიძლება მიეწეროს კონდრატე არაჩემიას არც ეკეკაცობასა და არც გამჭირაობას. იმის გაგება კი, თუ როგორ გაიქცნენ დათა და მარია ფოთიდან, ვისთან იყვნენ გაგიდაში და რა გზით იარეს, ვიდრე სამშვიდობოს მიღწევდნენ, რასაკვირველია, არ იყო იოლი საქმე. არაჩემია კარგი გამოძიებელია, მაგრამ კიდევ უკეთესი მხვერავი ყოფილა.

პირველ დღეს გიორგი დაეკვდა. დათა ისე როგორ გაათავისუფლებდა კონდრატეს, თუ რაიმე დავალებას არ მისცემდაო, ღმერთო შეგცოდე და რა არ იფიქრა მაშინ გიორგიმ ბოლშევიკების ამ შეურიგებელ მტერზე! ადამიანის გული მართლაც დაუნდობელი ყოფილა, თორემ რამ აფიქრებინა თორიას, თავისი სიცოცხლის საფასურად სამსახური ხომ არ აღუთქვა ბუკიასო.

ფუი ეშმაკს! არაჩემია და მისებრ ერთ-გულეები თითო-ოროლადა შერჩა ქვეყანას და მათ მიმართაც უნდობლობა?! არა, გიორგის მაშინაც კი ვონების თვალთ უნდა ჩაეხედა გულში, როცა გამოგლოვილი, პარაკლისგადახდილი არაჩემია გამოეცხადა.

რა ამბები არ მოიტანა ამ ტყვე კაცმა ზღვის მგლის ბუნაგიდან! აქამდე თუ ცნობილნი არ იყვნენ დათა ბუკია და სხვა ბოლშევიკ ყაჩაღთა ხელისშემწყობნი — ადამიანები, რომლებიც საჭიროებისას იარაღით ხელში ეხმარებოდნენ მათ, მერე კი ისევ თავის ოჯახებს უბრუნდებოდნენ და პატიოსანი, უცოდველი ადამიანებივით ტრიალებდნენ ხალხში, — დღეს არაჩემიას წყალობით, საგანგებო რაზმმა შეიტყო მათი ვინაობა. ვაჰან დანელიანცი!

თორიას ეგონა, ეს ჭაბუკი შეშინდა და მიიშალა, რადგან ოჯახი ავუწიოკეთ და დედ-მამა დაეუპატიმრეთო. თურმე ნუ იტყვი, ეს ღლაპიკ კი დათა ბუკიას ადრე მიმხრობია და ახლა მის რაზმში ბრძანდება თურმე.

ჯოკია ქეცხასაც პატიოსან კაცად მოჰქონდა თავი. თურმე დათა ბუკიას მარჯვენა ხელი გამხდარა ეს „პატიოსანი“ — ეპ, რას გაიკებ, ვინ არის ახლა პატიოსანი და უპატიოსნო. მამაკაცებისა რა უნდა გიკვირდეს, როცა ქალებიც კი სათითურის ნაცვლად დამზაჩას ატრიალებენ ხელში. ესეც შენი მანდილოსნები — მანდილის მატარებლები!

ცუცა ანთია!
ვინ იფიქრებდა, რომ ეს მაჩხიბიც ბუკიას ბრბოს შეაფარებდა თავს.

არა, ჩემო გიორგი, შენი სადაზვერვო გამოცდილება, შენი უნარი და გამჭირა-

ხობა საქართველოში არ გამოდგა რატომღაც.

მას უკან, რაც ცუცა ანთიამ სიცოცხლეს გამოასალმა პოლკოვნიკ კენიაშვილის პოლკის ოფიცერი, მისი ქმრის მკვლელი, გიორგის ამ ქალზე არც კი უფიქრია. ან რა ჰქონდა საფიქრალი, როცა პოლკის მეთაური ირწმუნებოდა, ალქაჯი ჩემმა ჯარისკაცებმა ხიშტზე წამოაგესო. შენც, სადაზვერვო სამსახურის გამოცდილმა ოფიცერმა, ვილაც ლოთ სალდათს დაუჯერე. არც კი იფიქრე, გვამი მაინც გენახა. რა გამოირკვა ბოლოს? წელიწადნახევრის შემდეგ მკვდრით ამდგარი ის ეშმაკის ფეხი სოფელ გაგიდაში ბუკიას ნახულობს და მასთან ერთად მთაში მიდის.

იქნებ არაჩემია სტყუისო, იფიქრა მაშინ თორიამ, მაგრამ დათასა და კოსტა კორტას გაგიდელმა მასპინძელმა მეთევზე გვილიამაც დაადასტურა, ცუცა ცოცხალია და ბუკიასა და ვილაც რუსის ქალს გაჰყვავა.

საოცარია! რამდენი თავზე ხელაღებული ქალი უნახავს თორიას, მაგრამ ანთიას ქალი რალაცნაირად განსხვავებული უნდა იყოს. ამბობენ: ალვის ხესავით ტანატყორცნილია, შავ თვალებს მარაოსავით გაშლილი წამწამები უჩრდილავს. ოცდარვა წლის მკერდსავეს ქალს ორი მსხვილი ნაწნავი მუხლამდე წვდება. ზამბასავით თეთრ, ნატიფ სახეზე სულ ერთთავად მორიდებული სიმორცხვის ღიმილი დასთამაშებდა მანამ, ვიდრე კონიაშვილის ოფიცერი შინ არ შეუფარდა და მძინარე ქმარი ლოგინში ტყვიით არ დაუცხრილა. მაშინ გაშმაგებული ქალი თურმე ქმრის დამზაჩას წაეტანა და მოსისხლეს გულზე მიაღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ორფეხა მხეცისთვის თავი შეეკლა. თორემ არც კი იცოდა, როგორ გამოეშალა ფეხი „ბრაუნინგისთვის“. მაგრამ მისი ნაზი თითი შემთხვევით გამოედო დამზაჩის რკინის ნისკარტს და ქალიც საშინელმა ქუხილმა გააოგნა თურმე.

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

ოფიცრმა მოჭრილ ხესავით მოადინა ზღართან.

მერე?

მერე ავი იქვე მოჰკლეს ცუცა ანთია?! მაგრამ დახე! ამ სათაელს გაქცევა მოუსწრია და დღეს ეს პატარა ნაპერწკალი მუგუზლად გადაგვიქცა.

მართლაც ცუდად მუშაობენ თორიას ხელქვეითები, თორემ ამდენი ხანი ბუკიას თუნდაც ერთი თანამებრძოლის ხელში ჩაგდებას როგორ ვერ მოახერხებდნენ? სხვას თავი დავანებოთ და ანთიას ქალის არსებობაც რომ ვერ დაადგინეს?

ერთი ცხვირისკენ, მეორე მგლისკენო. ამ ქვეყანაზე განა ყოველთვის ანთიები არიან დამნაშავენი? იმ ჩიტორეკია ოფიცრს ცუცას ქმარი ისე ვერაგულად რომ არ მოეკლა, ეს ქალი დღეს თავის ოჯახში იფუსფუსებდა, თვითონაც კარგად იქნებოდა და არც ჩვენ მოგვაყენებდა ამდენ უსიამოვნებას.

ეჰ, სისხლი და სისხლი! სისხლს მხოლოდ დროებით შეუძლია ხალხის გულში დაგუბებული ბოდმის შეკავება.

სისხლი! სისხლს ჯადოსნური ძალა აქვს. ის არსად არასოდეს არ იკარგება. უსამართლოდ დაღერილმა სისხლმა არ შეიძლება ერთ დროს მაინც სადღაც არ გამოჰნოს, ნაკადულად იქცევა და ისე ადიდება, რომ ქვეყანას წალეკავს.

ჰო, ეს ასეა, მაგრამ რა ვქნათ, როცა სხვა გზა არ არის.

იქნებ ცოტა ხანს მაინც...

საინტერესოა... კოსტა კორტა, შვექოთი, ცუცა ანთია, სერსუფა, მარია საბურა, ეპანი, ჯოკია, ტაია — რა კარგი თაიგული შეუკრავს ჩაძირული „თოლიას“ მკობერს.

მართლა, საკვირველია, ტყვეობაში როგორ შეძლო ამ ჯადომაზმა არაჩემიამ ისეთი რამეების გაგება, რაც მოენებმა მთელი წელიწადი ვერ გაიგეს.

კონდრატეს რომ ჰკითხო, ბუკიას რაზეში მოურიდებლად ლაპარაკობენ ყველაფერს, საიდუმლოა თუ არასაიდუმლოო. ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილონი არიან ისინი?

არა, დაუჯერებელია. როგორ შეიძლება გულსადავი იყოს ბუკია, როცა ამ კაც-

თან არავითარი სატყუარა და ნაცადი ფანდი არ გადის.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ავი ბუკიას გამჭირიანობამ მოგვეწყვიტა ზემო აღხაზეთი? მისი მოულოდნელი თავდასხმის შიშით ის ადგილები უპატრონოდაა მიტოვებული. აბა, თავი ვის მოსძულე-ბია, ვის შეუძლია ასეთ დაშორებულ კუთხეში მთავრობის წარმომადგენლობა იკისროს. ჰოდა, ისედაც გალატაკებულ მთავრობას ბუკიას შიშით გადასახადი ვერ აუკრებია მთიან აღხაზეთში.

მარია და ცუცა რაზემ ფასდაუდებელ სამსახურს უწევენო. ისინი, როგორც ეჭვმიუტანენი, თანაც ქალები, ჭერქვეშა ორგანიზაციებთან მეკავშირეობას კისრულობენ, ხან მზევრავები არიან და როცა საჭიროა, მამაკაცებივით იბრძვიანო.

მადლობა განგებას, ასეთი ალქაჯი რომ ღრთვე მოაშორა თორიას, მაგრამ განიებრუბებას მაინც ვერ აპატიებს იმ მაწანწალას.

ეჰ, მართო ბუკიას რაზემთან რომ ჰქონდეს საქმე, უზომოდ გასიებული გულს მალე დაიცხრობდა, მაგრამ რამდენ ბუკიას გაუძლოს ამ უბედურ დღეზე გაჩენილმა კაცმა, ტყეში გაჭრილ რამდენ ყაჩაღსა და ავაზაკს სდიოს, რომელი აჯანყებული სოფელა დაამოშმინოს.

ისე კი, კაცმა რომ გულში გონების თვალთ ჩაიხედოს, გიორგი თორიასა და მისი პატრონების საქმე წასულია: სასწაული არ მოხდება. საქართველო უკვე წითელი დროშებითაა გარშემორტყმული, ხალხი არ ცხრება, ყველგან შფოთი და ამბოხია — წითელი რუსეთის იმედი აქვთ: დაგვიცავს, გაგვათავისუფლებსო.

რა ეშველება გიორგის, ეს პატარა საქართველოც ბოლშევიკებმა რომ წაიღონ? სად წაივადეს? ვის მიაკითხოს? ვის სთხოვოს თავშესაფარი?

იქნებ ბოლშევიკებსაც დასჭირდეთ ისეთი გამოცდილი სადაზვერგო სამსახურის ოფიცერი, როგორიც გიორგი თორიაა? დაზვერვა და კონტრდაზვერვა ხომ ყველა დროისა და ყველა ჯურის სახელმწიფოს სჭირდება.

მაგრამ ბოლშევიკები აპატიებენ გიორგი თორიას მეფის ტახტის ერთგულებას და დემოკრატიული საქართველოსათვის თავდადებას? არა, ეს არ მოხდება. ბოლშევიკებს კარგად იცნობს გიორგი მათს ხელში ჩაგარდნას შუბლში ტყვია და საუკუნოდ მიძინება ურჩევნია. ჰო, სიკვდილი, მიძინება ურჩევნია გიორგის, მაგრამ სანამ თვალებს სამუდამოდ დასუჭავდეს, არავის არ დაზოგავს. სადაც მათრახი იკმარებს, მახვილს მოიქნევს, სააქაოდან გულდაწყვეტილი არ წავა.

ჰე, გიორგის რომ იმ გომბიოსთან არ დაღამებოდა, ვინ იცის, იქნებ თავის შესადარს გადაჰყროდა და უბედობით გაეგებულ გულს გაეხარნა.

არც ახლაა გვიან, მაგრამ ეს დროება? დღეს თუ ხვალ იქნებ გულა-ნაბადი აუკრან და...

გიორგიმ თავი ისე ასწია და მიიხედ-მოიხედა, თითქოს ძილს თავი წაართვაო. უზარმაზარ კაბინეტს დინჯად მოავლო ჩაწითლებული თვალები და გაიზოზრა. მერე მძიმედ ამოიოხრა, უჯრა გამოსწია და ტყავის შავი კაბრა ამოიღო, გაშალა.

სადაც გემის საყვირის ყრუ ხმა გაისმა. ვილაცამ სასტვენში გამწარებებით ჩაბებრა. ეტლმა ჩაიარა და საგანგებო რაზმის შენობაში ცხენების თქარათქურის ხმა შემოიჭრა. მალე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

გიორგიმ კაბრაში ორი თუ სამი ფურცელი ქაღალდი გვერდზე გადადო, მერე ერთი ქაღალდი აიღო და სუფთად ნაბეჭდ სტრიქონებს ჩააყოლა თვალი:

„ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა“.

თორიამ გესლიანად გაიღიმა, მერე ქაღალდი ისე დააგდო, თითქოს თითები გახურებულ რკინას მოარიდაო. მერე ფურცელი აიღო:

„ფრონტზე გასაგზავნა ჯარისკაცებმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. გენერალ-გუბერნატორმა ამ შეთქმულების სამი ხელმძღვანელი გაუსამართლებლად დახვრიტა“, — ზუკიას თვალები გაუბრწყინდა, კმაყოფილებით გაღიმებულმა ნიკაპი მოისრისა და განაგრძო: „თბილისში

საალყო წესები გამოცხადდა. მუშები, ლოზუნგებითა და პლაკატებით ხელში. გოლოვინის პროსპექტზე სატიერთო ავტომანქანებით დაჰქრიან. საგანგებო რაზმელებმა და მილიციელებმა დემონსტრაციები გააფანტეს. თორმეტი კაცი დახვრიტეს“.

გიორგიმ მძიმედ ამოიოხრა. სამელნეს დააშტერდა. რატომ ხდება ყველაფერი ეს, რამ გადარია ქართველი მუშა და გლეხი? რუსეთმა, ოქტომბრის რევოლუციამ. აქაც მოუნდა გლეხს მიწა უსასყიდლოდ, მუშას — ქარხანა. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ ისინი ყველა ღირსეულს სულს ამოართმევენ, ქვეყანას გაანანაგებენ. საუკუნეობით შექმნილ დოვლათს კალიასავით მოედებიან და სანამ გაძღვბოდნენ... ღმერთო, დაგვიფარე... ვის რად უნდა ტურტლიანი მოჯამავირისა და უიგზე ტყავამჭერალი მუშის საქართველო!

კიდევ ახალი გვერდი:
„ინგლისი განაგრძობს ჯარების გადმოსხმას ბათუმის ოლქში. ბოლშევიკებმა განგაში ასტეხეს, საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა გამოჩნდნენ უცხოეთის ჯარის ნაწილები“.

ბოლშევიკები მართალს ამბობენ. მაგრამ რა საჭირო იყო ასეთი ხელშეკრულების დადება? რუსეთს რაში ეკითხება, ჩემს ქვეყანაში ინგლისს მოვიწვევ თუ ტარტაროზს!

ახლა სხვა გვერდს სწვდა თორია:

„გუბერნატორმა კუკი-კოლისმა ბათუმიდან საქონლის გატანის მოსაწესრიგებლად პროფკავშირის წარმომადგენლები მოიწვია, მაგრამ ნაცვლად მოლაპარაკებისა, დააპატიმრა, ბორკილები დაადო და სამხედრო გემზე გაცაგნა. ინდუსების რაზმმა პროფსაბჭოს შენობა დაარბია. დარბეულია რედაქცია „გოლოს ტრუდა“. ქარხნებში გაფიცვები დაიწყო“.

ყოჩაღ კუკი-კოლის! მაგრამ, როგორც ჩანს, საწყალ საქართველოს კუკები ვერ უშველიან.

ორედ დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

„სამხრეთ ოსეთიდან გლეხობამ მენშე-
ვიკების ჯარები განდევნა. ონიდან დღე-
თამდე საბჭოთა ხელისუფლება გამო-
ცხადდა“.

იქვე:

„სამხრეთ ოსეთის ოცდახუთამდე სო-
ფელი იწვის. ჯუღელის გვარდიელები
ქვას ქვაზე არ ტოვებენ“.

სამხრეთ ოსეთი! ჰმ! საქართველოს ბე-
დი სამხრეთ ოსეთის დარბევით რომ გა-
დაწყდებოდა, კარგია, მაგრამ ეს ხომ
თავის მოტყუებაა.

გიორგიმ კაბრა დაკეცა და უჯრაში ჩა-
აგდო.

ჩვენი ბედი გადაწყვეტილია.

ჩვენ არაფერი შეგვიძლია. ზამთრის
მზე ყვავილს ვერ გაახარებს.

ტილეფონის ზარი აწკრიალდა.

გიორგი შეკრთა ანაზღად. ყურმილს
უგულოდ წაეტანა და ისე აიღო, თითქოს
ემძიშაო. მერე ჩაწითლებული თვალები
გაუბრწყინდა:

— მადლობა ღმერთს, რომ გაგახსენ-
დი. სად დაიკარგე, სად? ჰო, ვიცი. მე-
რე?.. ამდენი ხანი, შე კაცო?.. შეიძლება,
არ გედავები, მაგრამ მე უკვე შენი დაპა-
ტიმრების ბრძანება გავეცი... აბა, რა
მიქნა? ეგ არაფერი, ჩემს ბრძანებას მევე

გავაუქმებ!.. მაშ! დათქმულ ადგილზე
გამოუცხადებლობა დანაშაულია, აბა, რა
გეკონა?.. რატომ იმ ადგილზე არა?...
ჰო, კარგი, გასაგებია, მოვდივარ.

გიორგიმ ყურმილი დასდო, ზარის ღი-
ლაკს თითი დააჭირა, მერე საკიდარს მია-
შურა და ქუდს სწვდა.

ვიწროყელიან წაღებში გამოწკიპულმა
ოფიცერმა შემოჰყო თავი.

— ცნობის მომწოდებელი მეძახის,
მისი ზედმეტი სახელია „ჩაის ვარდი“.
ჯერ დამსახურება არა აქვს, საეჭვო კა-
ცია. შიშმა გახადა ჩვენი კაცი. თუ მალე
არ დაგბრუნდი, შუქურასთან მეძებეთ.
„ჩაის ვარდის“ პირადი საქმე ჩემს სეიფ-
შია, გასაღები შუა უჯრაში, — გიორგიმ
ქუდი დაიხურა, ლაბადა ჩამოხსნა,
მკლავზე გადაიგდო, სარკის წინ შეტ-
რიალ-შემოტრიალდა, უღვაშებზე ხელი
გადაისვა და ახალგაზრდა ოფიცერს მი-
უბრუნდა, გაიმეორე მაცნეს სახელით.

— „ჩაის ვარდი“, — უპასუხა ოფი-
ცერმა და უფროსს გზა მისცა.

გიორგიმ კიბე სწრაფად ჩაირბინა. ქუ-
ჩაში გამოსულმა მიიხედ-მოიხედა, იქვე
სამი ეტლი დაინახა, ერთს შეახტა. შუ-
ქურასკენო, უთხრა მეეტლეს და ჯიბეში
პაპიროსს წაეტანა.

ქალა მდევრისა, ბახტომა ფშრირმისა

შუქურასთან ბნელოდა. ოდნავ აქოჩ-
რილი ტალღები ნელა შრიალედნენ. შე-
მოდგომის თბილი ნიაგი ჰქროდა. სამხ-
რეთით გაწოლილი სქელი ღრუბელი სავ-
სე მთვარის შუქს. მახვილივით ჩაეჭრა.
თვალბაჭუნა შუქურას ეძინა. ქვეყნის
პატრონებს ეშინოდათ, კარზე მომდგარი
ბოლშევიკების გემებისთვის ქალაქის მი-
სადგომი არ ეჩვენებინათ.

ამ სიბნელეში ჯერ გიორგის ლანდი
გამოჩნდა. ტყიდან შარავნაზე გამოსული
ნადირივით აცეცებდა თვალებს. მარჯვე-
ნა ხელი ლაბადის ჯიბეში ჩაეყო, მარ-
ცხენათი კი ანთებულ პაპიროსს ატრია-
ლებდა. სადღაც საკვესს გაჰკრა ვიღაცამ
ერთჯერ, მეორეჯერ. ის არისო, იფიქრა
თორიამ და თვითონაც ასანთი აანთო.

ორი ლანდი ერთმანეთს უახლოვდებო-
და. ორივე ფრთხილად ათვალერებდა
გარემოს. მერე სულ ახლოს მივიდნენ
ერთმანეთთან. გიორგიმ პაპიროსი გადა-
აგდო, ფეხის წვერით ქვიშაში ჩაფლო და
დამხვედრს შეხედა: ნაცრისფერი სვანუ-
რი ქუდი ეხურა ახალგაზრდას, წარბე-
ბამდე ჩამოფარებული; ხოჭოსავით მზი-
ნავ თმას ნახევრად თუ უფარავდა ეს ხის
ჯამივით მორგვალეული ქუდი. თუმცა
არ ცხელოდა, მხრებში ლაზათიანად
გაშლილს შინაქსოვი შალის შავი ხალა-
თის საკინძე ბოლომდე შეეხსნა და
გრძელტარიან მათრახს მოსირმულ პაიჭ-
ზე ნერვიულად იტკაცუნებდა. შენოდ
ტანოვანს ვერცხლით მოოჭვილი ხანჯა-
ლი და ხის ბუდეში ჩასმული ბურული
მაუზერი. წვერმოპარულს შავი თხელი
ულვაში ამშვენებდა. ჭაბუკი წამდაუწუმ

აბოლებდა თუთუნს, თან გაფაციცებით და უსიტყვოდ მისჩერებოდა თორიას.

— ჩააქრე, დაგვინახავს ვინმე, — უკმაყოფილოდ უთხრა ჭაბუკს გიორგიმ და მიიხედ-მოიხედა.

— დაგვინახოს რა, არაფერი მაქვს დასამალი, არ შემძლია ღობე-ღობე ძრომა მელიასავით, — მაგრად მოქაჩა სიგარეტი და ქუდი დასიცხულივით გადაიძრო.

— ნუ სულელობ, ღუდა! — თითქოს შეუტია გიორგიმ ჭაბუკს, მაგრამ მის შეტევაში რაღაცნაირი სიფრთხილეც იგრძნობოდა. — არ უნდა იცოდე, ასეთ დროს სითამამე რომ დამღუბელია?! — დასძინა ახლა უფრო ხმადაბლა.

— მე მაინც დაღუბული ვარ. ბატონო გიორგი, ჩემს ძმას ეშველება თუ არ ეშველება, ჩემი საქმე მაინც წასულია.

— რა გაქვს დასალუბავი! შენ ხომ შენს ქვეყანას ეხმარები?! ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა ემსახუროს სამშობლოს, მერე...

— აბა, რა ვიცი, იქნებ ჩემი ძმა მართალი იყოს და ეს ჩვენი მთავრობა ჩვენი ქვეყნის დამღუბელია. ესეც რომ არ იყოს, განა სხვა რამით არ შემეძლო კეთილი სამსახური გამეწვია ქვეყნისათვის და ჯაშუში არ გაემხდარიყავი?!

— რატომაც არა... მაგრამ შენისთანა სანდო და საიმედო... — გიორგიმ ჩაახველა, ღუდას მკლავზე ხელი მოჰკიდა, — ჩემი აზრით, ასეთი ნდობა შენნაირი ახალგაზრდა კაცისთვის სასიხარულოც უნდა იყოს. ხომ იცი, როგორი ფრთხილია ის გარეწარი, — გიორგიმ გახედა საგსე მთვარეს, რომელსაც შავი ღრუბელი უახლოვდებოდა, ღუდას მკლავს ხელი გაუშვა და ჩაფიქრდა. მოაგონდა უკრაინელი ქუკი, რომლის სულიც ასეთივე ნაცადი ხერხით იყიდა და შუბლი შეეკრა. — ჯაშუში! შენ არც კი იცი, რა არის ჯაშუშობა...

— ვიცი, ვიცი, ღუდა ჩიქას რომ დათა ბუკია ენდობა. ერთ ჭერქვეშ არაერთხელ სძინებია ორთავეს, ერთი ჯამიდან უკამიათ და ერთი მათარით უსვამთ წყალი. ჰო, შენც იცი, რომ ის ძმასავით მენდობა და...

— ჰო, კარგი, თუ აღარ გსურს შენა ქვეყანას ემსახურო და გამზრდელი ძმა გაჭირვებიდან დაიხსნა, ისე მოიქციე, როგორც გულმა გიკარნახოს, ძალას არავინ გატანს, — ახლა ისეთი ხმით ლაპარაკობდა გიორგი, თითქოს ღუდას დარდი მასაც აწუხებს და გამოსავალს ეძებს. ერთხანს გაჩუმდა, მერე, — ოღონდ შენ იყავი კარგადო, ჩაილაპარაკა და იქითკენ შებრუნდა, საიდანაც მოვიდა. ღუდამ გესლიანად ჩაიციხა და გიორგიც მონუსხულივით შედგა.

— ნუ თვალთმაქცობ, გიორგი ბატონო, მე ხომ ვიცი, ჩემს რკით ვზა რომ არ გაქვს, ჩემსავით წყალწაღებულს სხვას რომ ვერ იპოვნი.

გიორგი არ შემობრუნებულა, მაგრამ სმენაგამახვილებული იდგა და თან ფიქრობდა: საიდან უნდა ჰქონდეს ასეთ ახალგაზრდას ასეთი გამოცდილება, ასეთი სითამამეო. ღუდა განაგრძობდა:

— შენ ის მითხარი, როდის ეშველება ჩემს ძმას, ხომ იცი, ჯამუ ავადმყოფია და სანამ დათასა და მის ამხანაგებს დაგახოციებდეთ, ვაითუ ვერ გაძლოს...

— დარდი ნუ გაქვს, — ნახევრად შემობრუნებულმა გიორგიმ ზღვას გახედა. მსუბუქად მოშრიალე ტალღები ქვიშაზე თეთრი მანდილივით იშლებოდა და დნებოდა. — ის არც ისეთი ავადმყოფია, როგორც შენა გგონია, როდის იყო, ავადმყოფი აჯანყებულთათვის ხელყუმბარებს ეზიდებოდა.

— ავადმყოფია, აბა, რა არის, შე უღმერთო, — ღუდას ხმა გაეზზარა, თვალეები დაენამა, მაგრამ შერცხვა, გულჩვილობა არ დამწამოს ამ წყეულმაო და თავი დახარა: — ვერა ხედავ, კაცი სულს ძლივს ითქვამს.

— ჰოდა, ის რომ აეადაა და შენი გამზრდელი რომ არის, სწორედ ამიტომ შენ უნდა გამოისყიდო მისი დანაშაული, — თორიამ ანაზღად წარბები შეჰყარა. — თავიდან ხომ არ დავიწყებთ, ერთხელ ხომ შევეთანხმდით, ღუდა!

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“



— დიახ, შევთანხმდით, შევთანხმდით, — თავი გააქნია ღუღამ. — ნუ სწუხარ, შევეჩვევი როგორმე ამ საქმეს, — სათუთუნე ამოიღო, პაპიროსის ქაღალდის დასტიდან ერთი ფურცელი ამოხია.

— ჯამუს როდის ეშველებო, რომ კითხულობ, — ახლა გულდინჯად დაიწყო თორიამ, — იმას რად არ ამბობ, შენ რა გააკეთე. ხომ იცი, მეც რომ უფროსები მყავს. მეც მომბეზრდა ყოველდღე დაპირებებით თავის მართლება.

ღუღამ მძიმედ ამოიოხრა, თორიას ახედ-დახედა.

— მართალი ხარ, მეც კარგად მესმის შენი წუხილი. დღეს კარგი ამბავი მოგიტანე.

— მართლა! რა ამბავი?! — სულწასულად წამოიძახა თორიამ.

— ამ დღეებში დათა თავისი რაზმით მთიდან ბარში ჩამოდის. ახლა მენშევიკებს ჩვენთვის არა სცალიათო, ამბობს.

— ვითომ რაღაო?

— ქალაქებში მუსათა დემონსტრაციების დაშოშმინებას და სოფლებში აჯანყებულ გლეხთა მოთვინიერებას ეგრ აუღიანო. კიდევ ვინ ხცის, რას არ ამბობს...

— რაო, რას ამბობს?

— მოძმე რუსეთი დახმარებას გვპარდებო...

— მერე, მერე, საიდან ვიცით ბუკიამ, რუსეთი რას პპირდება ქართველ ბოლშევიკებს?

— საიდან იცის, ამას ვერ გეტყვი, ეს კი ვიცი, მთაზე ჯდომით არაფერი გამოვაო, რომ ამბობს; ბარში უნდა ჩავიდეთ და ხალხი გვაგამხნევოთ.

— შენ ისა სთქვი, სად აპირებს დათა დაბინავებას, რომელ სოფელს დაადგა თელი?

— სამუხაოში უნდა ჩამოსვლა. მარცხენა მხრიდან და ზურგიდან საკვარიეს ნაპრალი დაიკავს. მარჯვენა ფრთას ღრმა მდინარე მალწყარი ეფარება, წინა მხრიდან მთელი გვარდია რომ მოეძალოს, ვერაფერს დააკლებს, — ღუღა თითქოს ძალდაუტანებლად დაპარაკობდა დათას გეგმებზე, მაგრამ გამოცდილი გიორგი კარგად ამჩნევდა, თუ როგორ უჭირდა ყოველი სიტყვის თქმა. დიახ, უჭირდა,

თავს ძალას ატანდა და სწორედ ამიტომ. ამ მოენეს მოტანილი ამბავი საეჭვოდ არ მიაჩნდა სადაზვერვო სამსახურის გამოცდილ ოფიცერს. არაერთხელ უნახავს მას დამაბუნებელი თუ ხელის მუქუქს დახარბებული კაცი, ვითომ რაღაც ცოცხალი, საინტერესო ამბავი რომ მოჰქონდა. თითქოს თავს არ ზოგავდა დავალების პირნათლად შესასრულებლად და კანში ძვრებოდა, მაგრამ ერთგულების გამოხატველ ხმას კარგად შესამჩნევი ბზარი გასდევდა, ერთსა და იმავეს მრავალჯერ იმეორებდა, იფიცებოდა, როცა არავინ აფიცებდა.

ღუღა კი სიძულვილს არ მალავდა, არ მალავდა, ამ მთავრობის ხანგრძლივ სიცოცხლეში ეჭვი რომ ეპარებოდა. საკუთარი თავი ეზარებოდა, მაგრამ არ სტყუოდა, ყველაფერს მართლს ამბობდა. ერთი სიტყვით, ბუკიას არ ზოგავდა, მაგრამ თუ დროს იხელთებდა, ალბათ არც თორიას დაზოგავდა. მერე რა? ბუკიას ხელში ჩაგდებაში დაეხმაროს გიორგის, და უყვარს თუ არა თორია ან მენშევიკური წესწყობილება, ეს რა საინტერესოა.

— სამუხაოს, არა? — იკითხა გიორგიმ და ჩიქას ხელში ანთებულ აბედს დააცქერდა, ჩაფიქრდა. არც ჭაბუკს გაუცია პასუხი. თუთუნს მბუკტავი აბედი მიადო და ხარბად მოქაჩა, მერე ქუდი დაიხურა, პაიკები გაისწორა.

— რამდენი კაცი ჰყავს ბუკიას? — იკითხა მცირე ხნის შემდეგ ოფიცერმა, მაგრამ თავი არ აუწევია.

— სამოცდაათი კაცია-მეთქი, ხომ გითხარი ამას წინათ.

— იმის შემდეგ არ მომატებია?

— არა, რაზმს არ მომატებია, მაგრამ ეს კარგად შეიარაღებული სამოცდაათი მებრძოლი ბუკიას მუღამ თან ახლავს. იხე კი, როცა დათას დაჭირდება, ერთ დამახილზე ორასი-სამასი კაცი იყრის თავს, — მიიხედ-მოიხედა, იქვე ახლოს ლოდს მოჰკრა თვალის, ნელი ნაბიჯით მივიდა და ქვაზე წელმოწყვეტილივით მოიკეცა.

— როდის ჩამოვლენ სამუხაოს?

— სესრყვასა და ვაპანის თქმით, ერთ კვირაში უნდა ჩამოვიდნენ ბარად.

- სამოცდაათი კაცით?
- დიახ.
- მარიაც თან ახლავს?
- მარიაც. ეს ქალიც დათასავით დევნილიაო, ამბობენ.

გიორგიმ შუბლი შეიკრა. თუმცა მარიას ხსენებაც კი გულს უმღერევდა, მისი ამბის გაგება მაინც უნდოდა. ალბათ იმიტომ, რომ არ ასვენებდა დათასა და მარიასათვის სამაგიეროს მიზღვის ბოროტი გრძნობა. დიახ, ბოროტი გრძნობა, მაგრამ თან მისი გულის სიღრმეში კვლავ ხშიანობდა მარიას მზაკვრულად მომხიზველელი ხმა და თუმცა გიორგი თვალებს ხუჭავდა და გულს უტევდა, ტუქსავდა — საბურას ქალის ხმა მაინც ვერ მოეშორებინა.

მარია რომ ნახოს, იქნებ გული მოუღლებს გიორგის, იქნებ სასიკედილოდ არ გაიმეტოს ერთ დროს საყვარელი არსება.

თუ დათა არ ეყოლა, იქნებ კენტად დარჩენილე ქალი გიორგის მიენდოს?

იქნებ... მაგრამ ჯერ დიდი დროა მანამდე. ჯერ დათას მოუგრიხოს კისერი და...

— გრცხვენოდეს, გიორგი, აკი ქვაზე შედექი და დაიფიცე, არც დათას დავინდობ, არც საბურას ქალსო? — ჩასძახა ვიღაცამ. შეცბა თორია, შუბლი მოისრისა, ღრმად ამოისუნთქა.

რაც შეიძლება მალე უნდა აუგოს წესი დათა ბუკიასაც და საბურას ქალსაც, რომ სული მოითქვას. დათას რაზმი კი... აბა, ახლა ამ რაზმისთვის ვის სცალია! ეგდოს მთაში და გინდ ბოლშევიკებს უმღეროს მრავალკამიერი და გინდ ნიკოლოზ მეორეს.

მაგრამ არც ასეა საქმე... ზღვაში ლელი გახმა, რაკი ცის ნაში არ მოხვდაო.

— რას აკეთებს ეს ქალი რაზმში? — ჰკითხა გიორგიმ მცირე ხნის შემდეგ.

ლუდა შეიშუშუნა, ზღვას გახედა, თამბაქო გააბოლა, ჩახხედა.

როგორც დათას მთელმა რაზმმა, ღუდამაც კარგად იცოდა თორიასა და მარიას ურთიერთობის ამბავი.

— რას უნდა აკეთებდეს! წვალობს, როგორც ყველა რაზმელი, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ღუდამ.

- წვალობს?!
- დიახ, წვალობს. აბა, წარმოიდგინე ქალი, რომელიც სულ განსაცდელის მოლოდინშია...

— რად გაიხადა მერე ასე საქმე?

— ერთი დღის სიცოცხლისათვის ხელმწიფემ ძაღლის ლეკვი შექამაო.

— რა შუაშია ხელმწიფე და ძაღლის ლეკვი? — გიორგი უკმაყოფილოდ შეიმშმუნა.

— ალბათ ფუფუნებაში ცხოვრებას დათასთან გაჭირვებაში ყოფნა ურჩევნია.

მტკივნეულ ადგილზე დაადგეს გიორგის ფეხი. გულმა უხმოდ დაიკუნესა, თავმომწონე ოფიცერს ბოღმა ყელზე მოაწვა, მაგრამ ენას კბილი დაადგა.

თავიდანვე არ მოსწონდა სადაზვერვო სამსახურის კაპიტანს ეს თავლადი ყმაწვილკაცი. ეპ, იქნებ ჯობდა, არ წაწყდომოდა ღუდას და ნახვისთანავე არ მიხვედრილიყო, ეს ჭაბუკი საგანგებო რაზმს ნამდვილად გამოადგებოა.

მოაგონდა:

ერთ დღეს, საგანგებო რაზმში თორიას სახელზე უსახელო წერილი მოვიდა. „კეთილსინდისიერი“ იტყობინებოდა, რომ სოფელ კოდორში მასწავლებელ ჯამუ ჩიქას ბინაში დიდძალი ბოლშევიკური ლიტერატურა ინახებოდა; რომ სოფლის აგიტატორებს იქიდან მიჰქონდათ პროკლამაციები; რომ ეს პროკლამაციები, თოვლის ფანტელივით რომ ცვივა აფხაზეთის სოფლებსა და დაბებში.

თორია მცირერიცხოვანი რაზმით იმ ღამესვე ეწვია მასწავლებელს და უზომოდ გაახარა ჩხრეკის დროს ნახულმა მართლა დიდძალმა ბოლშევიკურმა ლიტერატურამ.

ჩიქას ბინაში მასწავლებლისა და მისი ახალგაზრდა ცოლის გარდა ცხრამეტიოცი წლის ჭაბუკიც იყო. მისი მოუსვენარი, ღამაზი თვალეები, თამამი იერი და მოურიღებელი სიტყვა-პასუხი მის დაუდევრობასა და სიმამაცეზე მეტყველებდნენ.

როგორც ძირგამომთხრელ საქმიანობაში მონაწილე, მასწავლებელთან ერთად

ორღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

მისი ცოლიც უნდა დაეპატიმრებინათ წესით, მაგრამ პროფესიონალურმა ალ-ლომ სულ სხვა რამ უკარნახა სადაზვერ-ვო სამსახურის ოფიცერს და რაზმელებს უბრძანა, დიასახლისისთვის ხელი არ ეხ-ლოთ.

თორიას აზრით ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა მასწავლებლის უმცროსი ძმის ხელიდან გაშვება, ხოლო დიასახ-ლისის იმიტომ არ ახლო ხელი, რომ ფიქ-რობდა, ამ ჭაბუკის ხელში ჩასაგდებად გამომადლება, ქმრის ამბის გასაგებად ჩემთან ხშირად გამოგზავნის და ჩივი-ლით სულს ამოხდისო.

დიასახლისის მაგიერ თორიამ მასწავ-ლებლის ძმის დაქერა ბრძანა. წუხელ ჩამოველ წალენჯიხიდან ჩემი გამზრდე-ლი ძმის სანახავად, პროკლამაციების რა უნდა მყოფნოდაო, გაიძახოდა ღუდა და ტანზე მშვიდად იცვამდა.

კოპებზე გეტყობა, ბოლშევიკი ხარო, უთხრა გამჭირდავად გიორგიმ ჭაბუკს.

ბოლშევიკიც და მენშევიკიც ეშმაკს წაუღიაო, უპასუხა ჭაბუკმა ისე, რომ ოფიცრისთვის არც კი შეუხედავს და კუ-თხეში უხმოდ მდგარ გაფითრებულ ძმას მიუბრუნდა:

— რამ გაგაყვიტლა, ვაჟკაცი არა ხარ? კაცი შენ არ მოვიკლავს და სოფელი არ გადაგიწვავს. მთავრობას თუ უმტრე, რა მოხდა მერე! — ძმას მიუახლოვდა, აბაო, უთხრა და თორიას დამცინავად შეაგლო თვალი.

„ასეთი გამბედაობა... თუ ჯამუ ჩიქა მართლა მისი გამზრდელი ძმაა, მითო-კავს კაცი ამ ბიჭს, ნამდვილად მითო-კავს“, ეჩურჩულებოდა იდუმალი ხმა თო-რიას და ისე ილიმებოდა, თითქოს ღუდა უკვე მახეში ჰყავდა გაბმული.

— ენა გააჩერე, თორემ... — შეუტია გიორგიმ ჭაბუკს, რომ ლაპარაკში გამო-ეწვია, უფრო კარგად დაკვირვებოდა, უფრო ახლოს გაეცნო.

— რას ბრძანებ! ენა ღმერთს ჩემ-თვის იმიტომ მოუცია, რაც მინდა, ის ვი-ლაპარაკო!

— გრძელ ენას ამოკლებენ ხოლმე ხანდახან.

— მართალია, და ეს თქვენ არ უნდა გავიწყდებოდეთ.

— შეხედე! რას ბედავს ეს ღლაპი, აა?! — წამოიძახა გიორგიმ და ღუდას-კენ წაიწია.

ფერმკრთალ ჭაბუკს ხალათის განიერი სახელო აეწია და სატევრიან ქამარს ხელში ატრიალებდა.

— უფროსი კაცი ხარ და ის მაკაეებს, თორემ...

— თორემ რა? — ჰკითხა გიორგიმ, მაგრამ ახლა არა უკმეხად. მერე ისე შედგა, თითქოს ცნობისმოყვარეობამ სძლიაო.

— თორემ ისა, რომ გაგაგებინებდი, — ქარქაშიდან ორღესული ნახევრად ამოს-წია და გიორგის თვალეში უტიფრად ჩახედა, — რომ ეს სატევარია და არა ტაბჯირი.

„ყოჩაღ! კარგია, ოღონდ მოვთოკო და თუნდ თვალეში მიფურთხოს“, — მის-დაუნებურად გაუღვავა ოფიცერს და ახ-ლა მასპინძელს მიუბრუნდა, ღუდას ზურგი შეაქცია.

— მზად ხარ? — ჰკითხა პატიმარს.

ჯამუს ტანთ ჩაეცვა და კუთხეში იდგა უსიტყვოდ.

— წავიდეთ? — გაუმეორა კითხვა თორიამ მასპინძელს.

— წავიდეთ. — მასპინძელმა ნაღვლი-ანი სახე მოისრისა და კარისკენ წავიდა.

საგანგებო რაზმელები ნაგაზებივით აედევნენ.

...იმ ღამით ღუდას ნახვამ საგანგებო რაზმელს უკარნახა, ასეთი თამამი და ფიცხი ჭაბუკი საკენკს იოლად წაეტანე-ბაო.

გამოცდილი მზვერავის ვარაუდი გა-მართლდა: ძმებს ერთმანეთი ძალზე ჰყვა-რებიათ. ერთადერთი, გამზრდელი ძმის დარდი არ ასვენებდა ღუდას. თვალზე რული არ ეკარებოდა, პირში ლუკმა არ ჩასდიოდა. მან კარგად იცოდა, ხელისუ-ფალნი ექვმიტიანილებსაც რომ ხვრეტდ-ნენ, მაგრამ ჭირისუფლებს უმაღაგდნენ, ჭიათურაში გავაკატორღეთო, ეუნებო-დნენ.

ჯამუს ცოლი კეცის ჭადია და ნაჭერი შაშხით მთელი დღე რაზმის შენობის წინ იყო ხოლმე ატუზული, მაგრამ გი-ორგი ახლოს არ იკარებდა.

მთელი თვე უნაყოფო ლოდინის შემდეგ ერთ დღეს, როგორც იქნა, თორიამ ქალი გამოიძახა და მოკლედ უთხრა: ტყუილ-უბრალოდ ნურც თავს იწუხებ და ნურც მე მაწუხებო.

რატომო, ჰკითხა განაწამებმა ქალმა.

ეგ შენს მაზლს ჰკითხეო, უპასუხა თორიამ და გულაღალი კაცივით დასძინა: შენი ჭმრის სიცოცხლე ღუდას აბარია, თუ ძმა ძმას არ შეიცოდებს, მე რა ვქნა, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო. არც ის დაუშალავს, რომ ამ დასჯაში ჭიათურაში „გაკატორღება“ კი არ იგულისხმებოდა, არამედ სიკვდილით დასჯა, რაც ბოლო ხანებში საქართველოს „დემოკრატიულ“ რესპუბლიკაში წშირა იყო.

ამ დღიდან რძალი არ ასვენებდა ღუდას. თუმცა ქალმა არ იცოდა, რით შეეძლო მაზლს დახმარება, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა; ალბათ შეგიძლია რაიმეთი უშველო ჯამუს, თორემ ის ხელმწიფის ტოლი კაცი ტყუილს როგორ მეტყობდაო, მოსთქვამდა გამწარებით.

შინ თუ რძალი არ ასვენებდა, გარეთ თორია დასდევდა ლანდივით. ბევრ რამეს არ ითხოვდა სადაზვერვო სამსახურის ოფიცერი:

— შენ ოღონდ ნუ გვიორგულებ, თუ ისეთი რამ გაიგო, რაც სამშობლოს ძლიერებას საფრთხეს უქმნის, ტელეფონით დაგვირეკე, შეგვატყობინე და სხვა არაფერი. აბა, რა არის ამაში დასაძრახი. სამშობლოს ერთგულება ყველა პატიოსანი კაცისთვის საამაყოა... მე მხოლოდ შენი პატიოსანი სიტყვა მინდა...

— თუ ვერაფერი გავიგე?

— სასაცილოა, ღმერთმანი! ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო.

ოღონდ იმას ეშველოს და პატიოსანი სიტყვის მიცემა რა დიდი ვასაჭირია?

— ჯამუს როდის ეღირსება თავისუფლება?

— როცა ჩემს უფროსებს შენს ერთგულებაში დავარწმუნებ.

— თუ სიკეთე გინდა, დაარწმუნე, ხელს ვინ გიშლის.

— მანამდე შენ უნდა დამიმტკიცო ერთგულება, შემომფიცო.

„ჰოდა, ვერაფერს გავიგებ ერთ ხანს, ამ ერთ ხანს კიდევ ერთი ხანი წაემატება და მერე ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი. შემომფიცეო! ასე იყოს. რა არის ფიცი. ფიცის გატეხვას კაცი არ მოუკლავს. ჰო, ოღონდ ჯამუ გადარჩეს და გიორგი და ღუდა მორიგდებიან. ღუდას თუ ენა აქვს, კბილებიც აქვს. როცა უნდა, მაშინ დააჭერს კბილს ენას“.

და მან გიორგის თანხმობის ნიშნად ჯერ თავი დაუქნია, მერე ხელი ჩამოართვა; ოღონდ ძმას ნუ დამიტანჯავ და როგორც გენებოს, ისე მიმსახურეო, უთხრა.

...იმ დღის მერე ცოლიც და ძმა მთელი კვირა ელოდნენ ჯამუს, მაგრამ არა და არა, არ ჩანდა.

ღუდამ ფეხი ძლივს აითრია, მაგრამ მაინც ესტუმრა თორიას.

ოფიცერი ვითომ დარცხვენილი შეიგება შეფიცულს. ჯერ მოიკითხა, არც ჯამუს ცოლი დავაწყენია და მერე უთხრა, უფროსებს ახლა ფიცისა და პატიოსანი სიტყვის არა სჯერათ, ხელწერილს ითხოვენო.

ხელწერილი!

ჰმ, ეს ქალაქელები მართლა სულელები არიან, თორემ სიტყვა, კაცის სიტყვა ქალაღდის ნაგლეჯზე უფრო სანდო არ არის?! დროზე ეთქვა და მორჩებოდა. ხელწერილი რა! ხელწერილი ენას ხომ არ დაუარძლებს?

ოთხკუთხედ, ხელისგულისოდენა მოცისფრო ქალაღდზე ხელი მოაწერა ღუდამ.

...ისევ მთელი კვირა, ათი დღე ცდა. ისევ გაუშრო ლოდინმა ერთგულ მიუღლეს თვალები.

ახლა რძალმა დაუწყო უნდოდ ყურება ღუდას. ამდენი სიცრუე?! ასეთ უპირობას არ მოელოდა მაზლისაგან.

ღუდამ კვლავ მიაკითხა თორიას. ახლა გულგასიებულ ჭაბუკს საყვედურით უნდოდა აეგესო მატყუარა ოფიცერი. თუ ჯამუს სინათლეს არ აღირსებდა, რა ჰქონდა მოსარიდებელი, იტყოდა და ამით გათავდებოდა. ახლა არაფერს არ

ორდღე დგებუაძე ჩაძირული „თოლია“

დააკლებს ღუდა ამ ენაქარტალა კაცს. რაც გულში აქვს, ყველაფერს ეტყვის, გამოლანძღავს და თუ გაჭირდა, იქნებ...

რა აქვს მოსარიდებელი, ვინ ეშმაკია თორია! რა უნდა დააკლოს ღუდა ჩიქას! ეპ, წიგნის კაცია ჯამუ, რატომღაც კალამი და ოქროპირობა მიაჩნია იარაღად, თორემ აბა ღუდა ყოფილიყო მის ადგილზე! მაშინ ნახავდა თორია, როგორ გაჰყვებოდა დასაკლავ ძროხასავით კისერზე თოქშებშული.

თორია სამსახურში დაუხვდა ღუდას.

როგორც კი შედლო კაბინეტის კარი, გიორგი ხელქვეითივით წაჰოიჭრა, სტუმარს მიეგება: შვერცხვი, შვერცხვი, ჩემო ღუდა, მაგრამ ღმერთი, რჯული, ჩემი ბრალი არ არისო, უთხრა და ხელი მორიდებულად გაუწოდა.

ჭაბუკს ენა დაება: ამხელა კაცი თანატოლივით ეგებება, ბოდიშსაც კი იხდის! და ენის წვერზე შემართული საყვედურები ჩაყლაპა, მასპინძელს შუბლგახსნით შეხედა, საგარძელში მშვიდად ჩაჯდა. თორია მაგიდას მიუჯდა:

— არ ვიცო, ღმერთმანი, რა გაუძღვებს ამდენ უფროსს! მერე ყველას თავისი თავი რომ ბრძენი ჰგონია! — აღუღლულდა გიორგი და ერთ კაბრას უაზროდ წაეცანა. — არა და არაო, სანამ უმცროსი ჩიქა ერთგულეებას არ დაგვიმტკიცებს, სანამ რამე ღირსშესანიშნავ საქმეში არ დაგვეხმარება, ჯამუს გათავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

— ვინა თქვა! — წამოიძახა ღუდამ და მისდაუნებურად წამოიწია. თორია კი განაგრძობდა:

— აბა ჯამუ რომ გაგათავისუფლოთ და უმცროს მმასთან ერთად რომ გაუჩინარდეს, მერე პასუხი ვისდა მოეთხოვოთ. მე შენი პატიოსანი სიტყვისა მჯერა, თორემ ისე უფროსები არა სტყუიან, — გიორგიმ კაბრას ხელი გაუშვა და უძრავად მჯდარი ჭაბუკისკენ თვალი გააპარა.

ერთ ხანს უსიტყვოდ იხსდნენ. გიორგიმ პაპიროსს მოუკიდა. ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ახალგაზრდა ოფიცერმა ოთახში თავი ფრთხილად შემოჰყო. სიტყვის თქმა არ აცალა უფროსმა, არავის

ვლებულობო, უთხრა და პაპიროსს მიეძალა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ასე რომ თქვენს უფროსებს ჩემი ძმა გაუწირავთ, არა? — ღუდამ მძიმედ ამოიოხრა, ჯიბიდან ქისა ისე ამოიღო, თორიასათვის თვალი არ მოუშორებია, ტლანქად დაჭრილი თამბაქო გაზეთის ნაგლეჯში შეახვია. — მე კი იმედი მქონდა... ამდენი ხანი რძალსაც ვაიმედებდი, ნათესავებსაც და ახლა... პირშავად დარჩენილმა რა ვქნა...

— რატომ პირშავად?! შენ ხომ გგპირდებოდი რაღაცას, ხომ ამბობდი, სულ ცოტა ხანი და ბუკიას ასავალ-დასავალს მოგახსენებთო? — თორია ახლა წელში გაიმართა, ჭაბუკს მზრუნველის იერით მიაცქერდა.

— ჰო, მართალია, უნდა დაგხმარებოდით, — ჩაილაპარაკა ჭაბუკმა ანგარიშმიუცემლად და სვანური ქლდი ისე მოიხადა, თითქოს ემძიმაო.

— ჰოდა, ავაშენა ღმერთმა! შენც იჩქარე, რაღაც ცოტა, სულ ცოტაა საჭირო და მეც შექნება სათქმელი, რომ ჯამუ ამ ჯოჯოხეთური სატანჯველიდან გავაშვებინო როგორმე... — კიდევ უფრო თამამად გაიმართა წელში ოფიცერი, კარგად ავაწყვეო, იფიქრა და ნახევარზე დასული პაპიროსი სიამოვნებით გააბოლა. — დიას, ნამდვილად იჩქარე, თორემ ვითუ დაგვიანდეს, ვინ იცის, რა მოხდება?

წამოჭარხლდა, გაფაცვიდა ჭაბუკი, „ჯოჯოხეთური სატანჯველი“ გულში ლახვარივით მოხვდა. განა იმიტომ მეგულეზოდა თავს ჯამუ, რომ ის ასეთ სატანჯველში იყოს და მე კი თორიასთან თვალსუქუნობა ვითამაშოო, იფიქრა, ხოლო როცა თორიამ თქვა, ვინ იცის რა მოხდებაო, სული შეეხუთა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა, მკლავები მოწყვეტილ ჩამოეკიდა.

— რა უნდა მოხდეს? — იკითხა და სული მოითქვა.

— რა და ყოველდღე მოხალღენელია საყოველთაო აჯანყება. ბოლშევიკებს წითელი არმია დახმარებას ჰპირდებაო, და მართლა თუ ასე მოხდა და დროებით

უკან დავიხიეთ, პატიმრებს კატის კნუტი-
ვით არავინ დაუწყებებს პორწიალს.

— რა უნდა უყონ?! — ჭაბუკს კარ-
გად ესმოდა, რას ნიშნავდა „პორწიალი“
და რას ამბობდა ამით თორია, მაგრამ არ
უნდოდა ერწმუნა, რომ ჯამუს სიცოცხ-
ლეს საფრთხე ელოდა.

— მიამიტი ხარ, ღუღა, მიამიტი, —
გიორგი წამოდგა, პაპიროსის ნამწევი სა-
ფერფლეზე დააგდო, ჭაბუკს აღმაცერად
გადახედა. — უკანდახეულ და თავდაცვით
გართულ ხალხს როდის ყოფილა პატიმ-
რები თან ეტარებინოს და მათთვის ეზ-
რუნოს. — ფანჯრისკენ წავიდა, რაფას
ორივე ხელით დაეყრდნო და ზურგშეჭ-
ცეულმა დამაჯერებელი კილოთი განაგრ-
ძო. — როცა პატიმრებზე ვლამპარაკობთ,
მხედველობაში მყავს ბოლშევიკები. —
ერთ ხანს ღუღმა, მერე ისევ განაგრძო, —
ღიახ, შენც კარგად უნდა გესმოდეს, რომ
ასეთ ღროს ბოლშევიკებს არავინ გაუშ-
ვებს; მერე რა არის ამაში მოულოდნელი,
გასაკვირი?! როგორ! ბოლშევიკები გაუ-
შვან, რომ მტერს ძალა შეჰმატონ?! არა,
ეს არ მოხდება, ჩემო ღუღა!

კიდევ სიჩუმე. მერე ისევ მომწამლავი
ხმა:

— ესეც რომ არ იყოს, იქნებ მალე
მოხდეს იმ ბოლშევიკების გასამართლე-
ბა, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს.
მაშინ? მაშინ ხომ ჯამუს სასტიკად დას-
ჯიან?

— რა დანაშაული აქვს ჯამუს?

— როგორ თუ რა დანაშაული! პროკ-
ლამაციები?!

— მერე რა მოხდა! განა დანაშაულია
კაცმა წეროს ის, რაც მას კარგ რამედ
მიაჩნია და სხვებსაც წააკითხოს?!

— ამით თუ სახელმწიფოს საფრთხეს
უქმნის?

— აბა ის რა სახელმწიფოა, ერთი ნა-
წეკვი ქალღმერთის რომ ეშინია?!

გიორგიმ თავი გაიქნია და უკმეხად
წამოიძახა:

— ერთი სიტყვით, ასეთ ადამიანებს
კანონი სასტიკად სჯის! — თორია არ
შორდებოდა ფანჯარას, პაპიროსს ნერ-
ვიულად აბოლებდა. სადღაც შორს იც-

ქირებოდა, თითქოს ძნელად გადასაწყვეტ
რამეს ფიქრობდა. ოთახში გრილოდა.

ღუღას გულში ქარიშხალი ბობოქრობ-
და. ამ წყევულ ჭერქვეშ ყოფნა უმძიმდა.
იქნებ დაყოვნება სახედისწერო იყოს ჯა-
მუსთვის, ხოლო ღუღას ხომ საყვარელი
ძმის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არ
მოუნდებია. არა, უნდა წავიდეს, უნდა იჩ-
ქაროს. ღუღას ბევრი გულმაგარი, უში-
შარი, ერთგული მეგობარი ჰყავს. რამდე-
ნი იქნება ნეტავ?! ათი, თხუთმეტი, ოცი.
ასეთ საქმეზე რომ გამოადგება, ისეთი
ოცზე მეტი არ შეგროვდება. მერე? ოცი
კაცი რას უზამს ამდენ ტყვიის წასა-
ღებს? რატომაც არა? განა საქმე სიმრავ-
ლენია?

აკი დათამ რაღაც თორმეტიოდე კაცით
გვარდიელების მთელი რაზმი განაიარადა
ოჩამჩირეში. ეპ, დათა რომ იკისრებდეს,
იქნებ არ გაუჭირდეს ჯამუსა და მისი
ამხანაგების გათავისუფლება. თუმცა სად
ოჩამჩირე და სად სოხუმი. საგანგებო
რაზმელების გარდა, მილიცია, გვარდია,
ჯარის ნაწილები და ვინ იცის რამდენი
ეშმაკის ფეხი არ ტრიალებს ამ დასაქცევ
ქალაქში. არა, არ შეიძლება, თორემ ბუ-
კია აქამდე არ დაყოვნებდა.

ღუღა აქედან გაეა თუ არა, პირდაპირ
ბუკიასკენ გასწევს.

აბა, სად წავიდეს? ამდენი მოტყუების
შემდეგ რძალს ვერ დაენახვება. დედა?
დედამ რა იცის, რა სჭირთ? მაგრამ სა-
ნამდე უნდა დაუმალონ?

დათა? ეს კაცი კარგად იცნობს ღუღას.
კარგად იცნობს და ენდობა კიდევ. არა-
ერთხელ გაუტანებია ჯამუს ამ გოლიათ-
თან რაღაც დაბეჭდილი ქალღმერთი. რა-
ღაც კი არა, ის წყევული პროკლამაციები,
რამაც ჯამუ ასეთ გასაჭირში ჩააგდო.
ღუღას აქ დიდხანს ჯდომა არ შეუძლია.
სული ეხუთება, გულზე თითქოს ეკლები
ესობა.

— შენ რომ იღონებდე რამეს, ძმას
ნამდვილად უშველიდი, — ისევ ჩაეხმა
შემზარავი სისინი ღუღას.

ორღე დგებოდა
ჩაძირული „თოლია“

— უშველიო! რას ნიშნავს ეგ სიტყვა?! მაშ, ჯამუ... სასიკვდილოა? — ბოლო სიტყვა თითქოს ყელში გაეჩხირა ქაბუკს, აცახცახებული ძლივს წამოდგა. — უნდა მოკვდეს? — წაილულულა და კარს გახედა.

გიორგი უცებ შემობრუნდა და საოცრად ანთებული თვალებით შეხედა ლუდას:

— დიახ, მოკვდება. შენ თუ ხელს არ გაანძრე, მოკვდება, ნამდვილად მოკვდება.

თუმცა ლუდას სახეს გინგლი უფარავდა და კოხტად მორგებულ ხალათ-შარვალსა და მოსირმულ პაიჭებში მოსიყვარულე დედის განებვიერებულ პირმშოსა ჰგავდა, მაგრამ ქაბუკს რომ გული საგულეში ედო, ამას მისი სითამამე და უდრეკი გამოხედვა ადასტურებდა. ამ ყმაწვილკაცს ვერც ბნელ ღამეში მთის უგზობა შეაშინებდა, ვერც ანახლად შეფეთებული დათვის ბურღლუნი შეაქრობდა. მას თავისი თავი უშიშარი, გულმაგარი ეგონა, მაგრამ ახლა რატომღაც სულში საშინელი სიცარიელე იგრძნო და გული ისე შეუქანდა, თითქოს ჯუჯა კაცი ზღაპრული დევის გამოქვამულში შეაგდესო. შეციებულებით შეაქროლა ლუდას, ქვედა ყბა აუცახცახდა. კბილი კბილს დაადგა, მაგრად დაჭერა სცადა, მაგრამ ღონე არ ეყო. მუხლებმაც აგრძნობინეს, რომ ძალ-ღონე ელეოდა. ქაბუკი მოცეკვლივით ჩაიკეცა სავარძელში.

დიახ, ჯამუს დახვრეტენ! — წიოდა ვილაც ლუდას ყურებთან. — დახვრეტენ ისე, როგორც გასულ კვირას ჩალბაშელი მეფურგუნე დახვრეტესო. ისე, როგორც ოცი წლის მეგრელი ქაბუკი, რეალური სასწავლებლის მეგრე კლასის მოწაფე, სანამ ტყვიას დაუშენდნენ, სახეზე პერანგის კალთა რომ აიფარა და სახეს ნუ დამიმახინჯებთო, ითხოვა...

თითქოს ჭერი შეინძრა. რატომღაც ჰაერი არ ყოფნის ქაბუკს. აქამდე რომ ხარის ფალტვები ჰქონდა, ახლა რა დაემართა, რა ღმერთი გაუწყრა! იქნებ მომკვდავია ჯამუ, იქნებ მოვლა უნდა, შველა... რა სუსტი გული ჰქონია ლუდას. არა, გულის სისუსტე რა შუაშია, მას

აღამიანის გული აქვს, და ეგ არის. როცა გამზრდელი ძმა, მისთვის ძვირფასი, საყვარელი ადამიანი განსაცდელშია, გულს ხომ ვერ გაიქვავებს?! —

შენ კი სახლში არხეინად დამჯდარხარ და უცდი, ძმა როდის მოგივა. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა.

როცა ოფიცერი ლუდას გაშორდა და ფანჯრისკენ მიმავლის დეზებმა გაიწყვარუნეს, ქაბუკი გამოერკვა.

— მაშ, რა ექნა, შე ქრისტიანო? — ისე წამოიძახა, თითქოს კარს იქით ეძახის ვილაცასო და წამოდგა, გაფაცვიცადა.

— რა ქნა?! — გიორგი ციბრუტივით შემოტრიალდა და ისეთი სახით შეხედა, უსიტყვოდ უთხრა: თავს რად იტყუებ, შენც კარგად იცი, რაც უნდა ქნაო.

კარგად გაიგო ლუდამ, რას ეუბნებოდნენ თორიას თვალები და არ დააცოცხდა:

— ღმერთს გეფიცები; არ ვიცი, რით დავებმარო ჯამუს. რა გითხრა ბუკიაზე ისეთი, რაც შენ არ იცი...

გიორგიმ თვალი უკმაყოფილოდ აარიდა ჩიქას, ნელი ნაბიჯით საწერ მაგიდასთან მივიდა, კედლის რუკაზე ჩამოკიდებული აბრეშუმის ფარდა გადასწია, დაატყერდა, მერე ამოიხარა, ისევ გადააფარა ფარდა და კვლავ ლუდას მიუბრუნდა. ახლა სახეზე სიმშვიდე ეხატა ოფიცერს. ოდნავ შუბლშეკრულს გამომეტყველდა სერიოზული ჰქონდა.

— იცი რა?

— რა?

— როცა შენი გამორჩეული ადამიანის სიცოცხლე განსაცდელშია, როცა მე, გიორგი თორიას, შემიძლია მას სიცოცხლე და თავისუფლება ვაჩუქო, შენ თუ შველა გინდა, თვალებში გულწრფელად უნდა მიცქირო და ყველაფერი დაუფარავად უნდა მითხრა.

ჰო, ცხადია, ჯამუში უნდა გახდეს ეს თავმომწონე ქაბუკი.

სუნთქვა გაუჭირდა ლუდას.

ახლა გიორგის თვალებში ჩახედვა სცადა. ჩახედა და მოინუსხა კიდევ. უნდა გაექცეს ამ მომაკვდინებელ მზერას. მაგრამ არა, მას ახლა თვალის დახამხამებაც არ ძალუძს.

— ჰა, რას იტყვი, თუ შეგიძლია, იგაჟ-
კაცე, თუ არა და, ჯამუს გარდა სხვაც
ბევრი მყავს საკანში.

ის როგორ იყო, — ჩასჩურჩულა ვი-
ღაცამ ღუდას, — ათიოდე წლის ყმაწვი-
ლი ცხენმა რომ გაგიტაცა? გახსოვს, ჯა-
მუ გახელებულ ულაცს წინ რომ გადაუდ-
გა. ციყვივით შეახტა და კისერზე დაე-
კიდა? შენც გადაგარჩინა — თვითონაც
რალაც სასწაულით გადარჩა. ორი ნექნი
ჩაემტვრა, მაგრამ ამაზე არასოდეს არა-
ფერი უთქვამს“.

„მახსოვს, როგორ არ მახსოვს, — უმა-
სუხა იმ ვიღაცას გულმა მისდაუნებურად
და დასძინა: — მე ისიც მახსოვს, მუც-
ლის ტიფით რომ ვიყავი ავად. მაშინ ჩემს
გამზრდელ ძმას ორმოცი დღე ტანზე არ
გაუხდია“.

ჰოდა, ახლა სხვა რა საფიჭრალი უნდა
ჰქონდეს ღუდას, თუ არა ჯამუს შევლა?!
არა, ოღონდ იმას ეშველოს, ოღონდ
გულს მოუშორებელი დარდი არ უკვნე-
სებდეს, ოღონდ დედა ადრე არ ჩავიდეს
საფლავში, რძალმაც, ჯამუსათვის სულ-
ზე უტკბესმა ქალმა, ტკბილად იგოგმა-
ნოს ჩიქას ოჯახში და ღუდა თუნდაც
ქვეყნის სასაცილო გამხდარა. ვინდ ახლა,
ამ წუთში დახუჭვია თვალი სამუდამოდ.

— ვიცი, რომ დათა ბუკია გენდობა.
არაერთხელ გაუგზავნიხარ მისას პროკ-
ლამაციებით დატვირთული. — ახლა გი-
ორგემ თვითონ აარიდა მზერა ღუდას და
მაგიდისკენ ისე გაიწია, თითქოს ვიღაცამ
უბძიკაო.

— ვინ გითხრა? — წაიღულულა ჭა-
ბუკმა და გაოგნებულმა შეხედა ოფი-
ცერს.

— ვის უნდა ეთქვა, თუ არა ჯა-
მუს?! — ჩაიციხა. მაგიდას მიუჯდა, ხე-
ლები ჯიბეში ჩაიწყო; სავარძლის სა-
ზურგეს ბეჭებით მიაწვა, გაიშოტა, —
და თუ ეს მითხრა, ალბათ შეველას მოე-
ლის შენგან.

სხვას მართლა ვის უნდა ეთქვა, თუ
არა ჯამუს?! ალბათ ძალზე გაუჭირდა,
თორემ არ იტყოდა...

ახლა რატომღაც თავისუფლად ამოი-
სუნთქა ჭაბუკმა.

— მართალი უთქვამს, — ახლა არც კი
უნდოდა ღუდას ეჭვი შეპარვოდა იმა-
ში, რომ ჯამუ ყველაფერში გამოუტყდა
თორიას: ძმის გადასარჩენად ამ სულის
მტერთან სიახლოვე განეზრახა და თავი-
სი სინდისისათვის თავისუფლების მიცე-
მა უნდოდა.

— თუ იცნობ, თუ შეგიძლია მიუჩონ-
დე, იმ ავაზაკს ძმა უნდა ამჯობინო. გა-
საგებია?

— გასაგებია.
გიორგი სავარძელზე გაიმართა. ჯიბი-
დან ხელები ამოიღო, მაგიდას იდაყვე-
ბით დაეყრდნო, კმაყოფილი სახით შეხე-
და ღუდას და მგებობრულად გაუღიმა.

ორდღე დგებუაძე
ჩაძირული „თოლია“

გაგრძელება იქნება



პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი

ვინც დაკვირვებით აღევნებს თვალს თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარებას, უშეველად შენიშნავდა: დღითიდღე უფრო ძნელი ხდება ამ ეანრში მუშაობა.

ამ გარემოებას ორი მიზეზი აქვს:

უწინარეს ყოვლისა, ჩვენს წარმოდგენაში თანდათანობით შეიცვალა „ქარგი ლექსის“ ცნება. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქართული პოეზია ისე სწრაფად ვითარდებოდა, ლექსის ტექნიკა იმდენად გამდიდრდა და დაიხვეწა, გამოსახვის საშუალებანი იმდენად ხელმისაწვდომნი შეიქნენ, რომ ამ ტექნიკასა და ამ საშუალებებს ახლა დამწყები პოეტებიც კი ფლობენ. სულ უფრო ძნელი ხდება ფონს გასვლა ცარიელი ტექნიკის ამარა.

მეორე მხრივ, უჩვეულოდ ამაღლდა მკითხველთა სულიერი დონე (რაც, თავის მხრივ, ცხოვრების, გარემოს გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების შედეგია) და, ამდენად, გაიზარდა მომთხოვნელობა პოეზიისა და პოეტების მიმართ. დღევანდელი მკითხველი არ სჯერდება დაბალი ტექნიკით შესრულებულ პოეტურ ნაწარმოებს და აღარც ისეთი ქმნილება აკმაყოფილებს, რომელშიც ფორმა, შესაძლოა, ვირტუოზულადაა დამორჩილებული, მაგრამ ამ ქმნილების ავტორს ბევრი არაფერი აქვს

სათქმელი ახალი, თავისთავადი, დღემდე უცნობი და მიუტყვეველი.

ეს ასეა. მაგრამ ამ სიძნელეს ყველა ვერ ამჩნევს. ვერ ამჩნევენ, პირველ ყოვლისა, ის დამწყები და ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც ცუდად იცნობენ ან სულ არ იცნობენ ლიტერატურის სპეციფიკას და შემოქმედების ფსიქოლოგიას, აგრეთვე ის მკითხველები, ვისაც ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ლიტერატურაზე საერთოდ და კერძოდ — პოეზიაზე.

მრავალ დამწყებსა და ახალგაზრდა პოეტს მოსდის ერთი შეცდომა: ჰგონია, რომ მისი სულიერი შესაძლებლობები ამოურწყავია და სათქმელი არასოდეს დაეღვევა. ადრეულ ასაკში, ვიდრე გარე და შინასამყარო მეტწილად ემოციების მეშვეობით აღიქმება, ადამიანს ხშირად ექმნება ილუზია, რომ ჭეშმარიტი შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არ ამ ემოციებისა და აგრეთვე ამ ასაკში მნიშვნელოვნად მიჩნეული ცალკეული აზრების გამოსახატავად შესატყვისი ფორმის მიკვლევა. მაგრამ შემდეგ მომწიფებას იწყებს ინტელექტი, პიროვნება იძენს რეფლექსიის უნარს, ემოციების ბურუსი თანდათანობით იფანტება, რასაც თან სდევს სამყაროს „პოეტური“ ხედვის მიმქრალება, დაკარგვა და, ცხადია, სათქმელის შემოღვევაც. მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტებად შობილინი ინარ-

ჩუნებენ იმ თავისებურ ემოციურ აღქმას და ხედვას, რომელიც აუცილებელია პოეზიის მწვერვალთა მისაღწევად. მათთვის ინტელექტი ხელის შემშლელი კი არა, — უდიდესი მოკავშირეა. რადგან ყოველივე, რაც ინტელექტის მძლავრი განვითარების გარეშე, მხოლოდ ემოციების გველენით იქმნება, მარტოდენ შიარობაა (ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით) და მეტი არაფერი. სხვათა შორის, ამიტომაც, რომ შემთხვევით გაპოეტებულნი მუდამ წინასწარვე მტრულად არიან განწყობილნი ინტელექტის მიმართ და შიშითა და ძრწოლით განიცდიან იმ ამბავს, რომ რეფლექსიის განვითარებასთან ერთად საგნებსა და მოვლენებს ეცლებათ ის მომხიბვლელი ემოციური საბურველი, რომელიც ასაზრდოვებდა მათს შემოქმედებას.

პიროვნების ფორმირების ხსენებულ პროცესში შემთხვევით გაპოეტებულთაგან უფრო კეთილსინდისიერნი და თავისთავისადმი მოთხოვნნი ხელს იღებენ ლექსების წერაზე, უფრო ჯიუტნი რა შუბლმავარნი (და პრაქტიკულნიც!) შეუპოვრად განაგრძობენ ჯახირს, ასე თუ ისე (ზოგჯერ საკმაოდ კარგადაც) ეუფლებიან ლექსის ტექნიკას და საბოლოოდ იქცევიან ლიტერატურულ საქმოსნებად.

თავის მხრივ, მკითხველები, რომლებსაც ზერევე წარმოდგენა აქვთ პოეზიაზე, ხშირად ვერ ასხვავებენ ჭეშმარიტ შემოქმედებასა და უნიჭობას. ჰგონიათ, რომ, თუ ლექსი გამართული ტექნიკითაა შესრულებული და გარკვეულ ემოციებს მაინც აღძრავს, — ყოველივე რიგზეა და საქმე მართლაც პოეზიასთან გვაქვს.

მაგრამ საგულისხმოა, რომ მხოლოდ გამოუღებელ მკითხველებს არ მოსდით მსგავსი შეცდომა. დღესდღეობით იმდენად მრავალმა მოლექსემ ისწავლა თავისი ემოციების თუ აზრების საკმაოდ პრეტენზიული ფორმით გამოხატვა, რომ დახელოვნებულ ლიტერატორსაც კი არაიშვითად უქნელდება მკვეთრი ზღვარის გავლება და დადგენა იმისა, თუ სად მთავრდება ჭეშმარიტი პოეზია და

სად იწყება შემთხვევითი, საორდღეო პოეტური წილადობილა.

ამგვარ მდგომარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვენში ძალზე სუსტადაა შესწავლილი პოეტური კულტურის საკითხები. პოეტური კულტურის ცნებაში ვგულისხმობ მიმართებას, რომელიც არსებობს ნაწარმოების შინაარსსა და ფორმას, გამოსახატავსა და გამოხატულს შორის, აგრეთვე შემოქმედის უნარს — მაქსიმალურად პარმონიული გახადოს ეს მიმართება.

პოეტური კულტურის ცნებას აქვს კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც დღესდღეობით განსაკუთრებით უნდა გამოხეილდეს ყურადღება. ეს არის შემოქმედის პასუხისმგებლობის გრძნობა, უაღრესი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. მაღალი პოეტური კულტურის შემოქმედი თავისთავში უნდა თრგუნავდეს და სძლევდეს ცდუნებას, რომლის შედეგია ყოველგვარი აზრის თუ ემოციის ლექსის სახით ფიქსირება. ყოველივე, რაც წამიერი გავლენისას შემთხვევით წარმოსახება პოეტის წინაშე, პოეზიის საგანი როდია. წამიერი შთაბეჭდილებით აღძრული თუ გონების განსაწმედელში არ გატარდა და არ დაიხვეწა, საბოლოოდ უკეთეს შემთხვევაში, ხელთ საალბომო პოეზია შეგვრჩება.

ხოლო როდესაც პოეტი ვერ სძლევს ცდუნებას, რომ მისი წამიერი განცდა უეჭველად ლექსის სახით გამოვლინდეს (რადგან ეს განცდა მნიშვნელოვნად ეჩვენება), მაშინ იმ ცდუნების დაძლევა მაინც უნდა შეძლოს, რომლის შედეგია ამგვარი ვიწრო პირადული, შემთხვევითი, წამიერი განცდების გავლენით შექმნილი ნაწარმოების გამოქვეყნება. რადგან ის, რაც შენ უაღრესად მნიშვნე-

რეგავ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი



ლონდად მიგაჩნია, სხვებისთვის — ასობით და ათასობით მკითხველებისთვის — შესაძლოა, არ იყოს ესოდენ მნიშვნელოვანი.

რალა თქმა უნდა, შემოქმედების პრაქტიკაში ეს ყოველივე აქ წარმოდგენილ სქემასავით მარტივად და სწორხაზობრივად არ ხდება. არ არსებობს ზუსტი რეცეპტი. ძალზე ძნელი გასაგებია. ზღვარი ვიწრო პირადულ, მხოლოდ შემოქმედისთვის ფასეულსა და საზოგადოებისთვისაც ფასეულს შორის. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი შეხედვით უაღრესად პირადულის გამოშნატველი ნაწარმოები ათასობით მკითხველს შეძრავს (ხომ იყო წუთები, როდესაც ბარათაშვილს ეგონა, რომ „მერანი“ მისი ტყვედნავარდნილი ბიძის — ილია ორბელიანის ქირის შესამსუბუქებლად შეიქმნა!) და პირუკუ — რაც ავტორს (და ზოგიერთ მკითხველს) მასებისათვის დაწერილად მიაჩნია, ის ერთი თუ ორი ადამიანის გულსაც ვერ მოინადირებს.

ამ რთულსა და საპოკმანო საკითხში შეუმცდარი გეზის აღების უნარსაც გულისხმობს პოეტური კულტურის ცნება. გალაკტიონ ტაბიძეს აქვს ერთი საოცარი ლექსი:

მხოლოდ გული... ოჰ, გული
იცნობს ღიღი ხანია,
რომ იქ დღეა ორგული
და იქ ალაზანია,
მხოლოდ გრძნობამ, ოჰ, გრძნობა,
მოგონება შორისა:
ოცდობრი აგვისტო
ცხრაას ოცდობრისა.

თავად პოეტის გარდა ალბათ ერთიორმა თუ იცოდა, რას მიაჩნებდა „იქ ალაზანია“ და „ოცდობრი აგვისტო ცხრაას ოცდობრისა“. და მაინც, ეს ლექსი ათასობით ადამიანის გრძნობებს დაეფულა. და ამ საიდუმლოს ამოსახსნელად არ კმარა იმის აღიარება, რომ გალაკტიონ ტაბიძე ისეთი ჯადოსნური კვერთხის მფლობელი იყო, — რასაც შეეხებოდა, ოქროდ აქცევდა. ცხადია, აქ დიდ როლს ასრულებს მისი უბადლო

ოსტატობა და უნარი ბგერათა და სიტყვათა განსაცვიფრებელი შეხამებების მიკვლევის თუ შექმნისა („დღეა ორგული“!). უმთავრესია მაინც ის დიდი, გულის შემძვრელი და უფაქიზესი გრძნობა, რომელიც იყო ამ ლექსის შექმნის მიზეზი, გრძნობა, რომელიც უაღრესად პირადულია და სუბიექტური, მაგრამ თავისი სიდიდისა და სიმაღლის მეოხებით შორს სცილდება სუბიექტურის ფარგლებს.

მომიტვეთ იმ პოეტებმა, რომლებსაც ქვემოთ დავასახელებ. მე აზრად არ მაქვს მათი ნიჭიერება გალაკტიონ ტაბიძისას შეეუპირისპირო და ამით მათს სახელს ჩრდილი მივაყენო. გალაკტიონ ტაბიძე მხოლოდ იმიტომ მოვიხსენიე, რომ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის აღიარებული მეტრია და საზომი. და როდესაც ლიტერატურულ საკითხებზე გვინდება მსჯელობა, უმჯობესია ორიენტაცია დიდ ლიტერატურაზე ავიღოთ და არა შემთხვევითზე. ყოველი შემოქმედის მიზანი ხომ ისაა, რომ დიდ, კემპარიტ ლიტერატურას ეზიაროს!

პოეტი ალექსანდრე ბეგაშვილი წერს:

გულს დიდხანს მკვიდა მწველად
ცეცხლი შენს თვალთაგან ნაკვეთს...
ლხინში და მეჯლისში ვერა და,
ქირში კი ვაგიცან ვაქეში.

პოეტი ხუტა გაგუა მოგვითხრობს:

კოცნის ავისრულე წადილი,
მას კი რა ატირებს ნეტა?
წადიო,
წადიო,
წადიო,
ყველაფერს ვებყვიო დედას.

ხომ აბსოლუტურად სულ ერთია ჩვენთვის, გაიცნო თუ ვერ გაიცნო ალექსანდრე ბეგაშვილმა ვაკის სასაფლაოზე მის მიერ მოწონებული არსება, ან აისრულა თუ ვერ აისრულა „კოცნის წადილი“ ხუტა გაგუამ?! ვიდრე ამ ლექსების გამოქვეყნებას (წიგნში დაბეჭდვას!) გადაწყვეტდნენ, ავტორებს უნდა განესაზღვრათ — სხვებისთვისაც საინტერესო და ამაღლებებელი იქნებოდა თუ არა

პირადად მათთვის ალბათ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ამბები. ვის რა ეთქმის — თავის საშინაო რვეულში შემოქმედი იმას ჩაწერს, რაც მოეგუნებება, მაგრამ ხომ უნდა განვასხვავოთ საშინაო რვეული და მკითხველებისთვის განკუთვნილი რამდენიმე ათასი ტირაჟით გამოცემული წიგნი!

აქ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ: პიროვნების კულტის პერიოდში, მართლაც, პლაკატურ პოეზიას მეტი გასაქანი ჰქონდა და ლირიკა ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული (თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ვალაკტიონ ტაბიძის, გორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, სიმონ ჩიქოვანის, გრიგოლ აბაშიძის და სხვათა არაერთი შესანიშნავი ლირიკული ნაწარმოები). მაგრამ დღესდღეობით, როდესაც ლირიკამ მეტი თავისუფლება და აღიარება მოიპოვა, მეორე უკიდურესობის მოწმენი ვხვდებით: შესამჩნევად შესუსტდა როგორც ავტორთა, ისე გამომცემელთა პასუხისმგებლობის გრძნობა გამოსაქვეყნებელი ნაწარმოების მიმართ და როგორც არასდროს, ისე დახვავდა ლირიკის მარჯვთა გასაღებული სააღბომო წილადობილა.

ამგვარი სააღბომო ლირიკის ნიმუშად გამოდგება იმავე ალექსანდრე ბეგაშვილის ლექსი:

უშვენიერესს როცა გიწოდებ,
მიწერები, მიწლი, ლამაზო, ამას...
კარგი, არ გეტყვი, მაგრამ იცოდე,
რომ შენ სჯობიხარ სუყველა ლამაზს!
შეისევ ნაწყენი თვალთ შეხედავ,
თუკი შეგიქმე ლერწამის ტანი...
კარგი, შექმეხას აღარ შეგებდავ,
მაგრამ იცოდე, ხარ ჯეირანი
ლამაზს, მშვენიერს როცა გიწოდებ,
გატყობ მაშინვე წყენას თვალბში,
კარგი, არ გეტყვი, მაგრამ იცოდე,
ყველას სჯობიხარ ლამაზ ქალებში!

ან კიდევ მისივე სტროფები ორი სხვადასხვა ლექსიდან:

თოვს... და არ ვიცი, ვინ თერთია —
თოვლი თუ ისა,

გულს ვისი შუქიც მომტენია,
ვით შუქი მზისა...

ქარი დაქრის... მტვერი დგება,
სატრფო ნახად თვალებს ნახავს...
ქარო, გქონდეს შორიდება,
ნუ აწვალვს ქალის კაბას!

საგულისხმო ამბავია: საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის შესუსტების და საზოგადოების სამსჯავროზე ნაწარმოების მკაცრად განსჯის გარეშე გამორტანის ხსენებული ტენდენცია იმდენად მომძლავრდა, მას მრავალნი ვერ გადაურჩნენ. ამ ტენდენციის შედეგია ისეთი ლექსების მომრავლება, რომლებსაც არა აქვთ საზოგადოებრივი ძღერადობა და მხოლოდ ავტორის ან მისი რამდენიმე მახლობელი ადამიანის, ვიწრო სალონური წრის კუთვნილებას შეადგენენ.

უფრო ნათელი რომ იყოს, რა იგულისხმება ზემოთქმულში, კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან:

მეხუთე დღეა ამდენ ხალხში
დავეჭებ ისე,
ვითა პეპელას ყვავილებში
დაეჭებს ბავშვი.
გვი მწენლამე

აქ მინდა გავიხსენო ვალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთი ლექსი — „ელვარე და ლომფერი“, რომელიც მთავრდება სტრიქონებით:

ოდეს გნახე — ლომფერი
იყო ცხრა ოქტომბერი.

რატომ არის, რომ ვალაკტიონ ტაბიძის ხსენებული ლექსების წაკითხვის შემდეგ მკითხველისთვის „ოცდაორი აგვისტო“ და „ცხრა ოქტომბერი“ ლამის საკრალურ რიტუებად იქცევა? იმიტომ რომ, ვიმეორებ, ამ რიტუებათა დაკავშირებული განცდა იმდენად დიდი, სუბიექტურის სამანებში არასგზით არ თავსდება, მრავალისთვის და მრავალის-

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი



თვისაა მახლობელი. ხოლო გვი ძნელადის ლექსში მოხსენებული „მეხუთე დღე“ თავად ავტორის გარდა არავის არაფერს ეუბნება, მკითხველისთვის სულ ერთია — მეხუთე იქნება ის დღე, მეათე თუ მეოცე. აქ ავტორის განცდა სხვის განცდად ვერ იქცევა, პირადული ტკივილი მკითხველის ტკივილს ვერ იწვევს, მკითხველი გულგრილი რჩება. იმიტომ რომ თავად ეს განცდა, ეს გრძნობა, ეს ტკივილია უმნიშვნელო, შემთხვევითი (ამას ადასტურებს შედარება: „...დაგვძებ ისე ვითა პეპელას ყვავილებში დაეძებს ბავშვი“. — ლაპარაკია საყვარელ არსებზე!).

დაახლოებით იყო ნახევარი ხუთის ნაცნობი საღამო ვნახე...
საღამომ,
რა თქმა უნდა,
ვერ მიცნო
(სოფლად არ მივია კოსტუმში).
მუხრან მაკავარიანი

სახლში ცხოვრობენ და უნდათ კიდევ დიდხანს იცხოვრონ, მშვიდად და ასე ან უფრო კარგად... და ქარი ხილდებს არჩევს და სველი ფოთლებით ავსებს.
ოთარ ჭილაძე

უკანასკნელი ათწლეულის ქართულ პოეზიაში საკმაოდ მკვეთრად იჩინა თავი ერთმა თავისებურმა მოვლენამ — პოეზიის, მისი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების პროზასთან დაახლოების ტენდენციამ. ეს ტენდენცია, უწინარეს ყოვლისა, ვლინდება როგორც განსჯის ელემენტის მოჭარბება, სწრაფვა საგნობრიობისაკენ, ისეთი დეტალებისაკენ, რომლებსაც ტრადიციულად გაგებული პოეზია თითქოს უგულვებელყოფდა და რომლებიც, ასევე ტრადიციის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ პროზის კუთვნილებად მიგვაჩნდა, ვლინდება აგრეთვე სიტყვიერ მასალაში, ფრაზის წყობასა და ინტონაციაში. ამ ტენდენციის მიმყოლი პოეტები ცდილობენ შეძლებისდაგვარად ღრმად დაინთქან ყოველდღიურობაში, საგნებში, ერთი შეხედვით თავმომაბეზრებელსა და „პროზაულ“ წვრილმანებში, რათა შემდგომ ქვეტექსტის მეოხებით მისწვდნენ ფსიქიკის ზეულებს, საბოლოოდ კი — სულიერი ცხოვრების მიმდებარეებს.

აქ შესაძლოა წამოიჭრას ერთი საკითხი: რამდენად მისაღებია ეს ტენდენცია და რამდენად ეგუება იგი პოეზიის თვისებებს?

უწინარეს ყოვლისა, შევნიშნოთ: ხსენებული ტენდენცია ჩვენში ახლა არ დამკვიდრებულა, ახლა მხოლოდ წინა პლანზე წამოიწია ის ელემენტები, რომლებიც, ვფიქრობ, ადრევე შეინიშნებოდა უფროსი თაობის ზოგიერთი პოეტის შემოქმედებაში, ხოლო დასავლურ ლიტერატურაში ეს ტენდენცია იმდენად მომძლავრდა, რომ, რამდენადაც ვიცი, მის საპირისპიროდ და მის რეაქციად უკვე გაჩნდა ახალი ნაკადი — სწრაფვა ანტიკური სინატიფისაკენ. რაც შეეხება ამ გზის შეწყნარებას თუ უგულვებელყოფას, ეს უკვე გემოვნების საქმეა.

მხოლოდ ერთი რამ უნდა ითქვას: ხსენებული ტენდენცია თავისთავში უდიდეს საფრთხესაც შეიცავს; საკმარისია პოეტმა განსჯისაკენ და საგნობრიობისაკენ სწრაფვა თვითმიზნად გაიხადოს, საშუალების მოპოვებისას დაივიწყოს მიზანი — წედომა სულიერი სიმადლებებისა, ან კიდევ თუნდაც წუთიერად დაკარგოს ზომიერების გრძნობა და პოეტური აღლო, რომ უმალ თავს იჩენს სავალალო შედეგი — ლექსის გადაქცევა პროზად (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით), მოსაწყენ წილადობილად და მკავე „ფილოსოფიად“ ნატურალიზმის უხვი საკმაზითურთ. ამის თაობაზე არას ვიტყვოდი, მაგრამ ზოგიერთი პოეტის ლექსებში იგრძნობა საფრთხე ამგვარი დაღმასვლისა.

ორიოდე ნიმუში:

გასწერივ ზოლოვებური პარკის ზღუდის,
მაიაკოესკის
ლექსით
დამტვრულ
ღელესთან..

პოეზიის პროზასთან დაახლოების ტენდენცია ლიტერატურის ასპარეზზე 50-იანი წლებიდან გამოსული ყველა პოეტის (ამ წერილში კი უმთავრესად სწორედ მათ შესახებ მაქვს საუბარი) შემოქმედებაში არ გამოვლენილა. ეს ტენდენცია შეინიშნება უმთავრესად მუხრან მაკავარიანის, არჩილ სულაკაურის, ოთარ ჭილაძის, სილოვან ნარიშკინის, გივი ძნელაძის, გივი გეგეჭკორის და ზოგიერთი სხვა პოეტის ლექსებში.

მაგრამ არის ერთი უმთავრესი ტენდენცია, რომლის უკიდურესი გამოვლინებაა სწორედ პოეზიის პროზასთან დაახლოების ცდა და რომელიც ხსენებულ პერიოდში ლიტერატურის ასპარეზზე გამოსულ პოეტთა დიდ ნაწილს ანათესავებს. ეს არის მიდრეკილება განსჯის ელემენტის მოჭარბებისაკენ ლექსის მელოდიური ტონუსის დაჩრდილების ხარჯზე.

მოყოლებული უშორესი დროიდან, შუა საუკუნეებიდან, ქართულ პოეზიაში ნათლად გამოკვეთილი ორი ხაზი მოემართება: ერთი უმთავრესად ემყარება მუსიკალურ პრინციპს, ხოლო მეორე ამ მხარეს შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს, აქცენტი სხვა სფეროში აქვს გადატანილი. პირველი რიგის პოეტთა ლექსები ვერ ითმენენ სტრიქონის მელოდიური ტონუსის დაწვევას, რასაც იწვევს, მაგალითად, ყრუ ან უმახვილო რითმა.

მოვიგონოთ:

ვიღრე მომკლავდეს — მოკვდები,
სიცოცხლე ვასაწყინარდა, —
დანა დაიცა, მოცაკვდა,
დაეცა, გასისხლმდინარდა.

წარმოვიდგინოთ (თუმცა ძალზე ძნელი წარმოსადგენია), რომ ამ სტროფის უკანასკნელ სიტყვად რუსთაველს ეხმარა „დავარდა“ ან „დარდა!“ ეს იქნებოდა დაოთხილი ბედაურის მოულოდნელად ჩორთზე გადაყვანა, მთელი სტროფის მუსიკალური ეფექტის გაქარწყლება, რასაც რუსთაველის ლექსი ვერასგზით ვერ მოითმენდა.

ან კიდევ:

ტრამალ და ტრამალ გამოგედგნა,
შემოვამტვრე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საეკტურები,
ვლექა ტამრები კელაპტრიანი.

იმის გაფიქრებაც არ შეიძლება, რომ აქ „ტრიალი“-ს გაერთიმოს რომელიმე ორმარცვლიანი სიტყვა, ვთქვათ, „რვალი“.

მაგრამ აბა სხვა მაგალითს მივმართოთ:

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტყეშილ ხმაოთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცაშა.

ამ სტროფის კითხვისას ჩვენ იმთავითვე არა ვართ განწყობილნი მისგან რაიმე მუსიკალური ეფექტის მისაღებად. პირველივე სტრიქონი ჩვენს ყურადღებას სხვა მხრივ მიმართავს და ამიტომ ბოლოს აღარ გვეხამუშება ამგვარი რითმა — „გარეგანმა-ცაშა“.

მსგავს შემთხვევებში უმთავრესია არა ის, თუ როგორ უღერს სიტყვა ან ფრაზა, არამედ ის — მაქსიმალური სიცხადით, მკაცრი სიზუსტით გადმოსცემს თუ არა აზრს, უაღრესად ლოგიკურია თუ არა.

პირველი რიგის პოეტთა ლექსებში აზრი, განცდა, განწყობილება უმთავრესად მუსიკალური ფრაზების მომხიბვლელ საბურველში გვეძლევა. ღრმა აზრს, ღრმა განცდას პოეტი უქვევლად ადექვატურ მელოდიას უძებნის და ისე მოაქვს ჩვენამდე. მეორეთათვის აზრს, განცდას, განწყობილებას უფრო თვითმკმარი მნიშვნელობა აქვს, აქ ესთეტიკურ სიამოვნებას თავად ამ აზრის, განცდის სიწმინდესს გვანიჭებს. ამიტომაც, რომ მათი პოეზია არ იცნობს სალექსო მუსიკით თრობას და ამისგან მომდინარე, ამის შედეგად დაშვებულ ალოგიკურობას ფრაზისა, რაც ხშირად ძალზე ეფექტურია ხოლმე (შეადარეთ ზემოთ მოტანილი სტროფიდან: „დანა დაიცა, მოცაკვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“,

რევაზ თვარაძე

პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი

ნაცვლად მოვლენების ლოგიკური განვითარებისა: „დანა დაიცა, დაიცა, განისხმდინარდა, მოკვდა“).

ამ მხრივ წარმართული მსჯელობა ალბათ მრავალს აღუძრავს კითხვას: ზემოხსენებულთაგან რომელი გზაა უმჯობესი, უფრო მისაღები, უფრო ეროვნული? მსგავსი კითხვა ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ხშირად ებადებათ ხოლმე და ეს ფაქტი მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ჩვენ საკმაოდ დაგვიკარგავს შემწყყნარებლობის გრძნობა, შევჩვეულვართ პოეზიის გამო კატეგორიული იმპერატივებით საუბარს. როდესაც საქმე რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის ან ვაჟას ეხება, მაშინ ამგვარი კითხვა არ გვებადება, ან, თუკი დაგვებადა, უშალ მიეჩქმალავთ, ცნობიერების ზედაპირზე არ წამოვატივტივებთ. ხოლო თუ თანამედროვე პოეტზეა საუბარი და თუ მოგვეჩვენა, რომ მისი პოეზია დაშორდა ეროვნული ლექსის ტრადიციებს, განუდგა ამეამად უფრო გავრცელებულ პოეტურ კილოს, მზად ვართ ხოლმე შევძახოთ: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“

ასე იმიტომაც ხდება, რომ ზოგჯერ შეცდომით გვგონია, თითქოს მელოდიურობის, ინსტრუმენტალობის გარეშე ქართული ლექსი არასოდეს არსებულა და ყოველივე ამაზე უარის თქმა ეროვნული ტრადიციის, ეროვნული ბუნების უგულვებელყოფა ან მეტიც — შეუჩრაცხყოფაა.

ხოლო როგორია საქმის ნამდვილი ვითარება?

ისევ შეპირისპირებას მივმართოთ:

ვა, საწუთროო, სიცრუეთ
თავი სატანას ადარე!
შენი ვერაინ ვერა ცნას,
შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო
სად უჩინო პყას. სად არე?
მით ვებუაჲ. ბოლოდ სოფელსა
ობრად ჩანს ყოვლი, სად არე!..

შევუდაროთ რუსთაველის ამ სტროფს დაახლოებით მსგავსი განწყობილების ლექსი:

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავსა!
სადა არს შური, საოცრებამ და ხლომად,
სადა არს ძვირის ხსენებამ და ზუაობამ
და ხორცთა. გულისთქმანი, აჰა ესერა —
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი!

ეს ლექსი ეკუთვნის X-XI საუკუნის პოეტს რატი ორბელს. მე განზრახ ავირჩიე ნიმუშად დროითა და სულისკვეთებით ჩვენგან ესოდენ დაშორებული ნაწარმოები. და მაინც, ჩემი აზრით, ეს არის ერთი უბრწყინვალესი ნიმუში ქართული პოეზიისა. და მას ისეთივე უფლება აქვს იწოდებოდეს სწორედ რომ ქართულ, ღრმად ეროვნულ ქმნილებად, როგორც რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს.

აი, აქ არის გასაღები ზემოთ დასმული კითხვისა. შეცდომაა იმის ფიქრი, თითქოს ქართული პოეზია იმთავითვე მხოლოდ მუსიკალურ საწყისს ემყარებოდეს. მისი ბუნებისთვის სრულებითაც არ არის უცხო სხვაგვარ პრინციპს დამყარებული ლექსი, რომლის მომხიბვლელობა სულ სხვა სფეროშია საძიებელი. ამ პრინციპითაა შექმნილი ძველი ქართული სასულიერო პოეზია, მასვე მისდევდა ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე, აგრეთვე უფროსი ასაკის ზოგიერთი თანამედროვე პოეტი. და, როგორც უკვე ითქვა, 50-იანი წლებიდან ლიტერატურის ასპარეზზე გამოსულ პოეტთა დიდი ნაწილიც — ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად — უპირატესობას ამ პრინციპს ანიჭებს (უპირატესობის მინიჭება, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მათი უკლებლივ ყველა ლექსი ამგვარად იყოს დაწერილი).

სხვათა შორის, ეს გარემოება და ტრადიციის ცუდად გაგებული ცნება იწვევს უმთავრესად იმ გაუთავებელ კამათს, რომელიც ე. წ. „ართული“ და „ნათელი“ პოეზიის ირგვლივ ატყდა ჩვენში. ნაცვლად იმისა, რომ ზუსტად განესაზღვროთ, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ტრადიციის ცნებაში, ნაცვლად იმისა, რომ გავანალიზოთ ხსენებული რიგის პოეტთა ლექსები და დასკვნები შემდეგ გამოვიტანოთ, ჩვენ

ან ხელაღებით უარყოფთ, ან კიდევ განურჩევლად გუნდრუქს ვუკმევთ მათს შემოქმედებას. აქ თავს იჩენს ცნებათა საოცარი აღრევა. ერთი მხრივ გაიგივებულია ტრადიცია და მიმბაძველობა (ძიებაზე უარის თქმა), გაიგივებულია სირთულე და ბუნდოვანება; მეორე მხრივ გაიგივებულია ძიება და გაუმართლებელი ექსპერიმენტები, განსჯა და ტვინის ჰყლეტა.

რთული და ბუნდოვანი ერთიდაიგივე არაა.

რთული და ნათელი ერთიმეორეს არ გამოირიცხავს.

დასანანია, რომ ამას მტკიცება სჭირდება...

აღნიშნული ტენდენციის მატარებელ პოეტებს მართლაც აქვთ ცალკეული ბუნდოვანი ლექსები თუ სტრიქონები. ამგვარი ლექსები და სტრიქონები უფრო მრავლად აქვთ მათს ეპიგონებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთლიანად ტენდენცია იყოს დასაგმობი და უარსაყოფი. უმჯობესი იქნება ვცადოთ გარკვევა, თუ რამ გამოიწვია ამ ტენდენციის წინა პლანზე წამოწევა.

განსჯის ელემენტის მოჭარბების უპირველესი მიზეზი არის თანამედროვე ადამიანის ფსიქიკის უჩვეულოდ გართულება. (არა მგონია, ამ აზრს განმარტება ესაჭიროებოდეს). დრომ მოითხოვა ამ რთული ფსიქიკის ხვეულების წვდომა, რასაც შედეგად მოჰყვა პოეტური აზროვნების გართულება. ხოლო აზროვნების ამგვარმა გართულებამ თავის მხრივ განაპირობა მუსიკალური საწყისის დაჩრდილება.

თავისებური როლი შეასრულა აგრეთვე დასავლური პოეზიის ერთგვარმა გავლენამ.

არის კიდევ ერთი მიზეზი, წმინდა ლიტერატურული ხასიათის მიზეზი. მუსიკალურ პრინციპზე დაფუძნებული ლექსის ვირტუოზებს (რუსთაველი, „თამარიაინისა“ და „აბდულ-შეასიას“ ავტორები, გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა) მეოცე საუკუნეში აღმოუ-

ჩნდათ ისეთი გენიალური მემკვიდრე, როგორც იყო გალაკტიონ ტაბიძე.

შესაძლოა თავყვანს სცემდნენ გალაკტიონ ტაბიძეს, ნაკლებ მოსალოდნელია, მაგრამ მაინც შესაძლოა არ მოგწონდეს მისი პოეზია, ოღონდ შეუძლებელია გვერდი აუარო მას, ანგარიში არ გაუწიო ამ დიდი პოეტის შემოქმედებას და მის გავლენას მეოცე საუკუნის ქართულ ლექსზე.

მაგრამ ამით არ ამოიწურება სათქმელი. გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მუსიკალურსავე პრინციპს მისდევდნენ ისეთი პოეტები, როგორც არიან გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტერენტი გრანელი, გრიგოლ აბაშიძე, ლადო ასათიანი და სხვები, — ლიტერატურის ასპარეზზე 20-იან, 30-იან და 40-იან წლებში გამოსულ პოეტთა უმრავლესობა.

„ორმოცდაათიანელთაგან“ ძიებითადად ამვე პრინციპს ემყარებიან შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ გურეშიძე, მორის ფოცხიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, მედეა კახიძე და კიდევ რამდენიმე სხვა პოეტი. ხოლო უფრო გვიან გამოჩენილ პოეტთა დიდმა ნაწილმა, როგორც უკვე აღინიშნა, ამ პრინციპებზე უარის თქმა არჩია. ჩანს, მათი თვალსაზრისით, გალაკტიონ ტაბიძემ და მეოცე საუკუნის სხვა გამოჩენილმა პოეტებმა იმდენად ამოწურეს მუსიკალურ პრინციპზე აგებული ლექსის შესაძლებლობანი, რომ ამ მხრივ რაიმე ახალი სფეროების მიყვლევა აღარ უნდა ყოფილიყო სავარაუდებელი. ეს იყო უკანასკნელი მიზეზი ზემოხსენებული ტენდენციის წინა პლანზე წამოწევისა.

ძალზე განყენებულნი რომ არ დავრჩეთ, რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი მოვიშველიოთ.

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი

ისევ რუსთაველის სტრიქონები გავიხსენოთ:

ამარტის ფერად შეცვალა
ბროლი ცრემლისა ბანამან.
დიდხანს იტირეს ყმამან და
მან ქალმან შაოსანამან;
შეხსნა, შეიღო აბჯარი,
ცხენიცა შეიყვანა მან;
დაღუმდეს, ცრემლნი მოკვეთნა
შავმან გიშრისა დანამან.

გავიხსენოთ აგრეთვე გალაკტიონი:

ლურჯნი ამრიგად
ცის კამარანი,
საისლე, იქით
კიდევ მარანი.
ცელიც მოისმის,
მიდამოის მის
მგზავრის მოისმის
„პარი-არალი“.

ვინც მსგავს პრინციპს ემყარება, მას მიაჩნია, რომ ქართული ენის პოეტურობა-ლურჯი შესაძლებლობანი ამოუწურავია და მათი მიგნება სრულ გარანტიას იძლევა, გართულებული პოეტური აზროვნება ისევ გამოვლინდეს, რომ მუსიკალური პრინციპი კვლავ პირველ პლანზე დარჩეს. მისთვის საეხებოთ ორგანული და დამახასიათებელი ამგვარი სტრიქონები:

ანანურიდან მოგდევ ნისლივით,
რომ ავიზნიო გზები სავალი,
ხარ გავარდნილი, როგორც ისარი,
და დაქარგული უცხო სამარე...

ჯანსუღ ჩარკვიანი

ციხე ბილიყებით
გღია გათასმული,
ბედით დათარსული,
სიზმრად გადასული.

მორის ფოცხიშვილი

უდაღნოდ ბევრი შუბლი დატოვა
და შხამიანი ეკლით მოეკლა...
...მეხო, ძლიერი დალახვრით
ხე ვარ და... მოდი, დამლახვრე.

ზაურ ბოლქვაძე

ზოლო როგორი ლექსებია დამახასიათებელი საპირისპირო პრინციპის მატა-

რბელი პოეტებისთვის? ამის ნათელსაყოფად გავაანალიზოთ თამაზ ჭილაძის ლექსი „ყინწვისი“.

შენი დაღლილი ღიმილი მაკრთობს,
გაბმული სევდა ამქვეყნიური,
ო, ასე ჩუმაღ და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული.
მე ვერ მოგიტან რტოს ისაამნის
და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები,
ჩუმი ზეცა და წვიმასავით
შუბლს უგრილებენ შენი თითები.

პირველი, რაც ჩვენს ყურადღებას იბყრობს ამ ლექსის გაცნობისას. არის უჩვეულო კონტრასტი: რამდენადაც დიდია შესანიშნავი ძეგლის ხილვით აღძრული შთაბეჭდილება, აღტაცება და პათოსი, იმდენადვე დახშულია გზა ამ შთაბეჭდილების, ამ აღტაცებისა და პათოსის გამოვლენისა. ავტორი თითქოს შიშობს ბოლომდე თქვას სათქმელი, ბოლომდე ჩაგვახედოს თავის სულში. მას არ სურს აღტაცების, პათოსის ლექსად გამოვლენა. პირველ — ეს გრძობა მაქსიმალურად დაოკებულია, ლაგამამოდებული. ლექსის გარეგნულ სახეში მისი ნატამალიც აღარსადაა. ის, რაც პოეტმა იხილა და შეიგრძნო, ჩვენამდე უშუალო სახით კი არ მოდის, არამედ გულდამით გაანალიზების შედეგად.

ამგვარი პრინციპით შექმნილი ლექსისთვის მუსიკალურობა უეჭველად მეორე ან მესამეხარისხოვანია. დაოკებული პათოსი არ მოითხოვს მელოდიურ გარესამოსელს. ის თვითმკმარი მოვლენაა და გამიზნულიც იმისთვისაა, რომ მკითხველში აღძრას დაფიქრების, გონების დაუწყების განწყობა.

თამაზ ჭილაძის წიგნიდან მე განზრახ ავირჩიე ისეთი ლექსი, რომელიც ხელოვნების დიდებული ძეგლის ხილვის შთაბეჭდილებითაა შექმნილი. რადგან მინდა მას შევუდარო ამგვარივე შთაბეჭდილების შედეგად დაწერილი „ნიკორწმინდა“ გალაკტიონ ტაბიძისა.

არავის მოუვა აზრად, რომ „ნიკორ-წმინდას“ შექმნისას ვალაკტიონ ტაბიძემ რითიმე შეზღუდა თავისი ალტაცება და პათოსი, რითიმე დააბრკოლა მათი გამოვლენა. მთელი ეს ლექსი ერთიანი პათოსია, ერთიანი ალტაცებაა, ჩვენთვის უშუალოდ შესაგრძნობი და ჩვენთვისაც ალტაცების მომგვრელი. ეს არის თრობა, თავდავიწყება, გადალაზვა, რომელთა ძალა მაგიურად მოქმედებს მკითხველზე. და მკითხველი მართლაც თავდავიწყებულია, ისიც მზადაა მთელი ხმით, მთელი არსებით შეპლადადოს ლექსის დასასრულს:

ფრთები, ფრთები გვინდა,
მხოლოდ ფრთები გვინდა!
გვინდა — დავეუფლოთ
სივრცეს, ნიკორწმინდა!

ამ ლექსისთვის დინამიკა, რიტმი და მუსიკა უმთავრესია. სწორედ ამიტომია, რომ სრულებით არ გვეუცხოება და არც გვეხამუშება ამგვარი სტრიქონები:

რა ძველი გვეონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ჟღერს ქვის პარმონია,
დარობს რამდი-დარი.

ხოლო თამაზ ჭილაძის ლექსის პირველივე სტრიქონი („შენი დაღლილი დიმილი მაკრთობს“) განგვაწყობს არა რაიმე მუსიკალური ეფექტის მოლოდინისთვის, არა ალტაცებისა და პათოსისათვის, არამედ დაფიქრებისათვის. აქ საგულისხმო ისაა, რომ, მართალია, ამ სტრიქონში „დაღლილი დიმილი“ ალიტერაციას და ერთგვარ კეთილზმოვანებას ქმნის, მაგრამ მთლიანად სტრიქონი მაინც არაა მუსიკალური, განსაკუთრებული ჟღერადობით არ გამოირჩევა. ასე რომ არ იყოს, მკითხველი მომზადებული ვეღარ შეხვდება მომდევნო სტრიქონს — „გაბმული სევდა ამქვეყნიური“. ამავე მიზეზის გამო მთლიანად ლექსი, წინააღმდეგ „ნიკორწმინდისა“, გამართულია არამედერი, ყრუ, გამოუკვეთელი რითმებით („მაკრთობს-მარტო“, „ამქვეყნიური-ყინული“, „იასამნის-წვი-

მასავით“, „დაგპირდები-თითები“) — რითმამ არ უნდა მიიზიდოს მკითხველის ყურადღება, რომელსაც ასერიგად უფრთხილდება ავტორი.

მეორე სტრიქონში მზერის არე გაფართოებულია — ღიმილს გარდა შენიშნულია ანგელოსის საერთოდ სევდიანი გამომეტყველება. ამით გარკვევით მოიხაზა პოეტის ჰერეტის საგანი.

ამის შემდეგ შესაძლოა ორგვარი გაგრძელება.

პირველი: „დაღლილ ღიმილს“ მოკყვება სხვა დეტალები, რომლებიც მკითხველს საშუალებას მისცემს განიცადოს ასასახავი საგნის (ფრესკა) სიდიადე და პოეტის დამოკიდებულება მისდამი. აქ აზრი არსად არ იქნება შიშვლად მოცემული და ისეთი მსჯელობის ფორმით გამოთქმული, რომ ხშირებამ მეორე პლანზე გადაინაცვლოს; ხოლო ესთეტიკურ სიამოვნებას მოგვანიჭებს თავად აღწერა და აზრის გამოთქმის თანმიმდევრობა და არა დაფიქრება ხსენებული დეტალების გამო.

ამგვარად წარმართავდა ლექსს პოეტი, რომელიც მუსიკალურ პრინციპს ანიჭებს უპირატესობას (კერძოდ, ამგვარადაა დაწერილი „ნიკორწმინდა“).

მეორე: აღნიშნულ დეტალს მიენიჭება თვითმკმარი, თავისთავადი მნიშვნელობა და მოცემული მასალის საფუძველზე გაიშლება პოეტური მსჯელობა, ან შეიქმნება სახე, რომელიც გვიბიძგებს ამგვარი მსჯელობისაკენ. აქ მომდევნო სტრიქონების დანიშნულება იქნება, მკითხველის ყურადღება და აზრი მაქსიმალურად ჩაუღრმავოს საგანს.

გასაგებია, რომ ამ მეორე გზას მიჰყვება თამაზ ჭილაძე:

ო, ასე ჩუმად და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული.

ეს შესანიშნავად მიგნებული სახე (შედარების საფუძველად აღებულია თვი-

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის წოგიერთი საკითხი

სობრივი სიახლოვე და არა გარეგნული მსგავსება) საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ როგორც ასახვის ობიექტს (ფრესკა), ისე ავტორის განცდებსაც. თვალის გავადევნოთ ვხას, რომელიც ფრესკის ხილვიდან რეფლექსიის წიაღშიდის ლექსის პირველ სტრიქონებამდე. ეს სახე გამართლებია აგრეთვე სტრიქონისა — „გაბმული სევდა ამქვეყნიური“, სადაც „გაბმული“ ნახმარია „მულმივის“, „უსასრულოს“ მნიშვნელობით, მაგრამ ხსენებული სახის გარეშე მისი ხმარება შესაძლოა მიხანსწეწონილი არც ყოფილიყო.

რაც შეეხება მომდევნო სტროფს, მისი პირველი ნაწილი („მე ვერ მოგიტან რტოს იასამნის და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები“) აძლიერებს იმ განწყობას, რომელიც პირველმა სტროფმა აღვივძრა. მხოლოდ ამჯერად ყურადღების ცენტრში მოქცეულია არა თავად ობიექტი, არამედ ავტორის დამოკიდებულება მისდამი. ამიტომ უქანასკნელი ორი სტრიქონი („ჩუმი ხეცა და წვიმასავით შუბლს უგრილებენ შენი თითები“), რომელთა გამოისობით ყურადღება კვლავ ფრესკაზე გადადის, ვფიქრობ, ერთგვარი უქანსვლაა, მკაცრი აუცილებლობით არ არის გამოწვეული და არღვევს ლექსისა და განწყობის მთლიანობას.



ლექსისა და მისგან აღძრული განწყობის მთლიანობაზე შემთხვევით არ ჩამომიგდია სიტყვა. ამას უქავშირდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა — ასოციაციების გამოყენების პრობლემა.

თანადროულ პოეზიაში ასოციაცია უადრესად დიდ როლს ასრულებს, დაახლოებით ისეთსავე როლს, როგორსაც მეტაფორა ასრულებდა შუა საუკუნეების პოეზიაში. მარჯვედ გამოყენებული ასოციაცია ხელს უწყობს პოეტური სახის გამოკვეთას, განცდის სიღრმესა და სისრულეს, განწყობის მთლიანობას, ესთეტიკური სიამოვნების გაძლიერებას. ასოციაციებს ხშირად მიმართავს თანა-

დროულ მსოფლიოში ცნობილი მრავალი პოეტი. ხშირად მიმართავენ მათ აგრეთვე თანამედროვე ქართული პოეტები, განსაკუთრებით კი — ზემოხსენებული ტენდენციის მიმყოფნი.

ჩემი აზრით, დიდად ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ასოციაციების გამოყენება არასასურველი, დასაგმობი მოვლენაა. ასეთი შეხედულება აქვს, მაგალითად, ლიტერატორ ვადიმ ნაზარენკოს¹, რომელსაც ჰგონია, რომ ასოციაციური აზროვნება „ცნობიერების მექანიზმის უმარტივეს და უმდაბლეს თვისებათა“ გამოვლინებაა და რომ ამგვარი აზროვნება მხოლოდ დეკადენტი პოეტებისთვისაა დამახასიათებელი.

ეს მოსაზრება იმდენადვე გულუბრყვილოა, რამდენადაც პრეტენზიული და შეუვალი ფორმითაა გამოთქმული (ავტორი ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოსაც კი იშველიებს იმის დასამტკიცებლად, რომ ასოციაციები მხოლოდ დაღლილი ან მოშლილი გონების ნაყოფია). თანადროული პოეზია ასოციაციების გარეშე უკვე წარმოუდგენელია და მათი ყოფნა-არყოფნის საკითხს ლიტერატორები და კრიტიკოსები ვერ გადაწყვეტენ.

ეს ასეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ: ასოციაციას მართლაც აქვს თვისება ძალზე ხშირად დაკავშიროს შემთხვევითი, თავისი არსებით დაშორიშორებულ საგნები და მოვლენები. ამიტომ ლექსში მისი გამოყენებისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, ტაქტი და ალღო მოიშველიოს ავტორმა, თორემ შესაძლოა არამც თუ ლექსისა და მისგან აღძრული განწყობის მთლიანობა დაირღვეს (თუმცა ესეც მომავდინებელია დღევანდელი ლექსისთვის!), საერთოდ სახეთა სისტემა აღიროს, აზრი დაიკარგოს და ლექსი რებუსად იქცეს. ამ საკითხზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ დღევანდელ ქართულ პოეზიაში არც ისე იშვიათად გვხვდება ნაძა-

¹ იხილეთ მისი წიგნი „Язык искусства“, ლენინგრადი, 1961.

ლადევი ასოციაციების, ასოციაციების განუყოფელად გამოყენებისა და ასოციაციების იმიტაციის შედეგად შექმნილი უმსგავსი ლექსები თუ ცალკეული სტრიქონები. და ამ საცდურს მხოლოდ უნიჭოები ან ეპიგონები კი არ მისდევენ, ზოგიერთი ნიჭიერი პოეტიც ვერ აღწევს ხოლმე თავს.

ერთი მაგალითი:

საქართველოში სიყვარული ისე კარგია,
როგორც ჩნდებიან
აყვავებულ ხეზე ფოთლები.
და გული ისე ნებებიან,
როგორც მინდვრიდან მომწვანო ფერი
ცამდე აღის და იქ გაიშლება...
ბალახებივით მრავალია სასიხარულო
და შრომა ისე გულკეთილია,
როგორც სოფელში საღამოობით არჩევენ
სიმინდს...

ნელი გაბრიჩიძე

ეს არის ასოციაციებზე ძალადობის ნიმუში, ნიმუში იმისა, თუ როგორ შეიძლება თვით ნიჭიერ პოეტსაც (როცა მინცდამინც ორიგინალურად წერის საცდურს ვერ დააკებენ) მოკავშირიდან მტრად გადაექცეს ასოციაცია.

როგორც უკვე ითქვა, ამგვარი მაგალითები არც ისე იშვიათია უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში.

აქ უნდა შევეხოთ ერთ პრობლემას, რომლის გამო ამ უკანასკნელ ხანს ხშირად მსჯელობენ და პაექრობენ (მართალია, ჯერჯერობით მეტწილად არაოფიციალურად).

ეს არის ქართული ურითმო ლექსის პრობლემა.

დავას ის იწვევს, რომ უკანასკნელ წლებში ერთობ განშირდა ურითმო ლექსის გამოყენების შემთხვევები და მისდამი სულ უფრო ცხოველ ინტერესს ამჟღავნებენ განსაკუთრებით 50-იან წლებში მოკლენილი პოეტები. სიმპტომატურია, მაგალითად, რომ თამაზ ჭილაძის ლექსების პირველ წიგნში მხოლოდ ერთი გვხვდება საგსებით ურითმო ლექსი, მის მეორე წიგნში ხუთი ამგვარი

ლექსია, ხოლო მესამეში — უკვე რვა. ურითმო ლექსს მიმართავენ მუხრან მაკვარიანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, გივი ძნელაძე, სილოვან ნარიშანიძე, ნელი გაბრიჩიძე, ფაშა ციციანიშვილი, უფრო იშვიათად — ნოდარ გურუშიძე, შოთა ნიშნიანიძე, მედეა კახიძე და სხვანი.

ნიშნავს თუ არა ეს ამბავი, რომ ამგვარად წერის საჭიროება ცხოვრებამ და პოეტურმა პრაქტიკამ განაპირობა? თუ ეს მხოლოდ უცხოური პოეზიის გავლენაა, უბრალო კაპრიზია, უდღეური ექსპერიმენტებია?

სხვათა შორის, რამდენადაც პირადი საუბრიდან ვიცი, მრავალი ხანდაზმული მწერალი სწორედ ამ უკანასკნელ აზრს ადგას და ერთგვარი ირონიული ღიმილით უყურებს შედარებით უმცროსი თაობის ჯიუტ ექსპერიმენტებს. მათი ფიქრით, ქართულ პოეზიაში ურითმო ლექსი ფეხს ვერ მოიკიდებს, რადგან მისი ბუნებისთვის შეუფერებელია და ძალად თავსმოხვეული.

პირადად მე რომ მკითხოს კაცმა, საყვარელი რითმიანი ლექსების (ისევე როგორც ძირითადად მუსიკალური პრინციპით შექმნილი ლექსების) ბადალ ესთეტიკურ სიამოვნებას ვერც ერთი ურითმო ლექსი ვერ მომგვრის ვერასოდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ახალ ქართულ პოეზიაში, მოყოლებული XIX საუკუნიდან, ჯერ არ შექმნილა და ალბათ ძალიან, ძალიან დიდხანს ვერც შეიქმნება ისეთი ურითმო ლექსი, რომელიც შეიძლებოდა თამამად ამოგვეყენებინა გვერდში გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის ან ირაკლი აბაშიძის რითმიანი ლექსით შესრულებული შედეგებისთვის. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი და გემოვნებით, მსოფლშეგრძნებით ჩემთან ახლოს მდგომთა სუბიექტური შეხედულებაა და მეტი არაფერი. სხვანი შესაძლოა სხვაგვარად

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი

ფიქრობდნენ და განიცდიდნენ. ხოლო პოეზია იმდენად რთული ფენომენია, ამ სფეროში ყველაზე ნაკლებადაა შესაწყურებელი საკუთარი გემოვნებისა და შეხედულების სხვებისთვის თავზე მოხვევის ცდა. „უჩემოდ ვინ იმღერეთა“-ს პოზიცია აქ არასგზით არ გამოდგება.

გარდა ამისა, კარგად თუ დაუწყვირდებით საქმის ვითარებას, ნათელი უნდა შეიქნას: უკანასკნელ ხანებში ლექსის პოეტური შინაარსის უჩვეულოდ ვართულებამ და გამრავალფეროვნებამ მართლაც აუცილებელი გახადა ურითმო ლექსის გამოყენება. ჭეშმარიტი შემოქმედის ხელში პოეტური შინაარსი მუდამ ადექვატურ ფორმას მოიძებნის (სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა!). და უკვე თავისთავად ის ფაქტი, რომ კარგ პოეტს კარგი ურითმო ლექსი დაუწერია, აპრიორულად ნიშნავს, რომ ეს ლექსი სხვაგვარად ვერასგზით ვერ დაიწერებოდა. ეს გარდუვალი კანონია შემოქმედებისა.

მართლაც, მსოფლიო პოეზიის ნიმუშებიდან მრავლად შეიძლება იხეი ურითმო ლექსების დასახელება, რომელთა რითმიანი ლექსით განხორციელება ყოველად წარმოუდგენელი უნდა იყოს. აქედან კი მხოლოდ ერთი დასკვნა გამომდინარეობს: ურითმო ლექსს თავისთავად იწვევს შესატყვისი პოეტური შინაარსი და არა უბრალო კაპრიზი თუ მანერულობა შემოქმედისა.

ესეც არ იყოს, უმართებულოა იმის ფიქრი, თითქოს ურითმო ლექსი ქართული პოეზიის ბუნებას არ ეგუებოდეს, მისთვის უცხო, ძალად თავსმოხვეული იყოს, თითქოს ამ სფეროში ჩვენ სათანადო ტრადიცია არ გავაჩნდეს.

ურითმო ლექსითაა შექმნილი ძველი ქართული პოეზიის ის უბრწყინვალესი ნიმუშები, რომელთა მიკვლევისა და გამოვლენით ფასდაუდებელი ამაგი დასადო ქართულ კულტურას პავლე ინგოროყვამ. ეს ისეთი ტრადიციაა, რომლითაც ნებისმიერი ხალხი იამაყება. მოვიგონოთ რატი ორბელის ზემოთ მოტანილი ლექსი, რომელიც ომარ ხაიამის არც ერთ რობაის არ ჩამოუყვარდება!..

ილია ჭავჭავაძე ორჯერ შეეხო ურითმო ლექსის პრობლემას. 1860 წელს იგი წერდა: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ... „ო-ს დარდები“; აბა ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია!.. პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“.

იქნებ ეს მხოლოდ უმწიფარი შეხედულება იყო ოცდასამი წლის პოეტისა? 1892 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა: გრიგოლ ორბელიანმა „დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიტყვიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთ-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე“ ამ მშვენიერ „მწყობრ-სიტყვაობის“ შეუდარებელი მაგალითია“.

ილია ჭავჭავაძის დროს რომ ცნობილი ყოფილიყო პავლე ინგოროყვას აღმჩენები, ცხადია, ის გრიგოლ ორბელიანის ქმნილებებს ქართული ურითმო ლექსის („არა იამბიკოს მსგავსის“) პირველ ნიმუშებს არ უწოდებდა.

მაგრამ დღეს ხომ ხელთ გვაქვს ქართული ურითმო ლექსის უბრწყინვალესი და უძველესი ნიმუშები! აი, ის ძირი, ის საფუძველი, რომლიდანაც უნდა ამოიზარდოს და რომელსაც უნდა დაემყაროს ახალი ქართული ურითმო ლექსი.

ეს აზრი პარადოქსად არავინ მიიჩნეოს, არავინ თქვას: სად შეოცე საუკუნე და სად ძველქართული პოეზია, რა საზრდო უნდა მისცეს თანამედროვე პოეტს, მაგალითად, რატი ორბელის რელიგიურმა ჰიმნებმა? ამის პასუხად შეიძლება გვეთქვა: თვით ისეთი ულ-

ტრათანამედროვე აოეტები, როგორც იყვნენ უოტ უიტმენი და ემინ რეიჰანი, სწორედ უძველესი მწერლობის ტრადიციას ემყარებოდნენ. ერთმა თავისი პოეტური მეტყველება ინგლისურ ბიბლიას დააფუძნა, ხოლო მეორემ — ყურანს. რალა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია მხოლოდ ფორმაზე, პოეტური კულტურის ათვისებაზე და არა რაიმე რელიგიურ შინაარსზე. ასევე უნდა გვესმოდეს უძველეს პოეზიასთან ახალი ქართული ლექსის მიმართება.

ტრადიციასთან დაკავშირებით უნდა დავეუბნო: გრიგოლ ორბელიანის ექსპერიმენტები ახალ ქართულ პოეზიაში ცალად არ დარჩენილა; ჩვენი დროის სახელოვანმა პოეტებმაც (ივანე მაჩაბელზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მოგვცეს ახალი ქართული ურითმო ლექსის მშვენიერი ნიმუშები და ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ „ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი“.

ყოველივე ზემოთქმული კარგად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ურითმო ლექსის წინააღმდეგ ვაპირებთ ამხედრებას. უამისოდ უეჭველად ცალმხრივი, არაობიექტური იქნება ჩვენი მსჯელობა.

მაგრამ წამოჭრილ საკითხს აქვს აგრეთვე მეორე მხარე, რომლის განხილვის გარეშე ვერ მოიხაზება ვითარების სრული სურათი. საქმე ის არის, რომ ურითმო ლექსის მოტრფიალე ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწილს წარმოდგენაც არა აქვს ყოველივე იმაზე, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი. მათ შეიქმნეს მომავლინებელი ილუზია — რაც ჩვენამდე დაწერილა, ჩალის ფასად არ ღირს, მხოლოდ ჩვენით იწყებაო ჭეშმარიტი პოეზია. მათ სიცილად არ ეყოფათ, ძველ ქართულ პოეზიაზე რომ ჩამოუგდოთ სიტყვა, სამაგიეროდ ხალისით ჩამოგითვლიან უცხოელ პოეტთა ყურმოკრულ სახელებს თუ ცალკეულ სტრიქონებს. უცხოეთში კი, მოგესხენებათ, ურითმო ლექსი დღესდღეობით დიდ გასაჯალშია და, რა თქმა უნდა, ამაში დასაძრახი არაფერია. დასავლელი პოეტები ქმნიან ისეთ სალექსო ფორმას, რომელიც სავ-

სებით შეესატყვისება მათს სულიერ წყობას, რაც, თავის მხრივ, ცხოვრების მათეული ვითარების შედეგად წარმოიქმნება (ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ: რაც უნდა ბევრი ილაპარაკონ სიახლეზე ამ პოეტების თაყვანისმცემლებმა, ნაგულსხმევი პოეტები სულაც არ დგანან ტრადიციის გარეშე. პირიქით, სავსებით გარკვეული ტრადიციიდან გამოდიან). უოტ უიტმენის ლექსი სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელ ამერიკელთა სულიერ მოთხოვნილებებს: სენტიმენტალურ ფრაზებზე უარის თქმა, ენერგიული, პირდაპირი ტონი, აჩქარებული რიტმი, სიცოცხლის მძაფრი წყურვილის გამოხატვა ასეთივე მძაფრი ენით, რეკვიზიტის ქარბად დახვევა — აი, რამ შექმნა უიტმენისეული ლექსი. შემთხვევით არ ყოფილა, რომ ემერსონმა ამ ლექსს „ბჰაგავატგიტასა“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ნახავი უწოდა.

იგივე ითქმის სხვა უცხოელ პოეტებზე, გარსია ლორკა იქნება ეს, სალვატორე ჭვაზიმოდო თუ სხვა ვინმე. მათი ლექსი წარმოქმნა იმ სულიერმა მდგომარეობამ, რომელიც მათს ირგვლივ არსებული ცხოვრების ვითარებითა და რიტმით იყო განპირობებული. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ვერც ერთ ნამდვილ შემოქმედს ვერ დავასახელებთ, რომელიც თავისი ერის სულიერი მოთხოვნილებებიდან და ტრადიციიდან, ირგვლივ არსებული ცხოვრებიდან არ ამოდიოდეს.

აი რატომაა, რომ უცხოელი პოეტების ბრმად მიბაძვა სახეირო შედეგს არასოდეს მოგვცემს. ამიტომევა, რომ ამგვარ მიმბაძველთა მიერ დაწერილი ურითმო ლექსები ესთეტიკური სიამოვნების მონიშების ნაცვლად გულისამრევად მოქმედებენ ჩვენზე. ეს პრეტენზიული, მყვირალა კილო, ეს აღრევა ქართული და ინდოევროპული ენების სინტაქსისა (თითქოს უხეირო თარგმანს კი-

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი



თხულობდეთ!), ეს უგემური ნაცოდვი-
ლარი შინაგანად გამოცარიელებული
და გამოფიტული კალმოსნებისა, ცხა-
დია, ქართულ პოეზიაში ვერასოდეს
დამკვიდრდება, რაც უნდა მოდურად და
მიმზიდველად ეჩვენებოდეს ზოგზოგი-
ერთს.

მაგრამ ქართულ პოეზიაში ვერ დამ-
კვიდრდება აგრეთვე ის ფსევდოერო-
ნული, თითქოს ძველქართულ მეტყვე-
ლებას დაფუძნებული ლექსი, რომელიც
დამახასიათებელია ზოგიერთი პოეტი-
სათვის. ამგვარი ლექსის მოჩვენებითი
ტრადიციულობისა და გართულებული
აზროვნების წიად ისევ და ისევ უცხო-
ური პოეზიის მოუნელებელი გავლენა
ილანდება.

მოვიტან ერთ მაგალითს:

ო, რა კეთილია სიყვარული შენი,
თუმცაღა სიყვარულს არ უყვარს
სიკეთე (?).
ო, რა კეთილია სიყვარული შენი...
ნელნელა ილევით შენ
ქარიანი ცის ღრუბელივითა,
წვიმისავითა (!) მზიანი ამინდის
ნელნელა ილევით შენ.
შენ ჩემი საფარი.
ძნელია დუმილი შენი
დაბურული ტყის დუმილივითა,
ძნელია სურვილი შენი
გადაბრლი მზის სურვილივითა.
ვითა სიმწვანე ეამსა ფოთოლცვენის
ნელნელა ილევით შენ.
ო, რა კეთილია შენი სიყვარული...
ფაშა ციციანშვილი

დასასრულ უნდა ითქვას: ურთიმო
ლექსი რითმიანთან შედარებით გაცი-
ლებით მეტ ოსტატობას და შრომას
მოითხოვს. აქ დაუდევრობის უმცირესი
გამოვლინებაც კი შეუწყნარებელია. ყო-
ველი ბგერა, სიტყვა, წინადადება უმკა-
ცრესად უნდა განისაზღვროს და მისი
შეცვლა აბსოლუტურად შეუძლებელი
უნდა ჩანდეს (ზედმეტია იმაზე ლა-
პარაკი, რამე ამგვარი განსაზღვრა სუ-
ლაც არ ამცირებს რითმიანი ლექსის შე-
საქმნელად გაწეული მუშაობის უდიდეს
მნიშვნელობას). ამასთან, ჭეშმარიტად
კარგი ურთიმო ლექსი თავდაპირველად
ასეთად არც უნდა აღიქმებოდეს. მისი

ურთიმობა მხოლოდ სპეციალურმა და-
კვირებამ უნდა ცხადდეს. ამ პირობის
გარეშე საქმე გვექნება რიტმულ პრო-
ზასთან და არა ურთიმო ლექსთან (თუმ-
ცა ისიც ანგარიშგასაწევი, რომ მათ
შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ყო-
ველთვის არც კი ხერხდება).

კარგი ურთიმო ლექსის შექმნა მხო-
ლოდ იმას შეუძლია, ვინც უკვე სრულ-
ყოფილად ფლობს ჩვეულებრივს —
რითმიან ლექსს.

*

მოყოლებული რუსთაველის დროი-
დან XVI: II საუკუნის მიწურულამდე
ქართული პოეზია ძირითადად
თექვსმეტმარცვლიან საზომს იყენებდა.
XIX-XX საუკუნეებში გაბატონდა
რვა მარცვლიანი, ათმარცვლიანი და თო-
თხმეტმარცვლიანი ლექსი. ამათგან რვა-
მარცვლიანი ლექსი XX საუკუნეში
თანდათანობით იშვიათდება, ხოლო ათ-
მარცვლიანი და თოთხმეტმარცვლიანი
დღესაც ძირითადი საზომებია. ასე, თუ
მაგალითისთვის მივმართავთ გალაკტიონ
ტაბიძის ლექსების 1927 წელს გამოცე-
მულ კრებულს (რომელიც ყველაზე
სრულფასოვანია პოეტის მრავალრიც-
ხოვან გამოცემებს შორის), აღმოჩნდე-
ბა, რომ 636 ლექსიდან 265 ათმარცვლი-
ანი მეტრიტაა დაწერილი.

ამავე დროს მეოცე საუკუნეში ძალზე
შორს წავიდა ქართული ლექსის მეტ-
რულ-რიტმული ნაირფერობა. სხენე-
ბულ კრებულში გალაკტიონ ტაბიძე
ხმარობს ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ, რვა,
ცხრა, ათ, თერთმეტ, თორმეტ, ცამეტ,
თოთხმეტ, თექვსმეტ და ოცმარცვლიან
საზომებს, აგრეთვე შერეულ საზომებს
(8 და 7, 8 და 6, 14 და 10 და სხვ.) და
საზომით შეუზღუდველ ლექსს. თუ იმა-
საც გავითვალისწინებთ, რომ ერთიდა-
იგივე საზომის, მეტრის ფარგლებში
გვეძლევა რამდენიმე რიტმული ვარიან-
ტა (შვიდმარცვლიან ლექსში — 4+3
და 5+2 — „მგლოვია რე ბინდებით“ და
„ფანტასტიური რამე“; რვა მარცვლიან-
ში — 5+3, 4+4 და 3+3+2 — „ჩას-
ძინებოდათ + არწივებს“, „გ-ურყოლე-

ბა + სიმინდების“ და „ალუჩა+ შვიდი წლის + ბავშვი“; ათმარცვლიანში — 5+5, 4+4+2 და 4+1+4+1; თორმეტმარცვლიანში—2+4+2+4, 3+3+3+3 და 4+4+4 და სხვა), ცხადი შეიქნება, როდენ მრავალმხრივია გალაკტიონ ტაბიძის ლექსის რიტმული ვიბრაცია.

ცხადია, ეს არ შეიძლება იყოს და არცაა შემთხვევითი მოვლენა, უბრალო ექსპერიმენტატორობა რიტმის სფეროში. ეს მოვლენა სათავეს იღებს იმ მუსიკალური პრინციპიდან, რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის საფუძველია.

მეტრულ-რიტმული სტრუქტურის მეტნაკლები ნაირფერობა შეინიშნება აგრეთვე ყველა იმ პოეტის შემოქმედებაში, რომლებიც, მსგავსად გალაკტიონ ტაბიძისა, თავიანთ ლექსს მუსიკალურ პრინციპზე აფუძნებენ.

ხოლო როგორია ამ თვალსაზრისით სახე პოეტებისა, რომლებმაც მუსიკალური პრინციპი უკანა პლანზე გადაწიეს? აქ შეიძლება ერთი ძალზე დამახასიათებელი მაგალითის მოტანა: ოთარ ჭილაძის წიგნში შესული ყველა ლექსი, გარდა ორისა, ათმარცვლიანი საზომითაა შესრულებული. ძირითადად ამევე საზომს და მის რიტმულ ვარიაციებს სჯერდებიან თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი და სხვანი— ლექსი, რომელიც მუსიკალურ პრინციპს არ ემყარება, არც მოითხოვს განსაკუთრებულ რიტმულ მრავალფეროვნებას, რადგან რიტმულობის ცნება უწინარეს ყოვლისა მუსიკალურობას უკავშირდება. ამ წყების შემოქმედნი განზრახავენ ხდიან რიტმს სტატეიურს, რათა მკი-

თხველის ყურადღება ერთ საგანს ჩაუღრმავდეს და არ გაიფანტოს.

ამ მხრივ საინტერესოა მუხრან მაკავარიანის შემოქმედება. ზემოთ მე იგი მოვიხსენიე იმ პოეტთა შორის, რომლებიც ამჟღავნებენ პოეზიის პროზასთან დაახლოების ტენდენციას. მაგრამ აქ უნდა შევნიშნო: მის ლექსებში უკანასკნელ ხანს სულ უფრო ნაკლებად იგრძნობა პოეზიის პროზასთან დაახლოების და აგრეთვე მუსიკალური პრინციპის უარყოფის ტენდენცია. პირიქით, მისი ბოლო წიგნი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პოეტი სულ უფრო მეტ მიდრეკილებას ამჟღავნებს ლექსის აგების რუსთველური, მუსიკალური პრინციპისაკენ. ამაზე მეტყველებს მისი ბოლოდროინდელი ლექსიცა, ინტონაცია, ფრაზის აგების პრინციპი და, განსაკუთრებით, რიტმული ნაირფერობა.

ზემოთ გაკვირთ შევეხე ასოციაციების გამოყენების საკითხს. გაკვირთ შევეხე იმიტომ, რომ ლექსში ასოციაცია პოეტური სახის შესაქმნელად ჩნდება, ხოლო დღევანდელი ლექსის პოეტური სახის პრობლემა იმდენად მრავალმხრივია და საინტერესო (მას უკავშირდება შემოქმედის მსოფლშეგრძნების პრობლემა), სპეციალურ განხილვას საჭიროებს. ამგვარი განხილვის საფუძველი მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც გულდასმით შევისწავლით კლასიკური, მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლექსის პოეტურ სახეთა სისტემას.

რევაზ თვარაძე
პოეტური კულტურის ზოგიერთი საკითხი



გზი ჩაკვიანი

სიზტი და კალია

ყველაფერი უცნაური ხმაურით დაიწყო, ისეთი ხმაურით, რომ ყოველგვარ სკანდალს მიჩვეული ობივატელი აღშფოთდა და გაგულსდა. ობივატელს 1912 წლისათვის უკვე შეთვისებული ჰქონდა სიმბოლისტების ბუნდოვანი ქარაგმები. მისი გაკვირება უკვე აღარ შეიძლებოდა „ისიფერი ხელებით, რომლებიც მინანქრიან კედელზე ბურანში ბგერებს ხაზავენ“. აღარ შეიძლებოდა, რადგან ამგვარი გაუგებარი ფრაზის იქით ივი რაღაც მიუწვდომელ მისტიკურ აზრს ეძებდა. ამას ქადაგებდა სიმბოლისტური თეორია და ობივატელიც იმის შიშით, რომ ჟმეცრება არ დაეწამებიათ, იძულებული იყო ეძებნა „მიუწვდომელი“ აზრები.

და სწორედ იმ დროს, როცა ობივატელმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკვე მონივლა სიმბოლიზმი, რუსულ ლიტერატურაში თითქმის ერთდროულად გაჩნდა ორი ახალი მიმდინარეობა — აკმეიზმი (ანუ ადამიზმი) და ფუტურიზმი. აკმეიზმი სიმბოლიზმის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენდა. თვითონ აკმეისტების თქმით, მათ დაიკავეს სიმბოლისტების მიერ მიტოვებული ციხეკოშკები, მაგრამ ამასთან აკმეისტების ესთეტიკური პლატფორმა ბევრი რამით განსხვავდებოდა სიმბოლისტების პლატ-

ფორმისაგან. რაც მთავარია, აკმეისტები თავის ამოცანად პოეზიის მიწაზე ჩამოყვანას სთვლიდნენ. „ჩვენ, — ამბობდნენ აკმეისტები, — დავუბრუნეთ ვარდს მისი ფორმა, ფერი და სურნელება და ამით იგი იმქვეყნიური სიმბოლოდან ისევ ვარდად ვაქციეთ.“ საკმაოდ პროგრესული პოზიციაა. მაგრამ აკმეისტები იმიტომ როდი უბრუნდებოდნენ სინამდვილეს, რომ იმქვეყნიური და შეუცნობელი სამყაროსი არაფერი სწამდათ. სრულებითაც არა. შეუცნობელი, — ამბობდნენ ისინი, — გულისხმობს იმას, რომ მიუხედავად არსებობისა, ჩვენ მისი შეცნობა არ შეგვიძლია და იმიტომ უნდა შევეურიგდეთ სინამდვილეს და ვუმღეროთ მასო. სინამდვილესთან შერიგება მეფის რუსეთის სინამდვილესთან შერიგებას ნიშნავდა.

ამრიგად, აკმეიზმი სიმბოლიზმის გაგრძელებას წარმოადგენდა, მაგრამ მოკლებული იყო იმ პასიურ პროტესტს, რაც სიმბოლიზმს ახასიათებდა. ობივატელმა სინარულით მიიღო აკმეიზმი.

ხმაურით, ყიყინითა და სკანდალით შემოიჭრა ლიტერატურაში კუბისტური ფუტურიზმი. წიგნი: „სილა საზოგადოების გემოვნებას“, რომელშიც მოთავსებული იყო ცნობილი მანიფესტი, მართ-

ლა ცობივატელისათვის გაწულ სილას წარმოადგენდა. რატომ ვერ მიიღო ობივატელმა ფუტურისმი? იქნებ იმიტომ, რომ ვერ გაიგო? მას ხომ არც სიმბოლისტური პოეზია ესმოდა და, მიუხედავად ამისა, ხოტბას ასხამდა მის წარმომადგენლებს. საქმე ისაა, რომ თუ სიმბოლისტები გაუგებარი სტრიქონების უკან რაღაც თითქოს და მიუწვდომელ აზრებს გულისხმობდნენ, ფუტურისტები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ არავითარი აზრი მათ პოეზიას არა აქვს და არცაა საჭირო, რომ ჰქონდეს. მთავარია, ამბობდნენ ისინი, სიტყვის ფორეტიკური ელერადობა; სიტყვა არის აზრიც და პოეზიის გამართლებაც. რა თქმა უნდა, აქედან ლოგიკურად გამომდინარეობდა მოთხოვნა: „გადავადოთ პუშკინი, დოსტოვესკი, ტოლსტოი და სხვა და სხვა თანადროულობის გემიდან“. ამის მოთმენა ობივატელს აღარ შეეძლო; მას რუსული ლიტერატურის საუნჯე კი არ აღარდებდა, კლასიკოსების უარყოფა არსებული კანონების წინააღმდეგ გამოსვლად ეჩვენებოდა.

როგორ მოხვდა ამ ჯგუფში ვლადიმერ მაიაკოვსკი, კაცი, რომელიც შემდგომში საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი გახდა! ამის მიზეზი მრავალია. ჩვენ მოკლედ დავახსიანოთ იმდროინდელი ლიტერატურული სკოლები, რათა მკითხველისათვის გვეჩვენებინა მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების სირთულე. ძალზე ძნელი იყო მაშინ თვრამეტი წლის ჰაბუკისათვის სწორი გზის არჩევა. მართალია, მაიაკოვსკის უკვე იმ დროს გააჩნდა ცხოვრების საკმაო გამოცდილება. აქ მთავარი როლი შეასრულა მისმა რევოლუციურმა მოღვაწეობამ, რომლის გამოც რამდენიმეჯერ დააპატიმრეს და ბოლოს თერთმეტი თვე ბუტირკის ციხეში იჯდა. სწორედ აქ დაიწერა პირველი სტრიქონები. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მაიაკოვსკიმ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ „სოციალისტური ხელოვნება უნდა აკეთოს“. ამისთვის საჭირო იყო სწავლა და რადგანაც მაიაკოვსკი სთვლიდა, რომ ლექსების წერა არ შეეძლო, იგი ძერწვის,

ფერწერისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში შევიდა. აქვე დაუახლოვდა რუსული ფუტურისმის მამამთავარს, პოეტსა და მხატვარს დავით ბურლიუკს. რუსული ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებზე გაზრდილმა მაიაკოვსკიმ პირველი ლექციები ახალ მიმართულებებზე დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში სწორედ ბურლიუკისაგან მოისმინა. რა ახლოებდა მაიაკოვსკის ფუტურისტებთან? უპირველეს ყოვლისა — ჯანყი. ამ წმინდა ლიტერატურული ჯანყის უკან მაიაკოვსკი სოციალურ ჯანყს ხედავდა. ფუტურისტები დაუფარავად გამოხატავდნენ ბურჟუებისადმი ზიზღს. მართალია, ისინი ამას მხოლოდ რეკლამისათვის და ევგრეთ წოდებული ეპატაჟისათვის აკეთებდნენ, მაგრამ მაიაკოვსკი მაშინ ვერ გაერკვა ამაში.

თუ რუსული სიმბოლისმი ყველაზე ახლოს მუსიკასთან იდგა, აკმერისმი კი ქანდაკებასთან, ფუტურისმი მხატვრობიდან გამოდიოდა. მაიაკოვსკი კი მაშინ მხატვარი უფრო იყო, ვიდრე პოეტი (მის პირველ ლექსებს მხატვრის მიერ დაწერილი ლექსების დაღი აზის).

ზოგიერთი მეკლევარი ცდილობდა გაემიჯნა მაიაკოვსკის აღრინდელი ლირიკა ფუტურისმისაგან, ამტკიცებდა თითქოს ფუტურისმს არავითარი გავლენა არ მოუხდენია მაიაკოვსკიზე. ასეთ ცდებს არ შეეძლო რაიმე სარგებლობა მოეტანა ლიტერატურის ისტორიისათვის. ცხადია, ფუტურისმმა მაიაკოვსკიზე უარყოფითი გავლენა მოახდინა; მეტად გააბუნდოვანა ზოგიერთი მისი აღრინდელი ლექსი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ფუტურისტებისაგან განსხვავებით, მაიაკოვსკის არასოდეს არ უთქვამს უარი სოციალური თემების დამუშავებაზე. იგი იმთავითვე რევოლუციური და მოქალაქეობრივი პოეზიის მებაირახტრედ მოგვევლინა. ჯერ კიდევ 1913 წელს დაწერილ ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკის“ მთავარი იდეა, ფუტურისტული აქსესუარების მიუხედავად, არსებუ-

გოგი ჩარკვიანი
ხიშტი და კალამი

ლი სინამდვილის წინააღმდეგ აჯანყების აუცილებლობაა. მაიაკოვსკის ასეთი დიანტერესება სოციალური თემებით მხედველობიდან არ გამოპარვია ფუტურისტულ კრიტიკას, მისი მისამართით გაისმა რამდენიმე რეპლიკა. ფუტურისტებს სჭირდებოდა მაიაკოვსკი-ფუტურისტი და არა მაიაკოვსკი-მოქალაქე. მაგრამ მაიაკოვსკი თავისი გზით მიდიოდა და სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებში.

დიდი საზოგადოებრივი თემის გადაჭრას უძღვნა მაიაკოვსკიმ ფართოდ ცნობილი პოემა „შარვლიანი ღრუბელი“, როგორც შემდგომი თვითონ განმარტა, ეს პოემა შეიცავს ოთხ მოწოდებას — „ძირს თქვენი სიყვარული“, „ძირს თქვენი ხელოვნება“, „ძირს თქვენი რელიგია“. რასაკვირველია, პოემის დაბეჭდვა სრული სახით ცენზურული პირობების გამო არ მოხერხდა.

მაიაკოვსკის, როგორც რევოლუციონერი პოეტის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პირველ მსოფლიო ომს. მართალია, პირველ ხანებში მაიაკოვსკიმ იგი აღიქვა, როგორც სამამულო ომი. პოეტს გული ფრონტისკენ მიუწევდა. ამაზე უარი უთხრეს, როგორც არასაიმედო პირს. მაშინ მან სამხედრო პლაკატებზე დაიწყო მუშაობა. ასეთი პლაკატები მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა მეტრძოლების საომარი განწყობილების ასამაღლებლად, მაგრამ საკმარისი იყო რამდენიმე თვე, რომ მაიაკოვსკი გამოფხიზლებულიყო და სხვა თვალთ შეეხედა ომისათვის. ეს უკვე იგრძნობა ლექსში „დედა და გერმანელებისაგან მოკლული საღამო“, რომელიც 1914 წლის ოქტომბერშია დაწერილი. ამ ლექსს მოჰყვა მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებშიც გასათვარი ძალით არის მხილებული ომის საშინელება და ის პიროვნებები, რომლებიც ხალხის უბედურებით ჯიბებს ისქელებენ.

რამდენად თამამი და გაბედული იყო ამგვარი პოზიცია იმ პირობებში, ცხადად

გამოჩნდება, თუ გავისინებთ რუსეთის შემოჭმელებით ინტელიგენციაში ომის შედეგად გამოწვეულ რეაქციას. ცნობილია, რომ რუსი მწერლების ურთმა ნაწილმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი მეფის მთავრობას ომის საკითხში და ჩანგი ომის სააგიტაცოდ მომართა. ასე იქცეოდნენ არა მარტო დაქირავებული კალმოსნები, არამედ საეცებით ლიბერალური და მოწინავე ინტელიგენტები.

მხოლოდ გორკი და მის გარშემო შემოკრებილი რამდენიმე მწერალი გამოდიოდნენ აშკარად ომის წინააღმდეგ. პოეტებიც ერთხმად უმღეროდნენ „ქრისტიანი მეფის ლაშქრობას“. დღემდე მხოლოდ ერთი კაც — ბლოკი, მაგრამ ეს დღემილი ჩუმი პროტესტი იყო და მას ვერაფერს ამჩნევდა. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა გაზეთ „ნოვში“ ლიტერატურული გვერდი საერთო სათაურით „სამგლოვიარო ვაშა“, სადაც გამოქვეყნებული იყო მაიაკოვსკის ზემოთ მოხსენებული ლექსი, აგრეთვე მაშინდელი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი პოეტების ბორის პასტერნაკისა და ნიკოლოზ ასევეის ომის წინააღმდეგ მიმართული ლექსები: რა თქმა უნდა, ეს ფაქტი შემუშინეველი არ დარჩენილა. მას გამოეხმაურა კრიტიკა. ახალგაზრდა პოეტებს აბრალებდნენ პატრიოტიზმის უქონლობას. მაგრამ მაიაკოვსკიმ უკვე კარგად იცოდა ოფიციალური პატრიოტიზმის ფასი. სწორედ ამ დროს იწერებოდა „მე და ნაპოლეონი“, „სამხედრო-საზღვაო სიყვარული“, „თქვენ“... ამ უკანასკნელმა დიდი სკანდალი გამოიწვია სარდაფში „მკედარი ძაღლი“, სადაც მაიაკოვსკიმ იგი წაიკითხა. პოეტს ბოთლებიც კი ესროლეს.

მაგრამ ომის წინააღმდეგ მიმართული მთავარი ნაწარმოები პოემა „ომი და მსოფლიოა“. მასში თავისებურადაა დამუშავებული ადრინდელ ლექსებში წამოჭრილი საკითხები. პოემა რევოლუციამდე არ დაბეჭდილა.

მაიაკოვსკი ფართო აუდიტორიისაკენ ისწრაფოდა, მაგრამ ფუტურისტული ბეჭდვითი ორგანოები, სადაც ქვეყნდებოდა მისი ლექსები, უმნიშვნელო ტირა-

ეთ გამოდოდა. ამიტომ მაიაკოვსკიმ მუშაობა დაიწყო სატირულ ჟურნალში „ახალი სატირიკონი“, რომელსაც ცნობილი იუმორისტი არკადი ავერჩინკო ხელმძღვანელობდა. „ახალი სატირიკონი“ ყველაზე უფრო პოპულარული ჟურნალი იყო. ჟურნალმა შემოიკრიბა ავტორთა ნიჭიერი კოლექტივი, რომელთაც აღსანიშნავია საინტერესო პოეტი საშა ჩორნი.

„ახალი სატირიკონი“ არ ისახავდა მხილად საზოგადოების მანკიერ მოვლენებთან ბრძოლას; იგი კმაყოფილდებოდა ამ მოვლენების დაცინვით, რადგან თვლიდა, რომ ადამიანისა და საზოგადოების გამოსწორების რწმენა მიამიტი ხალხის საქმეა. მაგრამ მაიაკოვსკი სატირას სულ სხვა მოთხოვნილებებს უყენებდა. ამიტომ მის ჰიმნებს, რომლებიც „სატირიკონის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, მკვეთრი დისონანსი შეჰქონდა ჟურნალის საერთო მიმართულებაში. მაიაკოვსკი ალეგორიული ფორმით მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლასაც კი ახერხებდა. მაგალითად ლექსს „ჰიმნი მოსამართლეს“, სადაც აღწერილია საშინელებები, რომლებიც ვითომდა პერუში ხდებდა, მკითხველი კი ადვილად გრძნობს, რომ ლაპარაკია რუსეთზე, მაიაკოვსკი ასე ამთავრებს—

«Судьи мешают и птице, и танцу
И мне, и вам, и Перу».

„სატირიკონში“ ოსტატდებოდა მაიაკოვსკი-სატირიკონის ნიჭი, რომელმაც რევოლუციის შემდეგ უმადლეს წერტილს მიაღწია.

მაგრამ მთავარი, რითაც უკვე პირველ ხანებში მიიპყრო ყურადღება მაიაკოვსკიმ—მისი ღრმა ლირიზმი იყო. მაიაკოვსკის ლირიკა თვისობრივად ახალი რამ იყო. რაზედაც არ უნდა დაეწერა მაიაკოვსკის — (ომზე, მშვიდობაზე, მთვარეზე თუ გაზაფხულზე) — პირველ პლანზე მუდამ მისი ფიგურა იყო. მაიაკოვსკიმ შექმნა ახალი სახის პოემა — ლირიკული პოემა. მომავალში მან შესძლო ლირიკულ პოემაში ეპიკური ელემენტების შეტანა. მეტად მნიშვნელოვან

ნი და ახლებურია მაიაკოვსკის სატირალ ლირიკა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის მაიაკოვსკი უკვე დასრულებული პოეტი შეეგება. ამ დროისათვის იგი ავტორი იყო ხუთი პოემისა და ლირიკული კრებულისა „უბრალო, როგორც ბღაელო“. მაგრამ რევოლუციამ მაიაკოვსკი-პოეტი სულ სხვა საფეხურზე აიყვანა. რევოლუციამ ძირფესვიანად შეცვალა მისი შეხედულება პოეზიაზე და საერთოდ ხელოვნებაზე. რევოლუციამ მაიაკოვსკის მისცა მკითხველების არნახული მასა, მისცა თემები, და რაც მთავარია, რწმენა იმისა, რომ კაცობრიობა უკეთესი მომავლისაკენ მიდის.

„მივიღო თუ არ მივიღო? ასეთი კითხვა არ არსებობდა ჩემთვის. ჩემი რევოლუცია. წავედი სმოლნში. ვმუშაობდი. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომხვედებოდა“, —წერს მაიაკოვსკი ავტობიოგრაფიაში. ეს განცხადება მით უმეტეს საყურადღებოა, თუ გავიხსენებთ, რომ მრავალი ყოფილი „პროგრესული მოღვაწე“ ბარიკადებს გადალმა აღმოჩნდა. ცნობილია, მთელი ცილისწამება და ზიზღი ყველა მათდამი, ვისაც ეყო გამბედაობა აჯანყებული ხალხის მხარე დაეჭირა. ბლოკს ხელს არ ართმევდნენ ნაცნობები და ლანძღავდნენ თეთრგვარდიელთა გაზეთები პოემისათვის „თორმეტნი“. გესლიანად ამბობდნენ, რომ პოეტმა, რომელიც მშვენიერ ქალს უმღეროდა, ქუჩური სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი. საქმე, რასაკვირველია, ქუჩური სიტყვები კი არ იყო, არამედ პოლიტიკური შეხედულებები. ასევე ექცეოდნენ ბრიუსოვს და რა თქმა უნდა, მაიაკოვსკის.

რევოლუციის თემა მთავარი ვახდა მაიაკოვსკის შემოქმედებაში. ამ თემას უძღვნა მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. რევოლუციის შესახებაა დაწერილი — „მისტერია-ბუფი“, „150 მილიონი“, „კარგია“ და სხვა. წლები მიდიოდნენ და მაიაკოვსკი ისევ

გოგი ჩარკვიანი
სიშტი და კალამი



და ისევ უბრუნდებოდა რევოლუციის თემას, ახალი კუთხით უდგებოდა, ახლებურად აშუქებდა. რევოლუციის სამსახური პოეტს თავის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ დაიწყო მან სამოქალაქო ომის წლებში მუშაობა როსტაში. როსტაში მიაკოვსკიმ დაამზადა სამი ათასამდე პლაკატი და ექვსი ათასი ტექსტი პლაკატებისათვის. ამ გრანდიოზულმა მუშაობამ დიდი სამსახური გაუწია მას. ჯერ ერთი, სრულიად გაათავისუფლა მისი პოეზია ფუტურისტული ბუნდოვანებისაგან და, მეორეც, უფრო კონკრეტული გახადა.

მიაკოვსკის სრულებით შეეცვალა შეხედულება პოეტზე და მის დანიშნულებაზე. მან გახედულად და პირდაპირ განაცხადა, რომ პოეტის უპირველესი მოვალეობაა დაუნდობლად ებრძოლოს ყველაფერს, რაც ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „მზე“, სადაც პოეტთან სტუმრად მოსული მზე ასე მიმართავს მას:

„შენ და მე — ახლა ერთ მხანაცა ორი.
წამო, პოეტო,
მღერით და ფრენით
ამ დღემიწის ნაცრისფერ ნაგავს
მე დავეცემი მხოლოდ ფრთებით,
შენ გაღვივებ ლექსების ჰანგალ.“

მიაკოვსკის მრავალი კრიტიკოსი აუმახერდა თავის დროზე ამ პოზიციის გამო. ამის გამოხატულება იყო ლაპარაკი მისი პოეზიის არაესთეტიკობაზე. ეს ლაპარაკი პრიმიტიულ მსჯელობებს უფრო წააგავდა — აი, წინათ პოეტები ვარდებსა და ბულბულებზე სწერდნენ, ახლა კი მიაკოვსკი მოსელპრომის საცობებსა და სანაგვე ყუთებზე წერსო. აშკარაა ამ სიტყვების პოლიტიკური ქვეტექსტი. რატომ იგივე კრიტიკოსები არ გამოსთქვამდნენ აღშფოთებას აქმენისტების პოეზიის, კერძოდ, ნარბუტის გამო, რომელმაც ნამდვილი სიბინძურეების ხატვას დიდი დრო და ენერგია მოახმარა. ანდა იმაჟინისტების ერთ-ერთი წარმომადგენლის ვადიმ შერშენევიჩის მიერ აღწერილი „არაესთეტიკ“

რი“ სურათების გამო? პასუხი თავისთავად ცხადია.

მაინც რაა მიაკოვსკის საავტორო ლექსების წარმატების მთავარი მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მათი ლირიკულობა და მიაკოვსკის უნარი ყველაზე პატარა ფაქტის ღრმად განზოგადებისა და ამის საშუალებით დიდი პრობლემის გადაწყვეტისა. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არ არსებობს დიდი და პატარა თემები, არიან მხოლოდ კარგი და ცუდი პოეტები.

დიდი ადგილი უჭირავს მიაკოვსკის ლირიკაში საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით დაწერილ ლექსებს. აქ მიაკოვსკი ამხილებს კაპიტალისტური დასავლეთის წესწყობილებასა და მორალს. თანამედროვე ამერიკის სოციალური კონტრასტებით აღშფოთებული პოეტი ასე მიმართავს ქრისტიანულ კოლუმბს:

„კოლუმბო, შტერო,
მოგახსენო
მსურს გულახდილად,
რაც შემეხება
მე პირადად —
ჩემ სიტყვას ენდე,
ამ ამერიკას დაეხურავდი,
გაეშენდდი ფრთხილად
და შემდეგ ისევ
მეორეჯერ
აღმოვაჩენდი.“

(თარგმანი კ. ნადირაძისა)

მიაკოვსკი არ იყო ისეთი კაცი, რომ ყველაფერზე, რაც დასავლეთში ხდება, ხელალებით ელაპარაკა. ცნობილია მისი ალტაცება მაშინდელი ამერიკის ტექნიკით, პარიზის არქიტექტურით. ცნობილია მისი ლექსი „ბრუკლინის ხიდი“, სადაც იგი ამბობს, რომ „კარგი საქმისთვის არ მეზოგება არც მე სიტყვები“. მაგრამ მიაკოვსკი ყოველთვის იყო კოსმოპოლიტიზმის, დასავლეთის წინაშე ქედმოხრის სასტიკი მტერი. უსაზღვრო პატრიოტიზმმა შეაძლებინა მიაკოვსკის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდებულის სახის შექმნა პოემაში „ვლადიმერ“

ილიას ძე ლენინი“. ამ პოემაზე მრავალი
რამ არის დაწერილი, მის შესახებ მომა-
ვალში ბევრი დაიწერება, რადგან პოემა
„ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ საბჭოთა
პოეზიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

*

მაიაკოვსკის ლირიკა რევოლუციის
შემდეგ უფრო გაღრმავდა და დაიხვეწა.

მაიაკოვსკის ღრმა იუმორსა და პირდაპირ-
ობას დამატა დაფიქრება, ეპიური სი-
დინჯე. მაიაკოვსკის პოეზია ყოველთვის
უაღრესად ადამიანური იყო. იგი ტი-
ტანური ძალით, „მთელი ხმით“ უმ-
ლეროდა ოქტომბრის რევოლუციის
დიად მონაპოვარს.

გოგი ჩარკვიანი
ნიშტი და კალამი



გიორგი მერკვილიაძე

ფიქრები თანამედროვე რომანზე

წერილი პირველი

რომანის ისტორია — ეს არის ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების კანონზომიერი განვითარების თავისებური ამოხსნის, ცალკე ინდივიდუუმთა თუ მთელი მასების შინაგანი სულიერი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის ახალ ეპიკურ საშუალებათა ძიების განუწყვეტელი პროცესი. იგი განუყოფლად არის დაკავშირებული ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვა ქანრობრივი სახეების სრულყოფის ისტორიასთან, საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა რთული ფსიქოლოგიური წყობის განვითარებასთან.

რომანი მთელი თავისი ევოლუციის მანძილზე, დაწყებული მისი პირველი ჩანასახებიდან ვიდრე დღემდე, განიცდიდა სახეცვლილების, ქანრობრივი დახვეწისა და ჩამოყალიბების მეტად საინტერესო პროცესს.

ეს პროცესი განუხრელად გრძელდება დღესაც, როდესაც რომანის ქანრობრივი სახე ასე გაბატონებულია მთელს რეალისტურ ლიტერატურაში და როდესაც მან ეპოსის, დრამისა და ლირიკის ელემენტთა თავისებური გამოყენებით შექმნა რეალური ცხოვრების ხატოვანი ასახვის გიგანტური მასშტაბები.

თანამედროვე რეალისტურ რომანს, როგორც გარკვეულ, ჩამოყალიბებულ ქანრობრივ სახეს, მისი შესაძლებლობებისა და საშუალებათა მხრივ ვერ გაუტოლდება ვერც ერთი სხვა ფორმა

მხატვრულ აზროვნებაში. ბელინსკის სიტყვებით, „რომანის ფორმა და პირობები მოსახერხებელია საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მიმართებაში განხილული ადამიანის პოეტური წარმოსახვისათვის... ეს არის რომანის არაჩვეულებრივი წარმატების, მისი უცილობელი გაბატონების საიდუმლოება“.

რომანმა განსაკუთრებით სწრაფი გავრცელება ჰპოვა XVIII — XIX საუკუნეებში, როდესაც ფართოდ შეიქრა და გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებული ხალხის ლიტერატურაში.

კლასიკური ფორმის ტიპური, ჩამოყალიბებული, ქანრობრივ სახედ მკაფიოდ გამოკვეთილი რომანი თავისი დამახასიათებელი ნიშანთავისებურებებით ბურჟუაზიული ეპოქის პროდუქტია. ეს დებულება გამომდინარეობს ჰეგელის ცნობილი შეხედულებიდან რომანზე. ჰეგელი ხომ რომანს განიხილავს, როგორც „თანამედროვე ბურჟუაზიულ ეპოპეას“.

ბურჟუაზიული ეპოქის სოციალურმა ვითარებამ, ახალმა ინტელექტუალურმა განვითარებამ თვით მოითხოვა მხატვრული აზროვნების შედარებით ფართო ფორმა, ახალმა ბურჟუაზიულმა ურთიერთობებმა, ახალი ფსიქოლოგიის დამკვიდრებამ ყველაზე სრულყოფილი მხატვრული ასახვა რომანში ჰპოვა და, თავის მხრივ, რომანმაც ამ ეპოქაში მიიღო

ძლიერი გაქანება, სწრაფი განვითარება, წინა ეპოქებთან. შედარებით. ამგვარად მოვიდა იგი როგორც ახალი კლასების პოლიტიკური იდეალების მხატვრული წარმოსახვისა და ახალი ეპოქის ადამიანთა შინაგან-სულიერი სამყაროს გახსნის ახალი მონუმენტური ფორმა, ნაცვლად ძველი მონათმფლობელური თუ ფეოდალური სამყაროების ეპოპეებისა და ლეგენდებისა.

განასხვავებენ რომანის განვითარების ოთხ ძირითად პერიოდს: ა) გვიანი პერიოდის ბერძნული რომანი (XI — XII ს.); ბ) რაინდული, უმოავრესად, ფრანგული რომანი (XIII — XV ს.); გ) ესპანური რაინდული, ავანტიურისტული, იდილიური რომანი (XVI ს.); დ) XVIII — XX საუკუნეების, ე. ი. დიდი პერიოდის თანამედროვე რომანი.

აქედან პირველი სამი პერიოდი თანამედროვე ფართო პლანის რომანის თავისებური მოსამზადებელი დრო იყო თავისი მნიშვნელოვანი მოვლენებით. ახალი რომანის კლასიკური ფორმა კი საბოლოოდ ყალიბდება XIX საუკუნეში, როდესაც მხატვრული აზროვნების ისეთი გიგანტები, როგორც სერვანტესისა და რაბლეს შემდეგ იყვნენ ბალზაკი, სტენდალი, გოეთე, პუშკინი, ტოლსტოი, სკოტი, ჰიუგო, გოგოლი, ფლობერი, ზოლა, დოსტოევსკი, დიკენსი, თეკერეი, ტურგენევი, ფრანსი, ჩენეში — ყაზბეგი, აღწევენ უკვადავი ეპიკური ტილოების შექმნას, რომელნიც წარმოადგენენ რეალური სამყაროს სპეციფიკურ-მხატვრული ათვისება-შემეცნების, ამ სამყაროს ადამიანთა სულში ღრმა წვდომის უძლიერეს საშუალებას.

XVIII — XIX — XX საუკუნეების რომანის, კერძოდ, რეალისტური რომანის შემდგომს განვითარებას, მის ახალ საფეხურს წარმოადგენს თანამედროვე რომანი სოციალისტური რეალიზმისა, რომელიც ნიშანდებულია ისეთი სახელებით, როგორცაა გორკი, შოლოხოვი, ა. ტოლსტოი, ფადეევი, ჯავახიშვილი, გამსახურდია, არაგონი, უპიტტი, ზუგერსი და სხვ. მათი რომანების შინაარსის საფუძველს შეადგენს, პ. დექსის მოხდე-

ნილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ადამიანთა ისეთი ბედი, „რომელსაც ისინი თვით ჰქმნიან თავისთვის“.

ახალი რომანის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა ფრანგული, რუსული, ინგლისური, ესპანური, გერმანული, და ბოლოს, ამერიკული რომანი, როგორც კლასიკური ნიმუშები მრავალპლანოვანი, კონტროვერსული ეპიკური თხრობისა, რომელშიაც ადამიანთა ცხოვრება და მოვლენები დანახულია მათს წინააღმდეგობრივს ურთიერთობაში, ფართო ფონზე; გაშლილია მრავალთემობრივად, ასახულია მუდმივს მოძრაობასა და ცვალებადობაში.

თანამედროვე რომანის გამარჯვება სისხლბორცეულად არის დაკავშირებული რეალიზმის მეთოდის გამარჯვებასთან მხატვრულ აზროვნებაში. რეალიზმმა, განსაკუთრებით XIX — XX საუკუნეებში რომანს გაუხსნა ფართო გზა და მისცა განვითარების ისეთი საშუალება, როგორც ლიტერატურის მთელს ისტორიაში არასოდეს ღირსებია მხატვრულ ქანრთა არც ერთ სხვა სახეს. ამდენად, თანამედროვე რომანის განვითარების ისტორია ამავე დროს მნიშვნელოვანწილად არის ისტორიაც რეალიზმის ბრძოლისა მისი დამკვიდრებისათვის.

ახალმა რომანმა დასძლია ძველი ეპოსის განკერძოებული ტენდენცია მხოლოდ იდეალურის ჩვენებისა და მას შეუთავსა უზამსის, ეგრეთ წოდებული „პროზაული სინამდვილის“ დაუნდობელი კრიტიკაც, რომელიც ძველად, ძირითადად, კომიკურის სფეროს განეკუთვნებოდა ხელოვნებაში.

ცხოვრება, როგორც ის არის თავისი ტიპური ნიშანთავისებურებებითა და განვითარების ტენდენციით — აი, რეალისტური რომანის დევიზი და მისი გა-

გორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

მარჯვენის მიზეზი. ბელინსკისათვის რომანი „საზოგადოებრივი ცხოვრების პოეტური ანალიზი“ იყო და მას XIX საუკუნის ლიტერატურაში მთავარი ადგილი ეჭირა.

სინამდვილის შეუფერავი ხატვა, შეთხზულისა და ნამდვილის ორგანული სინთეზი, სხვა მხატვრულ ჟანრთა — ლირიკის, დრამის, პოეტური ეპოსის — შესაძლებლობათა კომპლექსური გამოყენება და ამით ფართო გასაქანის უზრუნველყოფა შემოქმედისათვის — ყოველივე ამან, რამაც განსაკუთრებული ძალით სწორედ რეალისტურ რომანში იჩინა თავი, განაპირობა ამ ჟანრობრივი სახის საყოველთაო აღიარება-დამკვიდრება, მისი შეუზღუდველი მასშტაბები.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კლასიკური რეალისტური რომანის განვითარებას სერიოზული დაბრკოლება შეექმნა. ეს იყო თითქმის ყველაზე მეტი კრიზისი მთელს მის ისტორიაში. მას, როგორც ეპიკურ ფორმას, დაუპირისპირდა დეკადენტური სკოლების წარმომადგენელთა უსიუყეტო და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისაგან დაცილილი ნოველა თუ ესკიზი, უსიუყეტო, „ახალი ფორმის“ მოდერნისტული „რომანი“.

მაგრამ დეკადენტიზმმა არა თუ ვერ შესძლო ტრადიციული ეპიკური ჟანრის დანგრევა, არამედ არსებითად თვით განიცადა კრახი. დეკადენტური პროზაული „ფორმები“ ბუნებრივი გაგრძელება იყო ევროპულ რომანში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეჭრილი ფსიქოლოგიური ინდივიდუალიზმისა. იმპერიალიზმის ეპოქაში ევროპის ბურჟუაზიულმა რომანმა მთელი რიგი მწერლების შემოქმედებაში განიცადა თავისებური „ტრანსფორმაცია“. რომლის დროსაც რეალისტური რომანის დემოკრატიული ტრადიციები შესცვალა ადამიანთა სუბიექტური სამყაროს იზოლირების ტენდენციებმა. ისეთი სახელმძღვანელო რომანისტების შემოქმედებაში, როგორც იყვნენ: ჰამსუნი, უაილდი, ბურჟე და სხვ., მთავარი ადგილი დაი-

კავა სოციალური გარემოსაგან იზოლირებულმა ინდივიდუუმმა თავისი ვიწრო-ფსიქოლოგიური განცდებით. ჯოისის, პრუსტის, დოს-პასოსისა და სხვ. რომანებში ფართო პლანის ეპიკური თხრობა შესცვალა შინაგანმა მონოლოგმა, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვის ერთადერთმა საშუალებამ. ბევრი მხატვარი შეეცადა გაქცეოდა არსებულ სინამდვილეს, როგორც გარდუვალ ბოროტებას, ან ელიარებინა ეს ბოროტება და მისცემოდა პესიმიზმს.

მაგრამ რეალისტური რომანი მთელს ევროპაში მაინც განაგრძობდა განვითარებას. თითქმის ყველგან იგი იქცა ლიტერატურის ძირითად ჟანრობრივ სახედ, მხატვრული ასახვის ისეთ კანონზომიერ მონუმენტურ ფორმად. რომელიც ადამიანთა სამყაროს გეგმატავს მთელი მისი რთული და მრავალფეროვანი შინაარსით და განაწყობს ამ ადამიანებს გარკვეული მოქმედებისათვის.

საერთოდ, რეალისტური ხელოვნების, კერძოდ, რეალისტური რომანის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კლასიკურად არის გახსნილი ენგელსის ცნობილ მითითებაში: „რეალიზმი გულისხმობს გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემისა, ტიპიურ ვითარებაში ტიპიური ხასიათების სწორ წარმოსახვას“. მარქსიზმის კლასიკოსთათვის ტიპიური რეალისტური რომანი, როგორაც მათ მიაჩნდათ ბალზაკის, თეკერის, დიკენსის და სხვ. რეალისტურ-ეპიკური ტილოები, ამავე დროს უნდა შეიცავდეს რეალიზმის შეხამებას იდეურობასთან რაც გარკვეულ სოციალისტურ ტენდენციურობას გულისხმობს.

რასაკვირველია, თანამედროვე რომანი, რომელიც მოიცავს დაახლოებით ორნახევარი საუკუნის ეპოქას, მხოლოდ რეალიზმის ფარგლებით ვერ შემოისაზღვრება. მასში ჩვენ რეალიზმთან ერთად ვხედავთ ისეთი სკოლებისა და მიმართულებების გამორჩეულ თავისებურებებსაც, როგორიცაა განსაკუთრე-

ბით რომანტიზმი და სენტიმენტალიზმი. მაგრამ ძირითადი ადგილი ახალი ეპოქის რომანში სწორედ რეალიზმს უჭირავს, ისევე როგორც რეალიზმმა ყველაზე მკაფიოდ და სრულყოფილად თავისი გამოვლინება სწორედ რომანის ფორმაში პოევა.

რეალისტურმა რომანმა შექმნა ყველაზე მეტი შესაძლებლობანი მოვლენათა არსის ტიპური ასპექტით ხილვისათვის, ქეშმარიტი ხატოვანი განზოგადებისათვის, რომლის დროსაც დაძლეულია ყალბი ფანტაზიაც, მოჩვენებითი სინამდვილეც და შიშველი ნატურალიზმიც. ჯერ კიდევ არისტოტელი მოითხოვდა ისეთ პოეტურ წარმოსახვას, რომელშიაც სპეციფიკური განზოგადებით მიღწეულია ქეშმარიტი მხატვრული სინამდვილე: „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის აღმათობისა ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი“.

რეალისტური ხილვის ამ თავისებურების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი საფეხური იყო მხატვართა მისწრაფება საგანთა თუ მოვლენათა ქეშმარიტ არსში შედწევისაკენ, რასაც ასე დაეინებით ნერგავდა რომანის ერთ-ერთი ნოვატორი ფილდინგი.

არსებითს, მთავარს ხილვა და ხატვა ყველა დროის ნამდვილი რომანისათვის იყო მთავარი, მაგრამ რეალისტურ რომანში მან მკაფიო ტენდენციურობა იდეურობასთან შეხამებით ახალი თვისება შეიძინა. ამასთან, თვით ფილდინგის შემოქმედებაში გამოვლენილი, იგი მხოლოდ მნიშვნელოვანი საფეხური იყო რეალიზმის გზაზე, რადგან დღევანდელი რომანისათვის მთავარია არა განსჯამსჯელობა, არამედ სულის შინაგანი გახსნა და ამით სამყაროს, მოვლენების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხილვა.

რეალისტური რომანის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი სწორად გამოკყო მობასანმა, როცა ხაზი გაუსვა მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენების, ფაქტების მნიშვნელობისა და რეალურობის ხარის-

ხის შესატყვისობას: „ხელოვნების ამოცანა... ის არის, რომ დაკვირვებით ამზადებდეს მოვლენებს, შექმნას მარჯვე ფარული გადასვლები, ჩინებული კომპოზიციის შემწეობით ნათელი მოკფინოს მთავარ მოვლენებს და ყოველივე დანარჩენსაც მისცეს რეალურის ის ხარისხი, რომელიც შეესაბამება მათს მნიშვნელობას. ყოველივე ეს აუცილებელია იმ განსაკუთრებული სიმართლის დრმა შეგრძნობის მიღწევისათვის, რომელიც უნდა ვაჩვენოთ“.

რომანის ფორმის მონუმენტურობა საშუალებას აძლევს შემოქმედს განსაკუთრებით გამკვირვალედ დახატოს ამ სიმართლის ისტორიული ასპექტი; დაინახოს ტენდენციის განვითარება და მისი ადგილი სამ დროში. მაქსიმ გორკის ცნობილ მოსაზრებას ჩვენს ლიტერატურაში სამი სინამდვილის მართალი ასახვის შესახებ, რომლის მეტად მარჯვე ფორმას სწორედ რომანი წარმოადგენს, წინ უსწრებდა ბალზაკის აზრი: „როდი კმარა აჩვენო, რომ აწმყო წარსულზე უკეთესია; ამასთან საჭიროა აღძრა წინათგრძნობა მომავლისა, რომელიც ჩვენს აწმყოზე უკეთესი იქნება“.

მომავლის ეს სიმაღლე, დანახული დღევანდელი სინამდვილის ფონზე, თანამედროვე რეალისტურ რომანს მუდამ ანიჭებდა არა მხოლოდ არსებული სინამდვილის ხილვის, არამედ უკეთესი მომავლისათვის აღამიანთა შესაძლებლობების წარმართვის მორგანიზებულ ფუნქციასაც. „წიგნი სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სული ისწრაფვის მომავლისაკენ“, — შენიშნავდა ბალზაკი.

საერთოდ რეალისტური რომანის, როგორც ფართო ეპოქური ტილოს, ცხოვრების მრავალი მხარის, მოვლენის, ფაქტის ხატოვანი ხილვის; აღამიანთა დიდი მასების სულიერ განწყობილებათა და მატერიალურ სამყაროში მათი

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

მდგომარეობის ჩვენების მონუმენტური ფორმის — ყველაზე სრული და მართებული განსაზღვრა, ჩვენ აზრით, მოცემულია „რუსული რომანის ისტორიაში“, რომლის პირველ ტომშიც ნათქვამია:

„რომანი არის ახალი დროის ლიტერატურის ისეთი ჟანრი, რომელიც ყველაზე ფართოდ მოიცავს ცხოვრებას, ყველაზე მეტად იკითხება და ყველაზე მეტად არის გავრცელებული. მასში განსაკუთრებით სრულად და რელიეფურად განსახიერდა არსებითი ნიშნები რეალიზმისა, როგორც ყველაზე მოწინავე და პროგრესული მხატვრული მეთოდისა, XIX და XX საუკუნეების ლიტერატურის ყველაზე ნაყოფიერი მიმართულებისა, რომელიც ამოცანად ისახავდა ცხოვრების ფართოდ ასახვას მის ისტორიულ მოძრაობასა და ცვალებადობაში, მის სოციალურ კონფლიქტებში, მის ინდივიდუალურსა და საზოგადოებრივ კანონზომიერულ მომენტთა ერთობლიობაში“.

რეალისტური რომანის ეს ბუნება მის თავისებურებასაც გამოხატავს, რაზეც ჩვენ ქვევით გვექნება ლაპარაკი.

რომანის ასეთმა ფართო-ეპიკურმა ხასიათმა გამოიწვია ლიტერატურის გვარის ამ სახის გამდიდრება დრამისა თუ ლირიკის ელემენტებით. როგორც დრამამ მოახდინა თავის დროზე ლირიკისა და ეპოსის ერთგვარი „სინთეზი“, ასევე რომანი დაეყრდნო ლირიკის, პოეტური ეპოსისა და დრამის სპეციფიკურ თავისებურებებსა და კანონებს. მასში ერთსა და იმავე დროს შეიძლება ფართო-ეპიკური გაშლილი თხრობაც, ლირიკულ გრძნობათა ამეტყველებაც, დრამატული სიმამფრთხი ხატვაც, ანუ ეპიკურ-ობიექტური და ლირიკულ-სუბიექტური საწყისების ისეთი ორგანული „შერწყმა“, როგორიც დაინახა ბელინსკიმ გოგოლის „მკვლარ სულემში“.

ამასთან, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გაცილებით რთულ მოვლენასთან, ვიდრე ჟანრთა ან სახეთა მექანიკურ „სინთეზთან“, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი.

რომანის თეორია, მისი სახის თავისებურებანი, რომანის არსებობის მთელ მანძილზე, განსაკუთრებით კი XVIII — XIX საუკუნეებში და ჩვენს დროში, ყოველთვის იწვევდა რომანისტთა, კრიტიკოსთა, ლიტერატურისმცოდნეთა და ინტერესეზებს. თითქმის ყველა გამოჩენილ რომანისტს და ლიტერატურისმცოდნეს გამოუთქვამს აზრი რომანის — როგორც მხატვრული ჟანრის გარკვეული სახის — სპეციფიკის, დამახასიათებელი ნიშანთავისებურებების შესახებ. თითქმის ყველა მათგანი აღიარებს:

ა) რომანის — ახალი ფართო ეპიკური ფორმის დამკვიდრებას, როგორც უცილობელ ფაქტს;

ბ) რომანის განუსაზღვრელ, უღიღეს შესაძლებლობებს საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრულ ასახვაში;

გ) რომანის, როგორც განვითარებადი ლიტერატურული სახის, მომავალს (ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არა გვყავს მთელი რიგი დეკადენტი მწერლები, რომლებიც რომანის „კვდომის“ თეორიას ავრცელებენ).

აზრთა სხვადასხვაობა ძირითადად მოიცავს რომანის ადგილის, უორმის, თავისებურება-სპეციფიკის პრობლემებს.

რომანის ისტორიკოსთა და თეორეტიკოსთა დიდი უმრავლესობის აზრით, რომანის „სინთეზური“ ხასიათი ეპკეს არ იწვევს; როგორც ეპოსის სახემ, მან შეიწოვა მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი სხვა ჟანრისა თუ სახის თავისებურებანი და ერთგვარი გაბატონებულ მდგომარეობა მოიპოვა ლიტერატურაში.

უნდა ვაღიაროთ ამ მოსაზრების მართებულობა, ამასთან, იმის აღნიშვნით, რომ რომანის დომინანტური მდგომარეობა არასოდეს არ ნიშნავდა და მომავალშიც არ უნდა ნიშნავდეს, როგორც უკვე ვთქვით ზევით, სხვა ჟანრთა და ლიტერატურულ სახეთა კვდომას, მათს შეცვლას. პირიქით, რომანის პარალელურად ვითარდება ლირიკაც, დრამაც,

პოეტური ეპოსიც.¹ სამივე ამ ქანრს რომანი თვით აძლევს განვითარების ახალ ბიძგსა და სტიმულს, ავსებს ახალი შინაარსით და ეხმარება ფორმის შემდგომ დახვეწაში.

მაგრამ აქვე ისმის კითხვა: რა არის რომანი? რომელ ქანრს თუ სახეს მიეკუთვნოთ იგი? თუ ის თვით არის ახალი ქანრი, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი?

აზრთა ყველაზე მეტი სხვადასხვაობა რომანის თანამედროვე თეორიაში სწორედ აქ იჩენს თავს.

როგორც ცნობილია, ჰეგელი რომანს ეპოსიდან ცალკე ქანრად არ გამოყოფდა. მართალია, მისთვის რომანი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის — ბურჟუაზიული ეპოქის — ნაყოფს წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ეპოსის ქანრისა. ყოველგვარი საგნის უფრო სრულყოფილი გამოხატვის ძირითად მხატვრულ ფორმად ჰეგელს მიაჩნდა ეპოსი, რომელიც თავისი მრავლისმომცველი შინაარსით და ფორმის სილაღით საშუალებას აძლევს შემოქმედს დახატოს მთელი ხალხის ცხოვრება.

რომანის „სინთეზური“ ფორმაზე მიუთითებდა შელინგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, როცა აღნიშნავდა ეპოსისა და დრამის თავისებურებათა შერწყმას რომანში. მაგრამ რომანი შელინგისათვის, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. დნებაროვი თავის წიგნში „რეალიზმის პრობლემები“, გამორი-

ცხავს სოციალური ცხოვრების აშკარა კრიტიკას¹.

რომანმა, რომელიც XIX საუკუნეში ძირითადად კრიტიკული რეალიზმის გზით წავიდა, უარყო კლასიკური ეპოსის ასეთი ცალმხრივი დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი.

XIX საუკუნის დღირომანისტი ბალზაკი, რომელმაც თანამედროვე რომანის თეორიის ბევრი პრობლემის გადაწყვეტა მოგვცა ძირითადად თავის ორ ნაშრომში — „წინასიტყვაობა ადამიანური კომედიისა“ და „წერილები ლიტერატურაზე, თეატრსა და ხელოვნებაზე“, — ყურადღებას მიაქცევს თანამედროვე რომანს, როგორც რეალისტური მანერით ხატვის ისეთ სახეს, რომელიც მოიცავს მთელი საზოგადოებას, მისი მრავალი ფენისა და კლასის ცხოვრებას, მთელ ეპოქას. იგი ვალტერ სკოტს, რომელსაც მისი დროის ტრუვერს უწოდებს, პირველ ადგილას წამოსწევს სწორედ „გიგანტური გაქანებიათვის“, რაც

¹ რომანის „სინთეზური“ ხასიათის შესახებ მრავალი შეხედულებიდან ჩვენ ხაზი უნდა გაუხსნათ აგრეთვე:

- ა) ა. მახოხის აზრს: „მხოლოდ რომანში შეუძლია პოეტს მოიკვას მთელი ცხოვრება, მხოლოდ რომანის ფარგლებში შეიძლება მხატვრული მთლიანის, ესე იგი იღვისა და რეალურა სამყაროს სრული შეხების, ხორცშესხმა, იგარასაც ლირიკოსი, სატირიკოსი, დიდაქტიკოსი პოეტი ან დრამატურგი გამოხატავენ ცალცალკე, ნაწილ-ნაწილ. რომანისტს შეუძლია გამოხატოს მხატვრული მთლიანის ფორმით: იგი გადაგივლის ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სურათებს, როგორც ეპიკოსი პოეტი; იგი, როგორც დრამატურგი, აიძოლებს თავის გმირებს ილაპარაკონ და იმოქმედონ, და ბოლოს, იგი ვადმოგვეცმს მის მიერ განცდილ შეგრძნებებს, საყოთარ გრძნობებსა და აზრებს. როგორც ლირიკოსი“.
- ბ) ნ. სტორცენკოს შეხედულებას: „რომანი ათავსებს ყველა მთავარ პოეტურ გეარს — ეპოსს, ლირიკას და დრამას“.
- გ) ბ. გრიფოცვის მოსაზრებას: „რომანი ყალბავს“ ეპოსს. მაგრამ კაცობრიობა შეიძლება დაუბრუნდეს ეპოსს“.
- დ) ვ. დნებაროვის და სხვ. მსგავს მოსაზრებებს ჩვენ ცალკე შეეხებით (ა ვ ტ.).

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

¹ ბელინსკის უარყოფითი დამოკიდებულება ეპიკური პოემისადმი, რაც მან გამოთქვა „ვეგენი ონეგინს“ გარჩევის დროს 1844 წელს, უსათუოდ. მიმართული იყო არა ხაერთოდ პოეტური ეპოსის, არამედ ეპიკური პოემის იმ ტრადიციული ფორმის წინააღმდეგ, რომელიც უგულვებელყოფდა ცხოვრების ასახვას მის წინააღმდეგობრივ განვითარებაში და გამოხატვის სავანად მხოლოდ დადგმოს, პერსოჟულს, იდეალურს, სახობოს იღებდა. (ა ვ ტ.).

მან თხრობის ამ სახეს მისცა, როცა დიდი ისტორიული მოვლენების გამოსახატავად თავის რომანებში ერთმანეთს შეაწნა „ღრამა, დიალოგი, პორტრეტი, პეიზაჟი, აღწერა... შეიტანა მასში არაჩვეულებრივიც და ჭეშმარიტიც, ეს ელემენტები ეპოსისა, და გააძლიერა პოეზია თვით უბრალო ძალდაუტანებელი მსჯელობით“.

რომანი ბალზაქისათვის არის მთელი ეპოქა თავისი მდიდარი შინაარსით, უამრავი მოვლენებითა და ადამიანთა მრავალრიცხოვანი გაღვრებით. ამდენად ის არის მთელი ისტორია საზოგადოებისა, გააზრებული მხატვრულ ასპექტში — „ზნეჩეულებების ისტორია“. „როცა მანკიერებათა და სიკეთეთა აღწერას ვადგენდი, ვნებათა გამოვლინების ყველაზე უფრო თვალსაჩინო შემთხვევებს ვაგროვებდი, ხასიათებს ვხატავდი, საზოგადოების ცხოვრების უმთავრეს მოვლენებს ვარჩევდი, ტიპებს ვჭმნიდი ერთი გვარის მრავალრიცხოვანი ხასიათების ცალკეულ ნიშანთა შეერთებით. ვფიქრობდი, შესაძლოა დავეწრო ამდენი ისტორიკოსის მიერ დავიწყებული ისტორია — ზნეჩეულებათა ისტორია“, — აღნიშნავდა იგი.

საყურადღებოა, რომ ასეთი რომანი-სათვის დიდ ფრანგ რეალისტს საჭიროდ მიაჩნდა ადამიანის ჩვენება მისი ხასიათის მუდმივი განვითარების პროცესში.

ბალზაქის მოსაზრებაში ნაზგასმულია სწორედ რეალისტური რომანის მთავარი თვისება — მოგვცეს ცხოვრების ფართო სურათი მისი დამახასიათებელი დადებითი თუ უარყოფითი მოვლენებით, ტიპური ნიშანთავეისებურებით, ვნებათა შეჯახების გახსნა რთული ფსიქოლოგიური სოციალური ასპექტით; ასახოს მრავალთა ან ყველას ინტერესები, რასაც ემსახურება ბალზაქის სამი ათასამდე ტიპი და პერსონაჟი.

ეპოქა და სამყარო — აი რომანის მასშტაბები. ის, რაზეც ყუ-

რადლებას ამხეილებს ბალზაქი, ჯერ კიდევ მანამდე შემჩნეული ჰქონდა პუშკინს, რომლისთვისაც რომანი მთელი ეპოქების მხატვრულ ასახვას წარმოადგენდა. „სიტყვა რომანი, — აღნიშნავდა იგი—ჩვენ გვესმის, როგორც ისტორიული ეპოქა, განვითარებული გამოვლილ მონათხრობში“. ლ. ნ. ტოლსტოი „ომსა და მშვიდობაზე“ მუშაობას იმ განზრახვით იწყებდა, რომ „მოეცვა ყველაფერი“, ესე იგი მთელი ეპოქა თავისი საინტერესო ისტორიით, მრავალი ხალხის ცხოვრებით.

მთელი ეპოქის, მთელი ხალხის ცხოვრების ასახვა ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც მაღალ შეფასებას აძლევდა ლევ ტოლსტოის შემოქმედებას, როგორც „რუსეთის რევოლუციის სარკეს“. ლენინი შემთხვევით როდი უსვამდა ხაზს სწორედ ეპოქას, რომელშიც მოღვაწეობდა ტოლსტოი და რომელიც „შეხანიშნავი სიცხადით აიხახა როგორც მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე მის მოძღვრებაში“.

მაგრამ ასეთი რომანის შექმნა, რომელიც თავისთავად საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული ეპოქის სარკე იქნება, შეუძლებელია ღრმა აზროვნების გარეშე.

მასასადამე, თანამედროვე რომანი ამავე დროს არის რომანი აზრისა. ამიტომაც განსაკუთრებით გამოყოფენ პიუგო და ბალზაქი რომანის ფილოსოფიურ სიღრმეს, სადაც არა მხოლოდ ნაჩვენებია, არამედ გახსნილიც იქნება მოვლენის ღრმა არსი, სადაც ადამიანური ვნებები, მათი სოციალური ასპექტით, გააზრებული იქნება ცხოვრების ფილოსოფიური ამოხსნის შუქზე. მართებულად შენიშნავს ა. ჩიჩერინი, რომ „ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი ხასიათის რეალისტური ანალიზი და ფილოსოფიური სინთეზი, ახლის დანახვის უნარი, ადამიანის სულიერი ცხოვრების წყალქვეშა მდინარების ცოდნა — ძირითადი და კანონიერი მოთხოვნებია რომანისა, დიდი

რომანისა“. აქედან — ტიპი ეგრეთწოდებული ინტელექტუალური რომანისა, როგორც თანამედროვე რეალისტური რომანის ერთ-ერთი მთავარი ფორმისა.

*

რომანის თანამედროვე თეორიაში არსებული მრავალი მოსაზრებიდან ჩვენ აქ შევჩერდებით ზოგიერთ დამახასიათებელ შეხედულებაზე.

ეს შეხედულებანი შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად გაიყოს:

ა) აღიარება თანამედროვე რომანისა, როგორც მონუმენტური, მხატვრული ფორმისა, რომელიც ვითარდება. ამ ფორმის თავისებურებათა ძიება; მისი ადგილის განსაზღვრა;

ბ) უგულებელყოფა რომანის სახისა, ნიჰილისტური დამოკიდებულება მისადმი ან მისი მომავლის, განვითარების პერსპექტივის მცდარი კონცეფცია, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი თანამედროვე საზღვარგარეთელი ლიტერატორისათვის.

უქანასკნელი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში რომანის თეორიას ბევრი ახალი ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ვ. დნეპროვის „რეალიზმის პრობლემები“, ა. ჩინერიანის „რომან-ეპოპეის წარმოშობა“ და სხვ.

„რეალიზმის პრობლემებში“ ვ. დნეპროვი აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ რომანი პოეზიის ახალი გვარია: იგი ვერ თავსდება ლიტერატურის გვართა ძველ კლასიფიკაციაში და მოითხოვს დამოუკიდებელი გვარის აღიარებას. „რომანი, — წერს ვ. დნეპროვი, — ავითარებს თავის აქამდე არახულ მდიდარსა და მრავალგვარ ფორმებს. იგი იქცევა რეალისტური ლიტერატურის გაბატონებულ ქანრად. იქმნება სინამდვილისადმი პოეტური დამოკიდებულების ახალი გვარი — რომანული პოეზია, რომელიც აღწევს ხელოვნების სხვა ქანრებსა და სახეებში — ლექსებში, ფერწერაში, დრამაში... ამ

ახალი მოვლენების შესწავლას ხელშეშლის ლიტერატურულ მეცნიერებაში დამკვიდრებული განსაზღვრა რომანისა, როგორც ეპიკური პოეზიის ქანრისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს განსაზღვრათუნდა გადაისინჯოს, მისი მოჩვენებითა უცილობლობის მიუხედავად“.¹

„რეალიზმის პრობლემების“ ავტორი თავის გამოკვლევაში იძლევა რომანის პრობლემათა ასლებურ თეორიულ გაშუქებას და, რაც მთავარია, რეალისტური რომანის განვითარების მთელი დიდი გზის საინტერესო ანალიზს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ანალიზიდან მას გამოჰყავს ნაძალადევი თეორია, რომელსაც მოჩვენებითად, თითქოს, მართლაც აქვს საფუძველი. ფაქტიურად კი ეს თეორია რომანის, როგორც გარკვეული ქანრობრივი სახის, ისტორიული განვითარების კემბარიტი ხაზის მიღმა დგას.

ვ. დნეპროვი უსათუოდ აზვიადებს პეგელს, ბელინსკის, ბალზაკის და გერმანელ რომანტიკოსთა მოსაზრებებს რომანის „სინთეზური“ ხასიათის შესახებ და საქმე დაჰყავს რომანის სახეში ეპოსის, დრამის, ლირიკის ნიშნების მექანიკურ შეერთებამდე.

იგი წერს: „სინთეზური გაგება რომანისა წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს... სწორედ ხელოვნების ამ დამოკიდებულებამ სინამდვილისადმი (ლაპარაკია კრიტიკულ რეალიზმზე. ვ. მ.) მოითხოვა რომანის ახალი მხატვრული აგება — ლირიკის, ეპოსისა და დრამის სინთეზი“². ამ მოსაზრების საფუძველზე ავტორი იძლევა დასკვნას: „თუ რომანი ბუნებრივად და თავისუფლად გამოხატავს როგორც ეპიკურ, ასევე ლირიკულ და დრამატულ შინაარსს, თუ იგი ჩინებულად აერთებს პლასტიკურ

¹ В. Днепров. Проблемы реализма. 1961 г., стр. 73.

² Там же; стр. 96, 104.

გიორგი მერკვილიძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე

სახობრივ ელემენტს ანალიტიკურ მსჯელობებთან, ამ შემთხვევაში ძალას კარგავს ქანრის ფორმა, რომელიც ისტორიულად დამკვიდრდა მხატვრული შინაარსის გარკვეული, ცოტად თუ ბევრად მკვეთრად გამოკვეთილი სფეროს ამ ნაწილის გამოსახატავად¹.

თავის ამ მოსაზრებაში ვ. დნებროვი ცდილობს დაეყრდნოს ბ. ბელინსკისა და სხვათა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ რომანში შედის ლირიკისა და დრამის ელემენტები. მაგრამ ბელინსკის მოსაზრება ასეთი „სინთეზის“ შესახებ როდი ნიშნავს, რომ დიდ რუს კრიტიკოსს მხედველობაში აქვს რომანის, როგორც გამაერთიანებელი, შემკვრები ცალკე ლიტერატურული „ქანრის“ ჩამოყალიბება.

ჩაუვყვირდეთ ბელინსკის მოსაზრებას რომანისა და მოთხრობის შესახებ. ბელინსკი, მართალია, ამბობს, რომანში „შეერთებულა ყველა სხვა გვარის პოეზია“, მაგრამ ამ სინთეზში იგი ხედავს მხოლოდ ლირიკისა და დრამის თვისებათა გამოვლინებას და შემთხვევით როდი იკავებს თავს ეპოსის მოხსენიებისაგან, რადგანაც რომანს იგი ეპოსის ქანრის ფარგლებში სტოვებს და არ მიიჩნევს მას ახალ, დამოუკიდებელ გვარად. ამ თვალსაზრისით ლაპარაკობს იგი რომანისა და მოთხრობის გვარზე; ამიტომაც აყენებს მათ რეალიზმისათვის ბრძოლის გარკვეულ პერიოდში დრამისა და ლირიკაზე მალა. ამიტომ არის, რომ თავის შესანიშნავ ნაშრომში — „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“, ბელინსკი პირდაპირ მიუთითებს რომანზე, როგორც „ჩვენი დროის ეპოპეაზე“ და არ ფიქრობს მის გამოყოფას ცალკე გვარად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის (1841 წ.), როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში რომანს უკვე ეპირა გაბატონებული მდგომარეობა; ამიტომ ლაპარაკობს იგი აქვე, გოგოლის „ტარას

ბულბას“ ანალიზის დროს, დრამატული ელემენტის მხოლოდ შესვლაზე ეპიკურ ნაწარმოებში.

ცხადია, არ შეიძლება უარყოთ ის სწორი მოსაზრება, რომ რომანმა, როგორც ეპიკურმა სახემ, შეიწოვა სხვა ქანრთა მთელი რიგი თავისებურებანი, რადგან ცხოვრების ყოველმხრივ წარმოსახვისათვის მას დასჭირდა ძველი პოეტური ეპოსის ამალელებული პათოსი და მოვლენათა ფართო თვალმისაწიერეც, ლირიკის გრძნობად-ინტიმური ელემენტიც და დრამის ტრაგიკული თუ კომიკური ასპექტიც. მაგრამ მისი შინაარსისა თუ ფორმის ამ თავისებურებას არ გამოუწვევია ქანობრივი ფორმის ისეთი არსებითი ცვლილება, რომ მას ახალი მხატვრული ქანრის სახე მიეღო. ამას იგი შესძლებდა იმ შემთხვევაში, თუ თვით დაიკავებდა სხვა ტრადიციული ქანრების ადგილს. ასეთი რამ კი არ მომხდარა. რომანის მხარდამხარ განუწყვეტლივ ვითარდებიან ლირიკაც და დრამაც. თვით ისეთი ტრადიციული ეპიკური სახეც, როგორცაა პოემა, რომელმაც თუმცა დიდი სახეცვლილება განიცადა, მაინც დარჩა თანამედროვე ეპოსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

ამიტომ, ბუნებრივად, მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, ა. ფადეევის, კ. გამსახურდიას, მ. ჯავახიშვილის და სხვ. ფართო პროზაული ეპიკური ტილოების გვერდით ძლიერი გაქანება ჰპოვა გ. ტაბიძის, ს. ესენინის, ა. ბლოკის, გ. ლეონიძის შთაგონებულმა ლირიკამ, ვ. მაიაკოვსკის, ა. ტვარდოვსკის, გ. აბაშიძის და სხვ. პოეტურმა ეპოსმა.

ლიტერატურული ქანრის თავისებურება ისიც არის, რომ იგი განუწყვეტლივ ვითარდება, ივსება, მდიდრდება და მრავალფეროვანდება. მისი ასეთი ზესვლეთი პერმანენტული ცვალებადობის პროცესი კი არის არა სხვა ქანრთა კედომის, მათი „ჩაყლაპვის“, არამედ ფორმათა მუდმივი ცვლილებისა და ურთიერთგამდიდრების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი.

¹ В. Днепро. Проблемы реализма стр. 17.

ასეთი-სახეცვლილებების შესანიშნავი ნიმუშია თანამედროვე რომან-ეპოპეის ფორმა, თანამედროვე რომანის სტეროს გაფართოება. რაც ასე ჩინებულად გააანალიზა თავის წიგნში — „რომან-ეპოპეის წარმოშობა“ ა. ჩიჩერინმა.

„რომან-ეპოპეისათვის, — ამბობს ჩიჩერინი, — ნიშანდობლივია მრავალსიუჟეტურობა, რომანები რომანში, ერთი პერსონაჟის მოქმედების ისტორიის გადანასკვა სახეთა არსისა და ქვერადობის გამამდიდრებელ სხვა ისტორიებთან და მოვლენებთან... რომან-ეპოპეა იქმნება სწორედ მაშინ, როდესაც ხალხის როლის დრმა შეგნება ეძიებს თავის პოეტურ გამოხატვას... რომანის სინთეზური თვისება რომან-ეპოპეაში ვლინდება განსაკუთრებული ძალით, მაგრამ იქ ვხედავთ არა მარტო ლირიზმს გმირთა სულოერი ცხოვრების გამოხატვის დროს, იქ ვხედავთ არა მარტო კულმინაციის ტრაგედიულობას, არამედ ისტორიას, ფილოსოფიას, პოლიტიკას, რომელიც შეითავსა და მოიცვა რომანმა... რომანი-ეპოპეა მოიცავს სინამდვილის მოვლენებს ყოველი მხრიდან, წვდება რა განვითარების ძირითად ხაზებს და არკვევს რა ძალთა თანაფარდობას“¹.

თავის ამ მართებულ მოსაზრებებს ავტორი განამტკიცებს ტოლსტოის, ბალზაკის, გოლსუორსის, არაგონის, ვორკის, შოლხოვის, ამადუს, როლანის, ზოლას, დიუ გარის და სხვ. რომანების („ომი და მშვიდობა“, „ადამიანური კომედია“, „ფორსაიტების საგა“, „რეალური სამყარო“, „კლიმ სამგინის ცხოვრება“, „წყნარი დონი“, „ქან კრისტოფი“, „ტიბოს ოჯახი“ და ა. შ.) მაგალითით.

მართლაც, რომანი-ეპოპეა, რომელმაც განსაკუთრებულ გავრცელებას ჩვენს საუკუნეში მიადწია (თანამედროვე ქართველი მწერლების ეპიკური ტილოებიდან ჩვენ დავასახელებთ კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“

და „დავით აღმაშენებელს“, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“, ა. ბელიაშვილის „ბესიკს“, ა. ქუთათელის „პირისპირს“, ლ. გოთოუს „გმირთა ვარამს“), ვახდა თანამედროვე რომანის ერთ-ერთი მთავარი ფორმა. მისი მისწრაფება — მოიცვას ისტორიული მოვლენებით აღსავსე მთელი ცხოვრება, განსაკუთრებით ესიტყვება თანამედროვე ადამიანის მისწრაფებებს, მის ინტერესთა და სულიერ მღვლეობათა უსასრულო მასშტაბებს. ეს მასშტაბები მოძთხოვენ სამყაროს ისეთ მხატვრულ ხილვას, რომელშიც ფართო, ყოველმხრივ განსახიერებას ჰპოვებს ეპოქის სული.

ასეთ რომან-ეპოპეაში ყველაზე უკეთ განხორციელდა დიდი იდეური სიღრმის და შეცნობილი ისტორიული აზრის ის სრული სინთეზი შექსპირულ სიცხველესა და ქმედითობასთან, რაზეც ოცნებობდა ფ. ენგელსი ფ. ლასალისადმი გაგზავნილ წერილში, როცა ამბობდა: ასეთი სინთეზი „აღზათ მხოლოდ ნომავალში იქნება მიღწეული“.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, შეიძლება თუ არა რომანისაგან ცალკე სახედ გამოიყოს რომანი-ეპოპეა, როგორც ამას ფიქრობს ა. ჩიჩერინი, როცა ეპიკური პროზის ასეთ საფეხურებს თუ სახობრივ დაყოფას გეტავაზობს: მოთხრობა, ამბავი, რომანი, რომანი-ეპოპეა?! აქ ჩვენ ვიზიარებთ მათ შეხედულებებს, ვინც (მ. კუნენცოვი და სხვ.) უმართებულოდ მიიჩნევს ასეთ სახეობრივ გამოყოფას, მიუხედავად იმისა, რომ „რომანი-ეპოპეა ეპოსის მწვერვალს და ჩვენი დროის ლიტერატურაში რეალიზმის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს“¹.

თანამედროვე რომანის ცნებით ჩვენ გამოვყოფთ თანამედროვე ფართო ეპიკური ხასიათის ნაწარმოებს, რომელსაც

¹ იქვე, გვ. 35.

¹ А. В. Чичерин. Возникн. романа-эпопеи, стр. 18—19, 35, 362.

მხატვრული ხედვის განუსაზღვრელი ჩარჩოები საშუალებას აძლევს მოიცვას ბევრი ადამიანის ბედი, გამოხატოს მთელი ეპოქები მათი ადამიანების ყოფის გრანდიოზული მასალით, სოციალური პრობლემატიკით, აღიქვას ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარე.¹

ბალზაკისათვის მისი რომანების ციკლი წარმოადგენდა მთელ ისტორიას, რომლის „თვითეული თავი რომანი იქნებოდა, ხოლო თვითეული რომანი — ეპოქა“, რომლებშიც აღიბეჭდებოდა „ბევრის ან ყველას ინტერესი“, და რომელიც „ერთსა და იმავე დროს მოიცავდა საზოგადოების ისტორიასა და კრიტიკას, მისი წყლულების ანალოზსა და მისი საფუძვლების განხილვას“²; პუშკინისათვის, როგორც ითქვა, იგი არის მთელი ეპოქის გამოხატვა, ასევე ტოლსტოისათვის — ისეთი „ქანა“, რომელიც ყველაფერს მოიცავს. თამას მანის ღრმა რწმენით „ჩვენი დროის მხატვრული გამოხატვა რომანი უნდა იყოს“².

და მართლაც, ის თავისებურებები, რომელთა მიხედვითაც ა. ჩიჩერინი ცდილობს ცალკე სახედ გამოჰყოს რომანი-ეპოპეა, დამახასიათებელია არა მხოლოდ დიდი ციკლური ტილოების, ტეტრალოგიებისა და ტრილოგიებისათვის, არამედ, საერთოდ, რომანისათვის, როგორც ლიტერატურული გვარის ნაირსახეობისათვის. ამ თვალსაზრისით, ავიღოთ, მაგალითად, ლევ ტოლსტოის რომანები, რომელთაც იმოწმებს ჩიჩერინი. იგი ხედავს განსხვავებას, ერთი მხრივ, „ომსა და მშვიდობას“, მეორე მხრივ — „აღდგომას“ და „ანა კარენინას“ შორის მასში, რომ პირველი მოიცავს დიდ საშინაო და საგარეო მასშტაბებს, მეორენი კი არ შეიცავენ ასეთ მასშტაბურობას.

ჩვენი აზრით, მასშტაბი ვერ გამოდგება რომან-ეპოპეის კრიტერიუმად.

¹ О. Бальзак. Собр. соч., т. 1, 1951 г., стр. 5—6.

² Т. Манн, Собр. соч., т. 9, 1961 г., 645.

შოლოხოვის „წყნარ დონში“, მაგალითად, არც თუ ისე თვალსაჩინოა ეს „საგარეო მასშტაბი“, მაგრამ ეს განამას უქარგავს რაიმე ღირსებას და ართმევს უფლებას იყოს „ეპოპეის“ ტიპის ერთ-ერთი თანამედროვე, უდიდესი რომანი? ან შევხედოთ ამ თვალსაზრისით კ. გამსახურდიას რომანებს „მთვარის მოტაცებასა“ და „ვაზის ყვავილობას“, „დავით აღმაშენებელსა“ და „დიდოსტატის მარჯვენას“. ზემოთხსენებული კონცეფციით, „მთვარის მოტაცება“ და „დავით აღმაშენებელი“ რომანი-ეპოპეები უნდა იყოს, ხოლო „დიდოსტატი“ — მხოლოდ რომანი. ამ ნაწარმოებთა დაკვირვებულ ანალიზს კი შეუძლია ცხადჰყოს, რომ ყველა ისინი რომანებია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთნი შეიცავენ ამბავთა უფრო ვრცელ თხრობას, მეორენი — უფრო შეკუმშულს. ერთნიც და მეორენიც წვდებიან მთელ რიგ როგორც „საშინაო“, ისე „საგარეო“ პრობლემებს, იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში ასეთ პრობლემათა განსაკუთრებულ კონცენტრაციასთან გვაქვს საქმე შედარებით ნაკლები მოცულობის რომანში („დიდოსტატის მარჯვენა“), მეორე შემთხვევაში ეს პრობლემები უფრო ფართო ფონზეა გაშლილი („მთვარის მოტაცება“)¹.

¹ თუ ჩვენ მიინც ხშირად ვიყენებთ ტერმინს — „რომანი-ეპოპეა“, ეს იმიტომ, რომ ამით გამოვხატავთ რომანის პრობლემურ-შინა-არსობრივ არსს და არა მის რაღაც ცალკე „ქანობრივ“ სახეს. გოგოლმა რომ თავის „მკვლარ სულგს“ პოემა უწოდა ან პუშკინმა რომ „ეგგენი ონიგინი“ ლექსად დაწერილი რომანის სახით მოგვეცა, ამას არსებითად არ შეუცვლია ამ ნაწარმოებთა ქანობრივი პროფილი. თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში ვრცელდება ტერმინები: „რომანი-პრობლემა“, „რომანი-დრამა“, „რომანი ლექსის ფორმით“ და ა. შ. ამ თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ „რომანი-ეპოპეის“ ცნებაც. რომანი-ეპოპეა არ შეიძლება ცალკე ენარად ან სახედ გამოიყოს, ისევე როგორც არ შეიძლება რომანისაგან ცალკე ენარად გამოვიყოს დილოგია, ტრილოგია, ტეტრალოგია. ესენი რომანის ფორმებია და არა სახეები, მით უმეტეს — არა ენარები.

ასე რომ, რომანის სახის ნაწარმოების ეპიკურ ხასიათს განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების, მოვლენათა და ადამიანთა, თანამედროვეთუ წარსული ყოფის ისეთი ხილვა, რომელიც ამ ცხოვრების მრავალ ძირითად პრობლემას ეხება და, მათსა-ღამე, ბევრი ადამიანის ბედს მოიცავს. თუ ვეშვარტ რომანთან გვაქვს საქმე, მისი პრობლემები, რა გეოგრაფიული საზღვრებითაც უნდა იყვნენ ისინი შემოფარგლულნი, საერთო-კაცობრიულის კატეგორიაში შედის.

აქ საქმე ეხება იმ ფოკუსს, საიდანაც დანახულია მოვლენა, ამ მოვლენის ეპიკური განხატების იმ ინდივიდუალურ მანერას, რომელსაც ცალკე ხელოვანი იყენებს რომანის შექმნის პროცესში. მართალია, რომ „კენძის, ფაბულისა

და მოქმედი პირების მხრივ ეპიკური რომანის მასშტაბები ყოველთვის ვრცელია, ის ვერ ეტევა ვიწრო ჩარჩოში და უკეთ შეიფერებს ხოლმე სიუჟეტის ფართოდ გაშლას“¹, მაგრამ ზოგიერთისათვის ეს მასშტაბი განსაკუთრებით ვრცელია, ზოგიერთისათვის — უფრო შეკუმშული. როცა მიუთითებენ, „რომანი უძლიერესი და ყველაზე უფრო ტევადა ქანრიოა“², მხედველობაში აქვთ არა მარტო, ვთქვათ, „დავით აღმაშენებელი“ ან „მთვარის მოტაცება“, არამედ „დიდოსტატის მარჯვენაც“ და „დიონისოს ღიმილიც“.

¹ გ. ჯიბლაძე. კრიტიკული ეტიუდები; III, 1959 წ., გვ. 245.

² კ. გამსახურდია. რჩ. თხზ., ტ. III, 1960 წ., გვ. 716.

გიორგი მერკვილაძე
ფიქრები თანამედროვე რომანზე



ღაოსტატებოს ძნელ გზაზე

„ბროწულები ცეცხლი“ ნიჰიერი ახალგაზრდა პოეტის ზურაბ კუხიანიძის პირველი წიგნი არაა, უკვე რამდენიმე წელია რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება მისი ლექსები. ამიტომ, როცა მისი ნაწარმოებების ახალ კრებულს ეცნობა, მკითხველს, ცხადია, აინტერესებს ის სიახლე, რაც კრებულში მოთავსებულ ლექსებს შეიძლება ახასიათებდეს. სიტყვა „სიახლეს“ ჩვენ ზოგჯერ ვაუფასურებთ და თითქმის ყველა წიგნის განხილვისას ვხმარობთ, მაგრამ ზ. კუხიანიძის ლექსების შეფასებას ასე იმიტომ ვიწყებთ, რომ ამ წიგნში მართლაც საგრძნობია ეს სიახლე. თუ რამდენადაა ახალი საერთოდ ქართული პოეზიისათვის ის, რაც ახალია თვით ზ. კუხიანიძის ლექსებში, — ეს უკვე სხვა საქმეა და ცალკე განსჯას მოითხოვს.

ზურაბ კუხიანიძისათვის, თუ მისი ადრინდელი ლექსების მიხედვით ვისჯელებთ, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელი იყო გულწრფელობა, პოეტური დამაჯერებლობა და უშუალობა. საჩრცენწიო კრებულში მოთავსებული ლექსებიც, თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ძირითადად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. განყოფილებაში „დაკარგული ფერები“ დაბეჭდილია პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ღეღა“, რომელიც ზემოთ თქმულ

ლის არგუმენტად გამოდგებოდა. სადა, ყოველგვარი მანერულობისაგან თავისუფალი, წრფელი და მართალი სტრიქონებით აცოცხლებს პოეტი საყვარელი ადამიანის სახეს, მაგრამ ლექსში შექმნილი სახეები მართო ოდესღაც ნანახისა და განცდილის უბრალო გახსენება როდია. პოეტის ახერხებს განაზოგადოს პიროვნული ტკივილი თუ სიხარული და მალაღმობიური ფორმით მიაწოდოს იგი მკითხველს. თუ შეიძლება ლექსს ჰქონდეს სიუჟეტი, მაშინ ამ ლექსსაც აქვს სიუჟეტი, მაგრამ ჩვენი მოსაზრების ნათელსაყოფად არ გავყვებით მის შინაარსს. ნებისმიერად მოტანილი სტროფებიც გამოდგება საილუსტრაციოდ:

„ბიბინა მოლი და ეზო წყნარი,
კუდაბრეხილი ცუგრია ძალი,
მერცხლის ბუდე და ჭრიალა კარი, —
მე ასე მახსოვს ბაბუას სახლი.
ელაბე თმები, ვით მწიფე წაბლი,
და ჩუმი, როგორც ფიქრი და სევდა,
მკრთალი თითები — სანთლები თაფლის, —
მე ასე მახსოვს მშობელი ღეღა“.

„ეზოში ხალხი, დუმილი მკაცრი“, — იხსენებს პოეტი. თეთრი ფარდები ჩამოხსნეს ფანჯრებს. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი ეფერებოდა დაობლებულ ბიჭუნას. მერე, დიდი ხნის მერე დედუღეთიდან შინ მიბრუნებულმა პა-

ტარამ საკუთარ სახლში დაინახა უცნობი ქალი, რომელიც ფანჯრებზე თეთრ ფარდებს ჰკიდებდა. „ბებოშ თქვა: იყავ დამჯერე მისი... მამამ თქვა: დედა არისო შენი“... და პატარა ბიჭი, ჩაფიქრებული და დაღონებული იხსენებს დედის ნათელ სახეს და მას უცნობ ქალს აღარებს:

„დედას სათუთი თითები ჰქონდა და იყო ჩუმი, ვით ჩიტი ღამით“.

კარგი შედარებაა; პოეზიის შუქით განათებული ეს ერთი ლექსიც საკმარისია ზ. კუხიანიძის ნიჭიერების დასტურად. ჩვენ ასე დეტალურად საგანგებოდ განვიხილეთ ეს ლექსი. გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ ნაწარმოებზე. მისი სათაურია „ფოთლები“.

„ეპ, წყაროვ, ნეტავ არ შესმინა შენი ჩხრიალი“,

ფიქრობს კაკლის ძირას გარინდებული, სიკვდილის ლოდინით გადაღეული ბერიკაცი. ფიქრობს და გაჰყურებს ჩამავალ მზეს. დამდება კიდევ ერთხელ. თავდება კიდევ ერთი დღე და მოხუცის სული ივსება სინანულით იმის გამო, რომ ამ ღამეზე სოფელს ბოლო აქვს, რომ მისი დღეც უნდა დამთავრდეს და ისიც, ადრე თუ გვიან, უნდა გამოემშვიდობოს ამ მშვენიერ ქალებს, მთასა და ღრუბელს, მშობლიურ კუთხეს და საყვარელ ადამიანებს.

„ზის კაკლის ძირას მოხუცი და ჩიბუნს აბოლებს, თვალმოჭუტული გადაჰყურებს ბაღს და ვენახებს...“

მზე ჩადის, ჩადის, ეფარება ცისფერ მთა-გორებს...

„ეპ, მთებო, ნეტავ არასოდეს არ დამენახეთ!...“

მოხუცის ამ სინანულში ჩანს სიცოცხლისადმი მგზნებარე სიყვარული, მაგრამ იგი შიშველი, დეკლარაციული ფორმით კი არაა გამოთქმული, არამედ შესაფერი პოეტური სამოსელი აქვს მოძებნილი.

იქნებ ამ ორი ლექსის განხილვისას მკითხველს ტენდენციური მოვეჩვენეთ, იქნებ გადაჰარბებულად მოეჩვენოს მაღალი შეფასება, ეპითეტები და კეთილი სიტყვები, რომელსაც არ ვიშურებდით, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო ერთი რამ: ამ წერილის მკითხველისათვის გვეგრძობინებინა ის რწმენა, რომლითაც ჩვენ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით შესაძლებლობას ვეკიდებთ. მაგრამ ჩვენი ამგვარი განწყობილება როდი ნიშნავს, რომ თვალს მოვხუშავთ ნაკლსა და ხარვეზზე, რაც ზ. კუხიანიძის ამ კრებულს გააჩნია, სწორედ მის შესაძლებლობებსა და პოეტურ ენერგიაში დარწმუნებულნი, უფრო მკაცრნი უნდა ვიყოთ პოეტის მიმართ, ვუჩვენოთ, მიეუთითოთ და დაეარწმუნოთ, რომ მისი პოეზია ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან, და თუ შევძელით, კიდევ უნდა მივანიშნოთ გზებსა და საშუალებებზე, რომლის წყალობითაც იგი ამ ნაკლოვანებებისაგან თავის დაღწევას შესძლებს.

წერილის დასაწყისში ჩვენ ვწერდით, რომ ზ. კუხიანიძის „ბროწეულების ცეცხლი“ შეიცავს ერთგვარ სიახლეს. ამასთან გვინდა კიდევ გავიმეოროთ იქვე გამოთქმული მოსაზრება, რომ ის, რაც შეიძლება სიახლე იყოს პოეტის შემოქმედებაში, ყოველთვის როდი ნიშნავს ახალსა და ორიგინალურს საერთოდ ქართული პოეზიისათვის. სარეცენზიო წიგნში შენიშნული სიახლე, რომლითაც იგი პოეტის ადრინდელი ნაწარმოებებისაგან განირჩევა, ჩვენ სწორედ ამგვარ სიახლედ გვესახება. პოეტი იზრდება, ეფუყადება, იხვეწება პოეტური ტექნიკა, მრავლდება გამოსახვის საშუალება, მდიდრდება ლექსიკური მარაგი, გროვდება ცხოვრებისეული გამოცდილება. და საეგებოთ ბუნებრივია, თუ ის, რაც დღეს დასწერა პოეტმა, ბევრად სჯობს მის მიერვე გუშინ დაწერილს. ჩვენც სწორედ ის

ფაშა ციციაშვილი
დაოსტატების ძნელ გზაზე



სიასლე გეკომდა მხედველობაში, რაც ზ. კუხიანიძის ადრინდელ ლექსებს განასხვავებს კრებულში შეტანილი ნაწარმოებებიდან.

მას ასე: მიუხედავად უდავო ღირსებულისა, ზ. კუხიანიძის აღნიშნულ კრებულს ახასიათებს ბევრი ნაკლი, მათი აღნიშვნა ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

„ბროწეულების ცეცხლს“ წინ უძღვის მცირე ანოტაცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მრავალფეროვანია ზ. კუხიანიძის ლექსების თემატიკა. მკითხველის თვალწინ გაიფლავებს რევოლუციური კუბა, განახლებული სვანეთი, ინდუსტრიული ქუთაისი, იმერეთის ახალი სოფლები...“ და სხვ.

ზ. კუხიანიძის თემატიკა მართლაც მრავალფეროვანია, მაგრამ ამ თემების გადაწყვეტა, მათი გახსნაც როდია ყოველთვის მრავალფეროვანი. პირიქით, იგი ხშირად ერთფეროვანია. მაგალითად, განვიხილოთ ლექსი „კუბაში გასაგზავნი წერილი“. მას მხოლოდ პირობითად თუ დავარქმევთ ლექსს, რადგან მართლაც წერილია, ამასთან საკმაოდ ცუდად გალექსილი:

„კუბა თავის გზით ივლის,
სულ რომ წყალი სვას პეშვით, (?)
ღველფი ჯერ კიდევ ღვივის
სიერა მაესტრეს მთებში.
თქვენ, ჰაბუკებო კუბის,
თვალში რომ გიკრთით ელვა,
ო, როგორ მინდა, შუბლი
რომ დაგიკონთო ყველას.
წიგნის და ცარცის ნაცვლად
თოფი გიპირათ ხელში...“

მოხდა საოცარი რამ: ზ. კუხიანიძემ, ბევრი კარგი პოეტური ნაწარმოების ავტორმა, უცებ დაივიწყა, რომ პოეზია სახეებით აზროვნებაა. სწორედ ამიტომ გამოუვიდა მას ლექსის ნაცვლად პათეტიკური, ყოველგვარ პოეტურობას მოკლებული სტრიქონები. თემის აქტუალობა კი არ ათავისუფლებს, არამედ პირიქით, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს, რადგან ასეთ თემებზე ბევრი წერს და ყველა უნდა ცდილობდეს, რაღ შეიძლება ორიგინალური და თა-

ვისებური გადაწყვეტა მოუძებნოს მას. ზ. კუხიანიძის წიგნი საკმაოდ მოზრდილი კრებულია. გვინდა გულწრფელად ვუთხრათ ავტორს, რომ წიგნში შეტანილი 60-მდე ლექსისათვის რამდენიმე არაფრისმთქმელი ნაწარმოები რომ გამოეკლო, კრებული უსათუოდ მოიგებდა. ასეთ „ზედმეტ“ ლექსებად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად, „უცნაური ხალხი“, „შაპ-აბასის გახსენება“, „ბროწეულა“, „ჩვენი მიწის სურნელი“ და ზოგიერთი სხვა. ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

„კაცის თვალი როგორია,
არ იცოდი აქამდე...
ახლა, ჩემო გოგონა,
თითქმის,
თითქმის დაქალდი.
და ბიჭებთან წარამარა
ნუ ხტი სათამაშოდა,
შენი ჰრელი საჩაფანა
მუხლის თავებს ამორდა...“

ან კიდევ:

„ჩიბი მხარეს მოჩანს შენი ეზო-ველი,
ჩემი ეზო აქით ძვეს.
გოგოვ, გოგოვ, თუ ხარ ჩემი მეზობელი,
შეიბნეი საკინძე...“

ძნელია ასეთი ყალბი, ბანალური სტრიქონებით მკითხველის გულის მოგება, მკითხველისა, რომელიც შეეჩვია დიდი ეპოქალური მოვლენების ხილვას, კოსმოსის დამპყრობთა გმირობასა და მამაცობას, ჩვენი ქვეყნის განუხრელ წინსვლას. პოეტმა, რომელიც ჩვენს ყოფასა და ხასიათში მომხდარ დიდ ცვლილებებს ითვალისწინებს, უბრალოდ აღარ უნდა დაკარგოს დრო ამის დასაწერად, ხოლო თუ მაინც დასწერა, მკითხველის სამსჯავროზე მაინც აღარ უნდა გამოიტანოს მსგავსი „საალბომო“ სტრიქონები.

ლექსი „უჩემოდ“, მართალია, ამგვარი ბანალური ადგილებიდან თავისუფალია, მაგრამ პოეტური ფერწერის, ხატოვანების თვალსაზრისით უარესი თუა, თორემ უკეთესი არა:

სიასლე გვექმნა მხედველობაში, რაც ზ. კუხიანიძის ადრინდელ ლექსებს განასხვავებს კრებულში შეტანილი ნაწარმოებებიდან.

მამ ასე: მიუხედავად უდავო ღირსებებისა, ზ. კუხიანიძის აღნიშნულ კრებულს ახასიათებს ბევრი ნაკლი, მათი აღნიშვნა ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია.

„ბროწეულების ცეცხლს“ წინ უძღვის მცირე ანოტაცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მრავალფეროვანია ზ. კუხიანიძის ლექსების თემატიკა. მკითხველის თვალწინ გაიღვებებს რევოლუციური კუბა, განახლებული ხვანეთი, ინდუსტრიული ჭუთაისი, იმერეთის ახალი სოფლები...“ და სხვ.

ზ. კუხიანიძის თემატიკა მართლაც მრავალფეროვანია, მაგრამ ამ თემების გადაწყვეტა, მათი გახსნაც როდია ყოველთვის მრავალფეროვანი. პირიქით, იგი ხშირად ერთფეროვანია. მაგალითად, განვიხილოთ ლექსი „კუბაში გასაღზავნი წერილი“. მას მხოლოდ პირობითად თუ დავარქმევთ ლექსს, რადგან მართლაც წერილია, ამასთან საკმაოდ ცუდად გალექსილი:

კუბა თავის გზით ივლის,
სულ რომ წვალი სვას პეშვით, (?)
ღველფი ჯერ კიდევ ღვივის
სერა მესტრეს მთებში.
თქვენ, ჰაბუკებო კუბის,
თვალში რომ გიკრთით ელვა,
ო, როგორ მინდა, შუბლი
რომ დაგიკონოთ ყველას.
წიგნის და ცარცის ნაცვლად
თიფი გიკირაეთ ხელში...“

მოსდა საოცარი რამ: ზ. კუხიანიძემ, ბევრი კარგი პოეტური ნაწარმოების ავტორმა, უცებ დაივიწყა, რომ პოეზია სახეებით აზროვნებაა. სწორედ ამიტომ გამოუვიდა მას ლექსის ნაცვლად პათეტიკური, ყოველგვარ პოეტურობას მოკლებული სტრიქონები. თემის აქტუალობა კი არ ათავისუფლებს, არამედ პირიქით, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს, რადგან ასეთ თემებზე ბევრი წერს და ყველა უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება ორიგინალური და თავისებური გადაწყვეტა მოუძებნოს მას.

ზ. კუხიანიძის წიგნი საკმაოდ მოზრდილი კრებულია. გვინდა გულწრფელად ვუთხრათ ავტორს, რომ წიგნში შეტანილი 60-მდე ლექსისათვის რამდენიმე არაფრისმთქმელი ნაწარმოები რომ გამოეკლო, კრებული უსათუოდ მოიგებდა. ასეთ „ზედმეტ“ ლექსებად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად, „უცნაური ხალხი“, „შაპ-აბასის გახსენება“, „ბროწეულა“, „ჩვენი მიწის სურნელი“ და ზოგიერთი სხვა. ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

„კაცის თვალი როგორია,
არ იცოდი აქამდ...
ახლა, ჩემო გოგონა,
თითქმის,
თითქმის დაქალი.
და ბიჭებთან წარამარა
ნუ ხტი სათამაშოდ,
შენი ჭრელი სარაფანა
მუხლის თავებს ამორდა...“

ან კიდევ:

„ჩეთ მხარეს მოჩანს შენი ეზო-ველი,
ჩემი ეზო აქით ძეგს.
გოგო, გოგო, თუ ხარ ჩემი მეზობელი,
შეიბნე საყინძე...“

ძნელია ასეთი ყალბი, ბანალური სტრიქონებით მკითხველის გულის მოგება, მკითხველისა, რომელიც შეეჩვია დიადი ეპოქალური მოვლენების ხილვას, კოსმოსის დამპყრობთა გმირობასა და მამაცობას, ჩვენი ქვეყნის განუზრეულ წინსვლას. პოეტმა, რომელიც ჩვენს ყოფასა და ხასიათში მომხდარ დიდ ცვლილებებს ითვალისწინებს, უბრალოდ აღარ უნდა დაკარგოს დრო ამის დასაწერად, ხოლო თუ მაინც დასწერა, მკითხველის სამსჯავროზე მაინც აღარ უნდა გამოიტანოს მსგავსი „საალბომო“ სტრიქონები.

ლექსი „უჩემოდ“, მართალია, ამგვარი ბანალური ადგილებისაგან თავისუფალია, მაგრამ პოეტური ფერწერის, ხატოვანების თვალსაზრისით უარესი თუა, თორემ უკეთესი არა:

„უჩემოდ ქოჩორს ყვაილებით იჭრლებენ,
სვანეთის მთებში ხეებს კრიაან

ტყისმჭრელები.

ხეს აშშვლებენ — ნაჯახია ღია ცივი, —
ხე ენგურს მკერდში უგორდება ღიაცივით.

უჩემოდ ჩნდება ქალაქები ტაივამი,
მშენებლებს მთებიც ტაშს უკრავენ, — აი,

ტაშში

მწგრეველი შრომობს მღაროში, ვითა ლომი,
და ლღუშებით ინგრევიან პიტალონი“.

ვეფქრობთ, კომენტარის გარეშეც ნა-
თელი უნდა იყოს, რომ მარტო თემის
აქტუალობა და შრომის ხაზგასმული
პათოსი ვერ უშველის ლექსს, თუ შიგ
თავის ადგილზე არაა პოეტური აქსესუ-
არი, თუ არ ვარგა რითმა, და თუ, ბო-
ლოს და ბოლოს, პათოსიც ყალბია.

პოეტი ხშირად სცოდავს ენობრივად,
ხმარობს კუთხურ გამოთქმებს, ამახინ-
ჯებს ენობრივ ნორმებს. მაგალითად,
თითისტარის ნაცვლად წერს „ჩერას“,
ასევე თამამად ხმარობს აგრეთვე „ჩაუკ-
რისა“ (სწორია — ჩაუკრავს). ერთგან
ზ. კუხიანიძე წერს:

„მე იცნობ ხელებს, მზით და ქარით
კანაქერცილებს:

მესაქვს, მკედელს, მხნელს და მთევსელს,
ხეს რომ აცურებს“...

ეჭვი არ გვეპარება, ავტორს უნდოდა
ეთქვა, რომ იცნობს მესაქვის ხელებს,
მკედლის ხელებს და ა. შ. მაგრამ გამო-
ვიდა, რომ იგი იცნობს ხელებს და ეს
ხელებია: მესაქე, მკედელი, მხნელი და
ა. შ. არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ
ავტორმა იცის, რას ნიშნავს სიტყვა
„მთევსელი“, მაგრამ მან რატომღაც
სწორედ ამ სიტყვას დაუკავშირა ფრაზა
„ხეს რომ აცურებს“. ყველაფერი ეს კი
გამოიწვია ახალგაზრდა პოეტის უდიერ-
მა დამოკიდებულებამ მისი ერთადერთი
იარაღის — სიტყვისადმი.

ერთგან პოეტი, ზურგიკლა რომ გა-
ბრითმოს, წერს:

„წლები, წლები შფოთიანად
სულ ჩარიგდნენ ურიკებად“.

მაგალითების მოტანა კიდევ შეიძ-
ლება, მაგრამ ნათქვამის ნათელსაყო-
ფად ესეც საკმარისია. ყოველი მწერა-
ლი და მით უმეტეს ნიჭიერი კაცი
მთელი პასუხისმგებლობით უნდა ეკი-
დებოდეს მის წინაშე დასახული ურთუ-
ლესი ამოცანის გადაჭრას.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვა-
ნელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და
ხელოვნების მოღვაწეებთან ყურადღე-
ბის ცენტრში იყო საბჭოთა ლიტერა-
ტურის შემდგომი განვითარების საკით-
ხები.

ჩვენი მწერლობა მიწოდებულა ეპო-
ქის შესაფერისად ასახოს საბჭოთა სი-
ნამდვილე, ახალი, ღირსშესანიშნავი ნა-
წარმოებებით გაამდიდროს მშობლიური
ლიტერატურა. ყოველ კარგ წიგნს
წვლილი შეაქვს ჩვენს საერთო საქმეში,
კომუნისტების მშენებელი ადამიანის მო-
რალურად ჩამოყალიბებასა და მისი
გემოვნების დახვეწაში.

სწორედ ამიტომ ჩვენი მომთხოვნი
მკითხველი გულგრილი ვერ იქნება უმ-
ცირესი ხარვეზის მიმართაც კი, რაც
წიგნს და, მით უმეტეს ჯერ კიდევ
ზრდისა და დაგეჟკაცების ხანაში მყოფი
მწერლის წიგნს შეიძლება გააჩნდეს.
ჩვენი გულღია საუბარიც მხოლოდ კე-
თილი სურვილებით იყო ნაკარნახევი.
„ბროწულების ცეცხლი“, ჩვენი აზრით,
ჯერ კიდევ ნელი პოეტური ცეცხლია,
რომელსაც გაღვივება ესაჭიროება. მეტ
მოვლას, შრომასა და ყურადღებას
მოითხოვს. მისი განხილვისას იქნებ
ზოგჯერ გადავაჭარბებთ, იქნებ ხშირად
ზედმეტად მკაცრიც ვიყავით, მაგრამ
ჩვენ გვინდოდა გულწრფელად გვეთქვა
ჩვენი აზრი პოეტისათვის, რადგან ზუ-
რამ კუხიანიძე ნიჭიერ კაცად მიგვაჩნია
და გვწამს, რომ მისი ახალი ლექსები
მეტ სიხარულს მოუტანს ქართველ
მკითხველს.

ფაშა ციციაშვილი
დაოსტატების ძნელ გზაზე



შახნაოზ დახიაშვილი

ნათელა იანჭოშვილი

თანამედროვე ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში ნათელა იანჭოშვილის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მხატვრის შემოქმედება აღზემდელია დაძაბული ძიებით, ქეშმარიტი მღელვარებით, დახვეწილი გემოვნებით. ხატვის თავისებურ მანერასთან და საკუთარი ხედვის უნართან ერთად მისთვის დამახასიათებელია გასაოცარი ნაყოფიერება.

1960 წელს საქართველოს მხატვართა გალერეაში, ხოლო 1961 წელს ხელოვანთა კლუბში მოწყობილი ნათელა იანჭოშვილის პერსონალური გამოფენები მისი დიდი პოტენციური შესაძლებლობის ნამდვილი დადასტურება იყო. ამ გამოფენების ექსპოზიციის სანახაობითი მომხიზველელობა განაპირობა ნამუშევართა შესრულების მაღალმა ხარისხმა. ამ წარმატებათა შედეგად 1962 წელს ნათელა იანჭოშვილს საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

ნ. იანჭოშვილი განსაკუთრებით ძლიერია პორტრეტულ ჟანრში. მისი ამ სახის ნამუშევრები ფერთა ცოცხალი კონტრასტებითა და პარმონიით გამოირჩევა. „ნუნუ გელდიაშვილის პორტრეტი“ ჩვენი აზრით ქართული პორტრეტული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია.

„ირმა ჩოფიაშვილის პორტრეტში“ ფერების უმნიშვნელო კომბინაციათ მხატვარი გამომსახველობის მაქსიმალურ ეფექტს აღწევს. მონუმენტურობა და ღრმად ემოციური კოლორიტი სურათს მთლიანობას ანიჭებს.

მხატვარი თავისუფლად აგებს კომპოზიციას, ნახატში დიდი გემოვნებით ანაწილებს შუქ-ჩრდილებს, განსაკუთრებული ოსტატობით ახამებს ერთმანეთთან მწვანე, შავ და ყვითელ ფერებს.

ნათელა იანჭოშვილის მიერ შესრულებული პორტრეტებისათვის დამახასიათებელია დიდი შინაგანი სიმართლე და სისადავე. ამიტომაც მნახველს დადხანს ამახსოვრდება ეს ნამუშევრები. მხატვარი საუცხოოდ იმორჩილებს მასალას, მის სურათებში მაღალი ტექნიკა შესანიშნავადაა შეხამებული მძაფრ, პოეტურ ტემპერამენტთან.

ფერწერის კანონების შესწავლა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მთავარია ამ კანონების კარგად გამოყენება; ეს დიდ პრაქტიკასთან და ნიჭთან ერთად ზომიერების დიდ გრძნობასაც მოითხოვს.

არანაკლებ საინტერესოა ნათელა იანჭოშვილი, როგორც გრაფიკოსი. მხატვრის გრაფიკული ნამუშევრებიც მკვეთრი ინდივიდუალობით გამოირჩევა. დიდი წარმატება ხვდა წილად ნ. იანჭოშვილის ნახატებს, შესრულებულს სვა-



★
საქართველოს
ნაციონალური
ბიბლიოთეკა
★
ნათელა იანჭოშვილი
★
სამედიცინო
ფაკულტეტი

ნეთის თემებზე. სვანურა ციკლიდან გამოირჩევა „სიმღერა ჭუნირზე“, „სვანები“, „ვეშაგვ“, „გოშგოთი“ და სხვ.

ამ ნაწარმოებებში შესანიშნავადაა გადმოცემული საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის კოლორიტი, რაც მასალის ხასიათითა და ეთნოგრაფიული თავისებურებით არის ნაკარნახევი. მხატვარი ოსტატურად ახერხებს ძლიერი ნებისყოფის ადამიანების სახეთა შექმნას. ნ. იანჭოშვილის ეს შთამბეჭდავი გრაფიკული ნამუშევრები მისი ფერწერული პორტრეტების მხატვრულ დონეს უახლოვდება. მხატვრის უღაგო ღირსებაა გამომსახველობითი ხერხების სიუხვე.

განსაკუთრებით ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი გამოდგა ნათელა იანჭოშვილისათვის ერთთვიანი მოგზაურობა (1961 წ.) კუბასა და მექსიკაში. მხატვრის საზღვარგარეთული ციკლი მისი ახალი შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამ ნაწარმოებებში თვალსაჩინო გახდა ნ. იანჭოშვილის კადევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება: მეტად მეტყველი და ლაკონური ხაზი, ურომლისოდაც ნამდვილი გრაფიკა წარმოუდგენელია.

კუბური ციკლის ნახატებისათვის მხატვარს ღრმად ეროვნული შტრიხები მოუნახავს. აქ ჩვენ ვხვდებით მოცეკვავეთა შესანიშნავ ფიგურებს, სახალხო რევოლუციური მილიციის მებრძოლებსა და სხვ. მისთვის ჩვეული ოსტატობით შეუსრულებია მხატვარს კუბელი ხალხის გმირის ფიდელ კასტროს პორტრეტი. პორტრეტში ნათლად ჩანს ამ შესანიშნავი ბიროვნების ვაჟკაცური ბუნება და უტეხი ნებისყოფა.

ნათელა იანჭოშვილს თავისი დაუღალავი ძიებითა და მადლიანი ფუნჯით დიდი წვლილი შეაქვს თანამედროვე ქართული კულტურის განვითარებაში.



შოთა ხანთაძე

მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში

მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლად დასავლეთ ევროპაში სამართლიანად ითვლება გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი მარი ფელისიტე ბროსე (1802—1880). გასული საუკუნის 20-30-იან წლებში მარი ბროსემ თავისი შესანიშნავი ნაშრომებით ქართველოლოგია ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა და დიდად შეუწყო ხელი მის შემდგომ განვითარებას. «Он положил в Европе — წერდა ბროსეს შესახებ აკადემიკოსი ნ. მარი — серьезное начало учебным пособиям для изучения грузинского языка: грамматикам, хрестоматиям, словарям. Он сделал доступным европейцам в переводах и пересказах большинство памятников грузинской светской литературы, как древней, так средневековой... Броссе не только наметил впервые, но в значительной степени разрабатал почти весь цикл дисциплин грузинской исторической науки».

ასეთივე აზრის იყო მ. ბროსეს შესახებ აკად. ვ. ვ. ბარტოლდი.

ქვემოთ ჩვენ გავცნობით ბროსეს იმ ნაშრომებს, რომელმაც ევროპაში საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ ქართველოლოგიას. მანამდე გვინდა შევეხოთ იმ პირობებს, რომელიც წინ უძღოდა

დასავლეთ ევროპაში მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენებას.

ადრეულ საუკუნეებში დასავლეთის ქვეყნებში გროვდებოდა უამრავი აღწერილობითი ცნობები საქართველოზე. აღწერილობითი ლიტერატურა, რომელთა ავტორები აღმოსავლეთის ქვეყნებში ნაყოფი ელჩები, მისიონერები, ვაჭრები თუ მოგზაურები იყვნენ, ხშირ შემთხვევაში შეიცავდა საყურადღებო მეცნიერულ დაკვირვებებს; ამდენად ეს ლიტერატურა ემსახურებოდა მეცნიერული ქართველოლოგიის ჩამოყალიბებას.

მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენებისათვის დასავლეთ ევროპაში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ისტორიული ძეგლების თავმოყრას ევროპის ზოგიერთ პუნქტში. ასეთი მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი, მოიპოვებოდა რომში, ვატიკანში, ვენაში, ვენეციკში, პარიზში და სხვა ადგილებში.

დაბოლოს, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები განსაკუთრებით დაინტერესდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებით, გაცხოველდა მათ შორის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო ორიენტალისტიკის განვითარებას, კერძოდ, ქართული ენით შემდგომ დაინტერესებას.

ყოველივე ამან განაპირობა მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში ქართველოლოგიის მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება. გვიანდა მკითხველს გავაცნოთ ის მასალები, რომლითაც ისარკებლა ბროსემ თავის ქართველოლოგიურ შრომებში.

ჩვენს ისტორიკოსებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ საქართველოს შესახებ დასავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე შექმნილი მასალები. ამ მასალებზე 1837 წელს ცნობარი გამოაქვეყნა თვით მარი ბროსემ. ევროპულ ცნობებს საქართველოს შესახებ, თუ ევროპელ მეცნიერთა მიერ ქართული ენის შესწავლის ცალკეულ ცდებს ეხებიან აგრეთვე გ. ყაზბეგი, ალ. ცაგარელი, დიმ. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, მ. თამარაშვილი, ალ. ხახუნაშვილი და სხვა ავტორები. იგივე საკითხები ჩვენს დროში საინტერესოდ გააშუქეს: ს. ჯანაშიამ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ე. თაყაიშვილმა, ზ. ავალიშვილმა, ს. კაკაბაძემ, პ. პოლიქტოვმა, თ. მაჭავარიანმა, ბ. ვიორგაძემ და სხვა ავტორებმა. ევროპელი ავტორების ცნობები საქართველოზე ბოლო ხანებში ევროპის ქვეყნებისა და ევროპული ლიტერატურის ისტორიკოსთა ყურადღების საგანიც გახდა (გ. ჟორდანი, შ. რევიშვილი და სხვ.).

როცა ევროპელ ავტორთა ცნობებზე და ევროპულ ქართველოლოგიაზე ვლპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს შუა და ახალი საუკუნეების ევროპა, რომელიც რომის იმპერიის ნანგრევებზე წარმოიშვა და რომელშიც თანამედროვე ევროპის ერები განვითარდნენ. ამჟამად ჩვენ არ შეგვიხებიათ ძველ ბერძნულ და რომაულ ცნობებს საქართველოზე. მათი შინაარსი, მნიშვნელობა და ხასიათი კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისათვის.

ცნობები საქართველოს შესახებ შუა საუკუნეების ევროპულ ქრონიკებში ჯვაროსანთა ლაშქრობების დროიდან ვხვდებით. ჯვაროსნულმა ომებმა ერთგვარად გავრცეის შუა საუკუნეთა

ევროპის ზღუდეები და მისი ხალხები აღმოსავლეთის ქვეყნებთან დააკავშირეს. ევროპელმა რაინდებმა ქართველები თურქ-სელჯუკებთან ძლევამოსილი ბრძოლის დროს გაიცნეს და სწორედ ამიტომ მათ ცნობებში (გოტიე, ასნელიუსი, დებუა, ეაკ დე ვიტრი, ვილჰელმ ტვირელი...) საქართველო წარმოგვჩინდა ქრისტიანული სამყაროს ავანპოსტად აღმოსავლეთში მაჰმადიანური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქრისტიანული დასავლეთი იმედითა და თანაგრძნობით აღვივებდა თვალს საქართველოს ბრძოლას სელჯუკური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ქართველთა წარმატებებით აღფრთოვანებული რაინდი დებუა მომხდარ ფაქტად სთვლიდა ქართველთა იმდროინდელ ზორცმეუხსხამ განზრახვას — იერუსალიმის გათავისუფლებისათვის ლაშქრობას...

მალე ამის შემდეგ საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. რომის პაპთან მიმოწერას დახმარების შესახებ შედეგი არ მოჰყოლია. ევროპაში კარგახანს არ იცოდნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში შექმნილი ვითარება. ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, რა თქმა უნდა, საქართველოს მდგომარეობაზედაც.

მაგრამ მე-13 საუკუნეშივე აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნილი მისიონერები და ელჩები თანდათანობით ავსებდნენ ამ ხარეხს. საქართველოში მოღვაწე მისიონერების — იაკობ როგსანელის (1223—1224 წწ.), ივანე მონთეკორბინელის (1289 წ.) და განსაკუთრებით კი ივანე ფლორენციელის (მე-14 ს. 20-იანი წლები) რეალაციები ცატიკანის არქივში გროვდებოდა. ცნობები საქართველოზე ევროპაში ჩაიტანეს ელჩებმა და მოგზაურებმა: პლანო კარპინიმ, მარკო პოლომ, რუბრუკისმა... თურქ-ოსმალთა გაძლიერებას მე-15-16

შოთა ხანთაძე

მეცნიერული ქართველოლოგიის აღმთქმნების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში

საუკუნეებში მოპყვა ელჩებისა და მოგზაურების ახალი ტალღა აღმოსავლეთში. თურქეთის მზარდი ძლიერებით შეფიფოთებული ევროპა მოკავშირეს ეძებდა მტრის ზურგში და ესპანელი, ვენეციელი თუ გერმანელი ელჩები ხშირი სტუმრები იყვნენ თემურ-ლენგის, უშუნ-პასანის და შამ-აბაზის კარზე.

ამავე ხანებში ი. გუტენბერგის გამოგონებამ ამ ელჩების ჩანაწერები ხელმისაწვდომი გახადა ევროპელი მკითხველისათვის.

თუმცა ყველაზე ადრე გამოქვეყნებული წიგნი არც ელჩს ეკუთვნოდა და არც მისიონერს. 1460 წელს აუსბურგში დაბეჭდილი მემუარების ავტორი იყო იოანე შილტბერგერი (1381—1440), 20 წლის განმავლობაში ჯერ თურქებისა და შემდეგ თემურისა და თემურიდების ტყვეობაში ნამყოფი ბავარიელი რაინდი, რომელსაც თავის დამატყვევებლებთან ერთად გაუვლია საქართველოზე და მემუარებში შეუტანია ცნობა, რომ საქართველო ქრისტიანებით დასახლებული ქვეყანაა, რომ ქართველები საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ და არიან ძალიან მამაცნი.

იმავე საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა ვენეციელი ელჩისა და მოგზაურის ამბროჯო კონტარინის ნაშრომი; წიგნი ასახავდა იმ დიდ ხიფათებსა და შიშს, რაც ავტორს განუცდია საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს. კონტარინი კმაყოფილი იყო, რომ უვნებლად გააღწია საქართველოდან. მე-15 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური დაშლის ხანას წარმოადგენდა და აღსავსე იყო განუწყვეტელი და დაუნდობელი შინაომებით. კონტარინი აღნიშნავდა, ქართველები ქრისტიანები არიან და ბერძნულ რწმენას აღიარებენო.

მე-16 საუკუნეში ქვეყნდება ძველ და ახალ მოგზაურობათა აღწერების რამდენიმე კრებული, რომლებშიც საქართველოზე ცნობების შემცველი ნაშრომებიც შევიდა. 1541 — 1543 წწ. ანტონიო მანუჩიოს მიერ შედგენილ კრებულში გამოქვეყნდა კონტარინისა და

იოსაფა ბარბაროს ჩანაწერები. ათიორდე წლის შემდეგ ჯიოვანი რამუსიო თავის კრებულში ამ ავტორებთან ერთად აქვეყნებს მარკო პოლოს, ძენო კატარინოს და ანჯიოლულოს ჩანაწერებს, ხოლო საუკუნის დამლევს ლონდონში პანკლითის კრებულში ქვეყნდება რუბრუკისის მოგზაურობის დღიური (1589 წ.). მარკო პოლოსა და რუბრუკისის შრომებიდან ევროპელი მკითხველი ვაიგებდა, რომ საქართველო ოდესღაც ძლიერი სახელმწიფო იყო, შემდეგ იგი მონღოლებმა დაიპყრეს, მაგრამ ხალხის მთლიანად დამორჩილება ვერ შესძლეს. ქართველები ხარკს უხდიდნენ მონღოლებს, მაგრამ აჯანყებისათვისაც ემზადებოდნენ. ქართველთა დედაქალაქია თბილისი, ლამაზი და მდიდარი ქალაქი, ხალხი მისდევს მიწათმოქმედებას, ვაჭრობას, ხელოსნობას... ქვეყანა მთავორიანია და ციხე-სიმაგრეებითაა მოყვნილი. ქართველები ძალზე ლამაზი და მამაცი ხალხიაო — წერდა მარკო პოლო.

ასევე სიმპათიით აღწერდა საქართველოს ბარბაროც. ეს მშვენიერი ქვეყანაა — წერდა იგი — დიდძალი ხილით, პურით, ღვინით და საქონლით. მცხოვრებნი ტანმალაღნი და ლამაზნი არიან, ქვეყანა მთავორიანია და ტყიანი...

ძირითადად ასეთივე ხასიათისაა თემურ ლენგთან გაგზავნილი კასტილიელი ელჩის რუი გონზალეს დე კლავიხოსა და გერმანიის ელჩის სტეფანე კაჟაშის მდივნის იაბელ-გეორგ ტექტანდერის ცნობები საქართველოზე. „ქართველები შესანიშნავი აღნაგობის ხალხია — ვკითხულობთ დე კლავიხოს მემუარებში — ლამაზი შესახედაობისა. მათი რწმენა ბერძნულია, ენა კი საკუთარი აქვთ“. ტექტანდერს კი მოეპოვება კახეთის მეფე ალექსანდრე I-თან შეხვედრის ცნობა. ალექსანდრე კახთა მეფეს სურვილი გამოუთქვამს, დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებია გერმანიის იმპერატორ რუდოლფ II-თან.

ცნობებს საქართველოზე მკითხველი იპოვიდა აგრეთვე ამავე ხანებში თომა-

ზო მინადლოსთან, დონ ზუან დე პერსაიასთან, ანტონიო გოვეიასთან და სხვებთან, ირანსა და თურქეთზე დაწერილ ნაშრომებში.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მე-13-16 საუკუნეების ევროპული ლიტერატურა საქართველოზე მაინცადამაინც მდიდარ და მრავალფეროვან ცნობებს არ შეიცავს. იგი ევროპელ მკითხველს საქართველოზე, მის მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას ვერ შეუქმნიდა. ევროპის სახელმწიფოებს იმ ხანებში სხვა, უფრო მნიშვნელოვანი გარემოება აწუხებდა; მონღოლებისა და განსაკუთრებით კი თურქ-ოსმალების გაძლიერებითა და მათი აგრესიით შემოფარებული ევროპის ქვეყნები აღმოსავლეთში მოკავშირეებს ეძებდნენ, ისინი ირანს აპყრობენ მზერას და მასთან გზავნიან ელჩებს, რომლებიც საქართველოს მხოლოდ გავლით ეცნობიან. სწორედ ამით აიხსნება საქართველოზე მათი ცნობების სიღარიბე.

ამ ვითარების ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ქართული ენის შედარებითი შესწავლის ერთ-ერთი უადრესი ცდის მარცხი. მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ფრანგმა პოლიგლოტმა გულიომ პოსტელმა სცადა შეესწავლა და დაეხასიათებინა ქართული ენა, რომელსაც იგი თურქეთში გაეცნო. 1538 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი აღმოსავლური ენების შესახებ. ნაშრომში ერთი თავი ქართულ ენას აქვს დათმობილი. იქვე დაბეჭდილია „ქართული ალფაბეტი“, რაც სინამდვილეში ქართული ბგერების ბერძნული ტრანსკრიპციაა. პოსტელს, როგორც ჩანს, ცუდი ინფორმაციები ჰყავდა, თითონ ქართული არ იცოდა და ვერც მისი მართებული დახასიათება შესძლო. პროფ. ლ. მელიქსეთბეგი პოსტელის ამ ნაშრომს სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებს ევროპაში ქართული ენის შესწავლის „პრეისტორიას“. „პრეისტორიას“ მიეკუთვნება აგრეთვე იმავე ეპოქის მეორე პოლიგლოტის, ამბროსიო თეზეს ზედაპირული საუბარი ქართული ენის შესახებ.

თუმცა ამ მხრივ აღნიშნულ ეპოქაშივე მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. კონსტანტინეპოლში გერმანიის ელჩის ზიტცენდორფის მდივანმა სოლომონ შვაიგერმა 1608 წ. ნიურნბერგში გამოაქვეყნა წიგნი. წიგნში დაბეჭდილი იყო ქართული ნუსხა-ხუცური ალფაბეტი. ეს ალფაბეტი მისთვის გაუცხნია 1577—1578 წწ. კონსტანტინეპოლში მყოფი ყვარყვარე ათაბაგის მსლებელ ბერს, ვინმე იოსებს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ვახდა თუ არა ეს ალფაბეტი იმ ხანებში ენათმეცნიერული დაკვირვების ობიექტი.

მე-17 საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოზე ევროპული ცნობების ხასიათი მკვეთრად იცვლება. ამ ხანებში ქვეყნდება ძირითადად მისიონერთა და ვაჭარ მოგზაურთა ჩანაწერები, გაცილებით უფრო მდიდარი და შინაარსიანი, ვიდრე ელჩების ჩანაწერები იყო. მისიონერთა წრეშივე იქმნება ქართული ენის ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. ამის საფუძველზე ენათმეცნიერები იწყებენ მსჯელობას ქართული ენის ბუნებასა და ხასიათზე. 1621 წ. გამოქვეყნდა პაოლო და ფენცას პატარა წიგნაკი საქართველოზე, სადაც მოკლედ და სხარტად არის აღწერილი ქართველთა ზოგიერთი ზნე-ჩვეულება, საუბარია თურქების მხრივ ქართველთა შევიწროებაზე, ქრისტიანული ევროპისადმი ქართველთა სიმპათიებზე. ვრცელი და შინაარსიანი „რელაცია“ საქართველოს შესახებ გამოქვეყნდა 1627 წ. მისი ავტორი იყო პიეტრო დელა ვალემასში დაწვრილებით არის აღწერილი საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. ამასთანავე პიეტრო დელა ვალეს ნაშრომებში გვხვდებით კვლევა-ძიებით ელემენტებს ქართულთა უძველეს წარსულზე. ძველ ბერძენ და რომელ ავტორთა ცნობების მოშრილობით პიეტრო დელა ვალე

შოთა ხანთაძე
მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში

ცდილობს გაარკვიოს ქართველთა ვინაობა. იგი თვლის, რომ ქართველები ძველ მწერლობაში მოხსენიებულ მესხთა შთამომავლები უნდა იყვნენ... კიდევ უფრო ვრცელსა და დაწვრილებით ცნობებს საქართველოზე (კერძოდ დასავლეთ საქართველოზე) მკითხველს აწვდიდა არქანჯელო ლამბერტის შრომები — „კოლხეთის აღწერა“ (1654) და „წმინდა კოლხეთი“ (1657). ლამბერტისთან კიდევ უფრო მეტია კვლევადიებითი ელემენტები. იგი უხვად იყენებს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებს და კრიტიკულადაც ეკიდება მათ. ლამბერტის ნაშრომები მრავალმხრივ ახასიათებდა ქართველთა ცხოვრებას და საკმაოდ სრულ წარმოდგენას უქმნიდა მკითხველს ქართველთა წარმოშობაზე, სარწმუნოებაზე, ზნე-ჩვეულებებსა და ისტორიაზე.

მე-17 ს. მეორე ნახევარში ქვეყნდება რამდენიმე მისიონერის ნაშრომი საქართველოს შესახებ: ჯოვანი ლუკა (1663), დიონიჯი კარლი (1687), ფილიპ აერილი (1692), იოსებ მარია ცამპი (შარდენთან, 1711 წ.), ალესანდრო როდესი და სხვ., მათი წიგნები თავისი მნიშვნელობით ვერ გაუტოლდებიან ლამბერტის ნაშრომებს, მაგრამ ისინი დიდად უწყობდნენ ხელს ევროპაში საქართველოს შესახებ ცნობების გავრცელებას. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა 1633 წ. ოქსფორდში გამოცემულ ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის ამსახველ ბატარა წიგნაკს, ავრეთვე ისტორიულ თხზულებებს მისიონერთა საქმიანობაზე: მაგ. თომაზო იეზუიტისას (1613 წ.), რომელშიც საუბარია სიმონ მეფის ურთიერობაზე რომის პაპთან, 1595 წ. პაპის მიერ სიმონ მეფესთან სტეფანო კოლენცას გაგზავნაზე და საქართველოში ამ უკანასკნელის საქმიანობაზე. ან კიდევ ი. სილოს თხზულებას (1655), რომელშიც აღწერილი იყო საქართველოში მყოფი მისიონერების საქმიანობა, ნიკიფორე ირზახის ყოფნა იტალიაში და ესპანეთში. საინტერესო ცნობები გვხვდება საქართ-

ველოს შესახებ თეათინელი მისიონერის, კლემენტ გალანოს სომხეთზე დაწერილ დიდტანიან ნაშრომში.

მისიონერთა მოღვაწეობის ყველაზე თვალსაჩინო შედეგად უნდა მივიჩნიოთ პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა რომში 1629 წ. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღოდა ნიკიფორე ჩოლოყაშვილს. რომში მისი უშუალო მონაწილეობითა და სტეფანე პაოლინის ავტორობით დაიბეჭდა ქართული ალფაბეტი ლოცვებითურთ და ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომელიც სამი ათასზე მეტ სიტყვას შეიცავდა.

მიუხედავად მრავალი სერიოზული ნაკლისა, ალფაბეტმა და ლექსიკონმა თვალსაჩინო როლი ითამაშეს დასავლეთ ევროპისათვის ქართულის გაცნობის საქმეში. მე-17 საუკუნის დამლევს ამ ლექსიკონზე დაყრდნობით ცნობილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა გ. ვ. ლაიბნიცმა გამოთქვა აზრი, ქართული ენა ინდოევროპულ ენათა ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდესო და იგი ბერძნულის მონათესავედ მიიჩნია. ლაიბნიცის ეს მოსაზრება დიდხანს ბატონობდა ევროპულ ქართველოლოგიაში. მას იზიარებდა მ. ბროსეც, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში უკუაგდეს იგი. ამ მოსაზრებას ადრეც აკრიტიკებდნენ (მაგ. ბურნიუფი), მაგრამ იგი გვიან უარყვეს. ენათმეცნიერებმა მიუთითეს ლაიბნიცის შეცდომის წყაროზე. თავისი აზრის დასასაბუთებლად ლაიბნიცი ლექსიკონიდან იშველიებდა ისეთ სიტყვებს, რომლებიც ქართულში ბერძნულიდან იყო შემოსული... ეს სიტყვები კი, ცხადია, მას ვერ შეუქმნიდა სწორ წარმოდგენას ქართული ენის ბუნებაზე. ევროპულ ქართველოლოგიაში საყურადღებო ფაქტი იყო 1643 წელს ფრანცისკო მარია მაჯიოს მიერ ქართული ენის გრამატიკის გამოქვეყნება. ავტორი კარგი ფილოლოგიური განათლებით იყო აღჭურვილი, მაგრამ ქართულ ენას სათანადოდ ვერ ფლობდა. რამაც მძიმე კვალი დააჩნია მის ნაშრომს. ზოგიერთი კარგად შენიშნული და სწორად განსაზღვრული წესების

გვერდით ნაშრომში გვხვდება სერო-ზული შეცდომებიც. არადამაკმაყოფილებლად და დახასიათებულე ქართულს ზმნა. მკითხველს მაჯიოს წიგნიდან რჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ქართულში ყველა ზმნას საკუთარი უღვლილების წესი ჰქონდეს. ეს მცდარი შეხედულება მხოლოდ მე-19 საუკუნეში გააბათილეს. მაჯიოს ნაშრომმა ენათმეცნიერთა ყურადღება მიიქცია; ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში მასზე რეცენზია დაიბეჭდა...

მისიონერთა და მოგზაურთა მოღვაწეობა კიდევ ერთი საყურადღებო მოვლენით აღინიშნა: ევროპაში დასაბამი მიეცა ქართული ისტორიული ძეგლების თავმოყრას. პეტრო დელა ვალემ რომში ჩაიტანა ქართლის ცხოვრების ხელნაწერი და ძველი ქართული ოთხთავი. ეს ძეგლები ვატიკანის ბიბლიოთეკას გადაეცა. იქვე, ვატიკანის სიძველეთსაცავში ქართული მონეტებიც შევიდა. ეს მონეტები ვატიკანის სხვა სიძველეებთან ერთად 1719 წ. აღწერა იოსებ ასემაძმა.

თუ მისიონერთა წრემ მე-17 საუკუნეში არქანჯელო ლამბერტი მოგვცა, ვაჟარ მოგზაურთა წრიდან ამავე საუკუნეში გვყავს ორი შესანიშნავი ავტორი: ჟან ბაბტისტ ტავერნიე და ჟან შარდენი.

ტავერნიეს (1676) აღწერილი აქვს საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები, ქ. თბილისი, აბრეშუმით ვაჭრობა საქართველოში, რკინის, ვერცხლისა და ოქროს საბადოები ქართლსა და აფხაზეთში. იგი აღწერს ქართველთა ზოგიერთ ჩვეულებას (ნადიმს, ქალის მოტაცებას...) და აღნიშნავს, რომ ქართველები მშვენიერი ფერ-ხორცის ხალხია, მამაკაცები ასოვანნი და მოყვანილნი არიან, ქალები მომხიბლავი სილამაზისაო...

ვრცელ ცნობებს შეიცავდა საქართველოს შესახებ როგორც შარდენის (1686), ასევე სხვა ავტორების: ა. ოლეარიუსის, ლაბულეი დეგუსს, პულესს, ჰ. პოზერის, ი. სტრეისის, ო. დაპერის, სანსონის, მ. კარესს, კ. კარერისა და სხვათა მოგზაურობათა აღწერა.

მე-18 საუკუნეში ევროპაში კიდევ უფრო მდიდარი ცნობების შემცველი ლიტერატურა ჩნდება საქართველოს შესახებ. მისიონერებსა და ვაჟარ-მოგზაურებს ახლა უკვე მეცნიერებიც ემატებიან. ავტორთა რიცხვი მკვეთრად იზრდება (50-მდე ავტორია). ტურნეფორი და ბრუნი, პერი და ვარტისი, პეისონელი და დელაპორტი, რაინეგსი და გიულდენშტედტი და მრავალი სხვა. აღწერილობითი ლიტერატურა მეტად მრავალფეროვანი და შინაარსიანი ხდება. ქართველი მოღვაწეები უკავშირდებიან ევროპელ მწიგნობრებს და ხელს უწყობენ ევროპაში ქართველოლოგიის წინსვლას. მოსკოვში გადასახლებულმა არჩილ II-მ ამსტერდამში საქართველოს შესახებ ცნობები მიაწოდა ნ. ვიტზენს; წერილი გაუგზავნა მას ქართულ ენაზე, გაუგზავნა აგრეთვე ქართული შრიფტის მოხაზულობა. ვიტზენმა ამ მასალების საფუძველზე თავის დიდტანიან ნაშრომში მოათავსა საქართველოს აღწერა, მისი მოკლე პოლიტიკური თავგადასავალი, ჩამოასხა ქართული შრიფტი, დაბეჭდა არჩილ მეფის ქართული წერილი და გამოაქვეყნა არჩილისა და ერეკლე I-ის პორტრეტები. უალრესად საინტერესო ცნობებს ქართული ეკლესიის უძველეს ისტორიაზე 1720 წელს აქვეყნებს იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი.

1723 წელს ცნობილი შვედი ლინგვისტი ჰენრიკ ბრენერი ქართული ენის ინდოევროპულობის თეორიას უჭერდა მხარს. თავის ერთ-ერთ ნაშრომში იგი აქვეყნებს საქართველოს პატარა ისტორიულ ქრონიკას.

1730 წელს საფრანგეთის სამეფო ბიბლიოთეკამ თურქეთში მყოფ ფრანგ მეცნიერთაგან (სევინი, მ. ფურმონი, ვილნოფი) მიიღო ქართული ხელნაწე-

შოთა ხანთაძე
მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში

რები, რომელიც მათ მისიონერთა მეშვეობით შეიძინეს...

მცირეოდენი ქრონიკალური ცნობები საქართველოზე თავის კრებულში 1736 წ. შეაქვს მიულლერს.

იმავე ხანებში მოსკოვში მყოფმა ბაქარ ბატონიშვილმა ცნობილ ფრანგ სწავლულს იოსებ დელილს გადასცა საქართველოს მეფეთა სრული ქრონოლოგიური ნუსხა, ფარნავაზიდან მოყოლებული ვახტანგ მე-6-მდე. დელილმა ეს მასალა გაუგზავნა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების კურატორს, ცნობილ ორიენტალისტს იოსებ დეგენს, რომელმაც მას მცირე კომენტარები დაურთო და ჰუნების ისტორიაზე დაწერილ ნაშრომში შეიტანა. კომენტარებში დეგენი მიუთითებდა იმ ძველ ავტორებს, რომლებიც იხსენიებენ ამა თუ იმ ქართველ მეფეს. საქართველოს მეფეთა ასეთი სრული გენეალოგიის გამოქვეყნება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროპულ ქართველოლოგიაში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელი ორიენტალისტები უკვე იმდენ მასალას ფლობენ საქართველოზე, რომ ერთ-ერთმა მათგანმა სცადა დაეწერა საქართველოს სამეფოების ისტორია. 1788 წ. მემინგენში გამოქვეყნდა გ. ა. ბრაიტენბაუხის წიგნი: „საქართველოს სამეფოების ისტორია“. ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების, ბიზანტიური წყაროების, მოგზაურთა ჩანაწერებისა და იმაქმად გამოქვეყნებული ქრონიკების საფუძველზე ბრაიტენბაუხმა ზოგადი, მაგრამ საკმაოდ სწორი წარმოდგენა მისცა ევროპელებს საქართველოს ისტორიაზე. ბრაიტენბაუხი ჯერ მთლიანი საქართველოს ძველ ისტორიას გადმოსცემს ზოგადად, შემდეგ საქართველოს სამთავროებად დაყოფას ეხება. შრომის მეორე ნაწილში კი ავტორი საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას იძლევა.

ბრაიტენბაუხის ნაშრომი ევროპული ქართველოლოგიის თვალსაჩინო წინსვლას მოწმობს. სამწუხაროდ. ამ შესა-

ნიშნავ ორიენტალისტს ამ მხრივ აღარ გაუგრძელება მუშაობა.

საუკუნის მიწურულს (1798) ევროპაში ქართული მწერლობის ძეგლთა მიმოხილვაც ქვეყნდება. მისი ავტორი იყო კარლ ალტერი. ავტორს ჩამოთვლილი აქვს იმ დროისათვის ევროპაში ხელმისაწვდომი ქართული ხელნაწერები — ძირითადად ვატიკანის ბიბლიოთეკიდან — და ნაბეჭდი წიგნები. ხელნაწერთა შორის იხსენიება ქართლის ცხოვრება, კანონთა კრებული, ანტონ კათალიკოსის გრამატიკული ნაშრომი, ლექსიკონი და სხვ.

ავტორს მოეპოვება ორგვარი ქართული დამწერლობის — ხუტურისა და მხედრულის დახასიათება.

ბრაიტენბაუხისა და ალტერის შრომების შექმნის პერიოდში გამოქვეყნდა ადლერისა და ტიხსენის ნუმისმატიკური ნაშრომები, რომლებიც შეიცავდნენ ზოგიერთი ქართული მონეტის აღწერას. ადლერს აღწერილი აქვს ბორჯიების (ვენეცია) მუზეუმში დაცული გიორგი ლაშას მონეტა და ამ მონეტასთან დაკავშირებით მოკლედ წერს ქართველთა წარსულზე, ქართულ დამწერლობაზე. ტიხსენს კი გოტინგენის მუზეუმში დაცული ქართული მონეტები ჰქონდა აღწერილი (თამარის მონეტა, გიორგი დიმიტრის ძის მონეტა, ერეკლე II-ს მონეტა). მე-18 საუკუნის დამლევებიდან სხვა საინტერესო ნაშრომებიც შეიძლება დავასახელოთ: პალასს შედარებით ლექსიკონში ქართული სიტყვებიც აქვს გამოყენებული (1786), ეიხპორნს დახასიათებული აქვს ქართული დაბეჭდილი ბიბლია (1795), ლორენცო ჰარვას თავის უნივერსალურ პალეოგრაფიაში ორგვარი ქართული შრიფტის დახასიათება მოეპოვება (1798), ქართული ენის შესახებ საუბარი იყო პ. რუდიგერის წიგნში (1782), 1793 წ. პენრიხ ჰერმანი აქვეყნებს ერეკლეს მეფობის მოკლე ისტორიას, რომელსაც თან უერთავს საქართველოს ისტორიულ რუკას.

ამ ლიტერატურიდანაც ჩანს ქართულთა მონაწილეობა ევროპაში საქართველოს შესახებ მეცნიერული ცნობე-

ბის გავრცელების საქმეში. ადღერი და ალტერი თავიანთ კორესპონდენტებად და ინფორმატორებად ასახელებენ სტეფანე ავთანდილაშვილს, გორელ პატრს გრ. ბაგინანტს და სხვ.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ ევროპაში მკვეთრად იზრდება ინტერესი აღმოსავლეთის ქვეყნებისადმი. რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის პოლიტიკურმა ჭიდილმა ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში, პოლიტიკური აგენტების, მზვერავების, მისიონერების, ვაჭრებისა და მოგზაურების მომრავლებამ ირან-თურქეთსა და კავკასიაში გამოიწვია ამ ქვეყნებზე დაწერილი ლიტერატურის სწრაფი ზრდა. აღმოსავლეთის ქვეყნებთან ევროპის კავშირის გაფართოება და განმტკიცება ზრდიდა ევროპელი საზოგადოების მოთხოვნილებებს ამ ლიტერატურის მიმართ. ამ საზოგადოებას ახლა უფრო საფუძვლიანი, ღრმა და შინაარსიანი ცნობები სჭირდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებზე, ხალხებზე, ენებზე...

1795 წელს პარიზში დაარსდა აღმოსავლური ენების შემსწავლელი სკოლა („Ecole Speciale“), რომელიც სწავლობდა სანსკრიტს, ჩინურს, სომხურსა და სხვა აღმოსავლურ ენებს, საფრანგეთის უნივერსიტეტში შემოიღეს აღმოსავლური ენების სწავლება (1814 წლიდან, აბელ-რემუზა). ფართოდება ლიტერატურის გამოცემა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთზე, 1803—1804 წლებში ქვეყნდება რამდენიმე ნაშრომი კავკასიის სტრაბონისეულ აღწერაზე (გ. ლუნემანი, დ. რომელი და სხვ.). 1820 წ. ს. რიტერი აქვეყნებს ჰეროდოტეს ცნობებს კავკასიაზე. 1811 წ. ლანგლემ 10 ტომად გამოსცა შარდენის მოგზაურობა. ქვეყნდება საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერები (პ. გოსელინი, ინჯიჯიანი, პ. ლევეკი, შ. რემბერგი, ა. ეურდენი და სხვ.).

მომრავლდა მოგზაურთა მემუარული ლიტერატურა (ი. როილი, ფ. ლაგორიო, ჯ. მორიერი, ფრეიგანგები, ჯ. ჯონსონი, მ. დიუბრე, მ. კოცებუ და ა. შ.).

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში არს-

დება „აზიური საზოგადოებები“. 1822 წ. ასეთი საზოგადოება დაარსდა პარიზში. მისი დამაარსებელი იყვნენ ცნობილი ორიენტალისტები: ა. ი. სილვესტრ დე-სასი, ე. პ. აბელ-რემუზა, ა. ე. სენ-მარტენი, პ. ი. კლაპროტი და სხვანი. პარიზის აზიურმა საზოგადოებამ თავის საქმეში პროგრამაში საგანგებოდ შეიტანა სომხური და ქართული ენების შესწავლა. საზოგადოებას მრავალ ქვეყანაში ჰყავდა წევრები და კორესპონდენტები. რუსეთში — ხ. მ. ფრენი და შარმუა, ავსტრიაში — ნოიშანი, ვენეტიკში — ზორაბი. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ საქართველოში მყოფი ვ. ლეტელიე და ფრანგი-ვაჭარი ერნოზანი.

საზოგადოებამ საინტერესო მასალებს მოუყარა თავი. მისმა ერთ-ერთმა წევრმა შულცმა თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებში დიდძალი ხელნაწერები შეიძინა; მათ შორის იყო ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, რომელიც შემდგომში ბროსემ ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა. საინტერესო მასალები გადასცეს საზოგადოებას საქართველოში ნამყოფმა ე. გამბამ და ვ. ლეტელიემ. მე-19 საუკ. 20-იანი წლებისათვის პარიზში ორ ათეულზე მეტმა ქართულმა ხელნაწერმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო: ვახტანგ VI კანონთა კრებული, „ვეფხისტყაოსანი“, სულხან საბას ლექსიკონი, საქართველოს ისტორიული ქრონიკა და საეკლესიო ძეგლები (ლოცვანი, სენიქსარი, ლიტურგია და სხვ.).

პარიზის აზიური საზოგადოების ეურნალში საინტერესო წერილები ქვეყნდება საქართველოზე. ე. სენ-მარტენი ბეჭდავს ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კლაპროტი აქვეყნებს ნაწყვეტებს ქართლის ცხოვრებიდან, ვახუშტის გეოგრაფიული თხზულებიდან, ნაწყვეტს ჩამჩიანის თხზულებიდან საქართველოში მონღოლთა

შოთა ხანთაძე
მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში



შემოსევებზე და სხვ. პოლკოვნიკი როტიე ყურნალში ბექდავს წერილს საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობაზე, შენიშვნას საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის შესახებ და სხვ.

გრძელდება ევროპაში დაცულ ქართულ სიძველეთა აღწერაც. 1819 წელს ქასტილიონე მილანში დაცულ მონეტებს შორის ქართულ მონეტებსაც აღწერს (თამარ მეფის, გიორგი ლაშასი, რუსუდანის, დავით გიორგი ლაშას ძის, ქართულ-მონღოლური მონეტა და ა. შ.). ხოლო 1823 წელს მარსდენს თავის კაბიტალურ ნაშრომში შეაქვს იმ დროს ცნობილი ქართული მონეტების აღწერილობები.

მე-19 საუკუნის დამდეგს ლონდონის ბიბლიური საზოგადოების დავალებით ვინმე პინკერტონი სპეციალურად ეცნობა ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებს რუსეთსა (პეტერბურგში, მოსკოვში) და საბერძნეთში (ათონის მთაზე). ლონდონის ბიბლიური საზოგადოების მოხსენებებში (№ 10 და № 16) იგი აქვეყნებს ამ ძეგლების აღწერას.

ინგლისელი მოგზაური ლიალი თავის მემუარებში (1825 წ.) ათავსებს საქართველოს მოკლე ისტორიულ მიმოხილვას.

ქართული ენაც არაერთხელ გახდა ენათმეცნიერთა მსჯელობის საგანი. 1806 წ. ქართულ ენას შეეხო ადელუნგი, გაიზიარა მისი ინდოევროპულობის თეორია და დაახასიათა ქართულის ზოგიერთი თავისებურება (სუფიქსების დიდი სიმრავლე...). ადელუნგი იმეორებს ზემოხსენებულ მცდარ აზრს ქართულ ზმნაზე.

ქართულ ენას ინდოევროპულ ენად მიიჩნევდა კლაპროტიც. 1827 წელს მან გამოაქვეყნა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი და შეუდგა ქართული ენის გრამატიკის წერას, მაგრამ ვერ დაამთავრა. კლაპროტის შრომა შემდეგში ბროსემ დაასრულა და გამოაქვეყნა. კლაპროტს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველოლოგიაში. მისი შრომები უამრავ ისტორიულ მასალას შეიცავს.

ბროსეს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოხდის პერიოდში კლაპროტი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ევროპულ ქართველოლოგიაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ყ. სენ-მარტენის გამოკვლევებს ძველი სომხეთის ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხებზე. სენ-მარტენი კარგად იცნობდა იმ დროისათვის ხელმისაწვდომ ქართულ წყაროებს და იყენებდა მათ. სწორედ მან უჩინა ბროსეს ხელი მოეკიდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის.

ზემოთ მოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ მე-19 საუკუნის 20-იანი წლებისათვის ევროპულ ქართველოლოგიაში ბევრი რამ იყო გაკეთებული. დაგროვილი იყო უამრავი აღწერილობითი ცნობები, მოიპოვებოდა ევროპაში დაცული ქართული ისტორიული და ლიტერატურული ძეგლებს აღწერები, გამოქვეყნებული იყო ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის ცალკეული მიმოხილვები, გარკვეული შეხედულებები იყო გამოთქმული ქართულ ენაზე. ლიტერატურაზე, ისტორიაზე... ერთი სიტყვით, შემზადდა პირობები სპეციალისტი-ქართველოლოგის მოღვაწეობისათვის, ქართველოლოგიის მეცნიერულ ნიდაგზე დაყენებისათვის.

ამას უნდა დაემატოთ რუსეთში ევროპულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომები საქართველოსა და კავკასიის შესახებ: ი. გ. გეორგის დემოგრაფიული ნაშრომი (1776—1780), რაინგესის (1783 — 1786), პალასის (1786), გიულდენშტედტი, ბიბერშტეინი (1798), ზასი (1804) და სხვანი. ცალკე უნდა აღვნიშნოთ ევგ. ბოლხოვიტინოვის ცნობილი ნაშრომის გერმანული თარგმანი (1804 წ.), რომელმაც განსაკუთრებით სრულად გააცნო ევროპელებს საქართველო. მარი ბროსე ერთგან შენიშნავდა, რომ სწორედ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნმა აღუძრა მას ინტერესი საქართველოსა და ქართული ენისადმი.

ასეთი იყო ვითარება ევროპულ ქართველოლოგიაში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე მარი ბროსე გამოვიდა.



ბროსე თავდაპირველად სინოლოგიაში მუშაობდა. შემდეგ კი, ე. სენმარხენის რჩევით, ქართული ენის შესწავლას მოჰკიდა ხელი. ქართული ენა მან ბიბლიის ტექსტის მიხედვით ისწავლა, გამოიყენა აგრეთვე პოლინის, მაჯიოს, გაიოზისა და ფირალოვის წიგნები. ბროსემ შეისწავლა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერები, საკუთარი ხელით გადაწერა ამ ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი, შეადგინა ქართული ენის ვრცელი ლექსიკონი და გრამატიკის მიმოხილვა...

1827 წელს იგი პირველად წარსდგა პარიზის აზიური საზოგადოების წინაშე მოხსენებით ქართული ენის, ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

ბროსემ კრიტიკულად გადასინჯა და შეაფასა წინა დროის ქართველოლოგიური ნაშრომები, პირველ რიგში — ლექსიკონები და გრამატიკის მიმოხილვები, მიუთითა მათს ნაკლოვანებებზე, მთელი სისრულით დასვა მაღალხარისხოვანი გრამატიკული ნაშრომისა და ლექსიკონის შექმნის აუცილებლობის საკითხი. 1834 და 1837 წლებში მან ქართული ენის გრამატიკაზე ორი ნაშრომი გამოსცა. პირველი მათგანი: „ქელოვნება აზნაურებითი, გინა ქართული ენისა თვითმასწავლებელი“ (1834) საკმაოდ კარგად გადმოსცემდა ქართული ენის გრამატიკულ წესებს, თავისებურებებს; განსაკუთრებით კარგად იყო იმ დროისათვის გარკვეული ქართული ზმნის ბუნება. ალ. ცაგარელი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: «Учение о глаголах является в разбираемой нами грамматике (ბროსეს ნაშრომში—შ. ხ.)... гораздо полнее, яснее и систематичнее, чем у Антония, которого взгляды о глаголах г. Броссе основательно оспаривает и поправляет».

1837 წ. იბეჭდება მეორე გრამატიკული ნაშრომი (*Elements de la langue Géorgienne*), რომლის პირველი ნაწილი კლაპროტის დაწერილი იყო. ბროსემ შეასწორა კლაპროტის ნაწილი,

დაამთავრა იგი და გამოაქვეყნა. ეს ნაშრომი უფრო სადად და პოპულარულად გადმოსცემდა ქართული ენის გრამატიკულ წესებს და კანონებს. პირველი, ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ნაშრომისგან განსხვავებით, იგი სტამბურად გამოიცა და მეტი ტირაჟით გავრცელდა. ნაშრომში შეტანილია თავები ქართული ენის სინტაქსის შესახებ, რაც პირველ ნაშრომში არ გვხვდება.

ბროსეს ეს გრამატიკული ნაშრომები დიდ დახმარებას უწევდა დაინტერესებულ ევროპელ მკითხველს ქართული ენის შესწავლაში; ამ შრომებზე დართულ შენიშვნებში ბროსე იცავდა აზრს ქართული ენის ინდოევროპულობის შესახებ.

ამავე ხანებში ბროსე აქვეყნებს რამდენიმე ნარკვევს შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის დიდებული ძეგლის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. იგი თვლის ამ ძეგლს თამარის ეპოქის შესანიშნავ ნიმუშად, ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მკვეთრსა და ჩამოყალიბებულ ხასიათს და შენიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ინდურია, სახელები კი სპარსული, ყველაფერი დანარჩენი და თვით სული ნაწარმოებისა მთლიანად ქართულია.

სპეციალურ წერილში ბროსეს განხილული აქვს ქართული ლექსთწყობის საკითხები (1830). ქართული ლექსის პროზოდს იგი აღარებს ბერძნულს, სპარსულს, სომხურს და მიუთითებს პირველის განსხვავებულ ხასიათზე, მის ორიგინალობაზე. დასკვნაში იგი შენიშნავს, რომ ქართულ ლექსთწყობაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მარცვლების თანაფარდობას, რითმებს და არა მახვილსა.

1830 წელსვე ბროსე აქვეყნებს პარიზის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ

შოთა ხანთაძე
მეცნიერული ქართველოლოგიის აღმოცენების ისტორიიდან დასავლეთ ევროპაში

ქრონიკას ფრანგული თარგმანითურთ და ვრცელი შენიშვნებით. ამ შენიშვნებში ბროსე მრავალ საკითხს აშუქებს: ქართულე წელთაღრიცხვის წესს, ისტორიულ-გეოგრაფიულ ფაქტებს და სხვ.

ბროსე მიმოიხილავს ქართული სამართლის ძეგლებსაც, მსჯელობს ქართული სამართლის ისტორიასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე (ორდასახელების საკითხი, ქართული სამართლის ბერძნულთან და სომხურთან დამოკიდებულების საკითხი და სხვ.).

პარიზში მუშაობის პერიოდში ბროსემ გამოაქვეყნა ქართულ ისტორიულ მასალათა რამდენიმე კრებული, რომლებშიც თავმოყრილი იყო ნაწყვეტები ქართული სასულიერო და საერო ხელნაწერებიდან, ეპიგრაფიული ძეგლები, ქართული ბეჭდების წარწერები, წარწერები ფულებზე და სხვა.

თეიმურაზ ბატონიშვილმა პეტერ-

ბურგიდან ბროსეს გაუგზავნა ქართული ხელნაწერები: დავით ბატილის გრამატიკა, ანტონის გრამატიკა, სულხან საბას ლექსიკონი, საკუთარი ნაშრომები და სხვ. ეს უკანასკნელნი ბროსემ ერთ-ერთ კრებულში შეიტანა.

იმვე პერიოდში ბროსემ გამოაქვეყნა უცხოელ ავტორთა ზოგიერთი ახალი ცნობა საქართველოზე (ბერნარდო მარიას რელაცია, ნაწყვეტი ევლია ჩელეების „ჯიჰან ნუმადან“, ნაწყვეტი ანანიო შირაქელის თხზულებიდან და სხვ.).

ამრიგად, ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის პერიოდში (1827—1836) ბროსემ ბევრი რამ გააკეთა დასავლეთ ევროპაში ქართველოლოგიის დაფუძნების ხაზით: გამოსცა გრამატიკული ნაშრომები, ქართული ლიტერატურული ძეგლების მიმოხილვები, დაბეჭდა საქართველოს ისტორიული ქრონიკა და ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლების რამდენიმე კრებული.



სიხარული

როჯერ რობი:

— მაშასადამე, თქვენ გინდოდათ დაგეწინებინათ ჩვენი საზოგადოებრიობა რადიკალური გამოსხივების საშიშროებით და მიგეყვანათ იმ მდგომარეობამდე, რომ მათ, ბოლოს და ბოლოს, ქედი მოეხარათ კომუნისტების წინაშე, ასე უნდა გავიგოთ?

გორდონ გრეი:

— ჩვენი ხალხი ინფორმირებულია, თუ ატომგულის იარაღის წარმოების სფეროში რა წარმატებებია მიღწეული. პრეზიდენტმა, მთელმა ერმა იცოდა, რომ დაიწყებოდა წყალბადის ბომბის წარმოება და ეს გადაწყვეტილება ენთუზიაზმით იქნა მიღებული.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— სამწუხაროდ, ამაში ვერ დაგეთანხმებით. ამერიკელები დაწვრილებით არ იყენენ ინფორმირებულს, თუ რა თვისებები ჰქონდა წყალბადის ბომბს. ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კონგრესსა და პრესაში უკამათოდ იქნა მიღებული.

გორდონ გრეი:

— წყალბადის ბომბის შექმნის გადაწყვეტილება თავისი კომპეტენციის ჩარჩოებში საფუძვლიანი და ყოველ-

მხრივი განხილვის შემდეგ მიიღეს რჩეულმა წარმომადგენლებმა.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— მე ეჭვი არ მეპარება იმ ადამიანების კომპეტენციაში, რომლებმაც წყალბადის ბომბის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი იმდენად სერიოზულია და იმდენად ეხება ჩვენი ქვეყნის მომავალ ბედს, რომ იგი უნდა გადაწყვიტა ყველაზე ფართო ფორუმს. წყალბადის ბომბის საიდუმლოება ისეთივე ფიქციაა, როგორც ატომური ბომბის საიდუმლოება იყო. ასეთი რამ არ არსებობს. მაგრამ არის წარმოების ათასობით საიდუმლოება, რომლის ამოხსნაც დროთა განმავლობაში ყველას შეუძლია, თუ მას აქვს საკმარისი სახსრები და სამეცნიერო კადრების შესაბამისი დონე. რუსებს ეს, რასაკვირველია, აქვთ და ამიტომ უაზრობაა საიდუმლოების შენახვის თამაში, რომელიც ჩვენ შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ვერ შევიცნობთ სინამდვილეს აზრთა ფართო გაცვლის, დისკუსიებისა და თავისუფალი კრიტიკის გარეშე. თუ მტრისთვის ცნობილი გახდებოდა ცალ-

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5.

კული ფაქტები, რომლებიც შესაძლოა მისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო, ეს მას დიდ სარგებლობას არ მოუტანდა, ჩვენ კი შევძლებდით მიგველო სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება. ის სარგებლობა, რომელსაც ჩვენ ამისაგან მივიღებდით, რასაკვირველია, გაცილებით მეტი იქნებოდა ვიდრე რუსების შესაძლო შენაძენი. ჩვენ არ უნდა შეგვიპყროს შიშმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ კრიზისის დროს არასწორად მოვიქცევით. ჩვენ უნდა ვიყოთ მამაცები, ძალზე მამაცები.

როჯერ რობი:

— თქვენ უნდა გეყოთ გამბედაობა და აგვიხსნათ, რატომ უწყვედით საბოტაჟს წყალბადის ბომბის წარმოებას. თქვენ ამაზე უნდა გვიპასუხოთ.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— წყალბადის ბომბის წარმოებისათვის საბოტაჟი არ გამიწვევია და არც ჩვენი მეცნიერები დამირწმუნებია, უარი ეთქვათ ბომბის შექმნაზე. მე მქონდა გარკვეული წინააღმდეგობა წყალბადის ბომბის გამოყენების გეგმის საკითხში. შენიშვნებს გამოვთქვამდი თათბირზე და კონსულტაციებზე, და ყოველთვის ცხადი იყო, რომ ეს ჩემს შეხედულებებზე დამყარებული პირადი აზრი იყო. ჩემს აზრს არავის ვახვევდი თავს. არ შემიძლია შეგურიგდე ბრალდებას, რომ თითქოს სხვა მეცნიერები ასეთივე ნეგატურ შეხედულებამდე წყალბადის ბომბზე მხოლოდ ჩემი გავლენის წყალობით მივიდნენ. არასწორი იქნებოდა ჯეროვნად არ შეგვეფასებინა ჩვენი მეცნიერების შესაძლებლობანი. დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდა გვეწარმოებინა წყალბადის ბომბი. მე ასე ვფიქრობდი და ვფიქრობ და არ მიმაჩნია, რომ ამით საბოტაჟს ვუწევედ ჩვენი თავდაცვის გეგმებს...

როჯერ რობი:

— უმჯობესია, აგვიხსნათ, რატომ ამტკიცებდით, ბომბის შექმნა შეუძლებელიაო. თქვენ, როგორც სპეციალისტს, უნდა გკოდნოდათ, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— ყოველთვის მე რატომ უნდა ავხსნა? არასოდეს დარწმუნებით არ განმიცხადებია, წყალბადის ბომბის წარმოება შეუძლებელია-მეთქი. მე მხოლოდ გამოვთქვამდი ეჭვს, რომ ეს მოხერხდებოდა. ეინშტეინი, როცა მას ომამდე ეკითხებოდნენ, მოხერხდებოდა თუ არა ოდესმე ატომბულის გახლენს, აცხადებდა, ეს გამოორიცხადებულია. ახლაცხადია, რომ ეინშტეინი ცდებოდა. ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი ნილს ბორი და თანამედროვე ფიზიკის სხვა გენიოსებიც, რომლებსაც მე ვერაუკუნო ვებედავ თავი შევადარო. მეცნიერებში შეცდომის დაშვება არც თუ ისე დიდი დანაშაულია. მეცნიერი არ წარმოადგენს პოლიტიკოსს, რომელიც ე.თ.მა შეცდომამაც კი შეიძლება დაღუპოს.

გორდონ გრეი:

— მაშასადამე, ბატონო პროფესორო, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ წყალბადის ბომბის წარმოება საერთოდ არ იყო საჭირო.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— არა... წყალბადის ბომბის წარმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა აზრი, თუ მისი საშუალებით მოვახერხებდით მძლავრ პოლიტიკურ დაწოლას, უფრო სწორად, თუ მივალწევიდით ისეთ სამხედრო უპირატესობას, რომ უომრად ვაიძულებდით მოწინააღმდეგეს მიეღო ჩვენი მოთხოვნები. ამისათვის უნდა მიგველო მრავალწლიანი უპირატესობა და დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ მოწინააღმდეგე მხარე ჩვენ ვერ დაგვეწევა. მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსებმა ასე წარმოუდგენლად ხანმოკლე დროში შექმნეს ატომური ბომბი, ჩვენთვის გაფრთხილება უნდა ყოფილიყო. ჩვენ შეგვეძლო მოვსულიყავით იმ დასკვნამდე, რომ ვერ შევძლებდით შეგვენარჩუნებინა უპირატესობა. მე ვიცი, რუსები ჩვენ კვალდაკვალ მოგვდევენ, ხოლო ზოგიერთი ცნობით, ისინი ჩვენ უკვე დაგვეწევენ. მე არ შემიძლია განვსაჯო, რამდენად მართალია ეს ცნობები, ხოლო თვით იმის შესაძლებლობა, რომ



ახლო მომავალში შეიძლება დამყარდეს ძალთა თანაფარდობა, ამტკიცებს ჩემს სიმართლეს. ჩვენ ბომბით არა თუ მივალწიეთ უშიშროებას, არამედ პირიქით, გაიზარდა მთელი მსოფლიოს ტოტალური მოსაზრების საშიშროება. ჩვენმა ხალხმა მილიარდობით დოლარი გაიღო, საერთაშორისო დაძაბულობა წარმოუდგენლად გამწვავდა, მაგრამ ჩვენ ვერ მივალწიეთ ვერაფერს: რუსებზე ძლიერები არა ვართ, და ვერ დავიმსახურეთ თავისუფალი სამყაროს დიდება და პატივისცემა. ჩვენ არ უნდა შეგვექმნა ბომბი, არა მსოფლიო კომუნისტების, არამედ ამერიკისა და დასავლეთის ცივილიზაციის ინტერესების გამო, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. თუმცა ჩერჩილი ფიქრობს, რომ პროგრესს, რომელიც ერთი მხარის მიერ მეორის განადგურების საშუალებას იძლევა, მივყავართ იქამდე, რომ არავინ აღარ მოინდომებს ხოცვა-ჟლეტას, მაგრამ ამაში მე არც თუ ისე დარწმუნებული ვარ...

როჯერ რობი:

— ეს მხოლოდ სიტყვებია, სიტყვები... რას იზამდით, თქვენს წინაშე წყალბადის ბომბის შექმნის ამოცანა რომ დაევათ, ესე იგი, ის ამოცანა, რომლის გადაწყვეტისათვისაც ზელი უნდა მოეკიდა დოქტორ ტელერს?

რობერტ ოპენჰეიმერი (რამდენიმე ხნის ყოყმანის შემდეგ):

— ძნელი სათქმელია...

როჯერ რობი:

— მე მესმის, რომ თქვენთვის ძნელია პირდაპირ უბასუხოთ ამ კითხვას. მაგრამ მე მსურს გავიგონო თქვენგან გადაწყვეტილი პასუხი: თქვენ ჩვენთან იქნებოდით თუ გამოხვიდოდით ჩვენი რიგებიდან და ზურგს შეგვაქცევდით? პო თუ არა?

რობერტ ოპენჰეიმერი (ისევ ყოყმანობს):

— მე მეგონა, რომ მე შევასრულებდი მონდობილ საქმეს... თუ დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ ეს ტექნიკურად შესაძლებელია...

როჯერ რობი:

— გმადლობთ, მე სწორედ ამის გაგონება მსურდა თქვენგან.

დოქტორი უორდ ივენსი:

— მე კარგად მესმის პროფესორ ოპენჰეიმერის ყოყმანი. ეს გრძნობა ნაცნობია ატომგულის ფიზიკაში მომუშავე ყველა მეცნიერისათვის. ჩვენ თუნდაც ყველაზე ფანტასტიკური პრობლემის ტექნიკური მხარე გვიზიდავს. მაგრამ ისმება კითხვა: გაბედავს თუ არა აღამიანი გააკეთოს ყველაფერი, რისი დამტკიცებაც მას შეუძლია? მე მეგონია, რომ ვერ გაბედავს. თუ მეცნიერი გრძნობს პასუხისმგებლობას და იმყოფება თავისი სინდისის სამსჯავროს წინაშე, მაშინ სინდისი ეუბნება: „შენ ვერ გაბედავ!“ მე დისკუსიაში ჩავები მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონმა რობმა ძალზე გამარტივებული დასკვნები არ გამოიტანოს.

რობერტ ოპენჰეიმერი:

— გმადლობთ, ივენს, მეც მაგ აზრისა ვარ. ამიტომ მე მეგონია, რომ ყველაზე დიდი საშიშროება, რომელიც დღეს კაცობრიობას ემუქრება — ბრმა ფანატიზმია, რომელიც კრუნჩხავს და ამახინჯებს რწმენას და რომელშიაც ვარდებიან დასაღუბავად განწირული აღამიანები და მთელი საზოგადოება. მე მეშინია ამ კრუნჩხვისა, ამ პირადმა ამობრუნებული რწმენისა. მე მეშინია ყველა მიმართულების, რასის, ერის და რელიგიური რწმენის შოვინისტებისა. ფანატიზმი პლუს წყალბადის ბომბი, პლუს გულგრილობა — კაცობრიობის დაღუპვის ყველაზე პირდაპირი გზა.

როჯერ რობი:

— თუ არ ვცდები, მეც ფანატიკოსად მიგაჩნვიართ?

რობერტ ოპენჰეიმერი:

— ღმერთმა დამიფაროს! არაფერი ამგვარი აზრადაც არ მომსვლია. მე სრულიად სხვა რამეზე ვფიქრობ... ოდესღაც მე წავიკითხე „ზიაროსიმის

იაროსლავ ბუტიკი
სინდისი



დღიური“, რომელიც, როგორც მე მახსოვს, დოქტორმა ხაშიამ დაწერა. ამ წიგნმა შემპირა. იქ არის ადამიანების წინასწარმეტყველური სახეები, რომლებიც იწვიან შუა მდინარეში, და შესწავლილობა საავადმყოფოებში, სადაც იაპონელები რადიკალური გამოსხივებით გამოწვეული ლეიკემიით და შინაგანი სისხლის ჩაქცევით კვდებიან. ავადმყოფთა უმეტესობა განწირულია, მათ რამდენიმე დღის სიცოცხლე დარჩათ, ყველგან სიკვდილია. ბაღში წვავენ ბენზინგადასხმულ გვამებს, ყველაფერი იმაზე ლაპარაკობს, რომ იაპონია სასიკვდილო აგონიაში იმყოფება. და ამ მოჩვენების საავადმყოფოში მეზობელი ქალაქიდან მოდის ვიღაც კაცი და ავრცელებს ხმას, თითქოს იაპონურმა თვითმფრინავებმა შურისძიების მიზნით დაბომბეს სან-ფრანცისკო, სან-დიეგო, ლოს-ანჯელოსი და უფრო მეტი ხალხი გაანადგურეს, ვიდრე ამერიკელებმა ხიროსიმაში. და როგორ გგონიათ თქვენ, რა მოხდა? ხალხ-

მა დასწყევლა უაზრო ომი? სრულდება. თაც არა. ხაშია წერს, რომ ამ კორმა ყველა გაახარა. ყველაზე მეტად სწორედ ისინი გამხიარულდნენ, ვისაც ყველაზე მძიმე ჭრილობები ჰქონდა. დასახიჩრებულმა და სასიკვდილოდ განწირულმა ადამიანებმა დაიწყეს ზუმრობა და ბოლოს იმღერეს გამარჯვების სიმღერა, რასაკვირველია, იაპონიის გამარჯვებისა... შემდეგ მე წაიკითხე მოწმეთა კიდევ რამდენიმე საბუთი და დავრწმუნდი, რომ ხაშია არ სტყუოდა. იაპონელებს, რომლებიც იმ დროს თითქმის მთლიანად განადგურებულნი და ამოწყვეტილნი იყვნენ, ბავშვურად ახარებდათ ის დარტყმები, რომლებიც მათ თითქოსდა ჩვენ მოგვაცენეს. მათ აზრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ შეიძლება ბოდა წაეგოთ ომი. მე არა ვთვლი იაპონელებს ჩამორჩენილ აღმოსავლურ ერად. ასეთმა სიგიჟემ შეიძლება ყოველი ერი აიტანოს! ასეთმა სიგიჟემ შეიპყრო გერმანელებიც, რომლებიც, რასაკვირველია, აღმოსავლურ ერს არ წარმოადგენენ, და ეს მაძრწუნებს.

გაგრძელება იქნება





გივი გამრეკელი

საქართველო ოლიმპზე

თუ ომამდელი ჭადრაკის სამყაროს ჭეშმარიტი ჰეგემონი ალიოხინი იყო, ომის შემდგომ პერიოდში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა საბჭოთა საქადრაკო სკოლამ, ხოლო ამ სკოლის უძლიერესი წარმომადგენელი მიხეილ ბოტვინიკი 37 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ბოტვინიკი მსოფლიო ჩემპიონობის უახლოეს პრეტენდენტად ითვლებოდა. სატურნირო შეხვედრებში იგი წარმატებით ებრძოდა არა მარტო ჭადრაკის კორიფეებს: ალიოხინს, ლასკერს (რომელთანაც მას უკეთესი ანგარიში აქვს) და კაპაბლანკას, არამედ ახალგაზრდა ნიჭიერ დიდოსტატებს: ფლორს, ფაინს, რეშევსკისა და კერესსაც. ალიოხინს იგი თავის მთავარ მეტოქედ მიაჩნდა, მაგრამ მათი ორთაბრძოლა, რომელიც ორჯერ იყო მომზადებული, ვერ განხორციელდა ალიოხინის გარდაცვალების გამო. პირველად თავისი არსებობის მანძილზე საქადრაკო სამყარო უჩემპიონოდ დარჩა.

თავის წინამორბედებთან შედარებით ბოტვინიკს, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. თუ ადრე ლასკერს, კაპაბლანკასა და ალიოხინს თითო-ოროლა ღირსეული მეტოქე ჰყავდათ, ახალი მსოფლიო ჩემპიონის მოწინააღმდეგეთა რიცხვი დიდად გაიზარდა.

სწორედ ამის გამო თვით ბოტვინიკი, რომელიც იშვიათი ობიექტურობით გამოირჩევა, წერდა: „შე საქადრაკო სამყაროს ჰეგემონი კი არა ვარ, არამედ პირველი თანასწორთა შორის“. სწორედ ბოტვინიკს უნდა დაეძლია დიდებული ნიჭით დაჯილდოებული პაულ კერესის, „მომღიმარე გოლიათის“ — ვასილ ნმისლოვის, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის, მაქს ეივესა და ყოფილი „გუნდურკინდის“, შემდეგ კი უძლიერესი დიდოსტატის სამუელ რეშევსკის წინააღმდეგობა. შედარებით გვიან დაწინაურდნენ: საუცხოო თეორეტიკოსი ისააკ ბოლესლავსკი, უნიჭიერესი დავით ბრონშტეინი, შეტევის დიდოსტატი ეფიმ გელერი, დაუმარცხებელი ტიგრან პეტროსიანი და „კომბინაციების ჯადოქარი“ მიხეილ ტალი. თუ უკანასკნელ დრომდე საბჭოთა მოჭადრაკეებს ეივესა და რეშევსკის დათრგუნვის შემდეგ დასავლეთში ფაქტიურად არ ჰყავდათ სერიოზული მეტოქე, ამჟამად დაწინაურდა უნივერსალური სტილით მოთამაშე, სრულიად ახალგაზრდა ამერიკელი რობერტ ფიშერი.

უკვე 1951 წელს ბოტვინიკი მძიმე პრობლემის წინაშე დადგა. მაშინ იგი მსოფლიო ჩემპიონობის პირველ საბჭოთა პრეტენდენტს, 27 წლის დავით ბრონშტეინს ხვდებოდა. ამ დიდოსტატმა მოკლე ხანში თავბრუდამხვევი წარ-

მატებები მოიპოვა — გაიმარჯვა საზო-
ნათაშორისო ტურნირში, პირველი —
მეორე ადგილები გაიყო პრეტენდენტე-
ბის ასპარეზობაში, შემდეგ დამატებითი
პაექრობა მოუგო ბოლესლავსკის და
მსოფლიო ჩემპიონის პირისპირ აღმოჩ-
ნდა. ბრონშტეინი უაღრესად აგრესიუ-
ლად თამაშობდა, მისი ფიგურები ამ
პერიოდში „უკან არ იხევდნენ“. ბოტ-
ვინიკ-ბრონშტეინის მატჩში ორჯერ
იყო მომენტი, როდესაც ჩემპიონს ძა-
ლიან გაუჭირდა. ერთხელ ეს მოხდა
სტარტის შემდეგ, როდესაც ბრონშტე-
ინმა ანგარიში გახსნა. კიდევ უფრო მძი-
მე წუთები დაუდგა ბოტვინიკს 22-ე
პარტიის შემდეგ, როდესაც პრეტენ-
დენტი ერთი ქულის სხვაობით იგებდა.
მხოლოდ უძლიერესმა ნებისყოფამ და
თავდაპერის არაჩვეულებრივმა უნარმა
იხსნა ბოტვინიკი; მან მოახერხა მატჩის
ფრედ (12:12) დამთავრება და ჩემპიო-
ნის წოდების შენარჩუნება. ბრონშტეი-
ნი კომბინაციურ ბრძოლაში სჯავნიდა
მეტოქეს, მაგრამ არასაკმარისმა ოსტა-
ტობამ დაბოლოებათა გათამაშებისას
განაპირობა პრეტენდენტის დამარცხე-
ბა. ბოტვინიკი კი სწორედ ენდშპილში
იყო განსაკუთრებით ძლიერი და საუც-
ხოოდ გამოიყენა ახალგაზრდა დიდოს-
ტატის ეს ნაკლი. ფრე ბრონშტეინისა-
თვის ფაქტიურად დამარცხებას უღრი-
და, რადგან მას რამდენიმე წლით უნდა
გადაედო ან საერთოდ ხელი უნდა აეღო
ჩემპიონის „გვირგვინის“ დაუფლების
განზრახვაზე. „უმაღლეს დონეზე“ და-
მარცხება ეს ისეთი ტრავმაა, რომელიც
წარუშლელ დაღს ასვამს ყოველი მო-
ქალბრკის შემოქმედებას. მაგალითისა-
თვის შეიძლება ცუკერტისტის, სტეინი-
ცისა და ჩიგორინის დასახელება, რომ-
ლებმაც ვერ გაუძლეს „იმედების გაც-
რუების“ სიმძიმეს. იგივე დაემართა
ბრონშტეინს. მომდევნო წლებში იგი
ცვალებადი წარმატებით თამაშობდა,
ხოლო შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი შე-
მოქმედებითი კრიზისი და საბოლოოდ

ჩამოსცილდა მსოფლიო ჩემპიონობის
პრეტენდენტთა რიგებს.
უცხოელ მოქალაქეთაგან მსოფლიო
ჩემპიონობაზე პრეტენზიას მხოლოდ
ამერიკელი დიდოსტატი საშუილ რეშე-
სკი აცხადებდა. რეშეცკი დიდი ნიჭით
დაჯილდოებული მოქალაქეა. იგი ჯერ
კიდევ 6 წლის ასაკში იმდენად კარგად
თამაშობდა, რომ შეეძლო ერთდროუ-
ლი თამაშების სენანგების გამართვაც
კი. ეს ბურჟუაზიულმა საქმოსნებმა
კარგად გამოიყენეს. „საოცარმა ბავშ-
ვმა“ (ვუნდერკინდმა) მთელი მსოფლიო
მოიარა; იგი ერთდროული თამაშის
სენანგებს მართავდა. საყურადღებოა,
რომ ერთ-ერთ ასეთ სენანგში რეშეცკის
ეთამაშა მასზე 10 წლით უფროსი,
მომავალი მსოფლიო ჩემპიონი მაქს
ეივე. როცა პარტია ეივეს გამარჯვებით
დამთავრდა, „საოცარმა ბავშვმა“ ტირი-
ლი დაიწყო — წაგება იუყადრისა.
დიდი წარმატებები ჰქონდა რეშეც-
კის ბავშვობაში, მაგრამ როცა მრავალი
წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონ ბოტ-
ვინიკთან შეხვედრის უფლების მოპო-
ვება მოიწადინა, მისი ცდები მარცხით
დამთავრდა. მიუხედავად ამერიკელი
დიდოსტატის ნიჭიერებისა, მას დიდი
ნაკლიც ახასიათებს — ესაა საქმოდ
დაბალი საქალბაკო კულტურა და რა-
ღაც არაჩვეულებრივი მიდრეკილება
ხანგრძლივი ფიქრისადმი, რამაც მას
დიდი ზიანი მიაყენა.
ბოტვინიკისათვის ბევრად უფრო სა-
შიში გამოდგა მსოფლიო ჩემპიონობის
ახალი პრეტენდენტი ვასილ სმისლოვი.
სმისლოვის საქალბაკო ტალანტი უაღ-
რესად თავისებურია. სმისლოვზე მე-
ტად საინტერესო შეხედულება გამო-
თქვა ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა
მაქს ეივემ: „ვასილ სმისლოვი, ეს მომ-
ღიმა რე საქალბაკო გოლიათი, აკეთებს
სვლებს, რომლებსაც ყველა სხვა დიდ-
ოსტატიც გააკეთებდა. არის მხოლოდ
პატარა განსხვავება: სმისლოვი იგებს,
სხვები კი ვერა... სმისლოვი თქვენ პირ-

დაპირ კი არ გიტევთ და გემუქრებათ შამათით, არამედ მიყვება მხოლოდ მისთვის ცნობილ საიდუმლო გზებს. მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ვერაფერს ხვდებიან, ჰგონიათ, რომ კარგი პოზიცია აქვთ... ხოლო როცა ისინი იგრძნობენ საშიშროებას, უკვე გვიანდაა! ერთს შეექმნა იზოლირებული პაიკი — სმისლოვი მათემატიკის სიზუსტით იგებს მას; მეორე ისეთ მდგომარეობაშია, რომ მის მეფეს მძლავრად უტევენ, თავდაცვა კი შეუძლებელია; დიახ, საოცარი მოქადრაკეა სმისლოვი, მომღიმარე და ზრდილობიანი ადამიანი, მასთან თამაში მეტად საშიშია!“

ქადრაკის ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხანგრძლივი კამათი, როგორც ბოტვინიკსა და სმისლოვს ჰქონდათ. მათი პირველი ორთაბრძოლა ბოტვინიკისათვის ხელსაყრელი შედეგით დასრულდა ისევე, როგორც ბრონშტეინთან, ჩემპიონმა აქაც საყაიმო შედეგს მიაღწია და შეინარჩუნა თავისი წოდება. მაგრამ სმისლოვი ფარ-ხმალს როდი ყრიდა. მან ყველაფერი თავიდან დაიწყო, ისევ დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონობის ყველა პრეტენდენტი და ერთხელ კიდევ „გამოეცხადა“ ბოტვინიკს. ამჯერად ბოტვინიკმა უკვე ვეღარ შეძლო „ხელიდან გასლტოვება“ საშიშ „გოლიათს“, მატჩი პრეტენდენტის უდავო უპირატესობით აღინიშნა და მალე „საჭადრაკო ტახტზე“ ავიდა ახალი მსოფლიო ჩემპიონი — ვასილ სმისლოვი. იგი „საჭადრაკო გვირგვინის“ რიგით მეშვიდე მპყრობელი გახდა.

ვასილ სმისლოვი იმდროინდელი საჭადრაკო სამყაროს ჭეშმარიტი „ჰეგემონი“ იყო. მდიდარი ფანტაზია, უადრესად დახვეწილი ტექნიკა და დიდი ერუდიცია ის იარაღი იყო, რომელსაც სმისლოვი უებროდ იყენებდა. სმისლოვმა საჭადრაკო თეორია ახალი გამოკვლევებითა და ვარიანტებით გაამდიდრა. თითქოს 36 წლის სმისლოვს საფრთხეს არავინ უქმნიდა, მით უმეტეს, რომ სპეციალისტები და თვით მსოფლიო ჩემპიონიც თვლიდნენ, ბოტვინიკის „საჭადრაკო მზე საშუდამოდ ჩაესვენაო“,

მაგრამ მოხდა ისეთი რამ, რაც ქადრაკეში მეტად იშვიათად ხდება ხოლმე. მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაკარგვიდან ერთი წლის შემდეგ ბოტვინიკი ყველასათვის მოულოდნელად „მკვდრეთით აღსდგა“.

უნდა ითქვას, რომ სმისლოვი აშკარად მოუშხადებელი შეხვდა ბოტვინიკთან მატჩ-რევენშს, „იოლ გასეირნებად“ მიიჩნია იგი. ეს საბედისწერო შეცდომა გამოდგა. „ჩამოწერილი“ დიდოსტატის მაგიერ სმისლოვს ბრძოლა მოუხდა „თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ“ პრეტენდენტთან, რომელიც მას თეორიულ მომზადებაში აშკარად აღემატებოდა. უკვე სტარტზე ექსჩემპიონმა ჩემპიონს ისეთი სასტიკი დარტყმები მიაყენა, რომ სმისლოვი „ბოლომდე ვერ მოვიდა გონს“. ჩემპიონობა ისევ ბოტვინიკმა დაიბრუნა.

ბოტვინიკთან მარცხმა სმისლოვზე ისევე მძიმედ იმოქმედა, როგორც ბრონშტეინზე. ამ უნიჭიერესმა მოქადრაკემაც დაკარგა თავის თავისადმი რწმენა, „დარტყმის ძალა“. ამის შედეგად სმისლოვმა ხანგრძლივი პერიოდით (თუ საშუდამოდ არა) აიღო ხელი ბოტვინიკთან დავაზე. ნათელი გახდა, რომ მორალური ტრავმის შემდეგ მას უკვე აღარ შესწევდა ძალა პრეტენდენტების შემდეგ ასპარეზობაში აღრინდელი წარმატებებით ებრძოლა.

ვინ უნდა ყოფილიყო მომავალი პრეტენდენტი?! ბევრ სპეციალისტს ყველაზე უფრო ღირსეულად ესტონელი დიდოსტატი ბაულ კერესი მიაჩნდა. ამ უადრესად პოპულარულმა მოქადრაკემ ჯერ კიდევ ომამდე მოიპოვა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატის სახელი, მაგრამ ვერ მოახერხა ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონ ალიოხინთან. პრეტენდენტების პაექრობაში კერესი მუდამ მკორე ადგილს იკავებდა და ვერც ბოტვინიკამდის მიღწევა შეძლო. დაწინაურდა ნიჭიერი დიდოსტატების ახალი თობა — მათ შორის გამოირჩეოდნენ ტიგ-

გივი გამრეკელი
საჭადრაკო ოლიმპზე

რან პეტროსიანი და ეფიმ გელერი. ცხადი იყო, რომ ბოტვინიკს ისევ ერთ-ერთი საბჭოთა მოქადარეე უნდა შეხვედროდა, რადგან უცხოეთში მათ მეტოქე არ ჰყავდათ.

მიხეილ ტალი ის დიდოსტატი გახლდათ, რომელმაც მოახერხა „ერთის დაკვრით“ მიეღწია ბოტვინიკამდე. მან ტრიუმფალურად გაიარა მსოფლიო ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა, რომლის საფეხურებსაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, საზონათაშორისო ტურნირი და პრეტენდენტების გრანდიოზული, 28 პარტიისაგან შემდგარი ასპარეზობა შეადგენდა. ბოტვინიკს, ამ საჭადრაკო სიბრძნის განსახიერების, მოწინააღმდეგე გახდა ჰაბუჟკი, რომელიც 24 წლისაც კი არ იყო.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც ის იყო, რომ ტალი ბოტვინიკის მძლეველი და მსოფლიოს რიცხვით მერვე ჩემპიონი გახდა. რა არ უწოდეს ტალს — „ჯიქი“, „კომბინაციების მეფე“, „მეტოქეების მომაჯადოებელი“ და ა. შ. საინტერესოდ დაახასიათა იგი საერთაშორისო საჭადრაკო მოძრაობის ვეტერანმა, გერმანელმა ოსტატმა ბრინკმანმა: „ტალი გენიალური მოერიშე მოთამაშეა, მას პირდაპირ დემონური ძალა გააჩნია“. ტალის უდიდეს ღირსებას წარმოადგენს ვარიანტების უაღრესად სწრაფად გათვლის უნარი. მას შეუძლია ელვისებურად იპოვოს პოზიციაში ღრმად „ჩამარბული“ შესაძლებლობა. თვით პეტროსიანიც კი, რომელიც განთქმულია თავისი საჭადრაკო გამჭირაბობით, აღიარებს, რომ კომბინაციის შესაძლებლობას რიგელი დიდოსტატი მასზე „ერთი წამით ადრე“ ხედავს. ტალის სტიქიაა იერიში, რომელსაც შეუღარებელი გონებამახვილობით აწარმოებს. მან არ იცის, რა არის ცაიტნოტი და მასთან დაკავშირებული უსიამოვნება. ტალს ერთი თვალსაჩინო ღირსებაც აქვს, ესაა ფართო სადებიუტო რეპერტუარი, რითაც მეტოქეს საშუალებას არ აძლევს საშინაო ანალიზის დროს მომზადებულ ახალ ვარიანტში „დაიჭიროს“ რიგელი დიდოსტატი.

რაც შეეხება ბოტვინიკს, მან თავდაპირველად ალღო ვერ აუღო ტალის თამაშის მანერას. მწვავე პოზიციების გათამაშებისას იგი ვერ შეედრებოდა თავის ჰაბუჟკ მეტოქეს, წყნარი პოზიციების მიღებას კი მსოფლიო ჩემპიონი ვერ ახერხებდა. საჭადრაკო „წინასწარმეტყველების“ აზრით ბოტვინიკს უდავო უპირატესობა უნდა ჰქონოდა პარტიის დაბოლოებაში. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ საქმე ენდშპილამდე არ მიდიოდა, და თუ მიდიოდა, ბოტვინიკს თანაბარი შესაძლებლობებით აღსავსე პოზიციაში თამაში კი არ უხდებოდა, არამედ პარტიის გადარჩენაზე ფიქრი. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ბოტვინიკმა ხელმოეორედ დაკარგა საჭადრაკო „ტახტი“.

აქ კი საკმაოდ მოულოდნელად გამეორდა შეცდომა, რაც თავის დროზე სმისლოვს მოუვიდა. ტალს წარმატებისაგან „თავბრუ დაეხვა“ და არასაკმაოდ მოემზადა მატჩ-რევანშისათვის. ეს ითქმის მის სადებიუტო რეპერტუარზე, რომელიც ძირითადად უცვლელი დარჩა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მსოფლიო ჩემპიონმა, სწორედ მატჩ-რევანშის წინ, სერიოზული ავადმყოფობა გადაიტანა. ყოველივე ამით კარგად ისარგებლა ბოტვინიკმა; იგი გულდასმით მოემზადა ტალთან შესახვედრად და კარგად გაითვალისწინა ადრე დაშვებული შეცდომები. მატჩ-რევანშის დროს ბრძოლა მხოლოდ ისე მიმდინარეობდა, როგორც ბოტვინიკს სურდა. ტალი ძველებურად ვეღარ ამწვავებდა ბრძოლას, ან თუ ამწვავებდა, მხოლოდ საკუთარი პოზიციის დასუსტებით. შავებით ბოტვინიკი ირჩევდა ე. წ. კარო-კანის დაცვას, რომელთანაც მსოფლიო ჩემპიონმა ვერაფერი გააწყო. იგი აზარტულად ცდილობდა შეტევაზე გადასვლას, მაგრამ ყოველთვის „სალ კლდეს“ აწყდებოდა. ტალმა, რომელიც ასეთ მოულოდნელ და შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა, ვერ მონახა სათანადო „გასაღები“ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ბოტვინიკი მეტად ჰკვიანური, წინასწარ მოფიქ-

რებული ტაქტიკით მოქმედებდა. როდესაც მან რამდენიმე პარტიის მოგებით შეძლო მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანა, თავდაცვაზე კი არ გადასულა, არამედ გაითვალისწინა ტალის წინააღმდეგობის უნარიანობის საგრძნობი შესუსტება და თვით გადავიდა გადამწყვეტ იერიშზე, ამის შედეგად ტალმა კიდევ რამდენიმე საგრძნობი მარცხი განიცადა და გამოეთხოვა მსოფლიო ჩემპიონობას. ეს ბოტვინიკის დამაჯერებელი რევანში იყო. 50 წელს მიღწეულმა ექსჩემპიონმა მოხსნა ჰადრაკის ისტორიაში აქამდე არსებული რეკორდი (ეს რეკორდი ალიოხინს ეკუთვნოდა) და ყველასათვის მოულოდნელად მეორედ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონობა. ეს იყო ნამდვილი სპორტული გამირობა, მით უმეტეს — როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვა ყოველთვის დიდ მორალურ ტრავმასთან იყო დაკავშირებული. ბოტვინიკი კი მოკლე დროში „განიკურნა“ ამ ტრავმისაგან.

როგორც ვხედავთ, ბოტვინიკმა თავისი ძირითადი წარმატებები სმისლოვთან და ტალთან მატჩ-რევანშების დროს მოიპოვა. საერთოდ 1935 წლიდან დამკვიდრდა თავისებური ტრადიცია — მსოფლიო ჩემპიონი ვერც ერთ მატჩს ვერ იგებდა მსოფლიო პირველობაზე. ასპარეზობა ან პრეტენდენტის გამარჯვებით მთავრდებოდა, ან ფრედ. ტალზე ბოტვინიკის გამარჯვებიდან მცირე ხნის შემდეგ საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება მატჩ-რევანშების გაუქმების შესახებ. ამით მსოფლიო ჩემპიონის მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა.

ვინ უნდა გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონობის მომავალი პრეტენდენტი?! ასახელებდნენ კერესს, ახალ „ვარსკვლავს“ — ამერიკელ დიდოსტატ რობერტ ფიშერს, რომელიც მხოლოდ 19 წლისა იყო, მაგრამ ამ ასაკის მიუხედავად მოახერხა ოთხჯერ გამხდარიყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი და ორჯერ პრეტენდენტობის ტურნირში მონაწი-

ლეობის უფლება მოიპოვა. მაგრამ თუ პრეტენდენტობის ტურნირში პირველად 16 წლისა მოხვდა და წარმატებითაც ითამაშა, იქნებ 19 წლისას ბოტვინიკამდე მიეღწია? თვით ფიშერს იმედი ჰქონდა, რომ ეს სწორედ ასე მოხდებოდა. ბოტვინიკ-ტალის მეორე მატჩის დამთავრებისთანავე ცნობილმა ჟურნალისტმა და ჰადრაკის მცოდნემ ბორის ვაინშტეინმა გამოთქვა აზრი, რომ შემდეგი პრეტენდენტი პეტროსიანი იქნებოდა. ეს პროგნოზი იმ დროისათვის გაბედული ჩანდა, რადგან პრეტენდენტობის წინა ტურნირებში პეტროსიანი ფაქტიურად მონაწილეობას არ იღებდა პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

მაგრამ 1962 წელს პრეტენდენტების ტურნირში პეტროსიანმა დაიკავა პირველი ადგილი (მას არც ერთი პარტია არ წაუგია) და ვაინშტეინის წინასწარმეტყველებაც გამართლდა. მაშინვე დაიწყო წინასწარი „მოთქმა-მოთქმა“ ბოტვინიკ-პეტროსიანის მომავალი მატჩის ირგვლივ. აღნიშნავდნენ, რომ თუ პეტროსიანი საუცხოო სატურნირო მებრძოლია, მატჩების ჩატარება მას შედარებით არ ეხერხებაო. საკითხავია, როგორი სამატჩო მებრძოლი უნდა ყოფილიყო პეტროსიანი — მას ზომ არასდროს არავისთან არ ეთამაშა მატჩი და ახლა „პირდაპირ“ მსოფლიო ჩემპიონს ერკინებოდა.

აქ ბორის ვაინშტეინმა გამოთქვა კიდევ ერთი წინასწარმეტყველება, რომ თავისი სპორტული ღირსებებით პეტროსიანი სწორედ ჩინებული სამატჩო მებრძოლი უნდა გამომდგარიყო. ამ აზრს, რა თქმა უნდა, დადასტურება სჭირდებოდა.

წინასწარი პროგნოზებისაგან აძვერად ყველა წამყვანმა სპეციალისტმა შეიკავა თავი. ეივემ ისიც კი თქვა, რომ ლაპარაკი მეტოქეების შესაძლებლობებზე „სხვის საქმეებში ჩარევა“ იქნებოდა. ამასთან მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი მატჩამდე სულ 5-ჯერ

გვი გამრეკელი
საჰადრაკო ოლიმპზე



შეხვედნენ ერთმანეთს და ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიპოვა უპირატესობა.

იწყებოდა ხანგრძლივი შეუპოვარი შეჯიბრება ორ მოკადრაკეს შორის. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, მაგრამ ცხადია ბევრ საკითხში პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ. ეს იყო 1948 წლიდან მოყოლებული ბოტანიკის მერვე მატჩი მსოფლიო პირველობაზე და პეტროსიანის დებიუტი ამ სარბიელზე.

12,5:9,5 — აი ანგარიში, რომლითაც პეტროსიანმა სძლია თავის მეტოქეს და მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონი გახდა. ამასთან გუშინდელი პრეტენდენტის უდავო უპირატესობა ყველა სპეციალისტმა აღიარა.

რაა დამახასიათებელი ტიგრან პეტროსიანისათვის, როგორც დიდოსტატი-სათვის? უპირველეს ყოვლისა, თითქმის უშეცდომო, ზუსტი თამაში, როგორსაც ბევრი დიდოსტატი ვერ დაიკვივნის. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი წლების განმავლობაში არ აგებდა პარტიებს. როდესაც სტატისტიკის მოყვარულმა ჟურნალისტებმა მისი შედეგების ანალიზი მოახდინეს, გამოიჩვენა, რომ პეტროსიანი წელიწადში საშუალოდ აგებდა... ერთ პარტიას! ეს, რა თქმა უნდა, სავესებით უმაგალითო მოვლენაა ჰადრაკის ისტორიაში. ასეთი „ჯავშანი“ არა აქვთ არა მარტო თანამედროვეობის უძლიერეს მოკადრაკეებს, არამედ არც წარსულში ჰქონია ვინმეს. იშვიათი ინტუიცია, საშიშროების შეუდარებელი გრძნობა პეტროსიანს საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს თითქმის ყოველგვარ გასაჭირს. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვის დიდოსტატია.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პეტროსიანი შედარებით სუსტია იერიშის წარმოებისას. შეიძლება ბევრ პარტიის დასახელება, სადაც მან შეხვედრის ბედი პირდაპირი, კომბინაციური იერიშით გადაწყვიტა. ბოტანიკთან შეხვედრისას კი პეტროსიანს წარმატება მოუტანა მანევრული თამაშის დიდმა

ხელოვნებამ. იგი ისე ნელ-ნელა, მაგრამ შეუბრალებლად „ლრღნიდა“ ბოტანიკის პოზიციას, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვერც კი ახერხებდა რაიმე ქმედითი ღონისძიების მიღებას. ბრძოლის წარმოების ეს თავისებური, პეტროსიანისეული მანერა შესაძლებელია გარეგნულად არ იყო მაინცადამაინც მომხიბვლელი, მაგრამ იგი მეტოქისათვის მეტად უსიამოვნო გამოდგა.

პეტროსიანს ადრე „ყაიმების მეფის“ უწოდებდნენ. ეს წოდება მან ფლორს ჩამოართვა. დღეისათვის, რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონს არ შეუვინის „ყაიმების მეფის“ სახელი, მით უმეტეს, რომ მან უფრო უძლეველის წოდება დაიმსახურა.

მამ ასე, პეტროსიანის მიერ „საჰადრაკო ტახტის“ მოპოვებით კიდევ ერთი უდიდესი გამარჯვება მოიპოვა თბილისის საჰადრაკო სკოლამ, რომელმაც უკვე ორი მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა. 1945 წელს პეტროსიანმა ხომ თავისებური დუბლი გააკეთა — იგი თბილისის ჩემპიონიც გახდა და საქართველოს ჩემპიონიც. გამართლდა ოსტატ არჩილ ებრაღიძის წინასწარმეტყველება, რომ მისი აღზრდილი გამოჩენილი მოკადრაკე გამოვიდოდა. 1946 წელს პეტროსიანი ჯერ ერევანში, ხოლო შემდეგ მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ საქართველოს მოკადრაკეებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა. პეტროსიანი ყოველთვის მეგობრობდა საქართველოს წამყვან ოსტატებს, ხოლო შემდეგ მსურველ მონაწილეობა მიიღო ჩვენი საამაყო მოკადრაკის ნონა გაფრინდაშვილის ტრიუმფში. თავის მხრივ, ნონა გაფრინდაშვილიც პეტროსიანის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი განლავთ. ბოტანიკ-პეტროსიანის მატჩის დასაწყისშივე, როდესაც ვერც ერთი წამყვანი სპეციალისტი „ვერ ბედავდა“ რაიმე გარკვეულის თქმას შეხვედრის მოსალოდნელ შედეგზე, ნონამ გადაჭრით დაიკავა პრეტენდენტის მხარე და მას გამარჯვება უწინასწარმეტყველა.

დაიწყო ახალი ჩემპიონის „ბატონობა“, მაგრამ მისი მდგომარეობა არაა იოლი. დღეისათვის მსოფლიოში რამდენიმე გამოჩენილი დიდოსტატი, რომლებიც საქადრაკო გვირგვინისაკენ მიილტვიან. რომელ მათგანს შეხვდება პეტროსიანი?! ეს მხოლოდ 1965 წელს გაირკვევა პრეტენდენტების მორავი ასპარეზობის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ იურიდიულად ყველა, თითქმის სრულიად უმნიშვნელო მოჭადრაკესაც აქვს უფლება იბრძოლოს საქადრაკო გვირგვინისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეწყობა ეროვნული ჩემპიონატები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. შემდეგ ამ ქვეყნებიდან ჭადრაკის განვითარების დონის გათვალისწინებით, სერთაშორისო საქადრაკო ფედერაცია ორ-სამ მონაწილეს უშვებს ე. წ. „ზონალურ ტურნირებში“. მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ასპარეზობის შემდეგ სტადიას—საზონათაშორისო ტურნირს. აქ პირველ ექვს ადგილზე გამოსული დიდოსტატები ოფიციალურად ცხადდებიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებად. ასეთივე უფლება პერსონალურად აქვთ მსოფლიოს ექსჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკსა და პრეტენდენტების წინა ტურნირში მეორე ადგილზე გამოსულ პაულ კერესს.

ყველაზე საინტერესო მაინც მსოფლიო ჩემპიონობის ამ რვა პრეტენდენტის პაექრობა უნდა გამოდგეს. ადრე პრეტენდენტები ებმებოდნენ 28 ტურისგან შემდგარ „მარათონულ“ ტურნირში, რაც უდიდეს ენერგიას მოიხსოვდა. ახლა გადაწყდა ტურნირის მაგიერ მატჩების მოწყობა. კენჭისყრის თანახმად 8 პრეტენდენტი ოთხ წყვილად დაიყოფა და ოლიმპიური სისტემით შეხვდება ერთმანეთს, ე. ი. დამარცხებული დატოვებს გათამაშებას. შემდეგ მოეწყობა ახალი კენჭისყრა, ახალი შეხვედრები და ა. შ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პეტროსიანამდე მისაღწევად პრეტენდენტმა მატჩი უნდა მოუგოს სამ უძლიერეს დიდოსტატს მაინც.

მსოფლიო ჩემპიონობისათვის ბრძოლის ახალ სისტემას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია. მათ შორის უმთავრესი ისაა, რომ „გვირგვინამდე“ მიღწევა მხოლოდ პრეტენდენტთა შორის უძლიერესს შეუძლია. ამასთან პრეტენდენტების მატჩებს შორის საკმაო „პაუზები“ გამოიცხავს მონაწილეთა გადაღლას. ახლა გამარჯვებისათვის მეტი ხანდით შეიძლება იბრძოლოს თვით ხანდაზმულმა მონაწილეებმაც კი. ჩვენ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვყავს თვით ბოტვინიკი, რომელსაც სრული უფლებით შეუძლია იმედოვნებდეს, „თითო ქულით მაინც“ გაუსწროს დანარჩენ მეტოქეებს. იზრდება კერესის შესაძლებლობები. ორჯერ (იუგოსლავიაში და კიურასაოზე გამართულ პრეტენდენტების ტურნირებში) კერესმა სწორედ ფინიშთან დათმო მოპოვებული პოზიციები. ბოტვინიკსა და კერესს ჩვენ პირველ რიგში იმიტომ ვასახელებთ, რომ ისინი შორს იქნებიან წინასწარი შესარჩევი შეჯიბრებების „რომბრილისაგან“ და პირდაპირ პრეტენდენტების ასპარეზობიდან ჩაებმებიან „კამათში“.

საბჭოთა მოჭადრაკეები თუ ფიშერი?! ამ ნიშნით უნდა წარიმართოს პრეტენდენტების პაექრობა „ფინალში გასასვლელად“. შეიძლება დასკვნით „რეჟულში“ რომელიმე სხვა უცხოელი დიდოსტატიც მოხვდეს, მაგრამ მას არ შეიძლება რაიმე დიდი წარმატების იმედი ჰქონდეს.

რაც შეეხება რობერტ ფიშერს, იგი 1965 წლისათვის უკვე 22 წლისა იქნება. ეს ანგარიშგასაწევი ასაკია. რა თქმა უნდა, ფიშერს ზოგჯერ ლალატობს ტაქტი და მკვებარა განცხადებებს აკეთებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამერიკელი დიდოსტატი საყოველთაოდ აღიარებული დიდი საქადრაკო ნიჭითაა დაჯილდოებული. ბოტვინიკს ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიაჩნდა ფიშერი მსოფლიო

გივი გამრეკელი
საჭადრაკო ოლიმპზე



ჩემპიონობის შესაძლებელ პრეტენდენტად. ამასთან ფიშერმა, ამ ნამდვილმა ფანატიკოსმა მოჭადრაკემ, თავი დაანება ყველაფერს, რასაც მისი აზრით ჭადრაკთან პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს და მთელ ძალებს საბჭოთა დიდოსტატებთან ბრძოლას ახმარს. ამ მიზნით მან სპეციალურად ისწავლარუსული, რათა იკითხოს საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურა. ფიშერი არ მიეკუთვნება იმ მოჭადრაკეთა რიგებს, რომლებიც ტურნირიდან ტურნირში უმიზნოდ „დაყალიბდნენ“. მან საუცხოოდ შეითვისა ბოტეინიკის პრინციპი: ცოტა, მაგრამ ყოველთვის წარმატებით თამაშის, ძალების დაზოგვის პრინციპი.

უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ფსიქოლოგიური ტრავმისაგან უკვე განიკურნა პოპულარული მიხეილ ტალი. პრეტენდენტების წინა ტურნირში ჩავარდნა ძირითადად ექსჩემპიონის ხანგრძლივ ავადმყოფობას უნდა მიეწეროს, მაგრამ რიგელება დიდოსტატმა მოასწრო „კრილობის მოშუშება“. ამასთან ჭადრაკის ქალღმერთმა კაისამ ტალს „წყალობის კალთის ზედ დაბერტყვასთან“ ერთად ბევრი სიმწარეც ანახვა, რაც მისთვის მწარე, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი იყო. თუ ტალი პოზიციურ ბრძოლასაც ისეთივე ოსტატობით ჩაატარებს, როგორც კომბინაციურს (ამ სფეროში მას კარგა ხანია არა ჰყავს ბადალი), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ რიგელი დიდოსტატი პრეტენდენტთა ასპარეზობის ერთ-ერთი უძლიერესი მონაწილე გახდება. „კომბინაციების ჯაღოქარს“ და „იერიშების დიდოსტატს“ თანდათან უღვივდება „რევანშის გრძნობა“. იგი ყველაფერს თავიდან იწყებს და ოპტიმისტური განწყობილებებისათვის საკმაო საბუთიც აქვს.

პეტროსიანს კიდევ ერთი შესაძლებელი მეტოქეც ჰყავს. ესაა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი კორჩნოი. ამ ორი დიდოსტატის ნაცნობობა დიწყო დიდი ხნის წინათ — 1946 წელს, როდესაც მოსწავლეთა საკავშირო ჩემპიონატში ოსტატობის კანდიდატმა პეტროსიანმა სძლია პირველთანრივოსან

კორჩნოის. მას შემდეგ ბევრმა წყალობა ჩაიარა. რამდენიმე ბრწყინვალე სატურნირო გამარჯვების შემდეგ ბევრს კორჩნოი პრეტენდენტთა პაექრობაშიც პირველი ადგილის ერთ-ერთ ძირითად მამიებლად მიაჩნდა, მაგრამ სწორედ პეტროსიანთან დამარცხების შემდეგ ლენინგრადელი დიდოსტატი ლიდერებს ჩამორჩა და მსოფლიო ჩემპიონობაზე ფიქრი სამი წლით გადასდო. კორჩნოი თამაშის სტილით საკმაოდ ჩამოგავს პეტროსიანს და შესაძლებელია, მისთვის მეტად სახიფათო მეტოქეც აღმოჩნდეს, თუ, რა თქმა უნდა, მოიპოვა ეს უფლება. კორჩნოი მეტოქეს პირდაპირ არ უტევს, იგი ჯერ თავს იცავს და მოწინააღმდეგეს თავისი სანგრებისაკენ იტყუებს, რათა იქ მას „სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს“. ამ „ვერაგული“ სტილის მოჭადრაკესთან ბრძოლა ყოველთვის ძნელი საქმეა.

არის „საჭადრაკო ტახტის“ კიდევ ერთი პრეტენდენტი — ლენინგრადელი ბორის სპასკი. 1955 წელს იგი ფლობდა ამ „საჭადრაკო ტახტს“ — ოლონდ ჰაბუკთა შორის. სპასკი ბოტვინიკთან თამაშის შესაძლო პრეტენდენტად ჯერ კიდევ მაშინ ითვლებოდა, როდესაც თვით იყო მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუკებში. გავიდა ხანი და იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი დიდოსტატი გახდა. ამ ბრწყინვალე ნიჭის მოჭადრაკეს დიდი წარმატებებიც ჰქონდა და დიდი ჩავარდნებიც. მაგრამ ერთი რამ ცხადია — 26 წლის სპასკი ჯერ კიდევ დიდხანს იქნება თანამედროვე ჭადრაკის კორიფეთა რიგებში.

მსოფლიო ჩემპიონობაზე ფიქრი არც ოდესეულ დიდოსტატ გელურს აძლევს მოსვენებას. იგი ხომ დიდხანს ერთადერთი მოჭადრაკე იყო, რომელსაც დადებითი ანგარიში ჰქონდა „თვით ბოტვინიკთან“. (ახლა იგივე შეიძლება ითქვას პეტროსიანზეც). გელური სამართლიანად შეიძლება ჩათვალოს მსოფლიო ჩემპიონების რისხვად, თუნდაც იმიტომ, რომ მას დადებითი ანგა-

რიში აქვს პეტროსიანთაანაც. ბოტვინიკის აზრით, არც ერთი დიდოსტატის შემოქმედებაში არ ვხვდებით იმდენ ახალ და საინტერესო იდეას, როგორსაც გელერთან. ოდესელი დიდოსტატი შეტევის ვირტუოზია. იგი არაჩვეულებრივი სილამაზით აწარმოებს იერიშს, მაგრამ აღრე არ უყვარდა თავის დაცვა. რასაც მისთვის დიდხანს მოჰქონდა სავალალო შედეგები. უკანასკნელ წლებში გელერის სტილი უფრო ჰარმონიული გახდა და წარმატებებმაც იმატა.

ჩვენ დაეასახელეთ მსოფლიო ჩემპიონობის ზოგიერთი შესაძლებელი პრეტენდენტი, მაგრამ ამ საკითხში წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, მეტად სახიფათო საქმეა. ვინ იცის, იქნებ რომელიმე ახალი დიდოსტატი

დაწინაურდეს საბჭოთა კავშირის მორიგ ჩემპიონატში. სწორედ აქ უნდა შეარჩიონ მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის მონაწილენი, როგორც ეს აღრეც ხდებოდა, იქნებ რომელიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში „აღმოაჩინდეს“ ახალი „ვარსკვლავი“.

ტიგრან პეტროსიანი ჯერ ახალგაზრდაა — იგი 34 წლისაა. კიდევ უფრო ახალგაზრდაა იგი, როგორც მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ ასეთივე ახალგაზრდები არიან მისი ძირითადი მეტოქეებიც და ამიტომ ჭადრაკის „გვირგვინის“ მამიებლებს შორის ახალ, მედგარ ბრძოლას უნდა მოველოდეთ.

გივი გამრეკელი
საჭადრაკო ოლიმპიზე




ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/VI11-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 695. უე 02100. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.85

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата. Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ԺԱՄՈ ՔՐԻՍՏՈՅԵ

Երբևէ պոկերիմ և հանրիս ոնկնես Յնայր հարաջ
հնչիջցակ հնախնի հղևհղմկերն

09 261 60 333

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДЯ ХЕЛОВНЕБА“
ИНДЕКС 76236

6

0
9
8
0
9
8
0
9
8
0
9
8
0

